ქეთევან შენგელია
ნინო მაღლაკელიძე

მაკროეკონომიკის პრინციპები

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2017

UDC(უაკ) 330.101.541
შ - 483

წიგნში „მაკროეკონომიკის პრინციპები" კომპაქტურადაა გადმოცემული ლექციების კურსი. იგი მეორე ნაწილს წარმოდგენს. პირველ ნაწილში განხილულია ეკონომიკის ათი პრინციპი; მიწოდებისა და მოთხოვნის საბაზრო ძალები; ფირმები კონკურენტულ ბაზრებზე; წარმოების ხარჯები; მონოპოლია, ოლიგოპოლია და მონოპოლისტური კონკურენცია; წარმოების ფაქტორთა ბაზრები; მომხმარებლის არჩევანის თეორია;

მეორე ნაწილში განხილულია მაკროეკონომიკური მაჩვენებლები: ეროვნული შემოსავალი; ეკონომიკური ზრდა; ერთობლივი მოთხოვნა და მიწოდება; უმუშევრობის არსი და მიზეზები; ინფლაცია; ეკონომიკური რყევები, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გავლენა ერთობლივ მოთხოვნაზე. თემების ბოლოს მოცემულია ტესტები და სავარჯიშოები გამეორებისათვის.

ნაშრომში არსებითადაა გამარტივებული საკითხები ეკონომიკის ცნობილ სახელმძღვანელოებთან შედარებით, შესაბამისობაშია მოყვანილი ქართველი მკითხველის ინტერესებთან. საკითხების დაზუსტებული გადმოცემა, თანდათანობით გადასვლა მარტივიდან რთულზე გაუადვილებს ცოდნის შემსწავლელს ეკონომიკის ძირითად ცნებებს შორის კავშირების გააზრებას.

წიგნი მოაზროვნე მკითხველისთვისაა განკუთვნილი, ვისაც სურს კარგად გაერკვეს ეკონომიკის საკითხებში, გაჰყვეს ანალიზს, მაგრამ საშუალება არ გააჩნია, დრო ან ფული არ ყოფნის სქელტანიანი და ძვირადღირებული სახელმძღვანელოს შესაძენად.

ნაშრომი გამოადგება როგორც სტუდენტს, ისე პედაგოგს, მეწარმეს და ეკონომიკის შესწავლით დაინტერესებულ ყველა მკითხველს.

მიუხედავად დიდი ძალისხმევისა ნაშრომი არ იქნება ხარვეზების გარეშე.

მადლიერებით მივიღებთ ყველა საქმიან შენიშვნას.

რედაქტორი: ევგენი ბარათაშვილი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

რეცენზენტები: რეზო შენგელია, ეკონომიკის დოქტორი
ნაზი ჭიკაიძე, ეკონომიკის დოქტორი

© ქ. შენგელია, ნ. მაღლაკელიძე, 2017

გამომცემლობა „უნივერსალი", 2017
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-22-952-7

შინაარსი

შესავალი 5
თემა 1. მაკროეკონომიკური მეცნიერების განვითარება 7
1.1. მაკროეკონომიკის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ჩამოყალიბება. 7
1.2. სახელმწიფოს მაკროეკონომიკური მიზნები და ფუნქციები 9
თემა 2. მაკროეკონომიკური მაჩვენებლები 15
2.1. მთლიანი შიდა პროდუქტი 15
2.2. ცხოვრების დონის გაზომვა, სამომხმარებლო ფასების ინდექსი 22
თემა 3. დანაზოგები, ინვესტიციები და ფინანსური სისტემა 25
3.1. ფინანსური ბაზრები და ფინანსური შუამავლები 25
3.2. დანაზოგები და ინვესტიციები ეროვნულ ანგარიშებში 27
თემა 4. ეკონომიკური ზრდა 31
4.1. მწარმოებლურობა, მისი როლი დადეტერმინანტები 31
4.2. ეკონომიკური ზრდა და სახელმწიფო პოლიტიკა 34
თემა 5. უმუშევრობის არსი, მიზეზები და დაძლევის გზები 37
5.1. უმუშევრობის დონის განსაზღვრა 37
5.2. ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობა 39
5.3. მინიმალური ხელფასის კანონები 43
5.4. ეფექტიანი ხელფასების თეორია 47
თემა 6. მონეტარული სისტემა 53
6.1. ფულის არსი. ფულის ფუნქციები 53
6.2. ბანკები და ფულის მიწოდება 54
თემა 7. ფულის მასის ზრდა და ინფლაცია 56
7.1. ინფლაციის კლასიკური თეორია 56
7.2. ნომინალური და რეალური სარგებლის განაკვეთი, ფიშერის ეფექტი 60
7.3. ინფლაციის დანახარჯები 63
7.4. კლასიკური დიქოტომია და მონეტარული ნეიტრალიტეტი 64
თემა 8. ღია ეკონომიკა 65
8.1. საქონლისა და კაპიტალის საერთაშორისო ნაკადი 65
8.2. სავალუტო კურსები 68
8.3. საერთაშორისო ვაჭრობა, საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის ზეგავლენა 69
8.4. სავალუტო კურსის განსაზღვრის პირველი თეორია: მსყიდველობითი უნარის პარიტეტი 72
თემა 9. ეკონომიკური რყევების თეორია 74
9.1. ეკონომიკური რყევების სამი ძირითადი ფაქტი 74
9.2. ერთობლივი მოთხოვნის მრუდი 75
9.3. ერთობლივი მიწოდების მრუდი გრძელვადიან პერიოდში 78
9.4. ერთობლივი მიწოდების მრუდი მოკლევადიანპერიოდში 82
9.5. ეკონომიკური რყევების ორი მიზეზი 86
თემა 10. მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გავლენა ერთობლივ მოთხოვნაზე 90
10.1. მონეტარული პოლიტიკის მოქმედება ერთობლივ მოთხოვნაზე 90
10.2. ფისკალური პოლიტიკის მოქმედება ერთობლივ მოთხოვნაზე 95
10.3. ეკონომიკის სტაბილიზაციის პოლიტიკა 101
თემა 11. მოკლევადიანი პერიოდის ალტერნატივა ინფლაციასა და უმუშევრობას შორის. ფილიპსის მრუდი 105
11.1. ფილიპსის მრუდი მოკლევადიან პერიოდში 105
11.2. ინფლაციის შემცირების პოლიტიკის დანახარჯები 112

თემა 12. საქართველოს მაკროეკონომიკური მიმოხილვა 117
12.1 მაკროეკონომიკური მაჩვენებლები საქართველოში 117
12.2. გლობალური კომპანიების გავლენა და საქართველოსპერსპექტივები 122

ტესტები გამეორებისათვის 129
ლიტერატურა 154

შესავალი

ამ ნაწილში განიხილება მაკროეკონომიკის საკითხები. ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების ფორმირება ეყრდნობა მილიონობით ინდივიდუალურ ქცევას, რომლებსაც ახორციელებენ ფირმები, მომხმარებლები, მშრომელები, სახელმწიფო მოხელეები.

მაკროეკონომიკის შესწავლას ვიწყებთ მაჩვენებელთა გამოთვლის საკითხებით, განიხილება მთლიანი შიდა პროდუქტი და ეროვნული ანგარიშების სხვა მნიშვნელოვანი მაჩვენებლები. ამის შემდეგ ვიწყებთ სამომხმარებლო ფასების ინდექსის გამოთვლას და გამოყენებას. შემდეგ თავებში აღწერილია ეკონომიკის ქცევა გრძელვადიან პერიოდში. მიგვაჩნია, რომ უპირველესად საჭიროა მაკროეკონომიკური საკითხების განხილვა გრძელვადიან პერიოდში, როდესაც ფასები იცვლება, შემდეგ კი შესაძლებელია მოკლევადიანი პერიოდის გაანალიზება, როდესაც ფასები შედარებით ხისტია.

მაკროეკონომიკა ეს არის მეცნიერება ეკონომიკაში აგრეგირებული ცვლადების შესახებ. მთავარი მაკროეკონომიკური მეთოდი არის ერთობლივი ეკონომიკური ტენდენციების ანალიზი და არა ცალკეული სუბიექტების ქმედებების ტენდენციის ანალიზი. ეკონომიკური საქმიანობის კონკრეტული მახასიათებლები (მშპ, დაგროვების ნორმა, სამომხმარებლო ფასების ინდექსი და სხვ.) დინამიკისა და ტენდენციების გლობალურ სურათს ქმნიან. ისინი ქმნიან ინსტრუმენტებს, რომლებიც საშუალებას იძლევა ყურადღება გამახვილდეს ეკონომიკაში დომინირებულ ტენდენციებზე და არა ცალკეულ ცვლილებებზე, რომლებიც ეკონომიკის ცალკეულ ელემენტებზე ზემოქმედებენ.

მაკროეკონომიკა შეეხება თითოეულ ჩვენთაგანს და ყველანი ნებსით თუ უნებლიედ მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე ვართ დამოკიდებული და ვცდილობთ მივიღოთ გარკვეული ტიპის ინფორმაცია. მეწარმეები დაინტერესებულნი არიან გაიგონ თუ როგორ შეიცვლება მოსახლეობის შემოსავლები, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ პროგნოზირება მოახდინონ, თუ რა ტენდენციები შეიძლება იყოს ეკონომიკაში. ადამიანებს აინტერესებთ როგორ შეიცვლება ფასები. უმუშევრები იმედის თვალით უყურებენ ეკონომიკის ზრდას, რაც მათ დასაქმების საშუალებას მისცემს. პოლიტიკოსებიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მაკროეკონომიკას, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში. ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის საარჩევნო პროგრამა აგებულია ეკონომიკის ზრდის, ფასების სტაბილურობის, დასაქმების ზრდის საკითხებზე.

სწორედ ეკონომიკური მდგომარეობაა ხელისუფლების პოპულარობის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი. ეს ეხება არა მხოლოდ საქართველოს, რომელსაც დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემის არსებობის ძალიან მცირე ისტორია აქვს, არამედ ყველა ქვეყანას. მთავრობა, რომლის დროსაც იზრდება მშპ (მთლიანი შიდა პროდუქტი, ამ კატეგორიას შემდეგ თემაში განვმარტავთ), სტაბილურია ფასები და არ იზრდება უმუშევრობა, უფრო პოპულარულია და შემდგომ არჩევნებში მას გამარჯვების მეტი შანსი აქვს, ვიდრე ხელისუფლებას, რომლის სახელსაც უკავშირდება ინფლაცია, უმუშევრობა, რეცესია.

ამერიკელმა ეკონომისტმა რეი ფეირმა შეიმუშავა ფორმულა, რომლითაც ის ახდენს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების პროგნოზირებას. მისი ფორმულა საკმაოდ ზუსტია და ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზს ეყრდნობა. ისტორია ამტკიცებს, რომ შემოსავლების ზრდა მმართველი პარტიის გამარჯვების წინაპირობაა, ხოლო ფასების ზრდა მისი პოზიციების შესუსტებას უწყობს ხელს.

ერთობლივი ეკონომიკური ტენდენციების მაკროეკონომიკური ანალიზი ფართო ინფორმაციას ეყრდნობა, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გროვდება. თანამედროვე მაკროეკონომიკა, როგორც მეცნიერება მხოლოდ გასული საუკუნის 30-იან წლებში

ჩამოყალიბდა, როდესაც ეკონომიკური სტატისტიკის სპეციალისტებმა აგრეგირებული ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშება და ამ მიზნით სტატისტიკური მონაცემების დიდი მასივების შეგროვება დაიწყეს. მათგან უმნიშვნელოვანესი ეროვნული შემოსავლის ანგარიშები იყო, რომლებიც პროდუქციის გამოშვების, შემოსავლების, მოხმარებისა და ინვესტიციების ერთობლივ დონეს აფიქსირებდნენ. მაკროეკონომიკური ანალიზის უმთავრესი ელემენტი მათი სწორად გაგებაა. პოლ სამუელსონი წერდა, რომ 1932 წელი იყო დიდი დეპრესიის ფსკერი, ხოლო მისი ჭუჭყიანი ნიადაგიდან მოგვიანებით აღმოცენდა ახალი საგანი, რომელსაც დღეს ვუწოდებთ მაკროეკონომიკას.

მაკროეკონომიკა ეკონომიკური ცხოვრების გლობალური პრობლემებისაკენ მიისწრაფვის. მაკროეკონომიკის საგანს ისეთი ტიპის შეკითხვები წარმოადგენენ, როგორიცაა: დროის გარკვეულ მონაკვეთში რა უბიძგებს ეროვნულ ეკონომიკას იქითკენ, რომ იგი იყოს უფრო მდიდარი ან უფრო ღარიბი; როგორია ქვეყნის მოქალაქეთა მიერ მომავალში განსახორციელებელი დანაზოგების მოცულობა; რატომ იზრდება გაცილებით უფრო დიდი ტემპებით ფასები მაგალითად რუსეთში, ვიდრე შვეიცარიაში; რა განსაზღვრავს დოლარის ფასს ლართან მიმართებაში; რატომ აღემატება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იმპორტი ექსპორტს და ა.შ. ერთ-ერთი უმთავრესი კითხვა, რომელიც მაკროეკონომიკის წინაშე დგას, შეეხება სახელმწიფოს შესაძლებლობას ზემოქმედება მოახდინოს საერთო ეკონომიკურ პროცესებზე, განსაკუთრებით ფისკალური და მონეტარული პოლიტიკების მეშვეობით. მკვლევართა უდიდესი ნაწილი მიიჩნევს, რომ როგორც მთავრობის ფისკალური (საფინანსო-საბიუჯეტო) პოლიტიკა, ისე ცენტრალური ბანკის (საქართველოს შემთხვევაში ეროვნული ბანკის) მონეტარული (ფულად- საკრედიტო) პოლიტიკა, გარკვეულწილად და საკმოდ მნიშვნელოვნად ზემოქმედებს წარმოებაზე, ფასებზე, საერთაშორისო ვაჭრობასა და დასაქმებაზე. ამასთან, მკვლევართა ნაწილი დარწმუნებულია სახელმწიფოს მიერ ეკონომიკურ პროცესებზე მოქმედი ფისკალურ და მონეტარულ პოლიტიკათა გატარების აუცილებლობაში, რასაც ცხადია არ ეთანხმება მკვლევართა მეორე ნაწილი.

თანამედროვე მაკროეკონომიკა ფართოდ იყენებს მიკროეკონომიკის თეორიულ საფუძვლებს, რომელიც საოჯახო მეურნეობებისა და ფირმების არსებობისა და ბაზარზე ურთიერთობების შესახებ ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებს სწავლობს. გასათვალისწინებელია, რომ ზოგადეკონომიკური ტენდენციები მილიონობით საოჯახო მეურნეობისა და ფირმის ინდივიდუალური გადაწყვეტილების შედეგია. თითოეული გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესწავლა შეუძლებელია, რის გამოც მაკროეკონომიკური თეორია მილიონობით საოჯახო მეურნეობისა და ფირმის ქცევის ძირითად პრინციპებს უნდა ეთანხმებოდეს.

ზოგიერთი პრობლემის შესწავლისას მაკროეკონომიკური მეცნიერება ისეთი ცვლადებით ოპერირებს, როგორებიცაა წარმოების, უმუშევრობის, ფასების, საგარეო ვაჭრობის ერთობლივი მოცულობა. მათი ანალიზი კი თავის მხრივ იწვევს ისეთ შეკითხვებზე პასუხის გაცემას, როგორიცაა, მაგალითად: რა განაპირობებს მათ მიმდინარე მოცულობას ეკონომიკაში, რომელია ის ფაქტორები, რომლებიც იწვევენ მათ ცვლილებას მოკლევადიან პერიოდში, რა განაპირობებს მათ გრძელვადიან დინამიკას. ანუ მაკროეკონომიკა ყველა ამ პრობლემას სხვადასხვა დროით გარემოში სწავლობს. ეს დროითი გარემოებებია: მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერიოდები.

თემა 1. მაკროეკონომიკური მეცნიერების განვითარება

1.1.მაკროეკონომიკის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ჩამოყალიბება

დიდმა დეპრესიამ (1929-1933) დააყენა პირველად ეჭვქვეშ კლასიკოს-ეკონომისტთა შეხედულება იმის თაობაზე, რომ საბაზრო ეკონომიკა თვითრეგულირებადი სისტემაა. ჯონ მეინარდ კეინზმა დიდი დეპრესიის წარმოშობის თეორიული სქემა შეისწავლა და მნიშვნელოვანი პოსტულატები ჩამოაყალიბა. კეინზის ცნობილი წიგნი „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“ XX საუკუნის უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ ნაშრომად იქცა. კეინზმა იგი 1936 წელს გამოსცა. მან მაკროეკონომიკის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა თავისი ნაშრომებით. კეინზის ღვაწლზე ისიც კი მეტყველებს, რომ ეკონომისტები დღემდე პრაქტიკულად თავს ან კეინზელებად, ან არაკეინზელებად აღიარებენ.

კეინზი აკრიტიკებდა ეკონომიკის კლასიკურ თეორიას, რომელიც მხოლოდ პოლიტიკის გრძელვადიანი შედეგების ასახსნელად გამოდგებოდა. კეინზი წერდა: „გრძელვადიანი პერიოდი მიმდინარე საკითხების გადაწყვეტისათვის არ გამოდგება. თუკი ეკონომისტებმა იმის წინასწარმეტყველება დაისახეს მიზნად, რომ ქარიშხლის შემდეგ სიმშვიდე დაისადგურებს, ეს არა მხოლოდ მარტივი, არამედ უსარგებლო ამოცანაა.“ კეინზი ერთობლივი მოთხოვნის ზრდის და საზოგადოებრივი სამუშაოებისთვის სახელმწიფოს ხარჯების ზრდის პოლიტიკას უჭერდა მხარს. შემდეგ თავებში ჩვენ განვიხილავთ, თუ როგორ შეუძლიათ პოლიტიკოსებს მონეტარული და ფისკალური ინსტრუმენტების გამოყენება ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირებისთვის.

კეინზის თეორია და რუზველტის ადმინისტრაციის პრაქტიკული ქმედებები უშუალო კავშირშია ერთმანეთთან, რადგან იმდროინდელი აშშ-ს ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა კეინზის თეორიას ემყარებოდა და თავის მხრივ, მეცნიერის შეხედულებების მართებულობის შესანიშნავი არგუმენტი იყო. კეინზმა ახსნა, თუ რატომაა ბაზარი არათვითრეგულირებადი სისტემა. მან გააკრიტიკა კლასიკური ეკონომიკური სკოლა და განსაკუთრებით სეის კანონი. მან ერთ ფაქტორზე მიუთითა, რომელსაც კლასიკოსების ნაშრომებში ყურადღება არ ეთმობოდა. ეს იყო დაზოგვისადმი მიდრეკილება. რაც წარმოების მასშტაბების შემცირებას, უმუშევრობის ზრდას, ფასების დაცემას, ინვესტიციებზე მოთხოვნილების შემცირებას და საპროცენტო განაკვეთის შემცირებას იწვევს.

კეინზი საბაზრო მექანიზმს ეკონომიკური ზრდის წამახალისებელ საუკეთესო ფაქტორად მიიჩნევდა, მაგრამ იგი მაინც არ თვლიდა მას ისეთ სისტემად, რომელიც თავად შესძლებდა მუდმივი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას. ეკონომიკური კრიზისების და ციკლური რყევების მიზეზებს იგი მხოლოდ გარე ფაქტორებში (ომი, კატაკლიზმები) არ ეძებდა და უმუშევრობის და ინფლაციის მიზეზებს ფუნდამენტური ეკონომიკური გადაწყვეტილებების სინქრონულად მიღების შეუძლებლობაში ეძებდა. შიდა და გარე ფაქტორების სინთეზი ეკონომიკურ ციკლებს უფრო დიდ რეზონანსულობას ანიჭებენ, რაც გასული საუკუნის ეკონომიკურმა ისტორიამ არაერთხელ დაადასტურა.

ომის შემდგომ პირველი 25 წლის განმავლობაში მსოფლიოში გაბატონებული იყო კეინზის პოლიტიკური რეკომენდაციები. განმტკიცდა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სახელმწიფოს ფულად-საკრედიტო და საფინანსო-საბიუჯეტო ბერკეტების მეშვეობით შეუძლია თავი-

დან აიცილოს ეკონომიკის დაცემა. მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ არნახული აღმავლობა განიცადა.

თუმცა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ეკონომიკაში ახალი ტიპის პრობლემა გაჩნდა, რომელმაც გვერდზე გადაწია კეინზის მოსაზრებები. მრავალი ქვეყანა სტაგფლაციის - ერთდროულად ინფლაციისა და სტაგნაციის (უმუშევრობისა და ეკონომიკური ზრდის დაბალი ან უარყოფითი ტემპების ერთობლიობა) პირისპირ აღმოჩნდა. კეინზის მიმდევრებისათვის რთული აღმოჩნდა ისეთი მაკროეკონომიკური ბერკეტების გამოძებნა, რომელიც ეკონომიკის სტაბილურად განვითარებას უზრუნველყოფდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გასული საუკუნის 30-იანი წლების დიდი დეპრესია მსოფლიო ეკონომიკისათვის უდიდესი კატასტროფა იყო. 1929-1932 წლების განმავლობაში წარმოების მოცულობა აშშ-ში განახევრდა, გერმანიაში შემცირდა 40%-ით, საფრანგეთში კი - 30%-ით. აღნიშნული ქვეყნები არნახულმა დეფლაციამ მოიცვა, ფასები დიდ ბრიტანეთში 23%-ით, გერმანიასა და აშშ-ში 30%-ით, საფრანგეთში კი 40%-ით შემცირდა. უდიდესი იყო უმუშევრობის მასშტაბები, ამერიკის შრომისუნარიანი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უმუშევარი იყო. ნედლეულზე მოთხოვნის შემცირების გამო კრიზისმა მოიცვა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნები. იმპორტის მოცულობის შემცირების მიზნით ბევრმა სახელმწიფომ დააწესა ქვოტები, რასაც შესაბამისად სხვა ქვეყნების მხრიდან ანალოგიური მოქმედებები მოჰყვა. საგარეო ვაჭრობა კოლაფსმა მოიცვა.

რამ გამოიწვია ეს კრიზისი? კეინზის აზრით კრიზისის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი ინვესტორთა მომავლისადმი რწმენის რყევა იყო. თავის ნაშრომში მან გაანალიზა მაკროეკონომიკური გარემო, რამაც საშუალება შექმნა ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა ანტიკრიზისული ბრძოლის იარაღად გადაქცეულიყო.

კეინზისგან განსხვავებულად აღიქვამდა იმდროინდელ მოვლენებს, შემდგომში ნობელის პრემიის ლაურეატი მილტონ ფრიდმენი და მისი თანაავტორი ანა შვარცი. მათი აზრით, დეპრესიის უმთავრესი მიზეზი ამერიკის მთავრობის შემაკავებელი ეკონომიკური პოლიტიკა იყო. ბანკების გაკოტრების წინააღმდეგ მიმართული მონეტარული ნაბიჯები, რომლებიც აშშ-ში გადაიდგა, ფრიდმენის აზრით, სრული კრახით დასრულდა და საქმიანი ციკლის შიგნით ჩვეულებრივი დაცემა დიდ დეპრესიად გადააქცია.

ჩარლზ კინდლბერგერის (მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი) აზრით,

ეკონომიკური დაცემის წინააღმდეგ განვითარებული ქვეყნების ბრძოლა უშედეგო იყო მხოლოდ იმის გამო, რომ ამ დროისათვის მსოფლიო ეკონომიკას არ ჰყავდა ლიდერი, რომელიც შესძლებდა წინ აღდგომოდა საგარეო ვაჭრობაში შემოღებულ შეზღუდვებს და მსოფლიო ეკონომიკას კრედიტებს გამოუყოფდა. აღსანიშნავია, რომ აშშ თავად გადაიქცა საგარეო ვაჭრობაში პროტექციონისტული პოლიტიკის ინიციატორად, რამაც ერთ-ერთი ყველაზე ცუდი როლი ითამაშა ეკონომიკური დაცემის შემდგომ ინსპირირებაში. ის, რომ ამ დროს მსოფლიო ეკონომიკას არ ჰყავდა ლიდერი, კინდლბერგერის აზრით შემთხვევითობა იყო. ამ დროისათვის ბრიტანეთმა უკვე დაკარგა ეს როლი, ხოლო აშშ-ს ჯერ არ ჰქონდა იგი მოპოვებული. ამასთან, არ არსებობდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები. ევროპის ქვეყნების უმეტესობა უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რასაც აძლიერებდა ურთიერთუნდობლობის მნიშვნელოვანი დოზა. რაც შეეხება იმას, თუ როგორ აღმოჩნდა ჩართული მთელი მსოფლიო ამ პროცესებში, მრავალი ეკონომისტის აზრით იგი გამოიწვია იმ დროისათვის გაბატონებულმა ოქროს სტანდარტმა, რადგანაც ოქროს სტანდარტი პრაქტიკულად გამორიცხავდა დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებას. ქვეყნებმა, რომლებმაც პირველებმა თქვეს უარი ოქროს სტანდარტზე, პირველებმა დასძლიეს დეპრესიის მარწუხები.

საერთაშორისო ოქროს სტანდარტი მოქმედებდა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში (1914 წლამდე), პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე. მის შესაბამისად ძირითად საგადამხდელო საშუალებად აღიარებული იყო ოქრო, ხოლო ეროვნული ვალუტების ღირებულება ოქროს გარკვეულ რაოდენობასთან იყო მიბმული. ოქროს სტანდარტის დროს ბანკებს უნდა შეესრულებინათ ორი პირობა:

1) ქაღალდის ბანკნოტის დაბეჭდვის შემთხვევაში უნდა დაედოთ ბანკის საცავებში შესაბამისი რაოდენობის ოქრო.

2) ბანკნოტის მფლობელის მოთხოვნის შესაბამისად უნდა განეხორციელებინათ ყოველგვარი მიზეზის გარეშე ქაღალდის ფულის გადაცვლა ოქროზე.

ოქროს სტანდარტის დროს ვალუტა იყო ერთგვარად ორი სახის ფულის: სიმბოლური და სასაქონლო ფულის კომბინაცია, რადგან ბრუნვაში იყო სიმბოლური ფულის ნიშნები–ქაღალდის ბანკნოტები, ხოლო პრაქტიკულად ამ ქაღალდის ფულის უკან იდგა შესაბამისი რაოდენობის ოქრო. ამ პერიოდში ინფლაცია იყო დაბალი და სტაბილური. ის შეიძლება შეცვლილიყო მხოლოდ ორი მიზეზით: ქვეყანაში ოქროს მარაგის გაზრდით ან ოქროს მოპოვების ტექნოლოგიის დახვეწით. ოქროს სტანდარტის ეპოქა იყო ფიქსირებული სავალუტო კურსების ეპოქა.

1.2. სახელმწიფოს მაკროეკონომიკური მიზნები და ფუნქციები

ერთ-ერთი უდიდესი დილემა, რომელიც ნებისმიერი თანამედროვე სახელმწიფოს მთავრობის და, საერთოდ, საზოგადოების წინაშე დგას, არის ის, თუ როგორი უნდა იყოს თანაფარდობა ეკონომიკურ თავისუფლებასა და ეკონომიკურ თანასწორობას შორის. ტოტალური თავისუფლების დროს (თუ არაა არავითარი შეზღუდვა) ცალკეულ პირთა თავისუფლება ეწინააღმდეგება სხვათა თავისუფლებას. ეს კონფლიქტი შეიძლება გადაჭრას მხოლოდ მაღალტექნოლოგიურმა რეგულირებულმა საბაზრო ეკონომიკამ.

პრიორიტეტები და პროგრამები უნდა დაარეგულირინ არა მარტო საბაზრო მექანიზმებმა, არამედ სახელმწიფომ ეკონომიკური, საფინანსო, საკრედიტო, სამართლებრივი და ორგანიზაციული ბერკეტების მეშვეობით. ამიტომაც თანამედროვე ბაზარი განიხილება, როგორც სოციალურად ორიენტირებული, ეფექტურად რეგულირებადი. სახელმწიფოს აქტიური მარეგულირებელი როლის გარეშე შეუძლებელია არსებობდეს ეფექტური, თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებზე დაფუძნებული, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა. მსგავსი მაგალითები მსოფლიოს დღეისათვის არ გააჩნია. სახელმწიფო რეგულირების მიმართულებები, ფორმები, მეთოდები და მექანიზმი უცვლელი არაა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს რჩება ისეთი კლასიკური ფუნქციები, როგორიცაა: საკუთრების უფლების დაცვა, მეწარმეობის არჩევანის თავისუფლების უზრუნველყოფა, საქმიანი აქტიურობის სტიმულირება და მონოპოლიურ ტენდენციებთან ბრძოლა, სამეურნეო სფეროში კანონიერებისა და მართლმსაჯულების უზრუნველყოფა, ფულის ბრუნვის რეგულირება, ეროვნული ვალუტის მდგრადობის უზრუნველყოფა, შრომასა და კაპიტალს, მეწარმესა და დაქირავებულ მუშათა შორის ურთიერთობათა რეგულირება, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის კონტროლი, საბაჟო სისტემის რეგულირება, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ა. შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XX საუკუნის 30-იანი წლებში, ცივილიზებულ ქვეყნებში მიმდინარე მძლავრი ეკონომიკური რყევის შემდეგ, ჯ. მ. კეინზმა საზოგადოებას საკუთარი თეორია წარუდგინა, სადაც მან მთლიანად უარყო სახელმწიფოს შესახებ კლასიკოსების შეხედულებები. მისი მოსაზრებების სათავეებთან გერმანელი იდეალისტი ფილოსოფოსები იდგნენ, პირველ რიგში: ი. გ. ფიხტე, სამეურნეო კუთხით კი, გერმანელი კამერალისტები კ. იუსტი, ა. ზენერფელდე, ასევე აღსანიშნავია ფ. ლისტი და ჟ. სისმონდი. კეინზის თეორიას თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ „კრიზისული", რადგან იგი ეკონომიკას დეპრესიულ მდგომარეობაში განიხილავს. მისი თეორიის მიხედვით, სახელმწიფო აქტიურად უნდა ერეოდეს ეკონომიკურ პროცესებში, ამის მიზეზი თავისუფალი ბაზარია, რომელსაც ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისთვის რეალური მექანიზმები არ გააჩნია. კეინზი თვლიდა, რომ სახელმწიფო ერთობლივი მოთხოვნის ზრდისათვის უნდა ზემოქმედებდეს ბაზარზე, რადგან საბაზრო ეკონომიკის კრიზისის მთავარი მიზეზი საქონელთა ჭარბი წარმოებაა. ხოლო 70-იან წლებში, როცა კვლავწარმოების პირობები მკვეთრად გაუარესდა, უ. ფილიპსმა აღნიშნა, რომ, არ შეიძლება ერთდროულად ადგილი ჰქონდეს ინფლაციასაც და დასაქმების ზრდასაც, ეს წინააღმდეგობრივი პროცესია, მაშასადამე, კრიზისიდან გამოსვლის კეინზური გზა არ არის სრულყოფილი, ზოგიერთ შემთხვევაში იგი კიდევ უფრო ამწვავებდა ეკონომიკურ პრობლემებს, ხოლო ეკონომიკური რყევა უფრო მწვავეს ხდის სოციალურ პრობლემებს, რამაც თავისთავად მოითხოვა კეინზური მოდელის შეცვლის აუცილებლობა.

ნეოკლასიკური თეორია უფრო პროგრესულია, თუმცა წინააღმდეგობრივია, რადგან ამ დროს გადაუჭრელ პრობლემად იქცევა მაღალი საგადასახადო განაკვეთი და ინფლაცია. მაღალი გადასახადები ზღუდავენ კაპიტალდაბანდებების ზრდას, ხოლო ინფლაცია აძვირებს ფულს და ამით ართულებს სასესხო სახსრების დაგროვებას. ამიტომ ნეოკონსერვატორებმა ანტიინფლაციური ღონისძიებების განხორციელება დაიწყეს (მონეტარისტების რეკომენდაციების ბაზაზე), ხოლო შემდეგი ნაბიჯი მეწარმეებისათვის საგადასახადო შეღავათები იყო.

დღესდღეისობით პრაქტიკულად ყველა ეკონომისტი იზიარებს, რომ სახელმწიფო უნდა არეგულირებდეს სოციალ-ეკონომიკურ პრობლემებს, თუმცა ისიც ფაქტია, რომ საბოლოოდ როგორ და რა ფორმით უნდა ხორციელდებოდეს ეს პრობლემა დღესაც სადავოა.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების პრობლემები მსოფლიოს სხვადასხვა ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლების მიერ არის გაანალიზებული. საგანგებო ყურადღებას იპყრობენ თანამედროვე ეკონომისტები, მათ შორის გამოირჩევიან, პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი ე. ფელპსი, პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორი ვ. ებენსტაინი, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი რ. მანდელი და მრავალი სხვა. უამრავი მათი ყოფილი სტუდენტი დღეს უკვე ცნობილი ეკონომისტია. მრავალი მათგანი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მოღვაწეობენ და მიმდინარე სოციალ–ეკონომიკური რეფორმების ავტორები არიან. შეიძლება ითქვას, რომ რ. მანდელისა და ვ. ებენსტაინის გრძელვადიანი ეკონომიკური მოდელები და პროგნოზები სულ უფრო და უფრო რელევანტური გახდა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, აქტიურად გამოიყენება ეკონომიკის სტაბილიზაციის, ფულად-საკრედიტო, მონეტარული პოლიტიკის მართვასა და საუნივერსიტეტო სფეროშიც. საქართველოს სპეციფიკიდან გამომდინარე აქტუალურია რ. მანდელის მოსაზრება, რომ „კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების პირობებში, მონეტარული პოლიტიკის გამოყენება

შესაძლებელია საგარეო პოლიტიკის მიზნით (სავალუტო კურსი და ა.შ.), ან შიდა მიზნით (ინფლაცია, წარმოების ზრდა და ა.შ.), მაგრამ არა ორივე მიზნისათვის ერთდროულად..."[1]

განვლილმა პერიოდმა გვიჩვენა მრავალი შეცდომა, რომელთა გამოსწორება უნდა მოხდეს სახელმწიფოს აქტიური ჩარევით. მთავრობა დღეს ყველა ღონეს მიმართავს ხარვეზების გამოსწორებისათვის, იქმნება პროგრამები, რომელიც მიმართულია სიღარიბის დაძლევისათვის, ამ მიმართებით აღსანიშნავია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა, ხელმისაწვდომი კრედიტის გამოყოფა ამ სფეროების განვითარებისათვის. იქმნება სპეციალური პროგრამები ინვესტიციების მოზიდვისათვის, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

კონომიკური პოლიტიკა კორექციას საჭიროებს, მაგრამ შეუძლებელია ამ პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ მონეტარული მეთოდებით. აუცილებელია არა მარტო მოთხოვნის სტიმულირება, არამედ, საჭიროა მიწოდების მოცულობის გაზრდა, სავაჭრო რესურსების დაგროვება. ეს ასევე განეკუთვნება სახელმწიფოს ფუნქციათა რიცხვს. საჭიროა გამოცოცხლდეს სამამულო წარმოება, შეივსოს ვაჭრობის მარაგი მსუბუქი მრეწველობის სამამულო პროდუქციით, კვების პროდუქტებით.

რაც შეეხება სახელმწიფოს ზოგად დავალიანებას, მდგომარეობა აქ საკმაოდ სახიფათოდ გამოიყურება. ერთობლიობაში საგარეო და შიგა ვალის სიდიდე უახლოვდება კრიტიკულ ნიშნულს მშპ-ს 60%. მას ჩვეულებრივ ქვეყნის ბანკროტად გამოცხადება მოსდევს. ძალზედ მნიშვნელოვანია არ გადავცდეთ ამ ზღვარს. აუცილებელია რაიმე გადაწყვეტილების მოძებნა, კერძოდ, ვალების რესტრუქტურიზაციის განხორციელება, რაც მთავარია ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, რადგან მშპ-ს გაზრდილი მოცულობისას მცირდება დავალიანების წილი.

აუცილებელია ყველა სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მტკიცე საკანონმდებლო რეგულირება, ურთიერთშემავსებელი, და არა ერთმანეთის საწინააღმდეგო კანონების მთელი სისტემის ფორმირება, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფო ეკონომიკური რეგულირების თავისებურ „თამაშის წესებს".

XXI საუკუნის მიჯნაზე მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა მორიგი მოხსენება მსოფლიო განვითარების შესახებ, რომელიც სპეციალურად ეძღვნება სახელმწიფოს როლს მსოფლიო განვითარებაში. ფაქტია, რომ ათწლეულების განმავლობაში თეორიული გამოკვლევებით თუ პრაქტიკული საქმიანობით ეს ორგანიზაცია ყველას დარწმუნებას ცდილობდა სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის მიუღებლობის შესახებ, ამჟამად კი გამოდის სახელმწიფოს როლის მინიმიზაციის ლიბერალური კონცეფციის წინააღმდეგ და მოყავს არგუმენტები ე.წ. „ეფექტიანი სახელმწიფოს" აუცილებლობის დასაბუთების მიზნით. ამით იგი დაუპირისპირდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოზიციას, თუმცა სსფ-ის მკაცრი ნეოლიბერალური მიდგომა ნელ-ნელა უახლოვდება მსოფლიო ბანკის კონცეპტუალურ მოხსენებას.

უნდა აღინიშნოს, რომ XXI საუკუნეში აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, იტალიასა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში საპარლამენტო არჩევნების მსვლელობამ დაადასტურა, რომ მსოფლიოში მცირდება ტრადიციულად კონსერვატორულ და ლიბერალურ-დემოკრატიულ მიმდინარეობებს შორის არსებული ზღვარი, განსაკუთრებით ეკონომიკური განვითარე-

[1] Манделл Р. А.- Денежная теория: процент, инфляция и рост в мировой экономике. Мировая экономика. 1975. С. 277

ბის საკითხებში. განსხვავება დასახული პრიორიტეტების, მიზნების მიღწევის კონკრეტული მეთოდების სფეროშია.

ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის შესახებ გამოიკვეთა რამოდენიმე მიმართულება, რომელსაც მცირეოდენი შენიშვნებით აღიარებს ეკონომიკური ზრდის ყველა ძირითადი მიმართულება. მათ შორისაა: ფულის ემისია და ფულადი სისტემის რეგულირება; საბაზრო ურთიერთობების, მათ შორის კერძო საკუთრებისა და მომხმარებელთა უფლებების საკანონმდებლო ბაზის შექმნა და მხარდაჭერა; კონკურენტული გარემოს მხარდაჭერა და ეკონომიკის მონოპოლიზაციის აკრძალვა; საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება, მათ შორის განათლების, ფუნდამენტური მეცნიერების, გარემოს დაცვის, თავდაცვის და ა.შ. სფეროებში საბაზრო საქმიანობის უარყოფითი ეფექტების მინიმიზაცია; საზოგადოებაში მაღალი სოციალური დიფერენციაციის დაძლევა, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის დახმარების გაწევა.

ასევე, სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ფუნქციადაა აღიარებული ეკონომიკის შემდგომი სტაბილიზაციის, ზრდისათვის ხელშეწყობა. მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარება მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, სოციალური მოთხოვნების გათვალისწინებით; წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ხელშეწყობა, ინოვაციური საქმიანობის და ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერით.

რაც შეეხება განვითარებადი ქვეყნების ჯგუფს, ისინი მსოფლიო ბანკის და სსფ-ს სანინააღმდეგოდ სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის უფრო მაღალი ხარისხით გამოირჩევიან, მაგრამ აქაც გარკვეული ზომით. ამ ქვეყნებისთვის სასიცოცხლოდ აქტუალურია ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა და სტრუქტურული გარდაქმნები, რისი განხორციელებაც სახელმწიფოს აქტიური როლის გარეშე შეუძლებელია. ამას ადასტურებს ე.წ. „აზიური მოდელის" ფუნქციონირების შედეგები. აზიის მრავალი ჩამორჩენილი ქვეყანა, სახელმწიფოს აქტიური და სწორი ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით, მეურნეობაში ჩარევის საფუძველზე განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყანად იქცა. ნიშანდობლივია სამხრეთი კორეის, მალაიზიის, ტაივანის და სხვათა მაგალითები.

განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო რეგულირება არ გამორიცხავს თვითრეგულირების მექანიზმთა მოქმედებას, არამედ, მოწოდებულია შეავსოს და შეასწოროს მათი მოქმედება ისეთი სახით, რომ ეკონომიკაში დაცული იყოს სახელმწიფოს, მოსახლეობისა და მეურნეობის სუბიექტთა ინტერესების ბალანსი. როგორც თვითრეგულირება, ასევე სახელმწიფო რეგულირება და მართვა ხორციელდება პირდაპირი (ადმინისტრაციული) და არაპირდაპირი (ეკონომიკური) მეთოდებით.

საბაზრო და გარდამავალი ეკონომიკის ზოგიერთი მკვლევარის აზრით, საბაზრო ეკონომიკაში დომინირებს ეკონომიკური და არა ადმინისტრაციული რეგულატორები. საფინანსო-საკრედიტო სისტემა წარმოადგენს სახელმწიფო რეგულატორების საფინანსო და ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტარიების მდიდარ არსენალს.

საწარმოო პროცესზე ზემოქმედებისათვის ფინანსების გამოყენების საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი, ამასთან როგორც მისი შემოსავლების (საგადასახადო რეგულირება), ასევე სახელმწიფო დანახარჯების სისტემა (რეგულირება პირდაპირი სახელმწიფო დაფინანსებისა და სახელმწიფო შეკვეთების და შესყიდვების გამოყენების გზით), ამასთანავე, სოციალურ პოლიტიკაში მნიშვნელობა აქვს ბიუჯეტ გარეშე ფონდებს. ამ რეგულატორების გამოყენებას ორი მხარე გააჩნია:

1. დისკრეციული საფინანსო პოლიტიკა, ითვალისწინებს გადასახადებით და სახელმწიფო დანახარჯებით შეგნებულ მანიპულირებას ეროვნული წარმოების და დასაქმების რეალური მოცულობის შეცვლის, ინფლაციის კონტროლისა და ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მიზნით.

2. ავტომატური საფინანსო პოლიტიკა ეფუძნება ჩაშენებული სტაბილიზატორების მოქმედებას. მაკკონელისა და ბრიუს, გრეგორი მენქიუს „ეკონომიკის"-ს განსაზღვრების თანახმად ჩაშენებული სტაბილიზატორი წარმოადგენს ნებისმიერი სახის ღონისძიებას, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის გაზრდის ტენდენცია გააჩნია ვარდნის პერიოდში და მისი დადებითი სალდოს მომატება ინფლაციის პერიოდში, პოლიტიკოსთა მხრიდან რაიმე სპეციალური ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობის გარეშე. მაგალითად სუფთა დაბეგვრის პროგრესული შკალის დახმარებით მას მივყევართ გადასახადების შეცვლისაკენ პირდაპირ დამოკიდებულებაში ეროვნული შემოსავლის დონესთან.

ფულად–საკრედიტო რეგულირება ხორციელდება სახელმწიფოს მიერ ეროვნული ბანკის წამყვანი როლის მეშვეობით. მის მეთოდებს განეკუთვნება სააღრიცხვო პოლიტიკა (სააღრიცხვო განაკვეთის შეცვლა), სავალდებულო მინიმალური რეზერვების რეგულირება (სარეზერვო ნორმის ცვლილება), ღია ბაზრის ოპერაციები.

ფულის შემოთავაზების გაზრდის მიზანი მიიღწევა ექსპანსიის „იაფი ფულის პოლიტიკის" გზით. იგი, გამოიყენება როგორც ანტიკრიზისული საშუალება მიმართული ერთობლივი მოთხოვნის გაზრდისაკენ. ფულის შემოთავაზების შემცირებისაკენაა მიმართული ე.წ. „ძვირი ფულის პოლიტიკა" – სახელმწიფო სავალო ვალდებულებების გაყიდვა, სარგებლის განაკვეთისა და რეზერვების ნორმის მომატება. „ძვირი ფულის პოლიტიკა" გამოიყენება როგორც ანტიინფლაციური საშუალება.

ფულად-საკრედიტო მეთოდების (რომელზეც ყურადღებას ამახვილებდნენ ნეოკლასიკური ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლები) უპირატესობა მდგომარეობს შემდეგში: 1. იგი იძლევა ინფლაციასა და საბიუჯეტო დეფიციტთან ეფექტური ბრძოლის საშუალებას; 2. მოქმედებენ სწრაფად საბიუჯეტოსთან შედარებით; 3. იძლევიან ნაკლებ სოციალურ-პოლიტიკურ რეზონანს.

ფულად-საკრედიტო რეგულირების მეთოდების ნაკლს შეიძლება მივაკუთვნოთ ის ფაქტი, რომ ისინი არ უზრუნველყოფენ დასაქმებასა და ეკონომიკურ ზრდას, არ წყვეტენ სახელმწიფოს სოციალურ ამოცანებს.

ამრიგად, მსოფლიო პრაქტიკაში, რეგულატორების ამა თუ იმ ჯგუფის დომინირებიდან გამომდინარე, განასხვავებენ რეგულირების ორ მოდელს. მათი სახელწოდებები შეესაბამება მათ საფუძველში მდებარე მეცნიერულ კონცეფციებს: კეინზის და ნეოკლასიკურის. „საფინანსო ზომების დომინირების ვარიანტი იწოდება როგორც კეინზის ეკონომიკური პოლიტიკა. ხოლო პოლიტიკა, რომელშიც აქცენტი გაკეთებულია ფულად–საკრედიტო მექანიზმზე, მეცნიერებაში „მონეტარიზმის" სახელწოდება მიიღო.

დასავლურ ქვეყნებში ეკონომიკური რეგულირების რეალიზების პრაქტიკამ აჩვენა, რომ მეტად რაციონალურია ორივე მიმართულების შეთანხმება, სახელმწიფოს წინაშე არსებული ამოცანებისა და პერიოდის კონკრეტული თავისებურებებიდან გამომდინარე.

თუ ეკონომიკა არის გახანგძლივებულ დეპრესიაში, ეკონომიკური ზრდის დაცემას თან სდევს მასობრივი უმუშევრობა და სოციალური დაძაბულობა, ადგილი აქვს ეკონომიკაში სტრუქტურული ცვლილებების აუცილებლობას, გამოიყენება რეგულირების კეინზისეული

მეთოდები. თუ ეკონომიკა განიცდის სტაგნაციასა და ინფლაციას, ფულადი მიმოქცევის დისბალანსს, ეროვნული ფულადი ერთეულის არასტაბილურობას, მაშინ ბატონობს რეგულირების ნეოკლასიკური მეთოდები.

სახელმწიფო რეგულირების მოდელებისათვის დამახასიათებელია ციკლური ურთიერთჩანაცვლება. ეკონომიკური კრიზისები ერთგვარად განსაზღვრავენ რეგულირების მოდელების ჩანაცვლებას. სახელმწიფო რეგულირების სისტემა დინამიურია და კონიუქტურულ ცვლილებებზეა დამოკიდებული. კონიუქტურული რეგულირება – ერთობლივ მოთხოვნა-მიწოდებაზე ზეგავლენა (ეკონომიკური ციკლის ფაზების მიხედვით), კეინზური რეგულირების დამახასიათებელია ნიშანია, მაშინ როცა ნეოკლასიკური კონცეფცია ეკონომიკურ ციკლს უპირისპირდება.

უნიტარული სახელმწიფოებისგან (საფრანგეთი, იტალია, პოლონეთი და სხვ.) განსხვავებით, ფედერალურ პრინციპებზე მოწყობილი სახელმწიფოებში (გერმანია, ესპანეთი, შვეიცარია და სხვ.) ეკონომიკის რეგულირების ფუნქციები სამ დონეზეა გადანაწილებული (ფედერალური, ფედერაციის სუბიექტების და ადგილობრივი ხელისუფლების), შესაბამისად, რეგულირების მართვაც უფრო მკვეთრად გამოხატულია და მნიშვნელოვანიც. მაგალითად, სახელმწიფო რეგულირების გერმანული სისტემით – ფედერალური დონის ფუნქციების დიდი ნაწილი ფედერაციის სუბიექტებს აქვთ გადაცემული (სახელმწიფო ხარჯების მექანიზმის, გადასახადების და მოსაკრებლების ნაწილის, მუნიციპალური სესხების, სადაზღვევო ზედამხედველობის ჩათვლით). რეგულირების მართვა რა თქმა უნდა ფედერალური უწყებების პრეროგატივაა (ფულის მიმოქცევა, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, ფედერალური გადასახადები, თავდაცვა, სახელმწიფო აპარატი და სხვ.). ფედერალიზმის პრობლემა დღესდღეობით ყველაზე მწვავედ სწორედ გერმანიაში და ევროკავშირის სხვა ქვეყნებში დგას.წამყვანი სუბიექტების ქცევის ნორმების გათვალისწინების გარეშე.

თანამედროვე პერიოდში, გლობალიზაცია არსებით ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებზე, იწვევს ეკონომიკის რეგულირების ფორმების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების მნიშვნელოვან ცვლილებას. გლობალიზაციის ეპოქაში სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა არა მხოლოდ და არა იმდენად ეროვნული ეკონომიკის დაცვა გარე ფაქტორების ზემოქმედებისაგან ანუ ე.წ. „გარეგანი შოკებისგან“, რაც დღეს პრაქტიკულად შეუძლებელია, არამედ მსოფლიო სამეურნეო კავშირებში მისი ეფექტიანი ჩართვის უზრუნველყოფა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება გლობალური მასშტაბით. ამ თვალსაზრისით, თანამედროვე სახელმწიფოს როლი მეტად მნიშვნელოვანია. მხოლოდ მას შეუძლია გლობალური ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე და მისი კონიუნქტურის შესაბამისი ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურის შექმნა, რომელშიც გადამწყვეტ როლს თამაშობს სამეცნიერო–ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარება, ახალი ცოდნის გენერირებასა და ძველი ცოდნის შენახვა–დაგროვება–გავრცელებაზე დამყარებული ინფორმაციული ტიპის ეკონომიკის შექმნა.

სახელმწიფოს როლი განსაკუთრებით რელიეფურად გამოიხატება ეკონომიკური კრიზისებისა და პოსტკრიზისული განვითარების პერიოდებში.

თემა 2. მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

მაკროეკონომიკა, როგორც მეცნიერება, თეორიისა და დაკვირვების ურთიერთობაზეა დამყარებული. მაკროეკონომიკური მეცნიერების მიზანი ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმის შესწავლაა. თეორიის საფუძველს ეკონომიკური დაკვირვებები წარმოადგენს. ამა თუ იმ თეორიის შემუშავების შემდეგ კი კვლავ დაკვირვებების მეშვეობით თეორიის ჭეშმარიტების დადგენა ხდება.

ეკონომიკაში მონაცემთა ერთ-ერთ წყაროს შემთხვევითი დაკვირვებები წარმოადგენს. მაღაზიებში სიარულისას თქვენ ამჩნევთ, თუ როგორც იცვლება ფასები, ასევე თუ ეძებთ სამსახურს თქვენ გებულობთ არის თუ არა თავისუფალი სამუშაო ადგილები.

სახელმწიფო გაცილებით სისტემურად აგროვებს ინფორმაციას. იგი აწყობს სპეციალურ გამოკვლევებს იმისათვის, რათა დაადგინოს მოქალაქეთა და ფირმების შემოსავლების მოცულობა, მოთხოვნის სტრუქტურა, ფასები. მიღებული მონაცემების საფუძველზე გამოითვლება სტატისტიკური მაჩვენებლები, რომლებიც ერთობლივად ეკონომიკის მდგომარეობას ასახავენ. ეკონომისტები ამ მაჩვენებლებს ანალიზისათვის იყენებენ. სწორედ ეს მაჩვენებლები და მათი ანალიზი უდევს საფუძვლად ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას.

2.1. მთლიანი შიდა პროდუქტი.


ქვეყნის ეკონომიკის ქცევის დასახასიათებლად, ეკონომიკური ცვლილებების შესასწავლად გამოიყენება ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი, შემოკლებით - მშპ, GDP - Gross domestic product.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება წარმოუდგენელია ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის რეალური შესწავლის გარეშე, რომელიც თავის მხრივ ზუსტი ინფორმაციის არსებობას ემყარება.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება როგორც არსებული ეკონომიკური მდგომარეობის ზუსტ ანალიზს, ასევე ეკონომიკური მიზნების შესაძლო მიღწევის შემთხვევაში მოსალოდნელი მდგომარეობის პროგნოზს. ამდენად ინდიკატორებს, რომლებიც მაკროეკონომიკური პოლიტიკისათვის აუცილებელ ეკონომიკურ ინფორმაციას მოგვაწვდიან და რომელსაც მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს ვუწოდებთ, სწორი, ოპტიმალური და ეფექტიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მხოლოდ მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მეშვეობითაა შესაძლებელი ეკონომიკისათვის "ზუსტი დიაგნოზის დასმა" და მაკროეკონომიკური პოლიტიკის შერჩევისა და გატარების შემთხვევაში შესაძლო შედეგების განჭვრეტა.

როგორც უკვე ითქვა, უმთავრესი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც ყველაზე უფრო ნათელ და სრულყოფილ წარმოდგენას იძლევა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე არის მთლიანი შიდა პროდუქტი. იგი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ყველა ეკონომიკური აგენტის ერთობლივი შემოსავალი, ან საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის გაწეული ერთობლივი დანახარჯები. საყოველთაოდ მიღებული განმარტების შესაბამისად მშპ (GDP) არის წლის განმავლობაში ქვეყანაში წარმოებული საბოლოო საქონ-

ლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულებათა ჯამი. მშპ -ს მეშვეობით ეკონომიკის მდგომარეობის დახასიათებისას შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მაღალი შემოსავლები უკეთესია, ვიდრე დაბალი. ამასთან, რაც მაღალია წარმოების მოცულობა, მით მაღალია ცხოვრების დონე. მშპ ერთდროულად ზომავს როგორც შემოსავლებს, ისევე ხარჯებს, ვინაიდან საბოლოო ჯამში ეკონომიკაში შემოსავლები და ხარჯები ერთმანეთის ტოლია. წარმოვიდგინოთ უმარტივესი ეკონომიკური მოდელი. აღნიშნული მოდელი 2.1 ნახაზზეა წარმოდგენილი.



2.1. ნახაზი.

ეს მოდელი ყველა ეკონომიკურ გარიგებას აღწერს. საოჯახო მეურნეობები ყიდიან შრომას, რომელსაც ყიდულობენ ფირმები. ამრიგად, შრომა საოჯახო მეურნეობებიდან ფირმებისაკენ მიემართება, ხოლო მოხმარების საგნები კი პირიქით, ფირმიდან საოჯახო მეურნეობისაკენ.

საოჯახო მეურნეობები ფირმებს მოხმარების საგნების სანაცვლოდ ფულს უხდიან, ფირმები კი სანაცვლოდ შემოსავლების ნაწილს ხელფასის სახით უკან უბრუნებს საოჯახო მეურნეობებს, ხოლო მეორე ნაწილი კი მათი დამფუძნებლების მოგებაა, ცხადია მესაკუთრეც საოჯახო მეურნეობების ნაწილია. ამგვარად, შემოსავლები გაყიდული საქონლიდან მიემართება ფირმებისაკენ, ხოლო ხელფასებისა და მოგების სახით კი ფირმებიდან საოჯახო მეურნეობებისაკენ.

მშპ ეკონომიკაში ფულის ნაკადებს ასახავს. იგი ორი მეთოდით შეგვიძლია გავიანგარიშოთ. უპირველეს ყოვლისა, ესაა საქონლის წარმოებისაგან მიღებული ერთობლივი შემოსავალი, რომელიც მიღებული ხელფასისა და მოგების ტოლია. ამავე დროს მშპ - არის საქონლის შეძენაზე გაწეული ერთობლივი დანახარჯი. ამგვარად მშპ -ს დახასიათებისათვის ჩვენ შეგვიძლია ავიღოთ ან შემოსავლების, ან დანახარჯების ღირებულება.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, შემოსავლებისა და დანახარჯების ტოლობა აღრიცხვის წესიდან გამომდინარეობს: საქონლის შეძენაზე გაწეული ნებისმიერი დანახარჯი აუცილებლად ამ საქონლის მწარმოებლის შემოსავალია. ამდენად ნებისმიერ გარიგებას, რომელიც იწვევს დანახარჯების გაზრდას აუცილებლად შემოსავლების გაზრდაც მოყვება. თუ წარმოვიდგენთ, რომ მწარმოებელმა მაგალითად, ერთი პურით მეტი აწარმოა, გასაგებია რომ მისი დანახარჯები გაიზრდება, სანაცვლოდ უფრო მეტ შემოსავალსაც მიიღებს.

ეკონომისტების მიერ შესწავლილი მაჩვენებლები ორი ტიპისაა, ისინი შესაძლოა განვიხილოთ, როგორც ნაკადები ან მარაგები. მარაგი არის რაოდენობა დროის გარკვეული მომენტისათვის, ხოლო ნაკადი დროის გარკვეული ერთეულისათვის. მაგ., წყლის ავზი, ნაკადისა და მარაგის განმარტების კლასიკური მაგალითია. წყლის მოცულობა ავზში – მარაგია, ხოლო ონკანიდან დროის გარკვეულ მომენტში მიწოდებული წყლის მოცულობა კი ნაკადი. აღნიშნულიდან გამომდინარე ნაკადისა და მარაგის გასაზომად სხვადასხვა ერთეული გამოიყენება. ჩვენ ვამბობთ, რომ ავზში 500 ლიტრი წყალია, მაგრამ ამავე დროს მასში ჩაედინება 2 ლიტრი წუთში.

ზოგჯერ რთულია, გავერკვეთ იმაში ესა თუ ის ცვლადი მარაგია თუ ნაკადი, ავზთან მიმართებაში ყველაფერი ნათელია, წყალი რომელიც ავზშია მარაგია, ხოლო წყალი, რომელიც ჩაედინება ავზში – ნაკადი. ანალოგიურად ეკონომიკაშიც – ადამიანთა ქონება მარაგია, შემოსავალი და ხარჯი კი ნაკადი, უმუშევართა რაოდენობა მარაგია, ადამიანები რომლებიც კარგავენ ან პოულობენ სამუშაოს – ნაკადი, ეკონომიკაში დაგროვილი კაპიტალი მარაგია, ინვესტიციები – ნაკადი. სახელმწიფო ვალი მარაგია, ბიუჯეტის დეფიციტი კი ნაკადი.

ჰიპოთეზურ ეკონომიკაში, რომელსაც ჩვენ ზემოთ ვიხილავდით, მშპ -ს გაანგარიშება ძალიან მარტივია, უბრალოდ საქონლის შეძენაზე გაწეულ დანახარჯებს შევკრიბავთ და მშპ გაანგარიშებულია. გაცილებით რთულია ქვეყნის, თუნდაც საქართველოს მშპ -ს გაანგარიშება. საუბარი აღარაა სხვა, ტერიტორიულად და მოსახლეობით, ან თუნდაც ეკონომიკური სიძლიერის თვალსაზრისით უფრო დიდ ქვეყნებზე. ასეთ შემთხვევაში ასე მარტივად, ყველა საქონლისა და მომსახურების ფასების წრფივად შეკრებით მშპ -ს გაანგარიშება არა თუ გართულდება, არამედ წარმოუდგენელიც კი ხდება. ამდენად სხვა მეთოდები უნდა იქნეს გამოყენებული.

განვიხილოთ ერთი მაგალითი. დავუშვათ, გლეხმა მოიყვანა 2000 ლარის ხორბალი, რომელიც წისქვილკომბინატს მიჰყიდა. წისქვილკომბინატმა გადაამუშავა ხორბალი და მიღებული ფქვილი თავის მხრივ მიჰყიდა პურის საცხობს 4000 ლარად. მესამე ეტაპზე პურის საცხობმა გამოაცხო პური და 5000 ლარად გაყიდა. თუ ჩვენ მშპ-ს გაანგარიშებისას გავითვალისწინებთ ყველა ეტაპზე შექმნილი პროდუქციის ღირებულებას, გამოვა, რომ მშპ 11 ათასი ლარს უდრის (2000 + 4000 + 5000). რეალურად კი იგი მხოლოდ 5000 ლარის ტოლია, რადგან ის მხოლოდ საბოლოო პროდუქტის, გამომცხვარი პურის ღირებულებას მოიცავს. ამისი მიზეზი კი ის არის, რომ გაყიდული ფქვილის ფასი მოიცავს ხორბლის ფასს, ხოლო პურის ფასი კი მოიცავს ფქვილის ფასს, ანუ პურის ფასი მოიცავს როგორც ფქვილის, ისე ხორბლის ფასს. თუ ჩვენ შევკრიბავთ ყველა ამ კომპონენტს, მაშინ ორმაგ აღრიცხვასთან გვექნება საქმე და აშკარად დამახინჯებულ და გაბერილ მაჩვენებლებს მივიღებთ. რეალურად ხორბლის ფასი 3-ჯერ იქნება გათვალისწინებული. ამიტომ მშპ-ს გაანგარიშების ერთ-ერთი მეთოდი წარმოების ყოველ ეტაპზე დამატებული ღირებულებების შეკრებას გულისხმობს. თუ ჩვენს მაგალითს მივუბრუნდებით, ვნახავთ, რომ გლეხის მიერ შექმნილია 2000 ლარის დამატებული ღირებულება, ასევე 2000 ლარია (4000 – 2000) წისქვილკომბინატის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება, ხოლო პურის საცხობის მიერ შექმნილი დამატებული ღირე-

ბულება კი 1000 ლარია (5000 – 4000), მშპ კი დამატებული ღირებულებების ჯამია და იგი 5000 ლარს უდრის. როგორც ვხედავთ, ორივე მეთოდით გაანგარიშებული მშპ ერთმანეთის ტოლია.

როდესაც საქონელთა საბაზრო ფასი ცნობილია, მშპ- ს გაანგარიშება შედარებით მარტივია, მაგრამ ზოგჯერ გარკვეული საქონლის ან მომსახურების ფასი უცნობია, რადგან ისინი ბაზარზე არ იყიდება, მაგრამ ისინიც შეიტანება მშპ-ს მოცულობაში. ამდენად, საჭირო ხდება პირობითად დარიცხული ღირებულებების მეშვეობით მათი გაანგარიშება.

მშპ-ის შემადგენლობაში არ შედის არალეგალურად წარმოებული საქონლის, მაგალითად ნარკოტიკების ღირებულება.

გასაგები მიზეზების გამო (თუნდაც პირობით დარიცხული ღირებულების გაანგარიშებაში არსებული პრობლემები) მშპ არ არის იდეალური მაჩვენებელი. თუმცა იგი სხვადასხვა დროის მაჩვენებლების შედარების კარგ საშუალებას იძლევა.

კიდევ ერთი მომენტი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ მშპ-ზე საუბრის დროს არის ფასები. ამიტომ განასხვავებენ ნომინალურ და რეალურ მშპ–ს.

მშპ-ს, რომელიც მიმდინარე ფასებში იზომება, **ნომინალური მშპ** ეწოდება.

იმისათვის, რათა ეკონომიკის მდგომარეობა ზუსტად აისახოს, წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების ოდენობა არ უნდა იყოს ფასების ცვლილების ზეგავლენის ქვეშ. ამ ამოცანას პასუხობს **რეალური მშპ**, რომელიც მუდმივ ფასებში (საბაზისო პერიოდის ფასებით) გაიანგარიშება. მისი გაანგარიშებისათვის ირჩევენ საბაზისო წელს, მაგალითად 2000 წელს, შემდეგ კი ყველა საქონლისა და მომსახურების ღირებულება გადაიანგარიშება საბაზისო წლის ფასებში. რადგან ფასები მუდმივია, რეალური მშპ მხოლოდ წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობის ცვლილების გამო იცვლება. ადამიანთა, ფირმების და სახელმწიფოს მოთხოვნილების დაკმაყოფილება მხოლოდ საქონელსა და მომსახურებას შეუძლია და არა ფასებს. ამრიგად, რეალური მშპ გაცილებით უფრო კარგი მაკროეკონომიკური მაჩვენებელია და იგი უფრო ზუსტად ასახავს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს.

ნომინალური და რეალური მშპ -ს ბაზაზე ჩვენ შეგვიძლია არანაკლებ მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, მშპ -ის დეფლატორი გავიანგარიშოთ.

მშპ -ს დეფლატორი = (ნომინალური მშპ / რეალური მშპ) X 100 (1)

ამრიგად, მშპ -ს დეფლატორი ესაა ნომინალური და რეალური მშპ -ს შეფარდება.

ამ საკითხის უკეთ გაგებისათვის გავაკეთოთ დაშვება, თითქოს მხოლოდ პური იწარმოება. ნებისმიერი წლისათვის ნომინალური მშპ არის ფულის ის რაოდენობა, რომელიც პურის საყიდლად იხარჯება. თავის მხრივ, რეალური მშპ არის მიმდინარე წელს წარმოებული პურის რაოდენობა გამრავლებული საბაზისო წლის პურის ფასზე. მშპ-ს დეფლატორი კი მიმდინარე წლის პურის ფასის საბაზისო წლის პურის ფასთან თანაფარდობაა. ამავე დროს, გავიხსენოთ, რომ რეალურ ეკონომიკაში გაცილებით მეტი დასახელების პროდუქცია იწარმოება, ვიდრე მხოლოდ პურია. ამრიგად, როგორც ნომინალურ, ისე რეალურ მშპ -სა და მშპ -ს დეფლატორში უამრავი დასახელების საქონელი და მათი ფასი მონაწილეობს. მშპ-ს დეფლატორი ჩვენ გვაძლევს საშუალებას ნომინალური მშპ-ს ს შემადგენლობაში გამოვყოთ ორი ნაწილი, პირველი წარმოებული პროდუქციის მოცულობას ახასიათებს, მეორე კი ფასებს. (1) ფორმულის მარტივი გარდაქმნით მივიღებთ, რომ

ნომინალური მშპ = რეალური მშპ x მშპ-ს დეფლატორი. (2)

ნომინალური მშპ წარმოებული საქონლის ფულად შეფასებას გვაძლევს,

რეალური - წარმოებული პროდუქციის მოცულობას, ხოლო მშპ-ს დეფლატორი კი საანგარიშო წელში პროდუქციის ერთეულის ფასის საბაზო წელთან შედარებით ცვლილებას გვიჩვენებს.

განასხვავებენ მშპ-ს გაანგარიშების დანახარჯებისა და შემოსავლების მეთოდებს, თუმცა პრაქტიკაში მიღებულია წარმოების მეთოდიც. მშპ-ს გაანგარიშებისას შეფასება ხდება ფულად ერთეულში და გამორიცხულია ორმაგი აღრიცხვა (ანუ აღირიცხება მხოლოდ საბოლოო პროდუქცია, ხოლო შუალედური მოხმარება გამოირიცხება, რათა არ მოხდეს მშპ-ს მოცულობის ხელოვნური, დაუსაბუთებელი ზრდა).

მშპ-ს მოცულობაში არ შეიტანება ნახმარი საქონლით ვაჭრობა და ფინანსური ოპერაციები, რომლის შემადგენლობაშიც განიხილება სახელმწიფო ტრანსფერტული გადახდები (პენსიები, დახმარებები და ა.შ.), წმინდა ტრანსფერტული გადახდები (ერთი კერძო პირიდან მეორესათვის საჩუქრის გადაცემა ან სტიპენდია) და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციები.

მშპ-ის გაანგარიშება მიმდინარე ფასებში ხორციელდება საერთაშორისოდ აღიარებული სამი სხვადასხვა მეთოდით: წმოების, დანახარჯების და შემოსავლების მეთოდით.

1. წარმოების მეთოდი:
მთლიანი შიდა პროდუქტი, როგორც ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე დროის შესაბამის მონაკვეთში ეკონომიკის რეზიდენტი ერთეულების მიერ (ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სახეებში) შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულებების ჯამს დამატებული გადასახადები პროდუქციაზე და იმპორტზე (დღგ, აქციზი და საბაჟო გადასახადი) მინუს სუბსიდიები პროდუქტებზე.

2. გამოყენების (დანახარჯების) მეთოდი:
მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება დანახარჯების მეთოდით ეფუძნება ეკონომიკის რეზიდენტი ერთეულების მიერ მიმდინარე პერიოდში გაწეული დანახარჯების გამოთვლას.

3. შემოსავლების მეთოდი:
მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება შემოსავლების მეთოდით ემყარება იმ ინსტიტუციური ერთეულების შემოსავლების ჯამს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ საქონლისა და მომსახურების შექმნაში მოცემული პერიოდის განმავლობაში.

მშპ-ს გაანგარიშების ყველაზე გავრცელებული ფორმაა დანახარჯების მეთოდით მისი გაანგარიშება, რომლის თანახმადაც

$$\text{მშპ} = C + I + G + XN \qquad (3)$$

სადაც, C – არის სამომხმარებლო ხარჯები;

I –ერთობლივი კერძო სამამულო ინვესტიციები;

G – სახელმწიფო შესყიდვები;

XN – წმინდა ექსპორტი.

დაწვრილებით განვიხილოთ (1)-ფორმულის ელემენტები:

C – პირადი სამომხმარებლო ხარჯები - დროის პერიოდში ქვეყანაში პირადი მოხმარებისათვის გამოყენებული ხანგრძლივი (ავტომანქანა, სახლი და ა.შ.) და ხანმოკლე (სურსათი, ტანსაცმელი) მოხმარებისათვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების (იურისტის, ექიმის, ხელოვანის და ა.შ) ღირებულება;

I – ერთობლივი კერძო სამამულო ინვესტიციები. აღნიშნული ტერმინი აერთიანებს ქვეყნის შიგნით ადგილობრივი სახსრებით ყველა მანქანა-დანადგარის შეძენას, შენობის აშენებასა და მარაგების შეცვლას. გასათვალისწინებელია, რომ ინვესტიციებს განეკუთვნება მხოლოდ ახალი ტექ-

ნიკისა და ტექნოლოგიის შეძენა, შენობების აშენება. ტერმინი "ერთობლივი", ასახავს წლის განმავლობაში წარმოების პროცესში მოხმარებული მანქანა-დანადგარების შესაცვლელად განხორციელებულ ინვესტიციებსაც და ნებისმიერ ახლად განხორციელებულ ინვესტიციასაც, მაშინ როცა წმინდა კერძო სამამულო ინვესტიციები წლის განმავლობაში მხოლოდ კაპიტალის ნამატს აღნიშნავს.

G – სახელმწიფო შესყიდვები ასახავს წლის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ყველა ხარჯს, გარდა ტრანსფერტული გადახდებისა. ცხადი ხდება, რომ შესაძლებელია სახელმწიფო და პირადი მოხმარების გაერთიანება, თუმცა მაკროეკონომიკური პოლიტიკის ანალიზისათვის ფრიად საჭირო ინფორმაციის მიღება შეიძლება თუ მათ ცალკ-ცალკე განვიხილავთ. სწორედ მშპ-ში სახელმწიფო შესყიდვების წილის მიხედვით შეიძლება დავადგინოთ სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში ჩარევის ხარისხი.

XN – წმინდა ექსპორტი ასახავს იმ ოდენობას, რომლითაც უცხო სახელმწიფოთა დანახარჯები ადგილობრივ საქონელსა და მომსახურებაზე (ექსპორტი - X) აღემატება ადგილობრივ დანახარჯებს უცხოური საქონლისა და მომსახურების შეძენაზე. (იმპორტი -M), ანუ წმინდა ექსპორტი არის ექსპორტისა და იმპორტის სხვაობა.

XN = X – M.

აღსანიშნავია, რომ ძალიან ბევრ სახელმწიფოში XN-ის სიდიდე უარყოფითია და იგი ამცირებს მშპ-ს მოცულობას.

შემოსავლების მეთოდით მშპ-ს გაანგარიშების დროს გარკვეული სირთულეები არსებობს. აღნიშნული მეთოდით გაანგარიშებისას ყურადღება უნდა მიექცეს ხელფასს, რენტას, პროცენტს, საკუთრებიდან შემოსავალს, კორპორაციათა მოგებასა და ირიბ გადასახადებს. ხელფასი – მოიცავს როგორც შრომის ნებისმიერ ანაზღაურებას (ხელფასი, პრემია, დანამატი), ასევე დამქირავებლის შენატანებს სოციალურ, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა ფონდებში;

რენტა – არის ფირმებისა და საოჯახო მეურნეობების შემოსავალი, რომლებიც ახორციელებენ მატერიალური რესურსების მიწოდებას (მაგალითად მიწის ან ოფისის გაქირავებას). წმინდა რენტა არის რენტისა და გაქირავებული ობიექტის ამორტიზაციის სხვაობა;

პროცენტი – თანხაა, რომელსაც ფირმები უხდიან ფულადი კაპიტალის მიმწოდებლებს (მაგალითად, პროცენტი ანაბარზე, კორპორაციების ანაბარზე), აქ არ გაითვალისწინება სახელმწიფოს მიერ გადახდილი პროცენტები;

შემოსავალი საკუთრებიდან – მოიცავს შემოსავალს ინდივიდუალური სამეწარმეო საქმიანობიდან;

კორპორაციის მოგება გამოიყენება 3 მიმართულებით: მოგების გადასახადის გადასახდელად, დივიდენდების დასარიგებლად და გაუნაწილებელ მოგებად (ანუ მოგების ნაწილი მიიმართება ინვესტიციების სახით).

ირიბი გადასახადები – განიხილება როგორც წარმოების ხარჯები და შეიტანება პროდუქციის ფასში. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ იგი არაფაქტორული შემოსავალია და ამდენად არ უნდა შეიტანებოდეს ერთობლივ შემოსავალში, თუმცა ირიბ გადასახადებს იხდიან წარმოების მე-5 ფაქტორის (სახელმწიფოს უნარის) გამოყენებისათვის, ამდენად იგი ასევე ფაქტორულ შემოსავლებს განეკუთვნება.

ამორტიზაცია – ძირითადი კაპიტალის გამოყენებისათვის გაწეული ხარჯია, ძირითადი კაპიტალის თანდათანობითი ცვეთა, მისი ღირებულების ნაწილ-ნაწილ გადატანა წარმოებულ პროდუქციაზე.

მშპ -ს მოცულობა და მისი გაანგარიშების მეთოდიკა საფუძვლად უდევს სხვა მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშებას, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია **ერთობლივი ეროვნული პროდუქტი (ეეპ)**, რომელიც განიმარტება, როგორც ქვეყნის მოქალაქეების მიერ დროის გარკვეულ პერიოდში წარმოებული ყველა საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულების ჯამი.

ეეპ – არის რეზიდენტების მიერ, როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულების ჯამი.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემების მიხედვით, რომელიც პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოს მაკროეკონომიკურ ანგარიშგებას უდევს საფუძვლად, ეკონომიკური ანალიზის დროს პრაქტიკულად აღარ გამოიყენება ისეთი მაკროეკონომიკური ინდიკატორი, როგორიცაა ერთობლივი ეროვნული პროდუქტი, მის ნაცვლად დღეისათვის გამოიყენება **ერთობლივი ეროვნული შემოსავალი (ეეშ)**. აღნიშნული მაჩვენებლის გაანგარიშებას მშპ -ისაგან განსხვავებით, საფუძვლად უდევს არა ტერიტორიული და საქონლისა და მომსახურების წარმოების, არამედ ეროვნული და მიღებული შემოსავლის პრინციპები. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ერთობლივ მოთხოვნას, როგორც ბაზარზე სტაბილურობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს, ამ შემთხვევაში, ცხადი ხდება, რომ მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებული დამატებული ღირებულება და შესაბამისად აქედან მიღებული შემოსავლები, მაშინ როცა ღია ეკონომიკის პრინციპები მოქმედებენ, სრულად ვერ აყალიბებენ ერთობლივ მოთხოვნას და მის ფორმირებაში ქვეყნის ფარგლებს გარედან მიღებული შემოსავლები, ხშირ შემთხვევაში ლომის წილს ასრულებენ.

ეეშ-ის გაანგარიშებისათვის **მშპ**-ს აკლებენ არარეზიდენტების მიერ ქვეყნის შიგნით მიღებულ შემოსავლებს და უმატებენ არარეზიდენტი საწარმოების მიერ რეზიდენტებისათვის გადახდილ თანხას.


ეშ – **ეროვნული შემოსავალი** არის ის შემოსავალი, რომელსაც იღებენ რესურსების მიმწოდებლები ეეპ-ის წარმოებაში შეტანილი წვლილისათვის. იგი უდრის **ეეპ**-ს, იმ გადახდების გარეშე, რომელიც დაკავშირებულია არარეზიდენტების მიერ ქვეყანაში მიღებულ შემოსავლებთან და წმინდა შემოსავლებთან;

PI – **პირადი შემოსავალი (პშ)** არის მოქალაქეების ხელთ არსებული შემოსავლები, საშემოსავლო გადასახადის გადახდამდე და განსხვავდება ეროვნული შემოსავლისაგან გადახდილი სოციალური და სხვა სახის ანარიცხებით, გადასახადებით და დამატებული წმინდა ტრანსფერტული გადასახდელები.

DI –წმინდა პირადი შემოსავალი საშემოსავლო გადასახადის გადახდის შემდეგ საოჯახო მეურნეობებში დარჩენილი შემოსავალი.

ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩამოთვლილი მაჩვენებლები არ არის თავისუფალი გარკვეული ხარვეზებისაგან. მათი მეშვეობით ვერ განვსაზღვრავთ როგორია ჯანდაცვის საკითხები ქვეყანაში, ან განათლების ხარისხი, მთავრობის მოხელეთა პატიოსნება, ხალხის ერთგულება, სიმამაცე და სხვა.

ხშირად ეკონომისტები იყენებენ ისეთ მაჩვენებელს, როგორიცაა **Genuine progress indicator, GPI – რეალური პროგრესის ინდიკატორი.** იგი გვიჩვენებს, თუ როგორია რეალური ეკონომიკური ზრდა ყველა იმ პარამეტრის გათვალისწინებით, როგორიცაა ჯანდაცვა, გარემოსდაცვითი და სოციალური ფაქტორები, რაც არ აისახება მშპ-ში.



გრაფიკზე ასახულია ურთიერთდამოკიდებულება ამ ორ მაჩვენებელს შორის.

საქმე იმაშია, რომ ეს საკითხები ჯერ კიდევ საკამათოა, რასაც სწავლობს მწვანე ეკონომიკა და ნეო-კლასიკური ეკონომიკა. ნეოკლასიკური ეკონომისტები ამტკიცებენ, რომ მშპ-ზუსტად არ ასახავს ადამიანის კეთილდღეობას, ბუნების დაბინძურების ხარისხს, რასაც იწვევს ამა თუ იმ პროდუქტის წარმოება, არ ასახავს სიღარიბის დონეს, უთანასწორობას და მრავალი სხვა. მაგრამ ამის მიუხედავად ეკონომისტები ერთხმად აღიარებენ, რომ მშპ-მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებელია.

2. 2. ცხოვრების ღირებულების გაზომვა, სამომხმარებლო ფასების ინდექსი

ცნობილია, რომ ფულის ერთეულის რეალური ღირებულება მუდმივად იცვლება. შედეგად ვიღებთ ფასების საერთო დონის ზრდას, რაც უარყოფითად აისახება ცხოვრების დონეზე. დღევანდელი ლარით გაცილებით ნაკლები პროდუქციის შეძენაა შესაძლებელი, ვიდრე თუნდაც ათი წლის წინ. პრაქტიკულად ყველა ფასი იზრდება. ფასების საერთო დონის ზრდამ ინფლაციის სახელი მიიღო. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემა, რომელიც ეკონომისტთა შესწავლის საგანია.

ფასების საერთო დონის გასაზომად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია

სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი, CPI). როგორც მშპ (GDP), ასევე სამომხმარებლო ფასების ინდექსიც ძალიან ბევრი საქონლისა და მომსახურების ფასს ითვალისწინებს. ეს არის ფასების საერთო დონის მაჩვენებელი.

სტატისტიკის დეპარტამენტი ადგენს ე.წ. სამომხმარებლო კალათას, რომლის შემადგენლობაშიც ასეულობით საქონელი შედის.

სამომხმარებლო კალათა ტიპური მომხმარებლის მიერ შეძენილი საქონლის და მომსახურების მთლიანი ღირებულებაა.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი არის მიმდინარე წლის სამომხმარებლო კალათის ღირებულების შეფარდება იგივე კალათის ფასთან საბაზისო წელს.

დავუშვათ, რომ საშუალო მომხმარებელი წელიწადში 10 კილო პურსა და 3 კილოგრამ ყველს მოიხმარს. მაშასადამე სამომხმარებლო კალათა სწორედ 10 კილო პურსა და 3 კილო ყველს მოიცავს.

შესაბამისად სამომხმარებლო ფასების ინდექსი იქნება:

სამომხმარებლო ფასების ინდექსი = (10 X პურის ფასი + 3 X ყველის ფასი) /

/ (10 X პურის საბაზო წლის ფასი + 3 X ყველის საბაზო წლის ფასი).

ასეთი ტიპის ინდექსის გაანგარიშება გვიჩვენებს სამომხმარებლო კალათის მიმდინარე და საბაზო წლის ღირებულებათა შეფარდებას.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი გვიჩვენებს, თუ რამდენით უნდა გაიზარდოს ჩვენი შემოსავალი, რომ ჩვენი ცხოვრების დონე არ შეიცვალოს.

სამომხმარებლო ფასების ინდექსის გამოსათვლელად ხუთი საფეხური გვჭირდება:

1. **კალათის დაფიქსირება.** უნდა განისაზღვროს, რომელი საქონელია ყველაზე მნიშვნელოვანი ტიპიური მომხმარებლისათვის. იმ საქონელთა ფასებს ექნებათ მეტი წონა, რომელსაც უფრო მეტად მოიხმარს ტიპიური მომხმარებელი. საქართველოში სამომხმარებლო კალათა შედგება 265 დასახელების საქონლისა და მომსახურებისაგან.
2. **ფასების დადგენა.** ამ საფეხურზე საჭიროა კალათის შემადგენელი თითოეული საქონლისა და მომსახურების ფასების დადგენა დროის თითოეული პერიოდისათვის.
3. **კალათის ღირებულების გამოთვლა.** ფასებს ვამრავლებთ თითოეულ საქონელსა და მომსახურებაზე და შევკრებთ. ეს გამოთვლები კეთდება თითოეული წლისათვის. საქონლისა და მომსახურების კალათა უცვლელი რჩება, იცვლება მხოლოდ ფასები.
4. **საბაზო წლის არჩევა და ინდექსის გამოთვლა.** ინდექსის გამოსათვლელად საქონლის და მომსახურების კალათის ფასი მიმდინარე წელს იყოფა კალათის ფასზე საბაზო წელს და მრავლდება 100–ზე.

   სფი = (მიმდინარე კალათის ფასი / საბაზო კალათის ფასი) x 100;
5. **ინფლაციის დონის გამოთვლა.** ფასების ინდექსის პროცენტული ცვლილება წინა წელთან შედარებით.

   ინფლაციის დონე = [(მიმდინარე სფი – წინა წლის სფი) / წინა წლის სფი] x 100.

სტატისტიკის ბიურო ყოველთვიურად აგროვებს და ამუშავებს მონაცემებს სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ფასების შესახებ და ამ ხუთი საფეხურის გავლით განსაზღვრავს, როგორ იცვლება ტიპიური მომხმარებლის ცხოვრების ღირებულება.

გარდა სამომხმარებლო ფასების ინდექსისა, სტატისტიკის დეპარტამენტი სწავლობს საწარმოო ფასების ინდექსს, აგრეთვე ზოგიერთი ტიპის საქონელთა ჯგუფების ფასების ინდექსს.

საწარმოო ფასის ინდექსი არის ფირმების მიერ შეძენილი საქონლის და მომსახურების კალათის ღირებულების საზომი. იგი ხშირად გამოიყენება სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილებათა პროგნოზირებისათვის.

ინფლაციაზე დაკვირვების ორი ინდექსი განვიხილეთ. მშპ -ს დეფლატორი, რომელიც ნომინალური დ ა რეალური მშპ-ს თანაფარდობას გვიჩვენებს და სამომხმარებლო ფასების ინდექსი, რომელიც ფიქსირებული კალათის ღირებულებათა თანაფარდობაა მიმდინარე და საბაზისო წელს. ამ ორ მაჩვენებლს შორის სამი მნიშვნელოვანი განსხვავებაა და შესაბამისად ისინი ეკონომიკაში ფასების დონის შესახებ სხვადასხვა ინფორმაციას გვაძლევს.

უპირველეს ყოვლისა, მშპ- ს დეფლატორი ასახავს ადგილობრივი წარმოების საქონლისა და მომსახურების ფასების ცვლილებას, მაშინ როდესაც სამომხმარებლო ფასების ინდექსი ასახავს მომხმარებლის მიერ შეძენილი საქონლისა და მომსახურების ფასების ცვლილებას, რომელიც შეიძლება უცხოურიც იყოს. ამდენად ფირმების ან სახელმწიფოს მიერ შეძენილი საქონლის ფასების ცვლილება აისახება მხოლოდ მშპ-ს დეფლატორში და არა სამომხმარებლო ფასების ინდექსში. ეს განსხვავება ყველაზე თვალსაჩინოა ნავთობის ფასების ზრდისას. ამ დროს სამომხმარებლო ფასების ინდექსი უფრო მეტად იზრდება, ვიდრე მშპ დეფლატორი, რადგანაც ნავთობი ჩვენს ქვეყანაში არ იწარმოება, მაგრამ მას დიდი წილი უკავია სამომხმარებლო ხარჯებში. ამდენად, საქართველოში სამომხმარებლო ფასის ინდექსის გაანგარიშებისას მასში გაითვალისწინება ბენზინის, გაზის, იმპორტირებული კვების პროდუქტების ფასები, მაგრამ იგივე ფასების ცვლილებას არ ითვალისწინებენ მშპ-ს დეფლატორის გაანგარიშებისას.

მეორე განსხვავება ყველაზე მნიშვნელოვანია, და იგი გაანგარიშების მეთოდს შეეხება. კერძოდ, კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, მშპ-ს დეფლატორში გამოიყენება განსხვავებული მოცულობა და ფიქსირებული ფასი, ხოლო სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშებისას კი მოცულობა მუდმივია, ხოლო ფასები იცვლება. მაგალითად, თუ გაძვირდება სიმინდი, მომხმარებელთა დიდი ნაწილი მის ნაცვლად გამოიყენებს ხორბალს, მაგრამ სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშებისას ჩვენ ვუშვებთ, რომ სამომხმარებლო კალათის სტრუქტურა უცვლელია და იცვლება მხოლოდ ფასები. მაშინ როდესაც მშპ-ს დეფლატორი ადექვატურად ასახავს მშპ-ს სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებს.

მესამე განსხვავება მშპ დეფლატორსა და სამომხმარებლო ფასების ინდექსს შორის ის გახლავთ, თუ რა წონა ენიჭება სხვადასხვა საქონლის ფასს საერთო დონის გამომხატველი სიდიდის განსაზღვრისას. მაგ. თუ ტიპური მომხმარებელი ვაშლს უფრო მეტი რაოდენობით ყიდულობს, ვიდრე მსხალს, მაშინ ვაშლის ფასი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მსხლისა და ამიტომ მეტი წონა ექნება ცხოვრების ღირებულების გამოთვლისას. სტატისტიკის ბიურო ამ წონებს გამოკითვით ადგენს და შესაბამისად განათავსებს ტიპური მომხარებლის სამომხმარებლო კალათაში.

თემა 3. დანაზოგები, ინვესტიციები და ფინანსური სისტემა

3.1. ფინანსური ბაზრები და ფინანსური შუამავლები

ფინანსური სისტემა მოიცავს მრავალ ფინანსურ ინსტიტუტს. მათ შორისა ობლიგაციათა ბაზარი, აქციათა ბაზარი, ორმხრივი ფონდები, ასევე არსებობს საპენსიო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები, საკრედიტო ორგანიზაციები. ყველა ეს ინსტიტუტი ხელს უწყობს დაზოგვის მსურველთა და სესხების მსურველთა შორის ფულის ნაკადის კოორდინირებას.

ფინანსური სისტემა შეიძლება დავყოთ ორ კატეგორიად: ფინანსურ ბაზრებად და ფინანსურ შუამავლებად.

ფინანსური ბაზრები. მას მიეკუთვნება ფასიანი ქაღალდები: ობლიგაციები და აქციები. შესაბამისად, ფინანსური ბაზრები ის ინსტიტუტებია, რომელთა მეშვეობითაც დაზოგვის მსურველებს შეუძლიათ პირდაპირ მიაწოდონ ფული სესხების მსურველებს.

ფასიანი ქაღალდების გამოშვებას ბაზარზე ეწოდება *ემისია (Issue).* ხოლო ფასიანი ქაღალდების გამომშვებს - *ემიტენტი (Issuer).*

ფასიანი ქაღალდები იყოფა სამ ჯგუფად: საფონდო, სასესხო და ჰეჯირების ინსტრუმენტებად. საფონდო ინსტრუმენტებს მიეკუთვნება ობლიგაციები; სასესხო ინსტრუმენტებს - აქციები; ხოლო ჰეჯირების ინსტრუმენტებს - ოფციონები და ფიუჩერსები.

გამოყოფენ ფასიანი ქაღალდების პირველად და მეორად ბაზრებს.

პირველად ბაზარზე (Primary Market) ხდება ახალი გამოშვების ფასიანი ქაღალდების განთავსება, რომელთა ემიტენტებს წარმოადგენენ კომანიები, მთავრობა ან მუნიციპალური ორგანიზაციები. **მეორად ბაზარზე (Secondary Market)** ხდება პირველად ბაზარზე განთავსებული ფასიანი ქაღალდების შემდგომი ყიდვა-გაყიდვა.

თუ კომპანია დიდი მასშტაბისაა და დიდ კაპიტალს ფლობს, მას შეუძლია წარმოების გაფართოებისათვის ფული საზოგადოებისაგან ისესხოს ობლიგაციების ან აქციების გაყიდვით.

ობლიგაცია (Bond) არის ვალდებულების სერთიფიკატი, რომელიც ადასტურებს მსესხებლის ვალდებულებებს ობლიგაციის მფლობელის წინაშე. ძირითადად განასხვავებენ ობლიგაციების სამ კატეგორიას: კორპორაციის, სახელმწიფოს ან მუნიციპალური ობლიგაციები.

კორპორაციების მიერ გამოშვებული ობლიგაციები შეიძლება იყოს იპოთეკური ან დებენტურა.

1. იპოთეკური ობლიგაცია უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, რომელსაც ფლობს კორპორაცია. თუ კორპორაცია გაკოტრდა, ინვესტორს უფრო მეტი შანს აქვს აინაზღაუროს დაბანდებული ინვესტიცია.

2. დებენტურა - ობლიგაციების ისეთი სახეა, რომელიც არაფრით არ არის გამაგრებული, გარდა კორპორაციის დაპირებისა გადახდის თაობაზე. იგი ემყარება კორპორაციის რეპუტაციას.

საერთაშორისო საფინანსო ბაზარზე უმთავრესად კოტირდება სახელმწიფოს და კომპანიების ის ობლიგაციები, რომლებიც იღებენ საერთაშორისო ბანკების ყველაზე მაღალ

შეფასებას. უმაღლესი შეფასება „სამი A“ ენიჭება სახელმწიფოებს, რომელთა გადახდისუნარიანობაში საბანკო წრეებში არავითარი ეჭვი არ არსებობს.

ობლიგაციაზე აღნიშნულია: სესხის დაბრუნების თარიღი, რომელსაც *განაღდების ვადა* ეწოდება; ასევე *სარგებლის განაკვეთი,* რომელიც გადაიხდება პერიოდულად სესხის განაღდების ვადის გასვლამდე.

ობლიგაციებს სამი მნიშვნელოვანი თვისება აერთიანებთ:

პირველი თვისება *ობლიგაციის ვადაა,* ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ობლიგაცია განაღდებადია. ზოგი ობლიგაცია მოკლევადიანია, რამდენიმე თვიანი; ზოგი ობლიგაცია გრძელვადიანია და მისი განაღდების ვადა რამდენიმე ათეულ წელს მოიცავს. (მაგალითად, ბრიტანეთის მთავრობამ გამოსცა ისეთი გრძელვადიანი ობლიგაცია, რომელიც არასდროს განაღდდება, იგი უზრუნველყოფს სამუდამო სარგებელს, მაგრამ თავისი (გასესხებული თანხა) არასდროს გაიცემა.

მეორე თვისება მისი **საკრედიტო რისკია** - იმის ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ მოახერხებს სარგებლის ან ძირითადი ნაწილის გადახდას. ასეთ მოვლენას გადაუხდელობა ანუ დეფოლტი ეწოდება. ასეთ სიტუაციაში მსესხებლები თავს გაკოტრებულად აცხადებენ და უარს ამბობენ სესხის გადახდაზე. როგორც წესი, მაღალი საკრედიტო რისკის ობლიგაციებზე მაღალ სარგებლის განაკვეთს ითხოვენ, ხოლო დაბალი რისკის ობლიგაციები დაბალი სარგებლის განაკვეთით ხასიათდებიან. მთავრობის ობლიგაციებზე საკრედიტო რისკი დაბალია, შესაბამისად მათზე სარგებლის განაკვეთიც დაბალია.

მესამე თვისებაა **გადასახადებთან დამოკიდებულება** - საგადასახადო კანონებით ობლიგაციების უმრავლესობის სარგებელი იბეგრება საშემოსავლო გადასახადით. მუნიციპალური ობლიგაციების სარგებელზე როგორც წესი, არ ხდება გადასახადის გადახდა.

კომპანიის გაფართოებისთვის თანხების მოზიდვის მეორე გზაა აქციების გაყიდვა.

აქცია ფასიანი ქაღალდია, რომელიც ადასტურებს საქმიან მონაწილეობას იმ საწარმოს კაპიტალში, რომელიც მოქმედებს სააქციო საზოგადოების ფორმით. აქციები იძლევიან უფლებას საწარმოს აქტივებსა და მოგების ნაწილზე **დივიდენდების** სახით.

აქციებს გააჩნიათ ღირებულება. განასხვავებენ აქციების ნომინალურ, საბალანსო და საბაზრო ღირებულებას.

ნომინალური ღირებულება - პირობითად განსაზღვრული ღირებულებაა, რომელსაც ადგენენ ემისიის დროს. იგი აისახება აქციის სერთიფიკატში კომპანიის წესდების შესაბამისად. ნომინალის ძირითადი დანიშნულება იმაშია, რომ მასზე დაყრდნობით ხდება პრივილეგირებული აქციების დივიდენდების გამოთვლა.

საბალანსო ღირებულება - განისაზღვრება კორპორაციის აქტივების წმინდა ღირებულების გაყოფით ემიტირებული აქციების რაოდენობაზე.

საბაზრო ღირებულება - ეს არის აქციების მიმდინარე ფასი საფონდო ბირჟაზე. აქციის საბაზრო კურსი როგორც წესი, არ შეესაბამება მის ნომინალურ ღირებულებას.

აქციების საბაზრო ფასი მიწოდებით და მასზე მოთხოვნით განისაზღვრება. როცა მყიდველები ელოდებიან კორპორაციის მოგების ზრდას, ამ კომპანიის აქციებზე მოთხოვნა იზრდება და ფასიც მატულობს. ხოლო როდესაც ადამიანები ვარაუდობენ კომპანიის დანაკარგებს, მაშინ აქციების ფასი მცირდება. აქციათა ფასების საერთო დონეზე დაკვირვებისთვის მრავალი საფონდო ინდექსი არსებობს. ყველაზე ცნობილი საფონდო ინ-

დექსია „დოუ ჯონსის ინდუსტრიული ინდექსი“. იგი რეგულარულად გამოითვლება 1896 წლიდან. ეს ინდექსი 30 უდიდესი ამერიკული კომპანიის აქციათა ფასებს ეყრდნობა. ამ კომპანიებს შორისაა „ჯენერალ მოტორსი“, „ჯენერალ ელექტრიკი“, „კოკა-კოლა“, AT&T, IBM და სხვები. ასევე არსებობს ცნობილი საფონდო ინდექსი „ სტანდარტ & ფუა 500“, რომელიც 500 უდიდესი კომპანიის ფასებს ეყრდნობა.

ყოველი აქცია მის მფლობელს ანიჭებს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე. არსებობს აქციათა ორი ტიპი: პრივილეგირებული და ჩვეულებრივი.

პრივილეგირებულ აქციებს უპირატესობა აქვთ დივიდენდების მიღებისას, ასევე ფირმის ლიკვიდაციის შემთხვევაში ვალების გასტუმრებისას. თუმცა მათ არ გააჩნიათ ხმის უფლება.

აქციების და ობლიგაციების გამოშვებას აქვს როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები. დადებითი მხარეა ის, რომ კომპანიას უჩნდება დამატებითი სახსრები წარმოების გასაფართოებლად. მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს გამონათქვამი - „უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია.“ აქედან გამომდინარე, ფირმის საკუთრების ნაწილის გაყიდვას აქვს გარკვეული ნაკლოვანებები: აქციონერები გეველინებიან ფირმის თანამფლობელებად, საჭიროა მათთვის დივიდენდების გადახდა მოგებიდან და ასევე უნდა მოხდეს აქციონერთა მოთხოვნების გათვალისწინება კომპანიის მართვის პროცესში.

ფინანსური შუამავლები ის ფინანსური ინსტიტუტებია, რომელთა მეშვეობითაც დაზოგვის მსურველებს შეუძლიათ არაპირდაპირ მიაწოდონ ფული მსესხებლებს.

ფინანსურ შუამავლებად გეველინებიან ბანკები და ორმხრივი ფონდები.

ბანკები იმ ადამიანებისაგან იღებენ დეპოზიტებს, ვისაც დაზოგვა სურთ, ხოლო გასცემენ სესხებს იმათზე, ვისაც ფულადი სახსრები ჭირდებათ.

ორმხრივი ფონდი ის ინსტიტუტია, რომელიც აქციებს ყიდის და შემოსული თანხებით სხვადასხვა კომპანიების აქციების და ობლიგაციების ყიდვით პორტფელს ქმნის. ორმხრივი ფონდის აქციის მფლობელები ამ პორტფელთან დაკავშირებით რისკსა და მოგებას ინაწილებენ. ამ მეთოდით აქციონერებს დივერსიფიკაციის საშუალება ეძლევათ, ანუ ადამიანებს შეუძლიათ რამდენიმე ასეული დოლარით სხვადასხვა კომპანიის თანამფლობელი გახდნენ და რისკები გაანაწილონ. ამ მომსახურებისათვის ორმხრივი ფონდების მფლობელი კომპანია აქციონერებისაგან აქტივების 0,5-2,0 პროცენტს იღებს.

3.2. დანაზოგები და ინვესტიციები ეროვნულ ანგარიშებში

ჩვენი ანალიზის თანახმად, მოხმარების, ინვესტიციების და სახელმწიფო შესყიდვების ჯამი წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ტოლია.

სასესხო კაპიტალზე მოთხოვნისა და მიწოდების გაწონასწორებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს საპროცენტო განაკვეთი (სარგებლის განაკვეთი).

ეკონომიკაში წარმოებულ პროდუქტზე მოთხოვნა ყალიბდება მოხმარების, ინვესტიციებისა და სახელმწიფო შესყიდვების სახით. $Y = C + I + G$; (1)

მოხმარება დამოკიდებულია განკარგვად შემოსავალზე, ინვესტიციები დამოკიდებულია რეალურ საპროცენტო განაკვეთზე (სარგებლის განაკვეთზე), ხოლო სახელმწიფო შესყიდვები

და გადასახადები წარმოადგენენ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ეგზოგენურ ცვლადებს. (1) ფორმულიდან ჩვენ შეგვიძლია ჩავწეროთ: **Y- C –G = I .** (2)

აქედან ნათელი ხდება, თუ რატომ თამაშობს საპროცენტო განაკვეთი r საკვანძო როლს: ის უნდა შეიცვალოს ისეთნაირად, რათა მოგვცეს საქონელზე მოთხოვნისა და მათი მიწოდების ტოლობის გარანტია. რაც უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი, მით უფრო დაბალია ინვესტიციების მოცულობა და შესაბამისად, დაბალია საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა.

თუკი სარგებლის განაკვეთი ძალიან მაღალია, ინვესტიციები ძალიან დაბალი იქნება და მოთხოვნა მიწოდებაზე ნაკლები აღმოჩნდება. თუკი საპროცენტო (სარგებლის) განაკვეთი ძალიან დაბალია, ინვესტიციები ძალიან მაღალი იქნება და მოთხოვნა გადააჭარბებს მიწოდებას. სარგებლის წონასწორული განაკვეთის შემთხვევაში საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა ტოლია მათი მიწოდებისა.

წონასწორობა ფინანსურ ბაზრებზე : საპროცენტო განაკვეთის როლს უკეთ გავიგებთ, თუ განვიხილავთ ფინანსურ ბაზრებს. ამ მიზნით ეროვნული ანგარიშების ტოლობა გადავწეროთ შემდეგნაირად Y- C - G. აღნიშნული გამოსახულება წარმოადგენს წარმოებული პროდუქციის ნაწილს, რომელიც რჩება მას შემდეგ, როგორც კი დაკმაყოფილდება მომხმარებლებისა და მთავრობის მოთხოვნა; მას ეწოდება **ეროვნული დაზოგვა** ანუ უბრალოდ დაზოგვა (S).

ანუ S = Y – C - G = I. ასეთი ფორმით ეროვნული ანგარიშების ძირითადი ტოლობა ამტკიცებს, დაზოგვა ტოლია ინვესტიციებისა. **S = I .** (3)

ჩვენ შეგვიძლია ეროვნული დაზოგვა დავყოთ ორ ნაწილად, რათა განვაცალკევოთ საოჯახო მეურნეობების დაზოგვა მთავრობის დაზოგვისაგან:

Y- C- G გამოსახულება - წარმოადგენს განკარგვად შემოსავალს გამოკლებული მოხმარება, ანუ **კერძო დაზოგვა.**

გამოსახულება **T - G** – არის სახელმწიფო შემოსულობებს გამოკლებული სახელმწიფო დანახარჯები ანუ **სახელმწიფო დაზოგვა (საზოგადოებრივი დანაზოგი).** თუკი დანახარჯები აჭარბებს შემოსულობებს, მაშინ ბიუჯეტი დეფიციტურია და სახელმწიფო დაზოგვა უარყოფითია.


ეროვნული დაზოგვა – არის კერძო და სახელმწიფო დანაზოგების ჯამი. ამგვარად, **ეროვნული დანაზოგი (S)** არის ეკონომიკის მთლიანი შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც სამომხმარებლო ხარჯებისა და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შემდეგ რჩება.

კერძო დანაზოგი (Y- C- G) არის შემოსავალი, რომელიც საოჯახო მეურნეობებს რჩებათ გადასახადებისა და სამომხმარებლო ხარჯების გადახდის შემდეგ.

საზოგადოებრივი დანაზოგი (სახელმწიფო დაზოგვა, T- G) საგადასახადო შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც სახელმწიფოს რჩება ხარჯების დაფარვის შემდეგ.

ჩაკეტილ ეკონომიკაში წონასწორობის მისაღწევად ეროვნული დანაზოგები და ინვესტიციები ტოლი უნდა იყოს, **S = I .**

ნახ. 3.1 -ზე წარმოდგენილია სასესხო კაპიტალის ბაზარი. აღნიშნულ ბაზარზე სასესხო კაპიტალის მიწოდებას ახორციელებენ დამზოგველები, რომლებსაც გააჩნიათ თავისუფალი ფულადი სახსრები და სურთ ფულის გასესხება. ხოლო მოთხოვნას განაპირობებენ ინვესტორები, რომლებსაც სურვილი აქვთ ისესხონ ფული სასესხო კაპიტალის ბაზარზე საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად.



ნახ. 3.1. სასესხო კაპიტალის ბაზარი.

შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ეს არის კონკრეტულ საქონელზე მოთხოვნისა და მიწოდების დიაგრამა. ფაქტიურად დაზოგვა და ინვესტიციები შეიძლება განვმარტოთ მოთხოვნისა და მიწოდების პოზიციიდან. ჩვენს შემთხვევაში „საქონელს“ წარმოადგენს სასესხო საშუალებები, ხოლო მათ ფასს – საპროცენტო განაკვეთი. დაზოგვა არის სასესხო საშუალებების მიწოდება – ადამიანები თავიანთ დანაზოგებს სესხად აძლევენ ინვესტორებს ან ინახავენ ბანკში საკუთარ ანგარიშებზე, რომელიც თავის მხრივ, გასცემს სესხებს. ინვესტიციები წარმოადგენს სასესხო საშუალებებზე მოთხოვნას. ინვესტორები სესხებს ღებულობენ მოსახლეობისაგან ან უშუალოდ, ობლიგაციების გაყიდვით, ან მიმართავენ შუამავლის მომსახურებას, როცა ბანკებისგან ღებულობენ სესხებს. რამდენადაც ინვესტიციები დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთზე, საკრედიტო რესურსებზე მოთხოვნა აგრეთვე დამოკიდებული ხდება საპროცენტო განაკვეთზე. საპროცენტო განაკვეთი იცვლება მანამ, ვიდრე ინვესტიციები არ გაუტოლდება დაზოგვას. თუკი საპროცენტო განაკვეთი ძალიან დაბალია, ინვესტორები წარადგენენ უფრო მეტ მოთხოვნას ეკონომიკაში წარმოებულ პროდუქციაზე იმასთან შედარებით, რასაც ადამიანები ისურვებენ გამოიყენონ დაზოგვაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასესხო საშუალებებზე მოთხოვნა აჭარბებს მის მიწოდებას. ასეთ სიტუაციაში საპროცენტო განაკვეთი იზრდება მანამ, სანამ არ მიაღწევს წონასწორულ დონეს. პირიქით, თუკი საპროცენტო განაკვეთი ძალიან მაღალია, დაზოგვის მოცულობა აჭარბებს ინვესტიციების მოცულობას; რამდენადაც სასესხო საშუალებების მიწოდება მეტია, ვიდრე მათზე მოთხოვნა, საპროცენტო განაკვეთი ეცემა მანამ სანამ წონასწორულ დონეს მიაღწევდეს. საპროცენტო განაკვეთის წონასწორული მნიშვნელობა იმყოფება ამ ორი მრუდის გადაკვეთის წერტილში. წონასწორული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში დაზოგვა ტოლია ინვესტიციებისა და სასესხო საშუალებების მიწოდება ტოლია მათზე არსებული მოთხოვნისა.

ამგვარად, ამ თავში ჩვენ ავაგეთ მოდელი, რომელიც გვიხსნის ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების წარმოების, განაწილებისა და გამოყენების ასპექტებს.

ფასების ცვლილება მნიშვნელოვანია მიწოდებისა და მოთხოვნის წონასწორობაში მოსაყვანად. წარმოების ფაქტორთა ფასებს წონასწორობაში მოჰყავს წარმოების ფაქტორთა ბაზრები. ხოლო სარგებლის განაკვეთი აწონასწორებს ანალოგიურად, სასესხო საშუალებების მოთხოვნასა და მიწოდებას.

ამ თავში განვიხილეთ ამ მოდელის სხვადასხვა გამოყენება. მოდელს შეუძლია აგვიხსნას, თუ როგორ ნაწილდება შემოსავალი წარმოების ფაქტორებს შორის და როგორ არიან დამოკიდებული ფაქტორების ფასები მათ მიწოდებაზე. ჩვენ ეს მოდელი გამოვიყენეთ აგრეთვე საკითხის განხილვისას იმის შესახებ, თუ როგორ ცვლის საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა წარმოებული პროდუქტის განაწილებას მისი გამოყენების ალტერნატიულ მიმართულებებს შორის და როგორ ახდენს ეს გავლენას წონასწორულ საპროცენტო განაკვეთზე.

მოვლენების ანალიზის გასამარტივებლად ჩვენ დავუშვით, რომ კაპიტალის მარაგი, სამუშაო ძალა და ტექნოლოგია ფიქსირებული სიდიდეებია.

შემდეგ თავებში ვნახავთ, ამ ცვლადებიდან თითოეულის ცვლილება დროთა განმავლობაში როგორ იწვევს ეკონომიკის მიერ საწარმოებელი საქონლისა და მომსახურების მოცულობის ზრდას. ანალიზის დროს ჩვენ გავაკეთეთ შემდეგი დაშვებები:

• ვივარაუდეთ, რომ სამუშაო ძალა სრულად იყო დასაქმებული. შემდეგ თავში განვიხილავთ უმუშევრობის მიზეზებს და ვნახავთ, თუ როგორ ახდენს გავლენას სახელმწიფო პოლიტიკა უმუშევრობის დონეზე.

• იგნორირება მოვახდინეთ ფულის როლისა, რომელთა დახმარებითაც შეიძინება და გაიყიდება საქონელი და მომსახურება. შემდეგში განვიხილავთ ფულის ზემოქმედებას ეკონომიკაზე, აგრეთვე ფულადი პოლიტიკის გავლენასაც.

• იგნორირება გავუკეთეთ ფასების მოუქნელობის როლს მოკლევადიან პერიოდში. შემდეგ თავებში ავაგებთ მოკლევადიანი რყევების მოდელს, რომელშიც ჩართული იქნება მოუქნელი ფასები.

ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ შემდეგი:

1. წარმოების ფაქტორები და საწარმოო ტექნოლოგია განსაზღვრავს ეკონომიკის მიერ

წარმოებული საქონლებისა და მომსახურების მოცულობას. ამ ფაქტორთაგან ერთ-ერთი ფაქტორის რაოდენობის ზრდა ან ტექნოლოგიური სრულყოფა იწვევს გამოშვების მოცულობის ზრდას.

2. ეკონომიკის მიერ წარმოებული პროდუქტი გამოიყენება მოხმარებაზე, ინვესტიციებზე და სახელმწიფო შესყიდვებზე. მოხმარება იზრდება განკარგვადი შემოსავლის ზრდის შემთხვევაში. ინვესტიციები მცირდება რეალური სარგებლის განაკვეთის ზრდის შემთხვევაში. სახელმწიფო შესყიდვები და გადასახადები წარმოადგენენ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ეგზოგენურ (გარე) ცვლადებს.

თემა 4. ეკონომიკური ზრდა.

4. 1. მწარმოებლურობა, მისი როლი და დეტერმინანტები.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრების დონეთა შორის დიდი განსხვავებაა.

მდიდარი ქვეყნის, მაგალითად შეერთებული შტატების, იაპონიის ან გერმანიის საშუალო მოქალაქის შემოსავალი, სულ ცოტა ათჯერ მაინც აღემატება ღარიბი ქვეყნის, მაგალითად, ინდოეთის, ინდონეზიის ან ნიგერიის საშუალო მოქალაქის შემოსავალს. შემოსავლებს შორის ასეთი სხვაობა ცხოვრების დონეებს შორის განსხვავებაში გამოიხატება. თვით ქვეყნის შიგნითაც კი ცხოვრების დონე სხვადასხვა პერიოდში განსხვავებულია.

საქართველოს ეკონომიკის უახლესი ისტორია მეტად რთული და ამავე დროს მკვლევართათვის ძალიან საინტერესოა, რადგან ამ მოკლე პერიოდში საქართველოს ეკონომიკაში უმნიშვნელოვანესი ძვრები განვითარდა. მიზანი, რომელიც ამოძრავებს დღეს საქართველოს არის ის, რომ მომავალმა თაობებმა იცხოვრონ უკეთ, ვიდრე წინა თაობები ცხოვრობდნენ. ანუ მომავალ თაობებს უფრო მეტი საქონლისა და მომსახურების მოხმარება უნდა შეეძლოთ, ვიდრე წინა თაობებს. სწორედ ეს არის ეკონომიკური ზრდა. ეკონომიკური ზრდის გაანგარიშებისათვის ძირითადად მშპ -ს იყენებენ. ცხადია ეკონომიკური ზრდის გაანგარიშებისათვის მეტი მნიშვნელობა რეალური მშპ-ს ზრდას ენიჭება და არა ნომინალურს.

ამ თავში ავხსნით, თუ რა განსაზღვრავს ქვეყნის ცხოვრების დონეს, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისაკენ მიმართული რომელი პოლიტიკა უნდა აირჩიონ პოლიტიკოსებმა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. ეკონომისტ რობერტ ლუკასის თქმით, ეს ისეთი საკითხებია, რომელიც შთამბეჭდავ ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე, „როგორც კი მათზე ფიქრს იწყებთ, სხვა რამეზე ფიქრი შეუძლებელი ხდება".

ეკონომიკის მე–8 პრინციპის თანახმად, ქვეყნის ცხოვრების დონე დამოკიდებულია საქონლისა და მომსახურების წარმოების უნარზე. ამიტომ ცხადია, ცხოვრების დონის ზრდისათვის პირველ რიგში ქვეყანამ მიზნად უნდა დაისახოს საქონლისა და მომსახურების წარმოების უნარის ზრდა, ე.ი. მწარმოებლურობის ზრდა, რისთვისაც საჭიროა წარმოების ფაქტორთა სწრაფი დაგროვება და ამ ფაქტორების ეფექტიანი გამოყენება.

ასი წლის წინათ იაპონია მდიდარი ქვეყანა სულაც არ იყო. იაპონიის საშუალო შემოსავალი მხოლოდ მცირედით აღემატებოდა მექსიკისას, ხოლო არგენტინის შემოსავალს ბევრად ჩამოუვარდებოდა. მისი შემოსავალი უფრო დაბალი იყო, ვიდრე იგი დღეს ინდოეთშია. მაგრამ ეკონომიკის საოცარი ზრდის შედეგად იაპონია დღეს უმდიდრეს სახელმწიფოთა შორისაა. მიუხედავად დიდი სტიქიური უბედურებისა, რომელიც იაპონიას თავს დაატყდა, იგი მაინც ახერხებს იდგეს უძლიერეს ქვეყანათა გვერდით. მისი საშუალო შემოსავალი ორჯერ მეტია, ვიდრე მექსიკისა და არგენტინისა, და ერთად აღებული გერმანიის, კანადის და გაერთიანებული სამეფოს საშუალო შემოსავლის ტოლია. სიის ბოლოშია ბანგლადეში და პაკისტანი, სადაც მხოლოდ 1,16%-იანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა ბოლო საუკუნის განმავლობაში. შესაბამისად ამ ქვეყნების მცხოვრებნი დღესაც უკიდურეს სიღარიბეში აგრძელებენ ცხოვრებას.

ეკონომიკური ზრდის ტემპი გვიჩვენებს, რა სისწრაფით გაიზარდა ტიპიურ წელს ერთ სულ მოსახლეზე რეალური მშპ. მაგალითად, შეერთებულ შტატებში ერთ სულ მოსახლეზე რეალური მშპ 1870 წელს იყო $ 3 412 , ხოლო 2005 წლისათვის $ 37 500 -ს გადააჭარბა.

4.1. ცხრილში მოცემულია სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი.

აღნიშნული მონაცემები ცხადყოფს, რომ იაპონია ეკონომიკურად სწრაფად განვითარდა. ხოლო დიდი ბრიტანეთის რანგი შემცირდა. ასი წლის წინათ იგი მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყანა იყო, რომლის საშუალო შემოსავალი 20%-ით აღემატებოდა შეერთებული შტატების საშუალო შემოსავალს და 2-ჯერ მეტი იყო კანადის საშუალო შემოსავალზე. დღეს კი ვითარება შეცვლილია.

ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყნებს არანაირი გარანტია არა აქვთ იმისა, რომ ყოველთვის ყველაზე მდიდრები იქნებიან. მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნებიც სამუდამოდ არ არიან განწირული ღარიბული ცხოვრებისათვის.

ქვეყნების ნინსვლას ან ჩამორჩენას სწორედ ეკონომიკური ზრდის დონე განსაზღვრავს. ეს კი თავის მხრივ ცხოვრების დონის განმსაზღვრელია.

მსოფლიოს ქვეყნების ცხოვრების დონეებს შორის განსხვავების ახსნა ძალიან მარტივად შეიძლება მწარმოებლურობით.

მწარმოებლურობა ერთ სამუშაო საათში წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობაა. მას დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. იგი ცხოვრების დონის ძირითად დეტერმინანტად წარმოგვიდგება. ქვეყანას მხოლოდ მაშინ აქვს ცხოვრების მაღალი დონე, თუ საქონლისა და მომსახურების დიდი რაოდენობით წარმოება შეუძლია. ამერიკელები ჩვენზე უკეთ ცხოვრობენ, ვინაიდან ამერიკელი მშრომელების მწარმოებლურობა მეტია, ვიდრე ჩვენი ქვეყნის მშრომელებისა. ან კიდევ, იაპონელების ცხოვრების დონე უფრო სწრაფად გაიზარდა, ვიდრე არგენტინელებისა, ვინაიდან იაპონელი მშრომელების მწარმოებლურობა არგენტინელების მწარმოებლურობაზე უფრო სწრაფად გაიზარდა.

ქვეყანა	პერიოდი	ერთ სულზე რეალური მშპ პერიოდის დასაწყისისთვის	ერთ სულზე რეალური მშპ პერიოდის ბოლოს	ზრდის წლიური ტემპი(%)
იაპონია	1900-2005 წწ.	$ 1 280	$ 28 620	2.79
ბრაზილია	1900-2005	663	7 480	2.38
მექსიკა	1900-2005	987	8 950	2.16
ჩინეთი	1900-2005.	610	4 990	2.06
გერმანია	1900-2005.	1 859	27 460	2.05
კანადა	1900-2005	2 022	29 740	2.04
აშშ	1900-2005	3 412	37 500	1.82
არგენტინა	1900-2005	1 952	10 920	1.69
ინდოეთი	1900-2005	575	2 880	1.58
დიდი ბრიტანეთი	1900-2005	4 094	27 650	1.45
ინდონეზია	1900-2005	759	3 210	1.41

პაკისტანი	1900-2005	628	2 060	1.16
ბანგლადეში	1900-2005	531	1 870	1.16

ცხრილი 4.1.

სხვადასხვა ქვეყნის ან სხვადასხვა დროის ცხოვრების დონეებს შორის განსხვავების გასაგებად, ძირითადი ყურადღება საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე უნდა გავამახვილოთ. ისმება კითხვა: რატომ აღწევს ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკა სხვებზე მეტ წარმატებას საქონლისა და მომსახურების წარმოებაში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა განვსაზღვროთ მწარმოებლურობის ძირითადი დეტერმინანტები. ესენია: ფიზიკური კაპიტალი, ადამიანური კაპიტალი, ბუნებრივი რესურსები და ტექნოლოგიური ცოდნა.

ფიზიკური კაპიტალის ქვეშ იგულისხმება მოწყობილობები და შენობები, რომლებიც საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის გამოიყენება.

ადამიანური კაპიტალი წარმოგვიდგება, როგორც ცოდნა და უნარი, რომელსაც მშრომელი იძენს განათლებისა და პრაქტიკული გამოცდილების გზით.

ბუნებრივი რესურსები – საქონლის და მომსახურების წარმოებაში გამოყენებული მასალა, რომელსაც ბუნება გვაძლევს. (მიწა, მდინარეები, წიაღისეული).

ტექნოლოგიური ცოდნა – საზოგადოების უნარი, შეარჩიოს საქონლისა და მომსახურების წარმოების საუკეთესო გზები.

მრავალი ეკონომისტი ეკონომიკის ზრდის ყველაზე მნიშვნელოვან დეტერმინანტად ბუნებრივ რესურსებს მიიჩნევს. ამ არგუმენტის უარყოფა ძნელია, მაგრამ მსოფლიოს არაგანახლებადი რესურსების შეზღუდული მიწოდება აქვს, თუმცა ეკონომიკის და ცხოვრების დონის ზრდა გრძელდება. მაგალითად, თუნუქისა და სპილენძის ნაცვლად წარმატებით გამოიყენება პლასტიკატი და ოპტიკური კაბელები, ბენზინის ნაცვლად ალტერნატიული საწვავი და ა.შ. ასე, რომ ტექნოლოგიური ცოდნა დიდ როლს ასრულებს. მაგ. იაპონია არ გამოირჩევა ბუნებრივი რესურსებით, მაგრამ ტექნოლოგიურმა წინსვლამ მას წარმატება მოუტანა. თანამედროვე პერიოდში საშუალო ცხოვრების დონის ადამიანისათვის, ჩვეულებრივი მოვლენაა მობილური ტელეფონით სარგებლობა, თვითმფრინავით მგზავრობა, ანტიბიოტიკები, ტელევიზორი, ინტერნეტი ან კონდიციონერი, მაშინ როცა მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანს ჯონ როკფელერს (1839-1937წწ.), ამ კომფორტის გამოყენების შესაძლებლობა არ ჰქონდა შესაბამისი ტექნოლოგიის არარსებობის გამო. დღევანდელი ფულით მისი ქონება 200 მილიარდს გაუტოლდებოდა, ანუ ბევრად მეტი, ვიდრე ბილ გეიტსის ქონებაა. ამგვარად, ტექნოლოგიური პროგრესი უზრუნველყოფს ცხოვრების დონის ზრდას.

ნობელის პრემიის ლაურეატის რობერტ სოლოუს მიერ 1950-60 წლებში შემუშავებული იქნა ეკონომიკური ზრდის მოდელი, რომელსაც მის საპატივსაცემოდ სოლოუს მოდელს უწოდებენ, იგი გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ, თუ როგორ ზემოქმედებს კაპიტალი, დანაზოგები, მოსახლეობის ზრდა და ტექნოლოგიური პროგრესი წარმოების მოცულობის ზრდაზე. მოდელი განმარტავს, თუ რატომ განსხვავდებიან ცხოვრების დონით სახელმწიფოები და ამასთანავე იძლევა ეკონომიკური პოლიტიკის ზეგავლენის შეფასების საშუალებას.

სოლოუს მოდელში მნიშვნელოვანია წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნა და მიწოდება. გასათვალისწინებელია, რომ მიწოდება განსაზღვრავს დროის ყოველი მომენტისათვის წარმოების მოცულობას, ხოლო მოთხოვნა კი წარმოებული საქონლის სხვადასხვა მიმართულებას შორის განაწილებას.

სოლოუს მოდელში საქონლის მიწოდება საწარმოო ფუნქციით აღიწერება: **Y= F (K, L).** (1)


F - არის ფუნქცია, რომელიც გვიჩვენებს როგორ შეესაბამება წარმოების ფაქტორები გამოშვებას. **K** - კაპიტალის მარაგები; **L** - გამოყენებული შრომა.

ამასთან სოლოუს მოდელის თანახმად საწარმოო ფუნქციას ახასიათებს მასშტაბის მუდმივი უკუგება, ანუ **zY = F (zK, zL)**. (2)

საწარმოო ფუნქციის დახრილობის კუთხე გვიჩვენებს, თუ რამდენი დამატებითი

ერთეული საქონლის მიღება შეიძლება ერთ მუშახელზე, თუ კაპიტალშეიარაღებას ერთი ერთეულით გავზრდით. ეს არის კაპიტალის ზღვრული პროდუქტი **MPK**, ჩვენ მიახლოებით შეგვიძლია ჩავწეროთ **MPK = f (k +1) - f (k)**. (3)

როგორც გრაფიკიდან ჩანს საწარმოო ფუნქციის მრუდი კაპიტალშეიარაღების ზრდასთან ერთად უფრო გლუვი ხდება, რაც კაპიტალის ზღვრული პროდუქტის კლებადობით აიხსნება. როდესაც ერთ მუშახელზე კაპიტალშეიარაღება დაბალია, კაპიტალის ერთი ერთეულით ზრდა მაღალ ეფექტს იძლევა, ხოლო კაპიტალის დაგროვების ზრდის კვალობაზე მისი ეფექტიანობა მცირდება და კაპიტალის ზღვრული პროდუქტი მცირდება. იხ. ნახ. 4.1.



ნახ. 4.1.

4. 2. ეკონომიკური ზრდა და სახელმწიფო პოლიტიკა

როგორც აღვნიშნეთ, ეკონომიკური კეთილდღეობა განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. იგი პირველ რიგში გამოიხატება ერთ სულ მოსახლეზე მშპ–ს რაოდენობით. ამიტომაც ცხოვრების დონე დამოკიდებულია მწარმოებლურობაზე, საქონლისა და მომსახურების წარმოების უნარზე. მწარმოებლურობა თავის მხრივ, დამოკიდებულია ფიზიკური კაპიტალის, ადამიანური კაპიტალის, ბუნებრივი რესურსების და ტექნოლოგიური ცოდნის გამოყენებაზე.

მთავრობის პოლიტიკას მრავალი გზით შეუძლია ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედების მოხდენა, როგორიცაა: დაზოგვისა და ინვესტირების ხელშეწყობა, უცხოური ინვესტიციების

მოზიდვა, განათლების სისტემის გაძლიერება, საკუთრების უფლებათა დაცვა და პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება, მოსახლეობის ზრდის კონტროლი, ახალი ტექნოლოგიების განვითარება, მეცნიერული კვლევების ხელშეწყობა და სხვა.

დაზოგვისა და ინვესტირების ხელშეწყობა. იმისთვის, რომ საზოგადოებამ მეტი ინვესტირება შეძლოს, დღეს ნაკლები უნდა მოიხმაროს და მეტი შემოსავალი დაზოგოს. ეკონომიკური ზრდა სწორედ კაპიტალის დაგროვების შედეგია. საჭიროა, რომ საზოგადოებამ დათმოს საქონლისა და მომსახურების დღევანდელი მოხმარება, რათა მომავალში მეტი მოიხმაროს. ეს კი გრძელვადიან პერიოდში ცხოვრების დონის ამაღლების ხელშეწყობის მნიშვნელოვანი პირობაა.

ასევე უცხოური ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ერთ–ერთი გზაა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ინვესტიციების სარგებლობის ნაწილი ისევ უცხოეთში ბრუნდება, იგი მაინც ზრდის კაპიტალის მარაგს, რაც უფრო მაღალ მწარმოებლურობას და ცხოვრების უფრო მაღალ დონეს უზრუნველყოფს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ უცხოური ინვესტიციები ღარიბ ქვეყნებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ უახლესი ტექნოლოგიები, რომელთაც მდიდარი ქვეყნები ქმნიან. ამის გამოა, რომ ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მთავრობები მხარს უჭერენ უცხოეთიდან ინვესტიციების მოზიდვას. ამ პროცესს საერთაშორისო ორგანიზაციებიც უწყობს ხელს, მათ შორის მსოფლიო ბანკი. იგი განაგებს თანხებს მსოფლიოს მაღალგანვითარებული ქვეყნებიდან, როგორიცაა აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იაპონია, საფრანგეთი და სხვა. მსოფლიო ბანკი, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდან ერთად დაარსდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რეკომენდაციას აძლევს დაბალგანვითარებულ ქვეყნებს, თუ როგორ გამოიყენონ მაქსიმალურად ეფექტიანად ეს თანხები, როგორ დააღწიონ თავი ეკონომიკურ გაჭირვებას, პოლიტიკურ არეულობას, დაძაბულობას და სამხედრო კონფლიქტებს. მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის დანიშნულება ამ გლობალური მიზნების მიღწევაა.

განათლებას, ადამიანური კაპიტალის განვითარებას თანამედროვე მსოფლიოში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. დღეს, როგორც არასდროს საჭიროა კვალიფიციური კადრები, რომლებიც შეძლებენ მაღალი ტექნოლოგიების დაუფლებას და გამოყენებას. მსოფლიოს მრავალი ეკონომისტი ამტკიცებს, რომ ადამიანურ კაპიტალს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური ზრდისათვის, იგი დადებითი გარეგანი ეფექტით ხასიათდება. გარეგანი ეფექტი ერთი პირის ქმედების გავლენაა სხვა პირის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. განათლებულ ადამიანს შეუძლია ახალი იდეების ჩამოყალიბება, რაც საზოგადოების წინსვლას შეუწყობს ხელს. ეს იდეები განათლებიდან მიღებული დამატებითი სარგებლობაა. ამ შემთხვევაში განათლებიდან მიღებული უკუგება გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე დანახარჯები. ამიტომ ღარიბი ქვეყნები თავიანთ სტუდენტებს ხშირად უცხოეთში გზავნიან, რათა მათ შემდეგ თავიანთი ცოდნა საკუთარ ქვეყანას მოახმარონ. საწინააღმდეგო შედეგს ვიღებთ, როცა ღარიბი ქვეყნებიდან ხდება მაღალი ინტელექტის ადამიანების გადინება, რაც ამ ქვეყანას უფრო მეტ სიღარიბეში ტოვებს.

საკუთრების უფლებები და პოლიტიკური სტაბილურობა. საბაზრო ეკონომიკა კერძო საკუთრებაზეა დაფუძნებული, რასაც მუდმივად სჭირდება დაცვა და პოლიტიკური სტაბილურობა, სათანადო სამართლებრივი ბაზა გარანტიას უნდა აძლევდეს მესაკუთრეს, რომ მისი ქონება დაცული და ხელშეუხებელი იქნება. ეკონომიკური კეთილდღეობა ძირითადად პოლიტიკურ სტაბილურობაზეა დაფუძნებული. ქვეყანას, სადაც ეფექტიანი სასამართლო სისტემა, პა-

ტიოსანი მთავრობა და სტაბილური კონსტიტუცია არსებობს, ცხოვრების უფრო მაღალი დონე ექნება, ვიდრე კორუმპირებულ მთავრობას ხშირი რევოლუციებით და გადატრიალებებით.

მეცნიერული კვლევები და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. ამ საქმეში მთავრობა უნდა ასრულებდეს პრიორიტეტულ როლს. შეერთებული შტატების მთავრობა ამ როლს დიდი ხანია ასრულებს. საუკუნის წინ აშშ–ს მთავრობამ დააფინანსა აგრარული მეურნეობის მეთოდებთან დაკავშირებული კვლევები და შედეგმაც არ დააყოვნა. დღეს ამერიკის მოსახლეობის 2 % კვებავს მთელს ქვეყანას სოფლის პროდუქტებით და საექსპორტოდაც გააქვს. ასეთივე მაღალ შედეგებს მიაღწიეს საჰაერო ფლოტისა და ნასას მეშვეობით, რის შედეგადაც აშშ მსოფლიო ლიდერია რაკეტებისა და თვითმფრინავების წარმოებაში. მეცნიერულ კვლევებს დიდად უწყობს ხელს საპატენტო სისტემაც. მთავრობა პატენტს გასცემს გამოგონებაზე, რაც გამომგონებელს გარკვეული პერიოდის განმავლობაში ამ პროდუქტის წარმოების ექსკლუზიურ უფლებას აძლევს. ეს კი აძლიერებს მეცნიერული კვლევების წარმოების სტიმულებს.

მოსახლეობის ზრდა. მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ერთის მხრივ, საქონლისა და მომსახურების მწარმოებელ მეტ სამუშაო ძალას გულისხმობს, მეორეს მხრივ –უფრო მეტ მომხმარებელსაც. მეცნიერები ხშირად კამათობენ მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით. საქართველო პატარაა ქვეყანაა მცირერიცხოვანი ქართველებით, რომელსაც აუცილებლად სჭირდება გამრავლება. ხოლო ჩინეთი, რომლის მოსახლეობა 1 მლრდ 300 მლნ –ს აღწევს, მსოფლიოში ყველაზე ხალხმრავალი ქვეყანაა. დედამიწაზე ყოველი მეხუთე ადამიანი ჩინელია. ჩინეთში ყოველწლიურად 50 000 ბავშვი იბადება. დემოგრაფიული პრობლემის გამო, მთავრობამ მიიღო ისეთი კანონები, რომლებიც შობადობის დონის შემცირებას უწყობს ხელს. იკრძალება 20 წლამდე ქორწინება და ორ შვილზე მეტის გაჩენა.

ინგლისელმა ეკონომისტმა ტომას რობერტ მალთუსმა (1766–1834) ჩამოაყალიბა მოსაზრება, რომ მოსახლეობის მუდმივი ზრდა აღემატება დედამიწის რესურსულ შესაძლებლობას, გამოკვებოს კაცობრიობა, რის გამოც კაცობრიობა სამუდამო სიღატაკისათვის და შიმშილისათვის არისო განწირული. საბედნიეროდ მალთუსის თეორია რეალობისაგან შორს აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 200 წლის მანძილზე მოსახლეობა ბ–ჯერ გაიზარდა, მსოფლიოში ცხოვრების დონე ბევრად მაღალია. ეკონომიკის ზრდის გამო სიღარიბე გაცილებით იშვიათია, ვიდრე ეს მალთუსის დროს იყო.

კლებადი უკუგება და მკვეთრი ზრდის ეფექტი. კაპიტალი კლებადი უკუგებით ხასიათდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ფაქტორის რაოდენობის ზრდასთან ერთად მცირდება ფაქტორის დამატებითი ერთეულის სარგებლობა. ზღვრული პროდუქტის კლებადობა სწორედ მისი გამოხატულებაა. ამ თვისებიდან კიდევ ერთი ფაქტი გამომდინარეობს: მკვეთრი ზრდის ეფექტი. ეს თვისება იმას გულისხმობს, რომ დაბალგანვითარებული ქვეყანა ზრდის უფრო მეტ ტემპს აღწევს, ვიდრე მაღალგანვითარებული. ეს იმიტომ, რომ დაბალგანვითარებული ქვეყანა მოკლებულია მაღალ ტექნოლოგიებს და შესაბამისად მშრომელთა მწარმოებლურობა დაბალია, მაგრამ ახალი ტექნოლოგიების შეძენით და განათლების ამაღლებით მშრომელების მწარმოებლურობა სწრაფად იზრდება და ეს ქვეყანაც სრაფი ტემპით იწყებს განვითარებას.

ხოლო მაღალგანვითარებულ ქვეყანას უკვე მიღწეული აქვს მაღალი მწარმოებლურობისათვის და შემდგომი კაპიტალდაბანდება შედარებით მცირე ზრდას იწვევს.

თემა 5. უმუშევრობის არსი, მიზეზები და დაძლევის გზები

უმუშევრობა წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას, რომელიც თითოეულ ადამიანზე პირდაპირ და ძლიერ ზემოქმედებას ახდენს. დასაქმებულთათვის სამუშაოს დაკარგვა ნიშნავს ცხოვრების დონის დაცემას, რაც მათ სერიოზულ ფსიქოლოგიურ ტრამვას აყენებს. ამიტომ, არ არის გასაკვირი, რომ უმუშევრობის პრობლემა ხშირად პოლიტიკური დისკუსიის საგანი ხდება. პოლიტიკოსები ეკონომიკის მდგომარეობისა და ეკონომიკური პოლიტიკის წარმატების შეფასების მიზნით სარგებლობენ ე.წ. „სიღატაკის ინდექსით“, რომელიც მიიღება უმუშევრობისა და ინფლაციის დონეთა მაჩვენებლების ანალიზით.

ეკონომისტები სწავლობენ უმუშევრობას, რათა განსაზღვრონ მისი გამომწვევი მიზეზები და სრულყონ სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც გავლენას ახდენს დასაქმების დონეზე. სახელმწიფო პროგრამებიდან ზოგიერთი, მაგალითად, უმუშევართა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამა, აიოლებს მომავალში მათი შრომითი მოწყობის შესაძლებლობას. უმუშევრობაზე დაზღვევის პროგრამა ამსუბუქებს ცალკეულ ეკონომიკურ სირთულეებს, რომელსაც აწყდებიან უმუშევრები.

სხვა სახელმწიფო პროგრამები არაპირდაპირ ახდენენ გავლენას უმუშევრობის დონეზე. მაგალითად, ეკონომისტთა უმრავლესობა თვლის, რომ კანონები, რომლებიც ითვალისწინებენ მაღალ მინიმალურ ხელფასს, ინვევენ უმუშევრობის ზრდას. ავლენენ რა ამა თუ იმ სახელმწიფო პოლიტიკის არასასურველ თანდაყოლილ შედეგებს, ეკონომისტებს შეუძლიათ დახმარება გაუწიონ პოლიტიკოსებს უმუშევრობის პრობლემათა გადაჭრის ალტერნატიული ვარიანტების შეფასებაში. რეალურ სიტუაციებში, ყოველთვის არსებობენ პირები, რომლებიც მიეკუთვნებიან

შრომისუნარიანი მოსახლეობის კატეგორიას და არ ფლობენ მუდმივ სამუშაო ადგილს: ნებისმიერი საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელია უმუშევრობის გარკვეული დონე, უმუშევრობა არსებობს ყოველთვის.

უმუშევრობის ბუნებრივი დონე წარმოადგენს საშუალო დონეს, რომლის გარშემოც განიცდის რყევებს მისი რეალური დონეები. (მოცემულ შემთხვევაში უმუშევრობის ბუნებრივი დონე თითოეულ წელს განისაზღვრება, როგორც უმუშევრობის დონეთა საშუალო არითმეტიკული წინა 10 და მომდევნო 10 წლისათვის). ამრიგად, **უმუშევრობის ბუნებრივი დონე** უმუშევრობის ჩვეული დონეა კონკრეტული ეკონომიკისათვის.

ციკლური უმუშევრობა კი უმუშევრობის ბუნებრივი დონიდან ყოველწლიურ გადახრას ასახავს და და მჭიდროდაა დაკავშირებული საქმიანი აქტივობის ზრდასა და შემცირებასთან გრძელვადიან პერიოდში. ნახ. 5.1–ზე ნაჩვენებია აშშ-ში უმუშევრობის დონის, ე.ი. სამუშაო ძალაში უმუშევართა ხვედრითი წილის ცვლილებები 1945-2000 წლებში. როგორც წარმოდგენილი სქემიდან ჩანს, უმუშევრობა არასოდეს ქრება, თუმცა უმუშევართა რაოდენობა მერყეობს წლიდან წლამდე. ამჯერად, უმუშევრობის შესწავლას დავიწყებთ მისი არსებობის მიზეზების და მისი დონეების განმსაზღვრელი ფაქტორების განხილვით. (ნახ.5.1.)

5.1. უმუშევრობის დონის განსაზღვრა

ყოველდღიურად ესა თუ ის მომუშავე ნებაყოფლობით თავისუფლდება ან ათავისუფლებენ სამსახურიდან, ხოლო ზოგიერთი პირიქით – პოულობს მას. უმუშევართა რიგებში ინდი-

ვიდთა მუდმივი მოდინება და მისგან გადინება განსაზღვრავს უმუშევრობის მდგომარეობაში მყოფი სამუშაო ძალის ხვედრით წილს. ამ პარაგრაფში ნაჩვენებია სამუშაო ძალის დინამიკის მოდელი, რომელიც გვიჩვენებს უმუშევრობის ბუნებრივი დონის განმსაზღვრელ ფაქტორებს.

– ით აღვნიშნოთ სამუშაო ძალა;

– მომუშავეთა რაოდენობა, დასაქმებულები;

– უმუშევართა რაოდენობა.

რამდენადაც ნებისმიერი შრომისუნარიანი ადამიანი ან მომუშავეა, ან უმუშევარი,

ამიტომ $L = E + U$;


სამუშაო ძალა წარმოადგენს დასაქმებულთა და უმუშევართა რაოდენობის ჯამს. უმუშევრობის დონე ტოლი იქნება U / L.

უმუშევრობის დონე = (უმუშევართა რაოდენობა / სამუშაო ძალაზე) X 100%.

უმუშევრობის დონე წარმოადგენს უმუშევართა პროცენტულ რაოდენობას სამუშაო ძალაში.

უმუშევრობის დონის განმსაზღვრელ ფაქტორებზე ყურადღების კონცენტრაციის მიზნით დავუშვათ, რომ ერთობლივი სამუშაო ძალის სიდიდე უცვლელია. ინდივიდთა გადასვლა დასაქმებულთა თანრიგიდან უმუშევართა თანრიგში და პირიქით, მოცემულია ნახ. 5. 2-ზე.

დავუშვათ, S – მომუშავეთა განთავისუფლების დონის მაჩვენებელია, ე.ი. დასაქმებულთა ხვედრითი წილი, რომლებიც ყოველთვიურად კარგავენ სამუშაოს, f – შრომითი მოწყობის დონის მაჩვენებელია, ე.ი. უმუშევართა ხვედრითი წილი, რომლებიც ყოველთვიურად პოულობენ სამუშაოს. თუ დავუშვებთ, რომ ორივე ეს მაჩვენებელი მუდმივია, მაშინ დავრწმუნდებით, რომ სწორედ ისინი განსაზღვრავენ უმუშევრობის დონეს.



ნახ. 5.1. უმუშევრობის საერთო და ბუნებრივი დონე აშშ-ში.

დროის ყოველი განსაზღვრული მომენტისათვის დასაქმებული მოსახლეობის ნაწილი S კარგავს თავის სამუშაო ადგილს, ხოლო უმუშევართა ნაწილი f – პოულობს მას. შრომითი მოწყობისა და სამუშაოდან განთავისუფლების მაჩვენებლები განსაზღვრავენ უმუშევრობის დო-

ნეს. თუ უმუშევრობის დონე არ იცვლება, ე.ი. შრომის ბაზარი იმყოფება მდგრად მდგომარეობაში, მაშინ დაქირავებულთა რიცხვი უნდა უტოლდებოდეს განთავისუფლებულთა რიცხვს. უმუშევართა დონე U/L დამოკიდებულია შრომითი მოწყობისა და სამუშაოდან განთავისუფლების დონეთა მაჩვენებლებზე. რაც უფრო მაღალია განთავისუფლების დონე, მით უფრო მაღალია უმუშევრობა, ხოლო რაც უფრო მაღალია შრომითი მოწყობა, მით უფრო დაბალია უმუშევრობა.

უმუშევრობის ბუნებრივი დონის მოცემული მოდელიდან გამომდინარეობს საკმაოდ მარტივი, მაგრამ მნიშვნელოვანი დასკვნა. ნებისმიერმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომელიც მიმართულია უმუშევრობის ბუნებრივი დონის შემცირებისაკენ, უნდა უზრუნველყოს ან განთავისუფლების დონის შემცირება, ან შრომითი მოწყობის დონის ზრდა. შესაბამისად, ნებისმიერი პოლიტიკა, რომელიც ზემოქმედებს მითითებულ მაჩვენებლებზე, ცვლის უმუშევრობის ბუნებრივ დონეს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მოდელი გვიჩვენებს უმუშევრობის, განთავისუფლების დონის და შრომითი მოწყობის დონის მაჩვენებლებს შორის კავშირს, ის არ იძლევა საკვანძო კითხვაზე პასუხს: მაინც რატომ არსებობს ისეთი მოვლენა, როგორიცაა უმუშევრობა? თუ ადამიანი შეძლებდა ნებისმიერ მომენტში სამუშაოს სწრაფად მოძებნას, შრომითი მოწყობის დონე იქნებოდა ძალიან მაღალი, ხოლო უმუშევრობის დონე – ნულთან ახლოს მყოფი. უმუშევრობის აღნიშნული მოდელი გულისხმობს, რომ სამუშაოს პოვნის პროცესი გრძელდება გარკვეული დროის განმავლობაში, მაგრამ არ გვიხსნის თუ რატომ. ქვემოთ განვიხილავთ უმუშევრობის ძირითად სახეებს.

5.2. ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობა

შესაფერისი სამუშაო ადგილების ძებნა მოითხოვს გარკვეულ დროსა და ძალისხმევას. უმუშევრობის ერთ-ერთი მიზეზი თავისუფალი სამუშაო ადგილების მოძიებისათვის საჭირო დროის არსებობის აუცილებლობაში მდგომარეობს. მომუშავეებს სხვადასხვა მიდრეკილებები და უნარი გააჩნიათ, ხოლო ყოველ კონკრეტულ სამუშაო ადგილს წაეყენება გარკვეული პროფესიული მოთხოვნილებები. გარდა ამისა, ინფორმაციის გავრცელების სისტემა ვაკანსიებზე და სამუშაო ადგილებზე პრეტენდენტების თაობაზე არასრულყოფილია, ხოლო მომუშავეთა გეოგრაფიული გადაადგილება არ შეიძლება მომენტალურად მოხდეს. შესაფერისი სამუშაო ადგილების ძებნა მოითხოვს გარკვეულ დროსა და ძალისხმევას. რამდენადაც სამუშაო ადგილები განსხვავდებიან როგორც სირთულის, ისე ანაზღაურების მხრივ, უმუშევარს შეუძლია უარი თქვას პირველად შემოთავაზებულ ვაკანსიაზე.

განასხვავებენ ფრიქციულ და სტრუქტურულ უმუშევრობას. უმუშევრობას, რომელიც დაკავშირებულია შესაფერისი კვალიფიკაციის, უნარის და გემოვნების სამსახურის ძებნასთან, **ფრიქციული უმუშევრობა** ეწოდება.

სტრუქტურული უმუშევრობა დაკავშირებულია ისეთ პროცესთან, რომლის დროსაც ზოგიერთ ბაზარზე წარმოშობილია სამუშაო ადგილების სიმცირე სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობასთან შედარებით.

ფრიქციული უმუშევრობის გარკვეული დონე გარდაუვალია მუდმივად ცვალებადი საბაზრო ეკონომიკის პირობებში. მოთხოვნა სხვადასხვა საქონელზე მუდმივად მერყეობს, რაც თავის მხრივ იწვევს ამ საქონლის მწარმოებელი მომუშავეების შრომაზე არსებული მოთხოვნის ცვლილებებს. მაგალითად, პერსონალური კომპიუტერების დანერგვამ, შეამცირა მოთხოვნა სა-

ბეჭდ მანქანებზე, რამაც თავის მხრივ შეამცირა საბეჭდი მანქანების მწარმოებელ საწარმოებში შრომაზე მოთხოვნაც. ერთდროულად გაიზარდა შრომაზე მოთხოვნა ელექტრონულ მრეწველობაში. შემდგომ, რამდენადაც რეგიონები აწარმოებენ სხვადასხვა საქონელს, შრომაზე მოთხოვნა შეიძლება გაიზარდოს ერთდროულად ქვეყნის ერთ ნაწილში და შემცირდეს მეორეში. მაგალითად, ნავთობზე ფასების ზრდამ, შეიძლება გამოიწვიოს სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ზრდა ნავთობმომპოვებელ შტატებში, ისეთი როგორიცაა ტეხასი და მოთხოვნის შემცირება იმ შტატებში, სადაც განვითარებულია საავტომობილო მრეწველობა, მაგალითად, მიჩიგანში. ეკონომისტები დარგებისა და რეგიონების მიხედვით შრომაზე მოთხოვნის სტრუქტურაში ამგვარ ცვლილებებს უწოდებენ სტრუქტურულ ძვრებს.

სტრუქტურული ძვრები ხორციელდება მუდმივად და მომუშავეებს ჭირდებათ გარკვეული დრო სამუშაოს შესაცვლელად, ფრიქციული უმუშევრობა მდგრადი ხასიათისაა. სტრუქტურული ძვრები არ წარმოადგენს მომუშავეთა მუდმივი გამოთავისუფლებისა და ფრიქციული უმუშევრობის ერთადერთ მიზეზს. გარდა ამისა, მომუშავეები მისდა უნებურად აღმოჩნდებიან ხოლმე განთავისუფლებულნი იმ შემთხვევაში, თუ ფირმა გაკოტრდება, ან მათი მუშაობის ხარისხი არ აკმაყოფილებს კომპანიას და მათი კონკრეტული კვალიფიკაცია უკვე არ არის საჭირო. მომუშავეები თავისუფლდებიან სამსახურიდან საკუთარი სურვილისამებრ პროფესიული ინტერესების შეცვლასთან ან ქვეყნის სხვა რაიონში გადასვლასთან დაკავშირებით. ვიდრე შენარჩუნებულია შრომის ბაზარზე მიწოდებისა და მოთხოვნის დარგთაშორისი რყევები, ფრიქციული უმუშევრობა გარდაუვალია.

სახელმწიფო პროგრამების ერთ-ერთი მიზანია უმუშევრობის ბუნებრივი დონის შემცირება ფრიქციული უმუშევრობის შემცირებით. დასაქმების სახელმწიფო სამსახურები ავრცელებენ ინფორმაციებს არსებულ ვაკანსიებზე უმუშევართა მიერ სამუშაოს პოვნის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. პროფესიული გადამზადების სახელმწიფო პროგრამები მოწოდებულია შეამსუბუქოს მომუშავეთა გადასვლა შემცირებადი დარგებიდან სწრაფად ზრდად დარგებში. რამდენადაც აღნიშნული პროგრამები უზრუნველყოფენ შრომითი მოწყობის დონის ზრდას, იმდენად ამცირებენ უმუშევრობის ბუნებრივ დონეს.

ამ პროგრამებისგან განსხვავებით, უმუშევრობაზე დაზღვევის სისტემა წარმოადგენს სახელმწიფო პროგრამას, რომელიც ზრდის ფრიქციულ უმუშევართა რიცხვს. ამ პროგრამებით უმუშევრებს სამუშაოს დაკარგვის შემდეგ შეუძლიათ ნაწილობრივ მიიღონ ხელფასი გარკვეული დროის განმავლობაში.

მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობაზე შემწეობის გადახდის კონკრეტული პირობები იცვლება დროისა და ადგილის მიხედვით, ტიპიური ამერიკელი მომუშავე, რომელიც სარგებლობს უმუშევრობაზე დაზღვევის პროგრამით, 26 კვირის განმავლობაში ღებულობს თავისი ბოლო ხელფასის 50%-ს. ხშირად ბევრი პოლიტიკოსი თავის გამოსვლებში, რომლებიც ეხება ეკონომიკურ პრობლემებს, იხსენებს „ეკონომიკის შვედურ მოდელს", როგორც ქვეყნის განვითარების ერთადერთ სწორ გზას. შვედეთი, დანია, ჰოლანდია და სხვა, მაინც რის ხარჯზე მიაღწია ასეთ შედეგებს ამ ქვეყნებმა? მაგალითად, ჰოლანდიაში უმუშევარი ექვსი თვის განმავლობაში იღებს თავისი ხელფასის 80%-ს, შემდგომი ორი წლის განმავლობაში კი– 75 %-ს. შვედეთი თავის მოქალაქეებს სთავაზობს კარგ შეღავათებს. მაგალითად, უმუშევრობის შემცირების მიზნით, შვედეთის მთავრობა გამოყოფს 5,25 დოლარს ხელფასზე იმ მომუშავეებისათვის, რომლებიც უნდა დაეთხოვათ სამსახურიდან. მკურნალობა საავადმყოფოში ღირს მხოლოდ 4 დოლარი. კბილების მკურნალობა ბავშვებისათვის უფასოა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნებში გადასახადების განაკვეთი მაღალია. ამიტომ ბევრი პოლიტიკოსი აღიარებს მაღალი გადასახადების ნაკლოვან მხარეს და მათი შემცირებისაკენ მოუწოდებს. ჰოლანდიაში დანიის მსგავსად, უკანასკნელ

პერიოდში შეამცირეს გადასახადის მაქსიმალური განაკვეთი 82–დან 75%–მდე. ამგვარად, არაფერი არ არსებობს იდეალური.

ბოლო დროს სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება უმუშევრობაზე დაზღვევა.

ამსუბუქებს რა სამუშაოს დაკარგვით გამოწვეულ ეკონომიკურ შედეგებს, უმუშევრობაზე დაზღვევა ერთდროულად ზრდის ფრიქციულ უმუშევართა რაოდენობას და შესაბამისად, უმუშევრობის ბუნებრივ დონეს. უმუშევრები, რომლებიც ღებულობენ შემწეობას, არც თუ აქტიურად ეძებენ სამუშაოს და ხშირად უარყოფენ მათი თვალსაზრისით არამიმზიდველ წინადადებებს, რაც ამცირებს უმუშევართა დაქირავების ტემპს. გარდა ამისა, უმუშევრობაზე დაზღვევის სისტემების არსებობა, ნებას აძლევს მეწარმეებს იოლად წავიდნენ მომუშავეთა განთავისუფლებაზე, რითაც ზრდიან სამუშაოდან დათხოვნის ტემპის მაჩვენებელს.

ის ფაქტი, რომ უმუშევრობაზე დაზღვევა ზრდის მის ბუნებრივ დონეს, თავისთავად არ ნიშნავს ამ პოლიტიკის მიუღებლობას. მისი დადებითი მხარეა ის, რომ უმუშევრებს უზრუნველყოფს გარკვეული შემოსავლით. უფრო მეტიც, ნებას აძლევს რა მომუშავეებს უარი თქვან არამიმზიდველ სამუშაოზე, ეს პოლიტიკა, შეიძლება ითქვას, რომ სამუშაო ძალის მახასიათებლებსა და სამუშაო ადგილების სტრუქტურებს შორის უფრო ზუსტ შესაბამისობას ამყარებს. უმუშევრობაზე დაზღვევის სხვადასხვა სისტემის შედარებითი შედეგიანობისა და ღირებულების შეფასება საკმაოდ რთული პრობლემაა და სერიოზული კვლევის საგნად რჩება.

ეკონომისტები, რომლებიც სწავლობენ უმუშევრობაზე დაზღვევის საკითხებს, უმუშევართა რიცხვის შემცირების მიზნით ხშირად ამ სისტემის რეფორმირებას გვთავაზობენ. შემოთავაზებულ წინადადებებს შორის ერთ-ერთი ითვალისწინებს შემდეგ მოთხოვნას: ფირმამ, რომელმაც გაათავისუფლა მომუშავე, უნდა გადაიხადოს უმუშევრობაზე დაზღვევა სრული მოცულობით. ასეთ სისტემას ეწოდება 100%-ანი კომპენსაციის სისტემა, რამდენადაც ყოველი ფირმის მიერ უმუშევრობაზე დაზღვევის ფონდში შენატანები ზუსტად ასახავენ უმუშევრობის მასშტაბებს. უმრავლესობა მოქმედ პროგრამათაგან ეფუძნება ნაწილობრივი კომპენსაციის სისტემას, რომლის თანახმადაც ფირმა, სადაც ათავისუფლებენ მომუშავეებს, ამ მომუშავის უმუშევრობაზე მომავალი შემწეობის მხოლოდ ნაწილს იხდის. რამდენადაც ფირმას ტვირთად აწვება გათავისუფლებულ მომუშავეთა საარსებო დონის შენარჩუნებისათვის დანახარჯების მხოლოდ ნაწილი, იმდენად მისთვის მომგებიანია მოთხოვნის დროებითი შემცირების დროს გათავისუფლდეს ჭარბი სამუშაო ძალისაგან. კომპენსაციის სიდიდის ზრდამ შეიძლება შეზღუდოს ფართოდ გავრცელებული დროებითი დათხოვნები.


შეიძლება გავიხსენოთ, რომ უმუშევრობა დიდ ბრიტანეთში ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში მუდმივად იმყოფებოდა მაღალ დონეზე. 1920-1938 წლებში უმუშევრობის დონე საშუალოდ შეადგენდა 14%-ს და არასოდეს დაშვებულა 9%-ან ზღვარს ქვემოთ.

ეკონომისტებმა დანიელ ბენჯამინმა და ლევის კოჩინმა გამოთქვეს ვარაუდი იმის შესახებ, რომ დიდ ბრიტანეთში უმუშევრობის მაღალი დონე მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო უმუშევრობაზე მაღალი შემწეობებით. თავიანთი თვალსაზრისის მართებულობის დასტურად მათ მოიყვანეს სამი ფაქტი. პირველი, მათ აღმოაჩინეს, რომ დიდ ბრიტანეთში უმუშევრობაზე გაწეული შემწეობების ანაზღაურებათა ზრდას 1920-1938 წლებში თან ერთვოდა უმუშევრობის დონის ზრდა. მეორე, მათ მიქციეს ყურადღება იმას, რომ უმუშევრობის დონე მოზარდებს შორის, რომლებიც უმუშევრობაზე ნაკლებ შემწეობას ღებულობდნენ ან საერთოდ არ ღებულობდნენ, გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე უფროსი ასაკის მოსახლეობაში. მესამე, მათ აჩვენეს, რომ როცა 1932 წელს შემწეობა დაოჯახებულ ქალებზე შემცირდა, უმუშევრობის დონე მათ შორის შესამჩნევად შემცირდა მამაკაცებს შორის არსებულ უმუშევრობის დონესთან შე-

დარებით. მოყვანილი ფაქტები განიხილებოდა როგორც უმუშევრობაზე შემწეობის სიდიდესა და უმუშევრობის დონეს შორის პირდაპირი კავშირის არსებობის დასტური.

აღნიშნული ახსნა ფართო დისკუსიის საგანი გახდა ეკონომისტებს შორის, რომლებიც სწავლობდნენ აღნიშნულ პერიოდს. საქმე ისაა, რომ ფაქტიური მონაცემები, რომლებიც ეხება უმუშევრობაზე შემწეობის სიდიდეს და უმუშევრობის დონეს, შეიძლება ასახავდეს ორ სხვადასხვა მიზეზობრივ ურთიერთკავშირს – ეკონომიკურს და პოლიტიკურს. ერთი მხრივ, რაც უფრო მეტია შემწეობის დონე, მით უფრო მეტია ვარაუდი იმისა, რომ უმუშევარი უარს იტყვის არამიმზიდველ სამუშაო ადგილზე, რაც იწვევს ფრიქციული უმუშევრობის დონის ზრდას. მეორე მხრივ, რაც უფრო მაღალია უმუშევრობის დონე, მით უფრო ძლიერ ზეგავლენას ახდენს ის პოლიტიკოსებზე და მთავრობაც მით უფრო მაღალი შემწეობების გადახდას ამჯობინებს. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, რომ სწორედ მაღალ უმუშევრობას შეეძლო გამოეწვია უმუშევრობაზე შემწეობის სიდიდის ზრდა და არა პირიქით. ვაკვირდებით რა ემპირიულ კავშირს უმუშევრობასა და უმუშევრობაზე შემწეობების სიდიდეებს შორის, არ შეგვიძლია საკმარისი მტკიცებით ვთქვათ, რომ ამ ორ მოვლენას შორის არსებობს ეკონომიკური ან პოლიტიკური ურთიერთკავშირი ან მათი ზოგიერთი კომბინაცია. სამუშაოს ძებნის პროცესზე ეკონომიკური სტიმულების გავლენის თაობაზე დამატებითი მტკიცება გამოვლენილი იქნა ექსპერიმენტის მსვლელობისას, რომელიც ჩატარდა ილინოისის შტატში 1985 წელს. თვითნებურად არჩეულ პრეტენდენტებს უმუშევრობაზე შემწეობის მიღებაზე დამატებით შეპირდნენ 500 დოლარის ოდენობის ჯილდოს, თუ ისინი მოძებნიდნენ სამუშაოს 11 კვირის განმავლობაში. შემდგომ მათი აქტივობა ახალი სამუშაო ადგილების ძებნაში ედრებოდა ანალოგიურ საკონტროლო ჯგუფს, სადაც არავითარი დამატებითი ჯილდო არ იყო ნაგულისხმევი. უმუშევრად ყოფნის საშუალო პერიოდი იმ პირთათვის, რომლებიც შედიოდნენ პირველ ჯგუფში, შეადგენდა 17 კვირას, განსხვავებით 18,3 კვირისა მეორე საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. ამ ექსპერიმენტმა თვალნათლივ უჩვენა, რომ ეკონომიკურმა სტიმულებმა უმუშევრობაზე დაზღვევის სახით არ შეიძლება არ მოახდინოს გავლენა სამუშაო ადგილების ძებნის აქტივობაზე და შრომითი მოწყობის მაჩვენებელზე.

უმუშევრობის მეორე მიზეზია ხელფასის სიხისტე, ე.ი. მოუქნელობა, შრომის მიწოდებისა და მოთხოვნის შესაბამისობაში მოსაყვანად. შრომის ბაზრის წონასწორულ მოდელში რეალური ხელფასი იცვლება როგორც ზრდადობის, ისე შემცირების მიმართულებით, რაც აწონასწორებს მოთხოვნას და მიწოდებას. მაგრამ სინამდვილეში ხელფასი ყოველთვის არ არის საკმარისად მოქნილი. ხშირად რეალური ხელფასი ერთგვარად „იჭედება“ წონასწორულ დონეზე მაღლა. ნახ. 5.4. გვიჩვენებს იმას, თუ რატომ იწვევს ხელფასის სიხისტე უმუშევრობას. როდესაც რეალური ხელფასი იმყოფება მოთხოვნა-მიწოდების წონასწორულ დონეზე მაღლა, ბაზარზე შრომის მიწოდება აჭარბებს მასზე არსებულ რეალურ მოთხოვნას. ფირმებს უწევთ ასე თუ ისე გაანაწილონ ყველა პრეტენდენტს შორის სამუშაო ადგილების არასაკმარისი რაოდენობა. ამიტომ რეალური ხელფასის სიხისტე ამცირებს შრომითი მოწყობის ალბათობის მაჩვენებელს და ზრდის უმუშევრობის დონეს. უმუშევრობა, რომელიც წარმოშობილია ხელფასის სიხისტის და, აქედან გამომდინარე, სამუშაო ადგილების უკმარისობის შედეგად, ცნობილია როგორც **სტრუქტურული უმუშევრობა.** მომუშავეები უმუშევრები ხდებიან არა იმიტომ, რომ მათ სურთ სამუშაოს პოვნა, რომელიც უკეთ შეესაბამება მათ კვალიფიკაციას, არამედ იმიტომ, რომ არსებული ხელფასის დონის პირობებში შრომის მიწოდება აჭარბებს ფირმების მხრიდან შრომაზე მოთხოვნას. უმუშევრები უბრალოდ ელოდებიან სამუშაოს მიღების შესაძლებლობას.



ნახ. 5.4. მინიმალური ხელფასის კანონი იწვევს სამუშაო ადგილების უკმარისობას.

თუ რეალური ხელფასი „იჭედება“ წონასწორულ დონეზე მაღლა, მაშინ შრომის ბაზარზე მიწოდება აჭარბებს მოთხოვნას. შედეგი იქნება უმუშევრობა. გრაფიკზე აღნიშნულია, რომ შრომის მიწოდება არის Ls-ის ტოლი, ხოლო შრომაზე მოთხოვნა არის LD-ის ტოლი. შედეგად Ls –LD ქმნის უმუშევრობას.

არაკვალიფიციური შრომის ბაზარზე რეალური ხელფასის დონე იმყოფება წონასწორობის წერტილზე მაღლა, ხოლო შრომის მიწოდება აჭარბებს მოთხოვნას, სამუშაოს მიმცემთაგან ლოგიკური იქნება ველოდოთ მათ მიერ გადასახდელი ხელფასის შემცირებას. მაგრამ ფირმებს არ ძალუძთ ხელფასის დონის შემცირება, მიუხედავად შრომის მიწოდების სიჭარბისა მინიმალური ხელფასის კანონის გამო.

განვიხილოთ ხელფასის სიხისტის სამი მიზეზი:

1. მინიმალური ხელფასის კანონი;
2. პროფკავშირთა მონოპოლიური ძალების არსებობა;
3. ფირმების მიერ ეფექტიანი ხელფასის დაწესება.

5. 3. მინიმალური ხელფასის კანონი.

ამგვარად, ვნახეთ, რომ ეკონომიკაში ყოველთვის არსებობს უმუშევრობის გარკვეული დონე. უმუშევრობის ახსნას ხელს უწყობს უმუშევრობის დაზღვევა, მინიმალური ხელფასის კანონი, პროფკავშირები და ეფექტიანი ხელფასები. რთულია იმის მტკიცება, უმუშევრობის ბუნებრივი დონის ამ ოთხი მიზეზიდან რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკისათვის.

უმუშევრობის დაზღვევა სამთავრობო პროგრამაა, რომელიც მართალია მშრომელთა შემოსავლებს იცავს, მაგრამ ზრდის სამუშაოს ძებნით გამოწვეულ უმუშევრობის ხანგრძლივობას. ამ შემთხვევაში უმუშევრობის მიზეზი ხდება უფრო დიდი დრო, რომელსაც მშრომელები საკუთარი გემოვნებისა და კვალიფიკაციისათვის შესაფერისი სამუშაო ადგილის ძებნას ანდომებენ.

უმუშევრობის მეორე მიზეზი მინიმალური ხელფასის კანონია. არაკვალიფიციური და გამოუცდელი მშრომელებისათვის წონასწორულზე მაღალი ხელფასის გადახდით მინიმალური ხელფასის კანონი შრომის მიწოდების რაოდენობას ზრდის და შრომაზე მოთხოვნის რაოდენობას ამცირებს. ჩნდება შრომის ჭარბი მიწოდება, რაც უმუშევრობას ასახავს. (ნახ. 5.4.)

უმუშევრობის მესამე მიზეზს პროფკავშირების გადაჭარბებული ძალაუფლება იწვევს. როდესაც ისინი ითხოვენ დაბალი კვალიფიკაციის მშრომელებისათვის წონასწორულ ხელფასზე მაღალი ხელფასის გადახდას, იზრდება არაკვალიფიციური შრომის მიწოდება.

უმუშევრობის გამომწვევ მეოთხე მიზეზად ეფექტიანი ხელფასები, ანუ სტიმულირებადი ხელფასები ითვლება. ეფექტიანი ხელფასების თეორიის თანახმად, ფირმებისათვის მომგებიანია წონასწორულზე მაღალი ხელფასების გადახდა, რაც იწვევს მშრომელთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, ამცირებს მშრომელთა დენადობას, იზრდება მომუშავეთა ძალისხმევა და მაღლდება მათი კვალიფიკაცია.

მთავრობა ხელს უწყობს ხელფასის სიხისტის შენარჩუნებას იმით, რომ წინ ეღობება მის შემცირებას წონასწორულ დონემდე. ხელფასის მინიმუმის კანონები აწესებენ ყველა ფირმისთვის ხელფასის სავალდებულო მინიმალურ განაკვეთებს. იმ დროიდან, როცა აშშ-ში 1938 წელს მიღებულ იქნა კანონი შრომის სამართლიან პირობებზე, აშშ-ს ფედერალური მთავრობა აწესებს ხელფასის მინიმალურ დონეს, რომელიც ჩვეულებისამებრ მერყეობს მრეწველობაში საშუალო ხელფასის 30-50 პროცენტის ფარგლებში. მომუშავეთა უმრავლესობისათვის ამ დონეს არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც ისინი გამოიმუშავებენ დაწესებულ მინიმუმთან შედარებით გაცილებით მეტს. მიუხედავად ამისა, ზოგირთი მომუშავისათვის, განსაკუთრებით არაკვალიფიცირებულებისა და გამოუცდელებისათვის, დაწესებული მინიმუმი ამაღლებს ხელფასს წონასწორობის დონეზე მაღლა, რაც ამცირებს მსგავს შრომაზე ფირმების მხრიდან მოთხოვნას.

მინიმალური ხელფასის კანონის შედეგად ჩნდება სტრუქტურული უმუშევრობა, რადგანაც სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა გარკვეულ ჯგუფებში აჭარბებს სამუშაო ადგილების რაოდენობას. ითვლება, რომ ხელფასის მინიმუმის დაწესება ყველაზე დიდ ზემოქმედებას ახდენს არაკვალიფიციურ მუშახელსა და მოზარდებს შორის უმუშევრობაზე, რამდენადაც მათი ხელფასის წონასწორული დონე ჩვეულებრივ დაბალია. ამას ორი მიზეზი გააჩნია. პირველი, რამდენადაც მოზარდები მიეკუთვნებიან სამუშაო ძალის ყველაზე ნაკლებად კვალიფიცირებულ და ნაკლებად გამოცდილთა ნაწილს, მათი შრომის ზღვრული პროდუქტი მცირეა. მეორე, მოზარდები ხშირად ღებულობენ განსაზღვრულ „კომპენსაციას“ არა ფულადი, არამედ თავიანთ სამუშაო ადგილზე უფასო პროფესიული სწავლების ფორმით. მოწაფეობის სისტემა წარმოადგენს ამის კლასიკურ მაგალითს. ამიტომ, ხელფასის წონასწორული დონე მოზარდთათვის დაბალია და ხელფასის მინიმუმის დაწესებას მათთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

მრავალი ეკონომისტი სწავლობს, თუ რა ზემოქმედებას ახდენს მინიმალური ხელფასი მოზარდთა დასაქმებაზე. მკვლევარები მინიმალური ხელფასის ცვლილებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში ადარებდნენ მოზარდთა დასაქმების დონის ცვლილებას. ამ გამოკვლევებმა უჩვენეს, რომ მინიმალური ხელფასის 10%-ით ზრდა მოზარდებს შორის დასაქმებას ამცირებდა დაახლოებით 1- 3%-ით.

მინიმალური ხელფასის კანონის მოზარდთა უმუშევრობაზე ზემოქმედების შემსუბუქების მიზნით ზოგიერთი ეკონომისტი და პოლიტიკოსი დიდი ხანია გამოდის მათი მოქმედების გავრცელების წინააღმდეგ ახალგაზრდა მომუშავეების შრომის ანაზღაურებაზე. ეს ქვეყანას საშუალებას მისცემდა დაესაქმებინა მოზარდები ხელფასის საბაზრო ოდენობით, შეემცირებინა მათ შორის უმუშევრობის დონე და ერთდროულად მიეცა მათთვის პროფესიული სწავლების და შრომითი გამოცდილების მიღების შესაძლებლობა. შეზღუდული ფორმით მსგავსი შესწორებები მიღებულ იქნა კანონში მინიმალური ხელფასის შესახებ 1990 წელს. თუმცა ამ პოლიტიკის მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომ ეს ფირმებს უბიძგებს ჩაანაცვლონ მოზარდებით არაკვალიფიცირებული უფროსი თაობის მომუშავეები, რაც გამოიწვევს უმუშევრობის ზრდას მოსახლეობის სხვა ჯგუფში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათი აზრით აღნიშნული ღონისძიება ზრდის მოზარდების დასაქმების და არა საერთო დასაქმების დონეს.

მინიმალური ხელფასის დონე წარმოადგენს უწყვეტი პოლიტიკური დისკუსიის წყაროს. მაღალი მინიმალური ხელფასის მომხრეები მას განიხილავენ, როგორც ხელმოკლე ოჯახების შემოსავლების ამაღლების საშუალებას. რა თქმა უნდა, მინიმალური ხელფასი უზრუნველყოფს ცხოვრების მხოლოდ ძალიან მწირ დონეს. მაგალითად, 1988 წელს საათში 3,35 დოლარის ოდენობის მინიმალური ხელფასის დროს მომუშავეს, რათა მიეღო ოფიციალური საარსებო მინიმუმი სამსულიან ოჯახზე, კვირაში 52 საათიანი მუშაობა უწევდა. მინიმალური ხელფასის ზრდის მოწინააღმდეგენი თვლიან, რომ ეს არ წარმოადგენს ხელმოკლეთა დახმარების საუკეთესო გამოსავალს. ჯერ ერთი, შრომის ანაზღაურებაზე დანახარჯების ზრდა ხელს შეუწყობს უმუშევრობის ზრდას, მეორე, დახმარება ნაწილობრივ წილად ხვდებათ არა იმ პირებს, რომლისთვისაც იყო გამიზნული. მრავალი მცირედ ანაზღაურებადი მომუშავე – ეს მოზარდებია საშუალო ფენიდან, რომლებიც ჯიბის ფულს გამოიმუშავებენ. დაახლოებით 5 მილიონ მომუშავეებში, რომლებიც ღებულობენ მინიმალურ ხელფასს, ოჯახის უფროსთა რაოდენობა 25%-ზე ნაკლებია, მაშინ, როცა მოზარდების ხვედრითი წილი 37%-ს აღწევს. ეკონომისტთა და პოლიტიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილი ვარაუდობს, რომ საგადასახადო კრედიტი წარმოადგენს უფრო სრულყოფილ საშუალებას ხელმოკლე მომუშავეთა დასახმარებლად. ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადზე შეღავათი მომუშავე ღარიბი ფენის ოჯახებისთვის შეამცირებს მათზე განკუთვნილ გადასახადებს გარკვეული თანხით. რაც უფრო ნაკლებია მათი შემოსავალი, მით უფრო მეტია მათზე განკუთვნილი შეღავათები. მინიმალური ხელფასის მომატებასთან შედარებით საგადასახადო შეღავათების შეთავაზება არ გაზრდის ფირმების დანახარჯებს შრომის ანაზღაურებაზე და შესაბამისად, არ შეამცირებს შრომაზე მოთხოვნას. ამგვარი პოლიტიკის ერთ-ერთი ნაკლი ისაა, რომ ის შეამცირებს სახელმწიფოს საგადასახადო შემოსავლებს.

პროფკავშირები და კოლექტიური შეთანხმებები. ხელფასის სიხისტის მეორე მიზეზი – ეს არის პროფკავშირთა მონოპოლიური ძალაუფლება. სამუშაო ძალის დაახლოებით ერთი მეხუთედი აშშ-ში გაერთიანებულია პროფკავშირებში. ამ მომუშავეთა ხელფასი განისაზღვრება არა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობით, არამედ პროფკავშირის ლიდერებსა და ფირმის ხელმძღვანელებს შორის მოლაპარაკებებით. შედეგად, მიღწეული კოლექტიური შეთანხმება ნაწილობრივ ამაღლებს ხელფასს წონასწორულ დონეზე მაღლა, მაგრამ იმავდროულად ნებას აძლევს ფირმებს დამოუკიდებლად გადაწყვიტონ საკითხი მათთვის მომუშავეთა საჭირო რაოდენობის დაქირავებაზე. შედეგად, ადგილი აქვს დაქირავებულთა შემცირებას და ლოდინის უმუშევრობის ზრდას.

პროფკავშირებში გაერთიანების შედეგებზე ზოგიერთი დასკვნის გაკეთება შესაძლებელია სხვადასხვა შტატებში უმუშევრობის დონეების შედარებით. როგორც მოსალოდნელი იყო, პროფკავშირული მოძრაობით უფრო განვითარებულ შტატებში უმუშევრობის დონე ჩვეულებისამებრ მაღალია. 1985 წლის მონაცემები გვიჩვენებს, რომ პროფკავშირებში გაერთიანებულ

მომუშავეთა ხვედრითი წილის 10 %-ული პუნქტით ზრდა იწვევს უმუშევრობის დონის 1,2 % პუნქტით ზრდას.

პროფკავშირებს შეუძლიათ აგრეთვე გავლენა მოახდინონ იმ ფირმებში არსებული ხელფასის სიდიდეზე, სადაც არ არის პროფკავშირული მოძრაობა, რამდენადაც მომუშავეების პროფკავშირებში გაერთიანების საფრთხე ფირმებს უბიძგებს გაზარდონ ხელფასი წონასწორულ დონესთან შედარებით.

უმრავლესობა ფირმებისა უარყოფითად არიან განწყობილნი პროფკავშირების მიმართ, რადგანაც ისინი არა მარტო ხელს უწყობენ ხელფასების ზრდას, არამედ მოლაპარაკებისას მრავალ საკითხში ამყარებენ მომუშავეების პოზიციებს, კერძოდ ისეთში, როგორიცაა სამუშაო დღის ხანგრძლივობა და შრომის პირობები. ფირმამ შეიძლება ამჯობინოს საკუთარი მომუშავეებისათვის მაღალი ხელფასის გადახდა, რათა ეს უკანასკნელნი დაკმაყოფილდნენ და არ ჩათვალონ საჭირო პროფკავშირებში გაერთიანება.

უმუშევრობა, რომელიც გამოწვეულია პროფკავშირების მიერ ან მათში გაერთიანების საფრთხით, წარმოადგენს მომუშავეთა სხვადასხვა ჯგუფების - ინსაიდერებსა და აუტსაიდერებს შორის კონფლიქტის მიზეზს. მომუშავეები, რომლებიც დასაქმებულნი არიან ფირმებში (ინსაიდერები), ჩვეულებრივ ისწრაფვიან შეინარჩუნონ ხელფასის მაღალი დონე. უმუშევრები, რომლებიც შეიძლება დაქირავდნენ ფირმების მიერ (აუტსაიდერები), თავად განიცდიან ამ მაღალი ხელფასის შედეგების მთელ სიმძიმეს. ამ ორ ჯგუფს შორის ინტერესთა დაპირისპირება გარდაუვალია. ხელფასზე და დასაქმებაზე მოლაპარაკებების გავლენა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ამ ორი ჯგუფის პოზიციების შედარებით სიმტკიცეზე. ინსაიდერებსა და აუტსაიდერებს შორის კონფლიქტი სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირად წყდება. ზოგიერთ ქვეყანაში, როგორიცაა აშშ, ხელფასის ოდენობაზე მოლაპარაკებები ხდება ფირმების დონეზე. სხვაგან, როგორიცაა შვედეთი, ხელფასის სიდიდე განისაზღვრება ეროვნულ დონეზე – ამ დროს მთავრობა გადამწყვეტ როლს თამაშობს. მიუხედავად სამუშაო ძალის პროფკავშირებში გაერთიანების მაღალი დონისა, უმუშევრობა შვედეთში საკმაოდ დაბალია. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ხელფასის დონეზე ცენტრალიზებული მოლაპარაკებები და მთავრობის როლი ამ პროცესში აუტსაიდერთა პოზიციებს ამყარებს და ამით წონასწორულ დონესთან ახლოს მყოფი ხელფასიც რეალურად შენარჩუნებულია.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პროფკავშირთა როლისა და გავლენის ცვლილება თანდაყოლილია რეალური ხელფასის ცვლილებებით. კანადაში ის გაიზარდა დაახლოებით 30%-ით აშშში არსებულ რეალურ ხელფასთან შედარებით. ეს მონაცემები გვიჩვენებენ, რომ კანადის პროფკავშირებმა განაპირობეს რეალური ხელფასი გაზრდილიყო წონასწორულ დონეზე მაღლა, რამაც გამოიწვია უმუშევრობის ზრდა.

უმუშევრობის დონეებში მითითებული განსხვავებების წარმოშობა შეიძლება აიხსნას იმითაც, რომ კანადაში უმუშევრობაზე შემწეობების მიღება შედარებით იოლია. უმუშევრობაზე დაზღვევა ახანგრძლივებს სამუშაოს ძებნის პერიოდს და ზრდის ფრიქციულ უმუშევართა რიცხვს. გარდა ამისა, ის აძლიერებს პროფკავშირთა გავლენას დასაქმებაზე. ჯერ-ერთი, უმუშევრობაზე დაზღვევა იწვევს იმასაც, რომ მომუშავეები მეტი მონდომებით ელოდებიან უფრო მაღალანაზღაურებადი სამუშაოს მიღებას პროფკავშირებით მოცულ ფირმებში, იმის მაგივრად, რომ დათანხმდნენ ნაკლებად ანაზღაურებად სამუშაოს იმ ფირმებში, სადაც პროფკავშირები არ მოქმედებენ. მეორე, უმუშევრობაზე შემწეობების არსებობა პროფკავშირებს უბიძგებს უფრო გადაჭრით მოითხოვონ ხელფასების ზრდა მიუხედავად დასაქმების შესაძლო შემცირებისა.

5.4. ეფექტიანი ხელფასების თეორია

უმუშევრობის მეოთხე მიზეზი, პროფკავშირების მონოპოლიური ძალაუფლებისა და მინიმალურ ხელფასის კანონის შემდეგ, არის სტიმულირებადი ხელფასის სისტემა. **„ეფექტიანი ხელფასის თეორია“ გულისხმობს იმას,** რომ მაღალი ხელფასი ინვევს მშრომელთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, ამცირებს მშრომელთა დენადობას, იზრდება მომუშავეთა ძალისხმევა და მაღლდება მათი კვალიფიკაცია. საბოლოო ჯამში მაღლდება მომუშავეთა მწარმოებლურობა. მომუშავეების მწარმოებლურობაზე ხელფასის ზემოქმედებით შეიძლება ავხსნათ ის ფაქტი, რომ ფირმებს ნაწილობრივ არ ძალუძთ ხელფასების შემცირება მიუხედავად შრომის ჭარბი მიწოდებისა. თუ ეს თეორია მართებულია, მაშინ შრომაზე ფირმების მიერ გასაწევი ხარჯების შემცირებით ხელფასების შემცირება ერთდროულად ამცირებს როგორც მომუშავეთა მწარმოებლურობას, ისევე ფირმების მოგებას. არსებობს შრომის მწარმოებლურობაზე ხელფასის გავლენის რამდენიმე თეორია. **ერთ-ერთი,** რომელიც მიესადაგება უპირატესად ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს, ამტკიცებს, რომ ხელფასის ოდენობაზე უმთავრესადაა დამოკიდებული **მომუშავეთა კვების ხარისხი.** მაღალანაზღაურებად მომუშავეს შეუძლია უკეთ კვება, ხოლო შესაბამისად უფრო ჯანმრთელი მომუშავე უფრო მწარმოებლურია.

ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, სადაც უმთავრესად შრომითი რესურსი გამოიყენება წარმოებაში, მომუშავეებს შრომა შეიძლება შეგნებულად აუნაზღაურონ წონასწორულ ხელფასზე უფრო მაღალი ოდენობით, რაც უზრუნველყოფს მომუშავეთა სათანადო ჯანმრთელობასა და შესაბამის მწარმოებლურობას. მაგრამ ამ თვალსაზრისს მნიშვნელობა არ აქვს დამქირავებლებისათვის განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ხელფასის წონასწორული დონე ბევრად მაღალია საარსებო მინიმუმზე.

ეფექტიანი ხელფასის მეორე თეორია, რომელიც უკეთ შეესაბამება განვითარებული ქვეყნების მდგომარეობას, ამტკიცებს, რომ მაღალი ხელფასი **ამცირებს სამუშაო ძალის დენადობას.** მომუშავეები თავისუფლდებიან იმ მიზეზის გამო, რათა დაიკავონ უკეთესი თანამდებობა სხვა ფირმაში, შეიცვალონ პროფესიული ორიენტაცია, გადავიდნენ ქვეყნის სხვა რაიონში და ა. შ. რაც უფრო მეტს უხდის ფირმა მომუშავეებს, მათ უფრო მეტი სტიმული აქვთ დარჩნენ მოცემულ ფირმაში. აწესებს რა მაღალ ხელფასს, სამუშაოს მიმცემი ამცირებს კადრების დენადობას და ამით ამცირებს დროს, რომელიც იხარჯება ახალი მომუშავეების მიღებაზე და სწავლებაზე.

მესამე თეორია ამტკიცებს, რომ ფირმაში პერსონალის შრომის საშუალო ხარისხი დამოკიდებულია მათ მიერ მისაღებ ხელფასზე. თუ ფირმა ამცირებს ხელფასს, მაშინ საუკეთესო მომუშავეებს შეუძლიათ გადავიდნენ სხვა ადგილზე, ასე რომ, ფირმაში დარჩებიან მხოლოდ უარესი **კვალიფიკაციისა** და ალტერნატივის არმქონე პირები. ეკონომისტები ასეთ შერჩევას უწოდებენ უარყოფით სელექციას. წონასწორულთან შედარებით მაღალი ხელფასის გადახდით ფირმამ შეიძლება თავი დააღწიოს უარყოფით სელექციას, გააუმჯობესოს მომუშავეთა ხარისხობრივი შემადგენლობა და მით უფრო გაზარდოს შრომის მწარმოებლურობა.

მეოთხე თეორია ამტკიცებს, რომ მაღალი ხელფასი ამაღლებს **მომუშავეთა ძალისხმევას.** თეორია ემყარება იმ აზრს, რომ ფირმებს არ შეუძლიათ საკმარისი ეფექტიანობით გააკონტროლონ დასაქმებულთა შრომითი ძალისხმევა და მომუშავეები თავად განსაზღვრავენ რამდენად ინტენსიურად უნდა იშრომონ. მომუშავეებს შეუძლიათ იშრომონ როგორც ინტენსიურად, ისე თავი აარიდონ მათზე დაკისრებულ მოვალეობას და აღმოჩნდნენ დათხოვნის რისკის ქვეშ. ეკონომისტები არაკეთილსინდისიერი ქცევის ასეთ შესაძლებლობას უწოდებენ მორალურ რისკს. ფირმას შეუძლია დაძლიოს მორალური რისკის პრობლემა მაღალი ხელფასის დანესე-

ბით. ამით ფირმა ინტერესს გაუღვივებს მომუშავეებს არ აარიდონ თავი სამუშაოს და აიმაღლონ შრომის მწარმოებლურობა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თეორია სოლიდარულია ერთ საკითხში: **ფირმა მით უფრო ეფექტიანია, რაც უფრო მაღალ ხელფასს უხდის საკუთარ მომუშავეებს,** ე.ი. წონასწორულ დონესთან შედარებით მაღალი ხელფასის მხარდაჭერა და შენარჩუნება თვით ფირმის ინტერესებს პასუხობს. ხელფასის ამგვარი სიხისტის შედეგს წარმოადგენს მოლოდინის უმუშევრობა.

ჰენრი ფორდის ხუთ დოლარიანი სამუშაო დღე. 1914 წელს ფირმაში „ფორდ მოტორს კომპანი" დაწესებული იქნა 5 დოლარიანი ხელფასი ერთ სამუშაო დღეზე. რამდენადაც იმხანად ჩვეულებრივი ხელფასი შეადგენდა 2-დან 3 დოლარს დღეში, ფორდის კომპანიაში არსებული ხელფასი წონასწორულ დონეზე მაღალი იყო. გასაკვირი არაა, რომ შედეგად წარმოიქმნა ამ ფირმაში სამუშაოს მიღების მსურველთა გრძელი რიგები. რა მიზანს ისახავდა ფორდი? მოგვიანებით ჰ. ფორდი წერდა: „ჩვენ მზად ვიყავით გადაგვეხადა ასეთი ხელფასი, რათა ჩვენი ბიზნესისათვის შეგვექმნა გრძელვადიანი და მუდმივი ფუნდამენტი. ჩვენ ვქმნიდით მომავლის საფუძველს. დაბალი ანაზღაურების ბიზნესი ყოველთვის საშიშროების ქვეშ იმყოფება... ხუთდოლარიანი ხელფასის დაწესება 8 საათიან სამუშაო დღეზე იყო ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პოლიტიკა ჩვენს ისტორიაში წარმოების ხარჯების შემცირების თვალსაზრისით".

ფორდმა, ცხადია ისარგებლა იმ დროისათვის ასეთი მაღალი ხელფასით, რათა გაეზარდა შრომის მწარმოებლურობა. გამოცდილებამ უჩვენა, რომ კომპანიისათვის მართლაც მომგებიანი იყო ასეთი მაღალი ხელფასის გადახდა. აი რას ეკითხულობთ ერთ-ერთ ანგარიშში, რომელიც იმ დროს დაიწერა: „ფორდის მიერ დაწესებულმა მაღალმა ხელფასებმა საშუალება მისცა მას ბოლო მოეღო ინერტიულობისა და მოცდენებისათვის, მომუშავეთა მხრიდან წინააღმდეგობისათვის. მუშები აბსოლუტურად დისციპლინირებულნი არიან და მთელი პასუხისმგებლობით შრომობენ. შეიძლება ითქვას, რომ 1914 წლიდან ფორდის ქარხნებში შეიმჩნევა შრომის ანაზღაურებაზე ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება. მაგალითად, მოცდენები შემცირდა 75%-ით, რაც ადასტურებდა მომუშავეთა კეთილსინდისიერების ზრდას."

ისტორიკოსი ალენ ნევისი, რომელიც სწავლობდა ჰენრი ფორდის კომპანიის ადრეული პერიოდის საქმიანობას, წერს: „ფორდი და მისი კოლეგები ღიად აცხადებდნენ, რომ უმრავლეს შემთხვევაში მაღალი ხელფასის პოლიტიკა წარმატებული ბიზნესის ერთ-ერთი საწინდარია. მათ მხედველობაში ჰქონდათ ის, რომ მაღალმა ხელფასმა მომუშავეები უფრო დისციპლინირებული გახადა, გააძლიერა მათი ერთგულება კომპანიისადმი, მისი საქმიანობისადმი დაინტერესების ხარისხი და საბოლოო ჯამში, გაზარდა მათი შრომის ეფექტიანობა".

ყურადღება გავამახვილოთ ზოგიერთ დამატებით მონაცემებზე, რომლებიც ახასიათებენ უმუშევრობას, შეუძლიათ შეაფასონ ზემოთ განხილული უმუშევრობის თეორიები, აგრეთვე სხვადასხვა სახელმწიფო პოლიტიკა, რომლებიც მიმართულია უმუშევრობის შემცირებისაკენ.

უმუშევრობის ხანგრძლივობა. დავუშვათ, რომ დაკარგეთ სამუშაო. როგორია იმის ალბათობა, რომ თქვენ მოგიწევთ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უმუშევრად ყოფნა? პასუხი მეტად მნიშვნელოვანია, რამდენადაც მიგვითითებს უმუშევრობის მიზეზებზეც და სახელმწიფო პოლიტიკის ყველაზე შესაფერის ზომებზე.

ერთის მხრივ, თუ უმუშევრობა მოკლევადიანი ხასიათისაა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის წარმოადგენს ფრიქციულს და გარდაუვალია. ადამიანებს ჭირდებათ დროის გარკვეული პერიოდი, რათა იპოვონ ახალი სამუშაო, რომელიც ყველაზე უკეთ შეესაბამება მათ კვალიფიკაციასა და სურვილებს.

მეორე მხრივ, უმუშევრობა, რომელიც გრძელვადიანი ხასიათისაა, პრინციპული მოვლენაა, რამდენადაც შესაფერისი სამუშაოს ძებნის პროცესი გრძელდება თვეების განმავლობაში.

გრძელვადიანი უმუშევრობა უფრო მეტად ლოდინის უმუშევრობაა. ამგვარად, უმუშევრობაზე ხანგრძლივობის მონაცემებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ უმუშევრობის შესახებ ჩვენს წარმოდგენებზე.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი. დავუშვათ, რომ 14 კაცი უმუშევარია მოცემული წლის რომელიმე პერიოდში. მათგან 12 სამუშაოს პოულობს საშუალოდ ერთი თვის განმავლობაში, ხოლო 2 – უმუშევარია მთელი წლის მანძილზე. გამოდის, რომ ეს პირები საერთო ჯამში არ მუშაობენ 36 თვე. მოცემულ მაგალითში უმუშევართა დიდ ნაწილს არ გააჩნია სამუშაო მოკლე პერიოდის განმავლობაში: 14 კაციდან 12-სათვის, ანუ 86%-თვის უმუშევრება გრძელდება არაუმეტეს ერთი თვისა. მიუხედავად ამისა, უმუშევრობის ერთობლივი ხანგრძლივობის დიდი ნაწილი მოდის უმუშევრებზე, რომლებიც არ მუშაობენ 36 თვიდან 24 თვეს, ანუ 67%-ს. ე.ი. ხანგრძლივობის ეს სიდიდე მოდის ორ კაცზე, რომლებიც არ მუშაობდნენ მთელი წლის მანძილზე. იმაზე დამოკიდებულებით, თუ რა წარმოადგენს განხილვის საგანს – უმუშევრად ყოფნის ცალკეული პერიოდები თუ უმუშევრობის ერთობლივი ხანგრძლივობა, უმუშევრობა შეიძლება იყოს ან მოკლევადიანი, ან გრძელვადიანი.

უმუშევრობის ხანგრძლივობაზე მონაცემებს გააჩნიათ დიდი მნიშვნელობა სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების მიზნით. თუ ამოცანას შეადგენს უმუშევრობის დონის მნიშვნელოვანი შემცირება, მაშინ პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს გრძელვადიან უმუშევრობაზე, რამდენადაც სწორედ მას მიუძღვის უდიდესი წელილი უმუშევრობის საერთო ხანგრძლივობაში. მაგრამ ასეთი პოლიტიკა ძალიან ზუსტად უნდა იყოს მიმართული, ვინაიდან ისინი, რომლებიც იმყოფებიან სამუშაოს გარეშე დიდი ხნის მანძილზე, შეადგენენ უმუშევართა საერთო რაოდენობის მხოლოდ მცირე ნაწილს. უმუშევართა დიდი ნაწილი კი პოულობს სამუშაოს საკმაოდ სწრაფად.

უმუშევართა დონის განსხვავებები სხვადასხვა დემოგრაფიულ ჯგუფებს შორის.

უმუშევრობის დონეები არსებითად განსხვავდება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით. ახალგაზრდა მომუშავეებისათვის დამახასიათებელია უფრო მაღალი უმუშევრობა, ვიდრე სხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის. ეს გარემოება რომ ავხსნათ, გავიხსენოთ უმუშევრობის ბუნებრივი დონის მოდელი, რომლის თანახმადაც არსებობს უმუშევრობის მაღალი დონის ორი მიზეზი:

1) შრომითი მოწყობის დონის დაბალი მაჩვენებელი,
2) სამუშაოდან განთავისუფლების მაღალი მაჩვენებელი.

ეკონომისტებმა, რომლებიც სწავლობენ ცალკეულ ინდივიდთა გადასვლის მონაცემებს დასაქმებულთა კატეგორიიდან უმუშევართა კატეგორიაში და პირიქით, აღმოაჩინეს, რომ მაღალი უმუშევრობის დონის მქონე ჯგუფები ხასიათდებიან სამუშაოს დაკარგვის ალბათობის ასევე მაღალი მაჩვენებლით. ჯგუფებს შორის ნაკლები განსხვავებები შეიმჩნევა შრომითი მოწყობის მაჩვენებელთან დაკავშირებით. ამ დებულებების შესაბამისად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოზარდებს შორის უმუშევრობის უფრო მაღალი დონე შეიძლება სასარგებლოც კი იყოს. როცა ახალგაზრდა მომუშავეები გადიან შრომის ბაზარზე, ისინი ხშირად არ არიან დარწმუნებულნი პროფესიის არჩევის მართებულობაში. მათთვის ოპტიმალური შეიძლება იყოს „ცდისა და შეცდომის" მეთოდი. ამიტომ, ამ ასაკობრივი ჯგუფისათვის უფრო კანონზომიერია განთავისუფლების უფრო მაღალი მაჩვენებელი და ფრიქციული უმუშევრობის უფრო მაღალი დონე.

აშშ-ში სამუშაო ძალის შემადგენლობა საგრძნობლად შეიცვალა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ შობადობის დონე მკვეთრად გაიზარდა და შობადობის ბუმის პერიოდის ეს თაობა სამუშაო ძალის შემადგენლობაში შევიდა 70-იან წლებში. რამდენადაც ახალგაზრდობა მიეკუთვნება უფრო მაღალი უმუშევრობის დონის მქონე ჯგუფს, მაშინ მისი ხვედრითი წილის ზრდამ სამუშაო ძალის შემადგენლობაში გაზარდა უმუშევრობის საშუალო დონე. დაახლოებით ამ პერიოდში მოხდა სამუშაო ძალის შემადგენლობაში ქალთა ხვედრითი წილის ზრდა. 1960 წელს ქა-

ლები ერთობლივი სამუშაო ძალის 33%-ს შეადგენდნენ, ხოლო 1980 წელს – 43%-ს. რამდენადაც ისტორიულად ქალებს შორის ყოველთვის შეიმჩნეოდა უმუშევრობის უფრო მაღალი დონე ვიდრე მამაკაცებში (თუმცა აღნიშნული განსხვავება თანდათანობით ქრება ბოლო წლებში), ქალების ზრდად ხვედრით წილს სამუშაო ძალის რიცხოვნობაში შეეძლო აგრეთვე ხელი შეეწყო უმუშევრობის საშუალო დონის ზრდისათვის.

მომუშავე ქალების ხვედრითი წილი გაიზარდა. მოხდა რა შემოსავლების ორი წყაროს მქონე ოჯახთა რიცხვის ზრდა, ამ ცვლილებამ გაზარდა მამაკაცებს შორის უმუშევრობის დონე. საქმე ისაა, რომ უმუშევარი მამაკაცი, რომელსაც მომუშავე მეუღლე ჰყავს, უფრო იოლად უარყოფს მისთვის არამიმზიდველ სამუშაო ადგილს, ვიდრე ის უმუშევარი, რომელიც ოჯახის ერთადერთი მარჩენალია; ამ შემთხვევაში შრომითი მოწყობის დონის შემცირება გამოიწვევს უმუშევრობის ზრდას მამაკაცებს შორის. ასეთი ახსნა, მიუხედავად იმისა, რომ გამოიყურება სრულიად ლოგიკურად, ეწინააღმდეგება ფაქტიურ მონაცემებს. პირიქით, როგორც აღმოჩნდა, უმუშევართა დონე მამაკაცებს შორის, რომელთაც დასაქმებული მეუღლეები ჰყავთ დაბალია, ვიდრე იმ მამაკაცებს შორის, რომელთა მეუღლეები არ მუშაობენ. უფრო მეტიც, უმუშევრობის დონე მარტოხელა მამაკაცებში აგრეთვე გაიზარდა, რაც მოწმობს იმას, რომ შემოსავლების ორი წყაროს მქონე ოჯახების რაოდენობის ზრდას არ შეუძლია ახსნას უმუშევრობის საერთო დონის ზრდის ტენდენცია. ჩვენთვის საინტერესო ტენდენციის შესაძლო ახსნა მდგომარეობს ეკონომიკაში სტრუქტურული ძვრების დაჩქარებაში. რაც უფრო მაღალია სტრუქტურული ძვრების მასშტაბები, მით უფრო მაღალია განთავისუფლებათა სიხშირე და შესაბამისად, უმუშევრობის ფრიქციული დონე. ერთ-ერთი მიზეზი სტრუქტურული ძვრებისა მდგომარეობს ნავთობზე ფასების ცვლილებებში, რომელიც გამოწვეული იყო საერთაშორისო სანავთობო კარტელის OPEC-ის პოლიტიკით. ნავთობზე შეფარდებითი ფასები სტაბილური იყო 70-ანი წლების დასაწყისამდე. 1972 წლიდან დაწყებული ნავთობზე ფასების მკვეთრ ცვლილებებს, სავარაუდოდ, შეეძლო გამოეწვია შრომის გადანაწილების აუცილებლობა უფრო ენერგოტევადი დარგებიდან ნაკლებად ენერგოტევად დარგებში. თუ ეს ასეა, მაშინ სრულიად შესაძლებელია, რომ სწორედ ნავთობზე ფასების ზრდას გამოეწვია უმუშევრობის დონის ზრდა. მაგრამ ასეთი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობის დამტკიცება საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ნავთობზე შეფარდებითი ფასების ცვლილებები, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც ნავთობის ნედლეულზე მწარმოებელთა საბითუმო ფასის ინდექსის თანაფარდობა ყველა დანარჩენი საქონლების მწარმოებელთა საბითუმო ფასების ინდექსთან. როგორც ჩანს, 70-ანი წლებიდან დაწყებული ნავთობზე შეფარდებითი ფასი განიცდიდა მნიშვნელოვან ცვლილებებს. ეს ცვლილებები, შესაძლოა, გამხდარიყო სტრუქტურული ძვრების მიზეზი და შესაბამისად, მათ შეიძლება ნაწილობრივ ახსნან უმუშევრობის დონის ზრდა. საბოლოო ანგარიშით, უმუშევრობის დონის ზრდა გამოცანად რჩება. შემოთავაზებულ ახსნათაგან ზოგიერთი სრულიად დამაჯერებელია, მაგრამ არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს ამომწურავს.

როგორც ჩანს, ერთმნიშვნელოვანი პასუხი უბრალოდ არ არსებობს, ხოლო უმუშევრობის დონის ზრდის ტენდენცია შეიძლება იყოს სხვადასხვა, ერთმანეთთან კავშირში არმყოფი პროცესების შედეგი.

შრომის ბაზარზე შესვლა და ბაზრიდან გასვლა. უმუშევრობის ბუნებრივი დონის მოდელი აიგო იმ ვარაუდზე, რომ სამუშაო ძალის შემადგენლობა უცვლელია. ასეთ შემთხვევაში უმუშევრობის ერთადერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს სამუშაოდან განთავისუფლება, ხოლო უმუშევართა რიგებიდან გასვლის ერთადერთი მიზეზი – სამუშაოს პოვნა. სინამდვილეში სამუშაო ძალის შემადგენლობის ცვლილებას დიდი მნიშვნელობა აქვს. დაახლოებით უმუშევართა 1/3 – ეს ის პირებია, რომლებიც ეს ესაა შევიდნენ სამუშაო ძალის რიგებში. ეს არის ახალგაზრდობა, რომლებიც ეძებენ თავიანთ პირველ სამუშაოს, ან ისინი, რომლებიც ადრე მუშაობ-

დნენ, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზის გამო დროებით გავიდნენ სამუშაო ძალის რიგებიდან. გარდა ამისა, უმუშევრობის ყველა პერიოდი როდი მთავრდება სამუშაოს პოვნით: უმუშევრად ყოფნის შემთხვევის თითქმის ნახევარი მთავრდება უმუშევრის შრომის ბაზრიდან გასვლით.

სამუშაო ძალის შემადგენლობაში მსგავსი ცვლილებები ართულებს უმუშევრობაზე სტატისტიკური მონაცემების ინტერპრეტაციას. ერთის მხრივ, ზოგიერთი ინდივიდი, რომელიც საკუთარ თავს თვლის უმუშევრად, უბრალოდ სერიოზულად არ არის დაკავებული სამუშაოს ძებნით და ისინი ალბათ არ უნდა ჩავრთოთ სამუშაო ძალის შემადგენლობაში. მათი „უმუშევრობა“ როგორც ჩანს, არ წარმოადგენს სოციალურ პრობლემას. მეორე მხრივ, მათგან უმრავლესობას მართლა სურდა მუშაობა, მაგრამ სამუშაოს პოვნის რამდენიმე წარუმატებელი ცდის შედეგად დაკარგეს იმედი და შეწყვიტეს ძებნა. შრომისუნარიანი მოსახლეობის აღნიშნული „სასოწარკვეთილი“ ჯგუფი, რომელიც გავიდა სამუშაო ძალის შემადგენლობიდან და არ გაითვალისწინება უმუშევართა სტატისტიკაში, წარმოადგენს უმწვავეს სერიოზულ სოციალურ პრობლემას, განსაკუთრებით ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის.

ამგვარად, უმუშევრობა წარმოადგენს რესურსების ფლანგვას. პოტენციურად უმუშევრებს, რა თქმა უნდა, შეუძლიათ შეიტანონ თავიანთი წვლილი ეროვნული შემოსავლის ზრდაში, მაგრამ ისინი ამ შესაძლებლობას მოკლებულნი არიან. სამწუხაროდ, მარტივი გზა უმუშევრობის შემცირებისა არ არსებობს. მთავრობას არ შეუძლია მოიქცეს ისე, რომ სამუშაოს ძებნის პროცესი დასრულდეს მყისიერად, მიუახლოვოს ხელფასი წონასწორულ დონეს. „ნულოვანი“ უმუშევრობა მიუღწეველია ისეთ ეკონომიკაშიც კი, როგორიც ამერიკულია. მიუხედავად ამისა, სამთავრობო პოლიტიკა სულაც არ არის უძლური უმუშევრობის დონის შემცირებისათვის ბრძოლაში. **მომუშავეთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამა, უმუშევრობაზე დაზღვევის სისტემა, ხელფასის მინიმუმის და კოლექტიური შეთანხმებების დადების მარეგულირებელი კანონები** ხშირად პოლიტიკური დებატების საგანი.

ბოლოს კი შეგვიძლია გავაკეთოთ ძირითადი დასკვნები:

1. უმუშევრობის ბუნებრივი დონე წარმოადგენს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უმუშევრობის მდგრად წილს სამუშაო ძალაში. ის დამოკიდებულია სამუშაოზე დაქირავებულთა რაოდენობისა და სამუშაოდან განთავისუფლებულთა რაოდენობის მაჩვენებლებზე.
2. რამდენადაც იმ სამუშაოს ძებნაზე, რომელიც ყველაზე საუკეთესოდ შეესაბამება კონკრეტული მომუშავის ჩვევებსა და გემოვნებებს, გადის გარკვეული დრო, გარდაუვალია ზოგიერთი ფრიქციული უმუშევრობის არსებობა. ეკონომიკური პოლიტიკა, ისეთი, როგორიცაა უმუშევრობაზე დაზღვევა, გავლენას ახდენს უმუშევრობის დონეზე.
3. მოლოდინის უმუშევრობა წარმოიქმნება მაშინ, როცა რეალური ხელფასი აჭარბებს ხელფასის წონასწორულ დონეს. საკანონმდებლო აქტები, რომლებიც არეგულირებენ ხელფასის მინიმალურ ზომას, წარმოადგენენ ხელფასის სიხისტის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზს. მეორე მიზეზია პროფესიული კავშირები ან მათი წარმოქმნის საშიშროება. საბოლოოდ, სტიმულირებადი ხელფასის თეორიის თანახმად სხვადასხვაგვარი მიზეზების გამო ფირმისათვის შეიძლება მომგებიანი იყოს შეინარჩუნოს საკუთარი მომუშავეების ხელფასი მაღალ დონეზე, მიუხედავად თვით შრომის ჭარბი მიწოდებისა.
4. დასკვნა იმის შესახებ, თუ როგორ ხასიათს ატარებს უმუშევრობა – გრძელვადიანს თუ მოკლევადიანს, დამოკიდებულია მონაცემთა ინტერპრეტაციაზე. უმუშევართა დიდი ნაწილისათვის უმუშევრად ყოფნის პერიოდი შედარებით ხანმოკლეა. თუმცა უმუშევრობის საერთო ხანგრძლივობაში უდიდესი წვლილი შეაქვს ადამიანთა მცირე რიცხვს, რომლებიც დიდი ხნით იმყოფებიან სამუშაოს გარეშე.

5. უმუშევრობის დონე არსებითად განსხვავდება დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით. კერძოდ, უმუშევრობის მაჩვენებლები ახალგაზრდა მომუშავეებს შორის მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე ასაკოვანთა შორის, რაც აიხსნება უმეტესწილად სამუშაოს დაკარგვის სხვადასხვა ალბათობებით, ვიდრე შრომითი მოწყობის მაჩვენებლებში განსხვავებებით.

თემა 6. მონეტარული სისტემა

6.1. ფულის არსი. ფულის ფუნქციები

ეკონომისტები ტერმინ ფულის ქვეშ განსაზღვრულ შინაარსს დებენ. კერძოდ,

ფული ეს არის აქტივების ერთობლიობა, რომელიც გარიგებების დროს გამოიყენება საქონლისა და მომსახურების შესაძენად. გარკვეული მიახლოებით შეიძლება ითქვას, რომ ფულის ნიშნები (ლარები, დოლარები და სხვა), რომლებიც მოსახლეობაშია, ქვეყნის ეკონომიკაში ფულის საერთო რაოდენობას ქმნის.

ფული სამ ფუნქციას ასრულებს: ღირებულების საზომი, გაცვლის საშუალება და დაგროვების საშუალება. როგორც ღირებულების საზომი, ფული გამოდის ერთეულის, მასშტაბის სახით. სწორედ ფულის მეშვეობით გამოისახება ყველა ფასი და მიმდინარეობს აღრიცხვა. საქონლის ფასები გამოისახება ლარებში (დოლარებში) და არა სხვა საქონლის რაოდენობაში.

გაცვლის საშუალება - ეს ფულის ფუნქციაა, რომლის მეშვეობითაც ჩვენ ვყიდულობთ საქონელსა და მომსახურებას.

დაგროვების საშუალება არის დღევანდელი მსყიდველობითი უნარის მომავალში გადატანის საშუალება. თუ თქვენ გამოიმუშავეთ 100 ლარი, შეგიძლიათ ეს თანხა შეინახოთ (დააგროვოთ) და მომავალში განახორციელოთ შენაძენი. მიუხედავად იმისა, რომ ფული დაგროვების არც თუ მთლად ოპტიმალური საშუალებაა, რადგან ფასების აწევა (ინფლაცია) მათ რეალურ მსყიდველობითუნარიანობას ამცირებს, ადამიანებს მაინც აქვთ ასეთი თვისება - დააგროვონ ფული. ფულის გარეშე ეკონომიკის განხილვა ფულის ფუნქციებს უფრო ნათლად დაგვანახებს. ამ დროს უნდა მოხდეს მოთხოვნილებათა დამთხვევა, ანუ შემთხვევა, როდესაც ერთ ადამიანს სურს შეიძინოს ზუსტად ის საქონელი, რომელიც აქვს მეორეს. ასეთ **გაცვლას ბარტერი** ჰქვია.

ფული სხვადასხვა ფორმით არსებობს. უმეტეს შემთხვევაში ესაა ფულის ნიშანი - ბანკნოტი, რომლის ერთადერთი დანიშნულებაა ფულის როლის შესრულება. ფულის ამ ნიშნებს (ლარს, დოლარს) არანაირი ღირებულება, ფასეულობა არ ექნებოდა, რომ არა მათი გამოყენება ფულის სახით. ქაღალდის ფულს არ აქვს არანაირი ღირებულება, რადგან მათ ფულის ფუნქციების შესრულება მთავრობის დადგენილებით მიენიჭათ. ასეთ ფულს სხვაგვარად **დეკრეტულ ფულს** უწოდებენ.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ქაღალდის ფული ასრულებს ფულის ფუნქციებს, ეს ყოველთვის ასე არ იყო. ფულის ფუნქციებს ასრულებდა საქონელი, რომელსაც თავად ჰქონდა გარკვეული ღირებულება. ასეთი ტიპის ფულს **სასაქონლო ფული** ეწოდება.

ყველაზე გავრცელებული სასაქონლო ფული ოქროა. სახელმწიფოები, სადაც ოქრო გამოიყენება როგორც ფული, ამბობენ, რომ არის **ოქროს სტანდარტი**. ოქრო სასაქონლო ფულის ნაირსახეობა იმიტომაა, რომ იგი შეიძლება გამოვიყენოთ არა მარტო როგორც ფული, არამედ სხვა დანიშნულებითაც (საიუველირეო საქმეში, ტექნიკაში და ა.შ.)

ეკონომიკაში არსებული ფულის რაოდენობა მოცემული დროისათვის არის ფულის მიწოდება. ეკონომიკაში სადაც სასაქონლო ფულია, ფულის რაოდენობა საქონლის მარაგით განისაზღვრება, ხოლო სადაც ქაღალდის ფულია, ფულის რაოდენობას სახელმწიფო არეგულირებს.

სწორედ სახელმწიფოს აქვს მონოპოლიური უფლება გამოუშვას ქაღალდის ბანკნოტები, მოახდინოს ფულის ემისია.

6.2. ბანკები და ფულის მიწოდება

საერთოდ, ქვეყანაში ფულის მიწოდების კონტროლს ცენტრალური ბანკი ახორციელებს. ქვეყნების უმრავლესობაში საბანკო სისტემა ორ საფეხურიანია: ცენტრალური ბანკები და კომერციული ბანკები. ცენტრალური ბანკის ძირითადი ფუნქციაა ქვეყანაში ფულად–საკრედიტო (მონეტარული) პოლიტიკის (Monetary Policy) გატარება - ქვეყნის ეკონომიკაზე ზემოქმედება ფულადი მასის გაზრდის ან შემცირების საშუალებით. სხვადასხვა ქვეყანაში ცენტრალური ბანკები სხვადასხვა სახელწოდებით გვხვდება. მაგალითად, აშშ–ში–ფედერალური სარეზერვო სისტემა (Federal Reserve, Fed); რუსეთში –ცენტრო ბანკი (Центро Банк); გერმანიაში –ბუნდეს ბანკი (Bundes Bank). თუმცა ერთიანი ევროპული სავალუტო სივრცის შექმნის შემდეგ, ბუნდეს ბანკმა დაკარგა თავისი ფუნქციები. ერთიან ევროპულ სავალუტო სივრცეში ცენტრალური ბანკის ფუნქციებს ასრულებს ევროპის ცენტრალური ბანკი (European Central Bank), რომელიც მდებარეობს ქ. ფრანკფურტში, ხოლო ბუნდეს ბანკი გადაიქცა მის ფილიალად; ინგლისში –ინგლისის ბანკი (Bank of England); საქართველოში – ეროვნული ბანკი.

ზოგადად, ცენტრალური ბანკი ფულად-საკრედიტო პოლიტიკას სამი ძირითადი ინსტრუმენტით ახორციელებს, **ესაა ოპერაციები ღია ბაზარზე,** როდესაც ის ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვით არეგულირებს მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობას, გარდა ამისა ცენტრალური ბანკი მიმართავს **დისკონტის განაკვეთისა და სავალდებულო რეზერვის ნორმის** პოლიტიკას.

დისკონტის განაკვეთი – სარგებლის განაკვეთი იმ სესხებზე, რომელთაც ცენტრალური ბანკი კომერციულ ბანკებს გამოუყოფს.

სარეზერვო მოთხოვნა– რეზერვის ნორმა, რომელსაც აწესებს ცენტრალური ბანკი დეპოზიტების სიდიდესთან მიმართებაში და რომლის შენახვაც კომერციულ ბანკს კანონით ეევალება. რეზერვის ნორმა დეპოზიტების ნაწილია, რომელსაც ბანკი რეზერვის სახით ინახავს. როდესაც ბანკები რეზერვში დეპოზიტების მხოლოდ ნაწილს ინახავენ, ამით ისინი ფულს ქმნიან, სესხებს გასცემენ. ფულის შექმნის პროცესი დეპოზიტებზე (ანაბრებზე) არსებული თანხიდან უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს, თუმცა შექმნილი ფულის რაოდენობა უსასრულო არ არის. ფულის იმ რაოდენობას, რომელსაც საბანკო სისტემა ქმნის რეზერვების თითოეული დოლარიდან, **ფულადი მულტიპლიკატორი** ეწოდება. ფულადი მულტიპლიკატორის სიდიდეს განსაზღვრავს რეზერვის ნორმა. ფულადი მულტიპლიკატორი რეზერვის ნორმის შებრუნებული რიცხვია. თუ R რეზერვის ნორმაა ეკონომიკაში არსებული ყველა ბანკისათვის, მაშინ რეზერვების თითოეული დოლარი (ან ლარი) 1 / R დოლარს (ან ლარს) ქმნის. თუ მაგალითად, ცენტრალურმა ბანკმა დააწესა რეზერვის ნორმა 10% , მაშინ ფულადი მულტიპლიკატორი იქნება 1 / 0,10 = 10. ამგვარად,

$$\text{ფმ} = 1 / R.$$

ფულადი მულტიპლიკატორის ასეთი ფორმულა გარკვეული დატვირთვის მატარებელია. თუ ბანკი დეპოზიტზე $2000 ინახავს, ხოლო რეზერვის ნორმა განისაზღვრა 10%, ეს იმას ნიშნავს, რომ ბანკმა რეზერვში $200 უნდა შეინახოს. პირიქით, თუ საბანკო სისტემა რეზერვის სა-

ხით $200 –ს ინახავს, მას დეპოზიტებზე მხოლოდ $ 2000 –ის შენახვა შეუძლია. რაც უფრო მეტია რეზერვის ნორმა, მით უფრო მცირე ნაწილს გაასესხებენ ბანკები თითოეული დეპოზიტიდან, და შესაბამისად, მით უფრო ნაკლებია ფულადი მულტიპლიკატორი. ამ მექანიზმით ცენტრალური ბანკი არეგულირებს ფულად მასას მიმოქცევაში: ასწევს ან შეამცირებს რეზერვის ნორმას, იმის მიხედვით ფულადი მასის შემცირება იქნება საჭირო თუ გაზრდა. ასეთივე მეთოდით იყენებს ცენტრალური ბანკი სხვა ინსტრუმენტებს – ოპერაციებს ღია ბაზარზე და დისკონტის განაკვეთს.

ეკონომიკაზე ფულის რაოდენობის ზემოქმედების ანალიზის უმნიშვნელოვანესი ეტაპი მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის განსაზღვრაა. ვინაიდან ფული არის გარიგებებში გამოყენებული აქტივები, ცხადია ფულის რაოდენობაც ამ აქტივების ჯამია. მარტივ ეკონომიკურ სისტემაში ამ რაოდენობის გაანგარიშება ადვილია, რასაც ვერ ვიტყვით რთულ ეკონომიკურ სისტემებზე, რადგან თანამედროვე ეკონომიკაში გარიგებებში მრავალი სახის აქტივები მონაწილეობენ. ზოგიერთი აქტივის გამოყენება შესაძლოა უფრო მოსახერხებელი იყოს გარიგებებში, ვიდრე სხვა აქტივებისა.

აქტივების პირველი სახე **Mo=ნაღდი ფულია**, იგი ქაღალდისა და ხურდა ფულს მოიცავს. ყოველდღიურ ოპერაციებში სწორედ ნაღდი ფული გამოიყენება. ნაღდი ფულის გარდა შესაძლოა აქტივად მოთხოვნამდე ანაბრები განვიხილოთ. თუ გამყიდველები მიიღებენ ამ ანაბრებიდან გამოწერილ ჩეკებს, მაშინ ანაბრები ისეთივე მოსახერხებელია, როგორც ნაღდი ფული, ამიტომ ფულის რაოდენობის დათვლისას ამ ორი სახის აქტივს ერთმანეთს უმატებენ. **M1 = Mo** + დეპოზიტები მოთხოვნამდე + სამგზავრო ჩეკები. გარდა მოთხოვნამდე ანაბრებისა (დეპოზიტებისა), ფულადი სახსრები შესაძლოა შემნახველ ანგარიშებზე იყოს განთავსებული, ამ ანგარიშებზე არსებული თანხებიც თითქმის ისევე მოსახერხებელია გარიგებების დადების დროს, როგორც ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანაბრებზე განთავსებული სახსრები. აქტივების სახეები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იყოს გარიგებებში, შეზღუდული არ არის, თუმცა აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემა ფულის რაოდენობის გაანგარიშებისათვის ცხრილში მოცემულ მაჩვენებლებს იყენებს, რომლებიც გარკვეულწილად უნივერსალური აღნიშვნებია.

Mo – ნაღდი ფულია,

M1 - ნაღდი ფული, მოთხოვნამდე ანაბრები და სხვა ანგარიშები, რომლებიდანაც შესაძლებელია ჩეკის გამოწერა;

M2 - M1 + უცხოური ვალუტა, დეპოზიტები, მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები, შემნახველი ანაბრები, მცირე მოცულობის ვადიანი დეპოზიტები;

M3 - M2 + დიდი მოცულობის ვადიანი დეპოზიტები.

M4 - M3 + შემნახველი ობლიგაციები, სახაზინო ვალდებულებები და სხვა ლიკვიდური აქტივები.

ფულის მასის გაანგარიშებისათვის ყველაზე ხშირად M1 და M2 გამოიყენება, თუმცა დღემდე არ არსებობს ერთიანი მოსაზრება, თუ რომელი მაჩვენებელია უკეთესი, რადგან თითოეულ ელემენტს სხვადასხვა დინამიკა ახასიათებს.


თემა 7. ფულის მასის ზრდა და ინფლაცია

7.1. ინფლაციის კლასიკური თეორია

ეკონომიკის მე–9 პრინციპის თანახმად, ფასები იზრდება, როდესაც მთავრობა ძალიან ბევრ ფულს ბეჭდავს. ფასების საერთო დონის ზრდას კი **ინფლაცია** ეწოდება. ინფლაციის ძირითადი მიზეზი ფულის რაოდენობის ზრდაა. როდესაც ცენტრალური ბანკი ფულის დიდ რაოდენობას ქმნის, ფულის ღირებულება სწრაფად მცირდება. სტაბილური ფასების შენარჩუნების მიზნით ცენტრალურმა ბანკმა მკაცრი კონტროლი უნდა შეინარჩუნოს ფულის მიწოდებაზე.

ამგვარად, ინფლაცია უფრო ფულის ღირებულების შემცირებასთანაა დაკავშირებული, ვიდრე საქონლის ღირებულებასთან. ფასების დონის ზრდა ფულის ღირებულების შემცირებას ნიშნავს, რადგანაც იგივე რაოდენობის ფულით გაცილებით ნაკლები საქონლისა და მომსახურების შეძენა შეგვიძლია. ინფლაციის კლასიკური თეორიის თანახმად, ფულის ღირებულებას განსაზღვრავს ფულის მიწოდება და მასზე მოთხოვნა. როდესაც იზრდება ფულის მიწოდება, ხოლო მასზე მოთხოვნა უცვლელია ან შემცირებულია, ფულის ფასი ანუ მისი ღირებულება მცირდება, მისი მსყიდველუნარიანობა ეცემა. და პირიქით, ფულის მიწოდების შემცირება და მასზე მოთხოვნის გაზრდა იწვევს ფულის ღირებულების, მისი მსყიდველუნარიანობის გაზრდას. განვიხილოთ ფულზე მოთხოვნისა და მიწოდების გრაფიკული ანალიზი.


პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ ფულზე მოთხოვნას მრავალი ფატორი განაპირობებს. მაგალითად, რამდენად ენდობიან ადამიანები საკრედიტო ბარათებს, როგორია სარგებლის განაკვეთი, რომელსაც პიროვნება ვადიან ანაბარზე ან სარგებლიან ობლიგაციაზე მიიღებს, როგორია ფასების დონე. თუმცა მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ეს უკანასკნელია – საქონელთა ფასების დონე. რაც უფრო მაღალია ფასები, მით მეტი ფულია საჭირო ტიპური გარიგებისათვის. ესე იგი, ფასების დონის ზრდა (ფულის ღირებულების შემცირება) ფულზე მოთხოვნის ზრდას იწვევს. გრძელვადიან პერიოდში ფასების საერთო დონე მანამდე თვითრეგულირდება, სანამ ფულზე მოთხოვნა და მიწოდება ერთმანეთს არ გაუტოლდება. იხ. ნახ. 6.1.



ნახ. 6.1.

ჰორიზონტალურ ღერძზე ფულის რაოდენობაა ასახული. მარცხენა ვერტიკალური ღერძი ფულის ღირებულებას გვიჩვენებს. ხოლო მარჯვენა ვერტიკალური ღერძი–ფასების დონეს. ფულის მიწოდების მრუდი ვერტიკალურია, რადგან ჩვენი დაშვების თანახმად ფულის მიწოდება ცენტრალური ბანკის მიერ მუდმივია. ფულზე მოთხოვნის მრუდი კლებადია, ვინაიდან, როდესაც ფულის ღირებულება იზრდება, ნაკლები ფულია საჭირო საქონლის იგივე რაოდენობის შესაძენად, შესაბამისად ადამიანებს ნაკლები რაოდენობით ნაღდი ფული სჭირდებათ. წონასწორობის A წერტილი აღნიშნავს ფულის მიწოდებისა და მასზე მოთხოვნის ტოლობას მოცემული ფასების დონისა და ფულის ღირებულების პირობებში.

როდესაც ცენტრალური ბანკი ფულის მიწოდებას გაზრდის, ფულის მიწოდების მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ, MS1-დან MS2– მდე. ფულის ღირებულება (მარცხენა ღერძზე) და ფასების დონე (მარჯვენა ღერძზე) თვითრეგულირდება, სანამ მიწოდება და მოთხოვნა არ გაწონასწორდება. წონასწორობა A–დან B–წერტილში გადაინაცვლებს. ამგვარად, ფულის მიწოდების ზრდა ფულის ღირებულებას ამცირებს, რაც იწვევს ფასების დონის ზრდას. იხ ნახ. 6.2.



ნახ. 6.2. ფულის მიწოდების ზრდა.

ფული ადამიანებს გარიგებებისათვის სჭირდებათ. ცხადია, ამიტომ ფულის რაოდენობა და გარიგებები მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. ეს კავშირი **ფულის რაოდენობრივი თეორიის** სახელითაა ცნობილი, რომლის თანახმადაც

ფული × მიმოქცევის სიჩქარე = ფასები × გარიგებები.

$$M \times V = P \times Q$$

ამ იგივეობის მარჯვენა ნაწილში მოცემული მაჩვენებლები გარიგებების თაობაზე გვაძლევს ინფორმაციას. Q გვიჩვენებს, თუ დროის გარკვეულ პერიოდში, მაგალითად წელიწადში, რამდენი გარიგება დაიდო, P კი ტიპიური გარიგების ფასია, ამდენად PQ ფულის ის რაოდენობაა, რომელიც გარიგებებს მოხმარდა.

მარცხენა ნაწილი ფულს აღწერს. M ფულის რაოდენობაა, ხოლო V კი ფულის მიმოქცევის სიჩქარე, რომელიც გვიჩვენებს დროის (წლის) განმავლობაში ბანკნოტი რამდენჯერ გადადის ხელიდან ხელში.

თუ დავუშვებთ, რომ მარტივ ეკონომიკაში წლის განმავლობაში 60 პური იყიდება, რომელთა ფასი 50 ცენტია მივიღებთ, რომ გარიგებებში მონაწილე ფულის რაოდენობა 30 დოლარია (PQ = 0, 5 x 60 = 30), თუ ვიცით რომ ეკონომიკაში სულ 10 დოლარია, მარტივად გამოვითვლით

ფულის მიმოქცევის სიჩქარეს V = PQ/M = 30 /10 =3 , ანუ ფულის მიმოქცევის სიჩქარე უდრის 3-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ წლის განმავლობაში ბანკნოტი სამჯერ გადადის ხელიდან ხელში.

ფულის რაოდენობრივი თეორია იგივეობაზეა დამყარებული, ამიტომ მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის ზრდამ, მუდმივი სიჩქარის პირობებში უნდა გამოიწვიოს ან ფასების, ან გარიგებების რაოდენობის ზრდა.

ეკონომისტები ამ იგივეობის ნაცვლად, როგორც წესი ოდნავ განსხვავებულ მოდიფიკაციას იყენებენ, რადგან ეკონომიკაში ძნელია ზუსტად დავითვალოთ დადებული გარიგებების რაოდენობა, ამიტომ დადებული გარიგებების რაოდენობას

(Q) ცვლიან წარმოების ერთობლივი მოცულობით (Y). ცხადია, ეს ორი მაჩვენებელი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ რაც უფრო მაღალია წარმოებული საქონლისა და მომსახურების მოცულობა, მით უფრო მაღალია გარიგებების რაოდენობაც, თუმცა ეს ორი მაჩვენებელი ერთი და იგივე არაა. მაგალითად, ძველი ავტომანქანის ყიდვა- გაყიდვა წარმოების ერთობლივ მოცულობაში არ შედის, მაგრამ გარიგებაა. მიუხედავად ამისა, მათ შორის გარკვეული პროპორცია არსებობს. თუ Y წარმოებული პროდუქციის რაოდენობას აღნიშნავს, ხოლო P წარმოებული პროდუქციის ფასს, მაშინ PY წარმოების მოცულობაა ფულად გამოსახულებაში. ჩვენ უკვე ვიცით, რომ Y რეალური მთლიანი შიდა პროდუქტია,
P ფასების დონეა, ხოლო PY კი ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტია. ფულის რაოდენობრივი თეორია შეიძლება ოდნავ განსხვავებულად ჩავწეროთ, კერძოდ:

ფული × მიმოქცევის სიჩქარეზე = ფასი × წარმოების მოცულობაზე.

$$M \times V = P \times Y.$$

ეკონომიკაში ბევრი სხვა დაშვების მსგავსად, დაშვება იმის შესახებ, რომ ფულის მიმოქცევის სიჩქარე მუდმივია, ცხადია მთლად ზუსტი არაა. ფულზე მოთხოვნის ზრდამ შესაძლოა ფულის მიმოქცევის სიჩქარეც გაზარდოს. მიუხედავად ამისა, დაკვირვებები ცხადყოფს, რომ ფულის მოძრაობის სიჩქარის მუდმივობის შესახებ დაშვება საკმაოდ ზუსტი მონაცემების მიღების საშუალებას იძლევა.

თუ ფულის მიმოქცევის სიჩქარე მუდმივია, მაშინ ფულის რაოდენობრივი თეორია შესაძლოა განვმარტოთ როგორც მშპ–ს(GDP-ს) ნომინალური მოცულობის ფორმირების თეორია. ფულის რაოდენობრივი თეორიის თანახმად MV =PY.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფულის მასის ცვლილება იწვევს ნომინალური მშპ–ს მოცულობის ცვლილებას. ამდენად წარმოების მოცულობა ფულად გამოსახულებაში ფულის რაოდენობით განისაზღვრება. გავიხსენოთ, რომ

1. წარმოებული პროდუქციის რაოდენობა - Y წარმოების ფაქტორთა დანახარჯებითა და საწარმოო ფუნქციით განისაზღვრება (ბუნებრივი და შრომითი რესურსები; კაპიტალი; ტექნოლოგიები);

2. წარმოების მოცულობა ნომინალურ გამოსახულებაში - PY ფულის მიწოდებით განისაზღვრება;

3. ამ შემთხვევაში ფასების დონე P არის ნომინალურ გამოსახულებაში წარმოების მოცულობის PY-ის და წარმოებული პროდუქციის რაოდენობის თანაფარდობის ტოლი.

აღნიშნული თეორიის შესაბამისად ნათელი ხდება, რომ ეროვნული ბანკის მიერ ფულის მიწოდების ნებისმიერი შეცვლა, იმის გამო, რომ ფულის ბრუნვის სიჩქარე მუდმივია, იწვევს ნომინალური მშპ–ს შეცვლას. იმის გამო, რომ რეალური მშპ განისაზღვრება ეკონომიკაში არ-

სებული ფაქტორების მარაგებითა და წარმოებითი ფუნქციით, ნომინალური მშპ-ს შეცვლა მთლიანად ფასების დონის შეცვლითაა განპირობებული. ამდენად, ფასების დონე ფულის მიწოდების პროპორციულია.

რადგან ინფლაციის ტემპები ფასების დონის ცვლილებაა, რომელიც გამოსახულია პროცენტებში, **ფასების დონის თეორია ინფლაციის თეორიაცაა.**

ფულის რაოდენობრივი თეორიის თანახმად ცენტრალური ბანკი, აკონტროლებს რა მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობას, სრულად აკონტროლებს ინფლაციასაც. თუ ცენტრალური ბანკი ფულის სტაბილურ მოცულობას ინარჩუნებს, ფასების დონეც სტაბილური იქნება, ხოლო მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის ზრდა ფასების დონის ზრდას ანუ ინფლაციას გამოიწვევს.

სახელმწიფოს საკუთარი ხარჯების დაფინანსება სამი გზით შეუძლია:

პირველი– მან შეიძლება გაზარდოს საგადასახადო შემოსავლები;

მეორე - აიღოს ვალი;

მესამე– უბრალოდ დაბეჭდოს ფული.

შემოსავალი, რომელსაც სახელმწიფო ფულის დაბეჭდვიდან იღებს "სენიორაჟის" სახელითაა ცნობილი, რაც ფრანგული SEINIORAGE-საგან წარმოსდგება და ფულის ბეჭდვაზე ნებართვისათვის მოსაკრებელს ნიშნავს. როდესაც მთავრობა ფულის ბეჭდვით თავის შემოსავალს ზრდის, ვამბობთ, რომ იგი **ინფლაციის გადასახადს** აწესებს. თუმცა ინფლაციის გადასახადი სხვა გადასახადებს არ ჰგავს, რადგან არავინ იღებს მთავრობისაგან ამ გადასახადის ქვითარს. ინფლაციის გადასახადი უფრო ცბიერი რამაა. როდესაც მთავრობა ფულს ბეჭდავს, ფასების დონე იზრდება და თქვენი ფულის ღირებულება, მსყიდველუნარიანობა მცირდება. ამგვარად, ინფლაციის გადასახადი ისეთი გადასახადია, რომელსაც იხდის ყველა, ვისაც ფული აქვს. მაგ. ახალგაზრდა შეერთებული შტატების კოლონიალური კონგრესი 1770–იან წლებში სამხედრო ხარჯების დასაფარავად ინფლაციის მნიშვნელოვან გადასახადს კრეფდა. კოლონიალური დოლარების ბეჭდვა ამერიკელი ჯარისკაცების ხელფასებით უზრუნველყოფის ყველაზე ადვილი ხერხი იყო. ამან კი რა თქმა უნდა მაღალი ინფლაცია გამოიწვია, ფასები 100–ჯერ და მეტად გაიზარდა.

სახელმწიფო, საკუთარი ხარჯების დასაფინანსებლად ფულის დაბეჭდვით ზრდის ფულის მიწოდებას, ანუ იწვევს ინფლაციას. სახელმწიფოს მხრიდან ასეთი ქმედება ინფლაციური გადასახადის შემოღების ტოლფასია. ინფლაციამდე ფულის მსყიდველობითუნარიანობა და ინფლაციის წყალობით მისი მსყიდველობით-უნარიანობა განსხვავდება. სწორედ ეს სხვაობაა სახელმწიფოს შემოსავალი. ამდენად ინფლაცია არის ნაღდი ფულის ფლობაზე გადასახადი.

7.2. ნომინალური და რეალური სარგებლის განაკვეთი, ფიშერის ეფექტი

დავუშვათ, თქვენს დანაზოგებს ინახავთ ბანკში, რომელიც ანაბარზე 11 პროცენტს არიცხავს. ეს არ ნიშნავს, იმას რომ წლის ბოლოს თუ თქვენი ანაბარი 11 პროცენტით გაიზარდა თქვენ 11 პროცენტით გამდიდრდით. რა თქმა უნდა, თქვენი ფულის ნომინალური რაოდენობა

სწორედ 11 პროცენტით გაიზრდება, მაგრამ მისი მსყიდველობითუნარიანობა შეიძლება სულაც არ გაიზარდოს 11 პროცენტით.

თუ ინფლაციის ტემპები 6%-ია, მაშინ თქვენი ფულის რეალური მსყიდველობითუნარიანობა მხოლოდ 5%-ით გაიზრდება. მაგრამ თუ ინფლაციის ტემპებმა 15% შეადგინა, მაშინ თქვენი ანაბარი რეალურ მაჩვენებლებში 4%-ით შემცირდება.

საბანკო პროცენტს ეკონომისტები სარგებლის ნომინალურ განაკვეთს, ხოლო მის მსყიდველობითუნარიანობას რეალურ განაკვეთს უწოდებენ. თუ სარგებლის ნომინალურ განაკვეთს i, რეალურ განაკვეთს- r, ხოლო ინფლაციას n -თი აღვნიშნავთ,

$$r = i - n;$$

სარგებლის რეალური განაკვეთი ნომინალური განაკვეთის და ინფლაციის სხვაობაა.

თუ გადავანაცვლებთ ტოლობის ნაწილებს, მივიღებთ, რომ სარგებლის ნომინალური განაკვეთი რეალური განაკვეთისა და ინფლაციის ჯამის ტოლია:

$$i = r + n$$

ეს დამოკიდებულება პირველად გამოიკვლია ცნობილმა მეცნიერ–ეკონომისტმა ირვინგ ფიშერმა. ამიტომაც ეს ფორმულა მის საპატივსაცემოდ ფიშერის ეფექტის სახელითაა ცნობილი. ამ ტოლობის თანახმად სარგებლის ნომინალური განაკვეთი შესაძლოა რეალური განაკვეთისა და ინფლაციის ტემპების ცვლილებების ზეგავლენით შეიცვალოს. ფიშერის ტოლობა და ფულის რაოდენობრივი თეორია გვიჩვენებს, რომ ფულის მასის ცვლილება ზემოქმედებს სარგებლის ნომინალურ განაკვეთზე. ფულის რაოდენობრივი თეორიის შესაბამისად ფულის მასის 1%-ით ზრდა იწვევს ინფლაციის ტემპების ასევე 1%-ით ზრდას, რაც თავის მხრივ სარგებლის ნომინალური განაკვეთის 1%-ით ზრდას იწვევს.

მიუხედავად იმისა, რომ ფულის რაოდენობრივი თეორია ბევრ რამეს ხსნის, მხოლოდ მასზე დაყრდნობით ყველა ფაქტორის გაანალიზება წარმოუდგენელია.

ფულს, რომელიც სახლში ინახება, პროცენტი არ ერიცხება. ამის ნაცვლად, თუ ამ ფულით მოხდება სახაზინო ვალდებულებების შეძენა ან მათი ბანკში დეპოზიტზე განთავსება, ფულის მესაკუთრე ნომინალურ საპროცენტო განაკვეთს მიიღებს. აქედან დასკვნა: თუ ჩვენ ფულს ვინახავთ ჯიბეში, მაშინ ჩვენ უარს ვამბობთ ნომინალური საპროცენტო განაკვეთის მიღებაზე. დავუშვათ, ჩვენ განვათავსეთ ჩვენი სახსრები ფასიან ქაღალდებში, საიდანაც მივიღებთ r რეალურ შემოსავალს. ინფლაციის ტემპებთან ერთად შემცირდება ფულის მსყიდველობითუნარიანობა და მასზე მოსალოდნელი რეალური შემოსავალი. ფულის სახლში შენახვით ჩვენ უარს ვამბობთ პროცენტის მიღებაზე, რომელიც ფულის ხელზე შენახვის ხარჯია და რაც ფიშერის ეფექტის შესაბამისად, პროცენტის ნომინალურ განაკვეთს i -ს შეადგენს.

ფული ყველაზე ლიკვიდური აქტივია. აქედან გამომდინარეობს, რომ ფულის რეალურ მარაგებზე მოთხოვნა შემოსავლის Y და პროცენტის ნომინალური განაკვეთის i–ს ფუნქციაა და რაც უფრო მაღალია ეს უკანასკნელი, მით უფრო დაბალია ფულზე მოთხოვნა.

მომავალი ფული და დღევანდელი ფასები. 1970 წელს ამერიკაში "New York Times"-ი 15 ცენტი, ბინა 23 000 დოლარი ღირდა, ხოლო საშუალო ხელფასი საათში 3,35 დოლარი იყო. 20 წლის შემდეგ "New York Times" 40 ცენტი, ხოლო ბინა 100 000 დოლარი ღირდა, საშუალო ხელფასი კი საათში 10,83 დოლარი გახდა. ფასების მსგავსმა საყოველთაო აწევამ ინფლაციის სახელი მიიღო.

ინფლაციის ტემპი - ფასების საერთო დონის ცვლილება პროცენტებში - განსხვავებულია როგორც ქვეყნებს შორის, ასევე ქვეყნის რეგიონებს შორის, და რაც მთავარია, იგი დროის

სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვაა. ქვეყნები, მათ შორის საქართველო სხვადასხვა ტემპების ინფლაციას, მათ შორის ჰიპერინფლაციას (როცა ინფლაციის ტემპები მაღალია) განიცდიდნენ.

ჰენრი ფორდი ინფლაციას "საზოგადოების ნომერ პირველ მტერს", ხოლო რონალდ რეიგანი კი "ყველაზე მკაცრ გადასახადს" უწოდებდნენ.

ფულის რეალური მარაგები დამოკიდებულია ინფლაციის მოსალოდნელ ტემპებზე. ფულის რაოდენობრივი თეორიის შესაბამისად ფულის მიწოდების მოცულობა განსაზღვრავს ფასების მიმდინარე დონეს. ნაწილობრივ ეს მტკიცებულება ძალაში რჩება, ამასთან სარგებლის ნომინალური განაკვეთი მუდმივი არაა, იგი ფულის მიწოდების ცვლილების კვალობაზე იცვლება. ფულზე მოთხოვნის საერთო განტოლება გვიჩვენებს, რომ ფასების დონე არა მარტო ფულის მიწოდების დღევანდელ დონეზეა დამოკიდებული, არამედ მომავალში მოსალოდნელზეც. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: დავუშვათ, ცენტრალურმა ბანკმა განაცხადა, რომ აპირებს ფულის მიწოდების ზრდას, მაგრამ რეალურად არ გაზრდის მას. თუ ინდივიდები დაიჯერებენ ცენტრალური ბანკის განცხადებას, მაშინ მათ ექნებათ ფულადი მასის სწრაფი ზრდისა და ინფლაციის ტემპების დაჩქარების მოლოდინი. ფიშერის ეფექტის შესაბამისად, ინფლაციის მოსალოდნელი ტემპების მსგავსი ზრდა გამოიწვევს ნომინალური საპროცენტო განაკვეთის ზრდას. უფრო მაღალი ნომინალური საპროცენტო განაკვეთი კი, თავის მხრივ, გამოიწვევს რეალური ფულადი მარაგის დაუყოვნებლივ შემცირებას. რამდენადაც ნომინალურ გარიგებაში მიმოქცევაში ფულის რაოდენობა არ განიცდის არავითარ ცვლილებას, მაშინ ფულის რეალურ მარაგზე მოთხოვნის შემცირება გამოიწვევს ფასების ზრდას. ამგვარად, მომავალში ფულადი მასის უფრო მაღალი ტემპებით ზრდის მოლოდინი იწვევს მიმდინარე ფასების დონის ზრდას.

იმის გამო, რომ ფულზე მოთხოვნა დამოკიდებულია პროცენტის ნომინალურ განაკვეთზე, მხოლოდ ფულის რაოდენობაზე ზემოქმედებით, ჰიპერინფლაციის მოთოკვა წარმოუდგენელია. ინფლაციის ტემპების შემცირება გამოიწვევს ნაღდი ფულის ფლობის ხარჯების შემცირებას და რეალური მარაგების ზრდას. თუ ცენტრალური ბანკი უბრალოდ შეამცირებს ფულის ბეჭდვას, მაშინ ამას საბოლოო ჯამში ფასების საერთო დონის შემცირება (დეფლაცია) მოჰყვება. ამ შემთხვევაში ცენტრალური ბანკი ვერ აღწევს ფასების სტაბილიზაციას.

გასათვალისწინებელია, რომ ინფლაციასთან ბრძოლა გარდა წმინდა ეკონომიკური ფაქტორებისა, დიდადაა დამოკიდებული აგრეთვე ნდობაზე. როგორც წესი ინფლაციური პროცესები ამცირებს საზოგადოებაში ფულისადმი და ცენტრალური ბანკისადმი ნდობას.

ცენტრალური ბანკი, ცდილობს სენიორაჟის აუცილებლობა გამორიცხოს, რადგან, როგორც წესი, ჰიპერინფლაციას სახელმწიფოს მიერ საკუთარი ხარჯების დასაფინანსებლად ფულის ბეჭდვა იწვევს. ვიდრე სენიორაჟის აუცილებლობა არსებობს, მოსახლეობა, როგორც წესი არ ენდობა სახელმწიფოს.

როგორც ვხედავთ, ინფლაცია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სფეროა, მაგრამ იგი მჭიდროდაა დაკავშირებული საბიუჯეტო სფეროსთანაც.

7.3. ინფლაციის დანახარჯები

ინფლაცია გარდა ეკონომიკური პრობლემებისა, სოციალურ პრობლემებსაც ქმნის. იგი ადამიანების მსყიდველობითუნარიანობას ამცირებს და ამით აღარიბებს მათ. ეკონომისტები ინფლაციის ექვსი სახის დანახარჯს განასხვავებენ. უპირველეს ყოვლისა, ესაა მოსახლეობის ხელთ არსებული ფულის შემცირება ინფლაციური გადასახადის გზით. რადგან მოსახლეობას უმცირდება ხელთ არსებული სახსრები, ისინი იძულებულნი არიან, უფრო ხშირად იარონ ბანკში, ამ მოვლენას "გაცვეთილი ფეხსაცმლის დანახარჯს" უწოდებენ.

ინფლაციის მეორე დანახარჯი ფასების ხშირ ცვლილებასთანაა დაკავშირებული, მას "მენიუს დანახარჯები" ჰქვია. ამ პრობლემას შესაძლოა კატალოგების შეცვლა და უზარმაზარი ხარჯები მოჰყვეს. იმის გამო, რომ თავიდან აიცილონ მენიუს დანახარჯი, ფირმები ცდილობენ არ გააძვირონ საქონელი და მომსახურება, რაც ბუნებრივია, ზარალის მომტანია. ასეთ შემთხვევაში შეფარდებითი ფასები არამდგრადია და ადგილი აქვს საქონლის, მომსახურების და რესურსების არარაციონალურ განაწილებას.

მესამე ტიპი, გადასახადების დამახინჯებას ეხება, რადგან დაბეგვრა არ ითვალისწინებს ინფლაციას და შესაძლოა ინფლაციის გამო რადიკალურად შეიცვალოს დაბეგვრის რეჟიმი. მაგალითად თუ ადამიანმა იყიდა სახლი 30 000 ლარად და შემდეგ ინფლაციის გამო გაყიდა იგი 60 000 ლარად, იგი დაიბეგრება სხვაობის (30 000 ლარი) –დან.

მეოთხე. მოულოდნელი ინფლაცია თავის მხრივ, სიმდიდრის არათანაბარ გადანაწილებას იწვევს. ამის მაგალითად სესხი გამოდგება. სასესხო ხელშეკრულებაში დაფიქსირებულია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დავუშვათ 10 პროცენტი. თუ ინფლაცია 10 პროცენტს გადააჭარბებს, მოგებული ხდება მსესხებელი, ხოლო დაბალი ინფლაციის შემთხვევაში -კრედიტორი. ხდება დებიტორებსა და კრედიტორებს შორის სიმდიდრის შემთხვევითი გადანაწილება.

მოულოდნელი ინფლაცია ამცირებს ფიქსირებული შემოსავლის მქონე ადამიანების შემოსავალს, ხოლო დაბალი ინფლაცია კი ამცირებს ფირმების მოგებას.

იმისათვის, რომ ინფლაცია აისახოს ეკონომიკურ ცვლადებზე, განასხვავებენ რეალურ და ნომინალურ ცვლადებს– რაოდენობით ცვლადებს და ფარდობით ფასებს. რეალური ხელფასი არის მოხმარებისა და დასვენების ფარდობითი ფასი, პროცენტის რეალური განაკვეთი კი არის დღეს წარმოებული საქონლისა და მომსახურების ფასების მომავალში მათი წარმოების ფასების მიმართ თანაფარდობა.

ნომინალურ მაჩვენებლებს განეკუთვნება ფასების დონე, ინფლაციის ტემპები, მშპ, ხელფასი. მათ ფულადი გამოსახულება აქვთ.

რეალურ მაჩვენებლებს განეკუთვნება: რეალური ხელფასი, რომელიც ინფლაციის ტემპითაა კორექტირებული, იგი ზომავს იმ ნორმას, რომლითაც ადამიანები საქონელსა და მომსახურებას ფულის თითოეულ ერთეულზე ცვლიან; სარგებლის რეალური განაკვეთი, რომელიც წარმოადგენს ინფლაციის ტემპით კორექტირებულ სარგებლის ნომინალურ განაკვეთს, ის იმ ნორმას გვიჩვენებს, რომლითაც ადამიანები დღევანდელ საქონელსა და მომსახურებას სამომავლო საქონელსა და მომსახურებაზე ცვლიან; რეალური მშპ, რომელიც ასევე წარმოადგენს ინფლაციის მიხედვით კორექტირებულ ნომინალურ მშპ–ს.

7.4. კლასიკური დიქოტომია და მონეტარული ნეიტრალიტეტი

რეალური და ნომინალური ცვლადების გასამიჯნად, მაკროეკონომისტები სარგებლობენ ტერმინით - **კლასიკური დიქოტომია.** დიქოტომია ლათინური სიტყვაა და დაყოფას, განცალკავებას ნიშნავს. კლასიკური დიქოტომია აღნიშნავს ნომინალური და რეალური ცვლადების თეორიულ განცალკავებას.

კლასიკური ანალიზის მიხედვით, ფულის მიწოდების ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ ნომინალურ და არა რეალურ ცვლადებზე. როდესაც ცენტრალური ბანკი ფულის მიწოდებას აორმაგებს, ფასების დონე, ლარებში გამოხატული, ორმაგდება. ხოლო რეალური ცვლადები, როგორიცაა რეალური მშპ, დასაქმება, რეალური ხელფასი, სარგებლის რეალური განაკვეთი, არ იცვლება. ფულის თვისებას, ზემოქმედება არ მოახდინოს რეალურ ცვლადებზე, **ფულის ნეიტრალურობა, ანუ მონეტარული ნეიტრალიტეტი** ეწოდება.

უნდა აღინიშნოს, რომ კლასიკური დიქოტომია მართებულია გრძელვადიანი პერიოდის ეკონომიკისათვის. მონეტარული ნეიტრალიტეტი კარგად ახასიათებს გრძელვადიანი პერიოდის ეკონომიკას. ათწლიანი პერიოდის განმავლობაში ფულადი ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნომინალურ ცვლადებზე, როგორიცაა ფასები, მაგრამ თითქმის არ მოქმედებს რეალურ ცვლადებზე, მაგალითად როგორიცაა რეალური მშპ. ფასების ცვლილება რეალურ მშპ–ზე არ მოქმედებს, რადგან იგი იზომება უცვლელი ფასებით. თუმცა მოკლევადიანი პერიოდის ეკონომიკის განხილვა ადასტურებს, რომ ამ შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა. მოკლევადიან პერიოდში, ერთი–ორი წლის განმავლობაში მონეტარული ცვლილებები რეალური ცვლადების ცვლილებასაც იწვევს. შემდეგ თავებში განვიხილავთ მოკლევადიან არანეიტრალურობას, რაც დაგვეხმარება იმის გარკვევაში, თუ რატომ ცვლის ცენტრალური ბანკი ფულის მიწოდებას დროთა განმავლობაში.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა მკვეთრად გაიზარდა და ქვეყნები უფრო ურთიერთდამოკიდებულნი გახდნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის სწორი ფორმირება უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში.

წინა თავებში ანალიზის გასამარტივებლად ჩვენ გამოვიყენეთ დაშვება, რომ საერთაშორისო ვაჭრობა არ არსებობს. ამჟამად გავართულოთ ჩვენი მსჯელობა, რადგან რეალური ეკონომიკა ექსპორტისა და იმპორტის გარეშე წარმოუდგენელია. ჩვენს მიერ მოხმარებული ბევრი საქონელი და მომსახურება საზღვარგარეთაა წარმოებული. თავისუფალი ვაჭრობა (იმპორტი და ექსპორტი) ყველა ქვეყნის მოქალაქეთათვის სასარგებლოა. იგი საშუალებას აძლევს სახელმწიფოებს სპეციალიზაციის მეშვეობით ის საქონელი და მომსახურება აწარმოოს, რომლის წარმოებაშიც უკეთესი შედეგები აქვს, ამასთანავე მოქალაქეებს საქონლისა და მომსახურების უფრო დიდ არჩევანს სთავაზობს.

8.1. საქონლისა და კაპიტალის საერთაშორისო ნაკადი

განვიხილოთ ეკონომიკაში წარმოებულ პროდუქციაზე გაწეული დანახარჯები. დახურულ ეკონომიკაში წარმოებული საქონელი ქვეყნის შიგნით მოიხმარება და ამიტომ იგი სამ ნაწილად - მოხმარებად, სახელმწიფო შესყიდვად და ინვესტიციად იყოფა. ღია ეკონომიკაში პროდუქციის ნაწილი ქვეყნის შიგნით მოიხმარება, ხოლო მეორე ნაწილი ექსპორტის სახით საზღვარგარეთ გადის. ჩვენ შეგვიძლია ეკონომიკაში წარმოებულ პროდუქციაზე - Y -ზე გასაწევი ხარჯები 4 კომპონენტად დავყოთ:

$$Y = C + I + G + NX$$

Y- მთლიანი შიდა პროდუქტი;

C –მოხმარება;

G –სახელმწიფო შესყიდვები;

NX –წმინდა ექსპორტი.

ღია ეკონომიკა ცხადია არ გულისხმობს მხოლოდ საქონლისა და მომსახურების საზღვარგარეთ გატანას. ჩვენ მოვიხმართ როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ საქონელს, ანალოგიურად ინვესტიციებზე და სახელმწიფო შესყიდვებზეც ადგილობრივთან ერთად უცხოური პროდუქციაც გამოიყენება.

სადაც NX არის ექსპორტისა და იმპორტის სხვაობა, ანუ **წმინდა ექსპორტი (იგივე სავაჭრო ბალანსი)**. იმის გამო, რომ ჩვენ მოვიხმართ უცხოეთში წარმოებულ პროდუქციას, რომელიც ცხადია ჩვენში არ არის წარმოებული, ამ იგივეობაში იმპორტი მინუს ნიშნით შედის, რათა გაბათილოს მოხმარებაში, ინვესტიციებსა და სახელმწიფო შესყიდვებში უცხოურ პროდუქციაზე გაწეული დანახარჯები.

ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ წმინდა ექსპორტი, როგორც ექსპორტისა და იმპორტის სხვაობა. თუ წარმოების მოცულობა აღემატება მოხმარებას, მაშინ წმინდა ექსპორტი დადებითი სიდიდეა (ექსპორტი აჭარბებს იმპორტს), ხოლო თუ მოხმარება აღემატება წარმოების მოცულობას (იმპორტი აღემატება ექსპორტს), მაშინ წმინდა ექსპორტი უარყოფითი სიდიდეა.

ღია ეკონომიკისათვის ერთობლივი შემოსავლის ორი მაჩვენებელი არსებობს, მთლიანი შიდა პროდუქტი მშპ (GDP) და ერთობლივი ეროვნული შემოსავალი ეშ(GNI).

ერთობლივი ეროვნული შემოსავალი ეშ(GNI), არის ქვეყნის მოქალაქეების მიერ მიღებული შემოსავალი, მათ შორის საზღვარგარეთ მიღებული შემოსავალი, მაგრამ არ შედის ქვეყნის შიგნით სხვა ქვეყნის მოქალაქეების მიერ მიღებული შემოსავალი.

მთლიანი შიდა პროდუქტი (GDP) – მოიცავს ქვეყნის ტერიტორიაზე მიღებულ შემოსავლებს. მასში შედის უცხოელთა მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე მიღებული შემოსავალი, მაგრამ არ შედის ამ ქვეყნის მოქალაქეთა მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მიღებული შემოსავალი. მაგალითისათვის დავუშვათ, რომ სომხეთის მოქალაქე ჩამოდის საქართველოში და მუშაობს. მის მიერ მიღებული შემოსავალი შედის საქართველოს მშპ -ში, მაგრამ არ შედის საქართველოს ეშ –ში (GNI– ში), რადგან შემოსავალი საქართველოს ტერიტორიაზე იქნა მიღებული, მაგრამ არა საქართველოს მოქალაქის მიერ.

როგორც ჩაკეტილ, ასევე ღია ეკონომიკაში ფინანსური ბაზრები მჭიდროდაა დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების ბაზრებთან.

განვიხილოთ $Y = C+G+I+ XN$ იგივეობა, თუ ორივე მხარეს გამოვაკლებთ მოხმარებასა და სახელმწიფო შესყიდვებს მივიღებთ, რომ $Y - C - G = I + XN$;

გავიხსენოთ, რომ $Y- C - G = S$, აქ S ეროვნული დანაზოგია, რომელიც შიდა კერძო და სახელმწიფო დანაზოგების ჯამის ტოლია ჩაკეტილ ეკონომიკაში. ღია ეკონომიკაში როგორც ვხედავთ, $S = I + XN$;

აქედან ცხადია, რომ თუ ჩვენი დანაზოგი აღემატება ჩვენს ინვესტიციებს, მაშინ დანაზოგების საზღვარგარეთ გასესხების საშუალება გვაქვს.

კაპიტალის ნაკადებს სხვადასხვაგვარი ფორმა აქვს. შესაძლოა უცხოელებმა შეიძინონ ან სახაზინო ვალდებულებები, ან ფინანსური კაპიტალით მოახდინონ უძრავი ქონების შეძენა. ორივე შემთხვევაში უცხოელები ქვეყნის შიგნით კაპიტალის წილის მესაკუთრეები ხდებიან.

კაპიტალის წმინდა გადინება წარმოადგენს ადგილობრივი რეზიდენტების მიერ უცხოურ აქტივებში გადახდილი თანხისა და უცხოური რეზიდენტების მიერ სამამულო აქტივებში გადახდილი თანხის სხვაობას. იგი აღინიშნება სიმბოლოთი **NCO.**

ღია ეკონომიკა დანარჩენ სამყაროსთან ორგვარად ურთიერთქმედებს– საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ბაზრებზე და მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე. წმინდა ექსპორტი და კაპიტალის წმინდა გადინება ამ ორი ბაზრის მდგომარეობას ასახავს. წმინდა ექსპორტი ასახავს ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის ოდენობას, ხოლო კაპიტალის წმინდა გადინება ასახავს ფინანსური ნაკადების მოძრაობას. გამოთვლებით ირკვევა, რომ ეს ორი სიდიდე ერთმანეთს აწონასწორებს. ამგვარად, კაპიტალის წმინდა გადინება NCO და წმინდა ექსპორტი XN ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს.

$$NCO= XN.$$

იმის გამო, რომ კაპიტალის მოძრაობის ანგარიში ინვესტიციებსა და დანაზოგებს შორის სხვაობაა, მოდელში სწორედ ამ ორი აგრეგატის ანალიზი უნდა გამოვიყენოთ.

საქართველოს მაგალითზე განვიხილოთ მცირე ღია ეკონომიკა, რომელსაც მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე აქვს გარკვეული მიღწევები. ტერმინი "მცირე" ნიშნავს, რომ აღნიშნული ეკონომიკა მცირე ზომისაა, მსოფლიო ეკონომიკის შედარებით პატარა ნაწილია და თავისთავად ვერ ზემოქმედებს ან უმნიშვნელო ზემოქმედებას ახდენს საპროცენტო განაკვეთზე. ამასთან, ქვეყნის მთავრობა ხელს არ უშლის საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე გასვლას და სახსრების

სესხებას. შესაბამისად, მცირე ღია ეკონომიკაში საპროცენტო განაკვეთი მსოფლიო საპროცენტო განაკვეთს - r^*-ს უდრის.

$$r = r^*.$$

მცირე ღია ეკონომიკისათვის საპროცენტო განაკვეთი არის მოცემულობა, ანუ მისი შეცვლა არ არის დამოკიდებული პატარა ქვეყანაზე. ჩაკეტილ ეკონომიკაში საპროცენტო განაკვეთი ინვესტიციებსა და დანაზოგებს შორის წონასწორობით განისაზღვრება. ცხადია მსოფლიო ეკონომიკა თავისი არსით ასევე ჩაკეტილი ეკონომიკაა და მსოფლიოს მასშტაბით დანაზოგებისა და ინვესტიციების წონასწორობა განსაზღვრავს საპროცენტო განაკვეთს. ამდენად მიმდინარე ოპერაციების ანგარიში და კაპიტალის მოძრაობის ანგარიში საბიუჯეტო- საგადასახადო პოლიტიკისა (T, G) და მსოფლიო საპროცენტო განაკვეთზეა დამოკიდებული.

თუ ჩაკეტილ ეკონომიკაში რეალური საპროცენტო განაკვეთი იცვლება დანაზოგებისა და ინვესტიციების წონასწორულ მდგომარეობაში მოსაყვანად, მცირე ღია ეკონომიკაში შიდა რეალური საპროცენტო განაკვეთი მსოფლიო რეალური საპროცენტო განაკვეთის ტოლია, ხოლო კაპიტალის მოძრაობის ანგარიშისა და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის სალდო მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის პირობებში შიდა დანაზოგებისა და ინვესტიციების სხვაობით განისაზღვრება.

თუ ეროვნული დანაზოგები საკმარისი არაა ინვესტიციებისათვის, ფინანსურ ბაზრებზე ხდება სესხება და პირიქით, თუ დანაზოგების მოცულობა აღემატება ინვესტიციებს, მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე ხდება გასესხება.

როგორც აღვნიშნეთ, ეროვნული დანაზოგი ქვეყნის შემოსავლის ის ნაწილია, რომელიც მიმდინარე მოხმარების და სახელმწიფო შესყიდვების ხარჯების შემდეგ რჩება. $S = Y-C-G = I+NX$; ეს კი ნიშნავს, რომ $S = I + NX$.

რადგან წმინდა ექსპორტი NX უდრის კაპიტალის წმინდა გადინებასაც NCO, ამ ტოლობას შეგვიძლია შემდეგი სახე მივცეთ:

$$S = I + NCO.$$

დანაზოგი = სამამულო ინვესტიციები + კაპიტალის წმინდა გადინება.

ეს ტოლობა გვიჩვენებს, რომ ქვეყნის დანაზოგი სამამულო ინვესტიციების და კაპიტალის წმინდა გადინების ჯამის ტოლი უნდა იყოს. ჩაკეტილი ეკონომიკისაგან განსხვავებით, ღია ეკონომიკა თავის დანაზოგს ორი მიზნით იყენებს: სამამულო ინვესტიციებისა და კაპიტალის წმინდა გადინებისათვის.

ღია ეკონომიკაში გვხვდება სამი შესაძლო შემთხვევა: სავაჭრო დეფიციტი, დაბალანსებული ვაჭრობა, სავაჭრო გარდამეტი.

სავაჭრო დეფიციტი ნიშნავს, რომ ექსპორტი იმპორტზე ნაკლებია, ეს იმას ნიშნავს, რომ NX უარყოფითია, $NX < 0$; ამრიგად, სავაჭრო დეფიციტის დროს შემოსავალი $Y=C+ I +G +NX$ ხარჯებზე $C+ I +G$ ნაკლებია. ხოლო დანაზოგები $S = Y-C-G$ ინვესტიციებს I ჩამორჩება. იმის გამო, რომ ქვეყანა ნაკლებს ზოგავს, ვიდრე აბანდებს, ამიტომ ის ადგილობრივი ინვესტიციების ნაწილს აქტივების უცხოეთში გაყიდვით უნდა აფინანსებდეს, ამიტომ კაპიტალის წმინდა გადინება უარყოფითი იქნება. ეს ნიშნავს,რომ უცხოური კაპიტალი შემოედინება: უცხოელები უფრო მეტ აქტივებს იძენენ საქართველოში, ვიდრე ქართველები უცხოეთში.

სავაჭრო გარდამეტი მაშინ არსებობს, როცა ექსპორტი იმპორტს აჭარბებს, $NX > 0$; სავაჭრო გარდამეტის დროს შემოსავალი $Y =C+ I +G +NX$ ხარჯებზე $C+ I +G$–ზე მეტია. შესაბამისად, დანაზოგები $S = Y-C-G$ აჭარბებს ინვესტიციებს I–ს. რადგან ქვეყანა უფრო მეტს ზო-

გავს, ვიდრე აბანდებს, ის დანაზოგის ნაწილს საზღვარგარეთ უნდა ხარჯავდეს. ამიტომ კაპიტალის წმინდა გადინება დადებითი იქნება.

დაბალანსებული ვაჭრობა ნიშნავს, რომ ექსპორტი იმპორტის ტოლია. წმინდა ექსპორტი უდრის ნულს. შემოსავალი შიდა ხარჯებს უტოლდება, დანაზოგი კი– ინვესტიციებს. კაპიტალის წმინდა გადინება ნულის ტოლი იქნება, NCO = 0.

უნდა აღინიშნოს, რომ სავაჭრო დეფიციტი არ არის ქვეყნისთვის პრობლემა, რადგან თუ ქვეყანაში დანაზოგები მცირეა, ნულოვან ინვესტიციას ბევრად სჯობს უცხოურის დაბანდება. თუ დამატებითი კაპიტალის ინვესტირება საქონლისა და მომსახურების წარმოების მოცულობის ზრდას იწვევს, მაშინ ეკონომიკა შეძლებს დაგროვილი ვალების გასტუმრებას და სესხება სასარგებლო ხდება. ამრიგად, სავაჭრო დეფიციტი თავისთავად პრობლემა არ არის, თუმცა ის ზოგჯერ პრობლემის სიმპტომად გვევლინება.

8.2. სავალუტო კურსები

მოდელი, რომელსაც ჩვენ ვიხილავდით შევავსოთ ფასებით, რომლითაც მიმდინარეობს ქვეყნებს შორის ვაჭრობა. ორი ქვეყნის **ვალუტის გაცვლითი კურსი** - არის ფასი, რომლითაც მათ შორის გაცვლა ხდება.

განასხვავებენ ნომინალურ და რეალურ სავალუტო კურსებს.

ნომინალური კურსი ორი ქვეყნის ვალუტის ფარდობითი ფასია, სავალუტო კურსი, რომლითაც ადამიანს შეუძლია ერთი ქვეყნის ვალუტით მეორე ქვეყნის ვალუტა შეიძინოს. არსებობს პირდაპირი, შებრუნებული და კროს კურსები.

ა) გაცვლის პირდაპირი, ანუ ევროპული კურსი, რომელიც უცხოური ვალუტის იმ რაოდენობაზე მიუთითებს, რომელიც შეიძლება 1 აშშ დოლარზე შეიძლება იქნეს შეძენილი. მაგალითად, 1აშშ დოლარი = 1,38 ავსტრალიურ დოლარს.

ან 1აშშ დოლარი = 2,25 ლარს. ეს ნიშნავს, რომ მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე 100 დოლარი შეგიძლიათ 225 ლარში გადაცვალოთ. ქართველი, რომელსაც დოლარი სურს, 100 დოლარში 225 ლარს გადაიხდის, ხოლო ამერიკელი კი 100 დოლარში 225 ლარს მიიღებს. როდესაც საუბარი გაცვლით კურსზეა, ადამიანები როგორც წესი ნომინალურ გაცვლით კურსს გულისხმობენ.

ბ) გაცვლის შებრუნებული, ანუ ამერიკული კურსი, რომელიც მიუთითებს თუ დოლარის რა რაოდენობით შეიძლება სხვა ქვეყნის ფულადი ერთეული იქნეს შეძენილი. აღნიშნული ნიშნავს, რომ 1 ავსტრალიური დოლარი შეიძლება 0,72 აშშ დოლარით შევიძინოთ. ან 1 ლარი შეიძლება 0,44 დოლარით შევიძინოთ.

გ) კროს–კურსი არის არაამერიკული ვალუტის გაცვლის კურსი, გამოსახული სხვა არაამერიკულ ვალუტაში. მაგალითად, თუ იაპონური იენი 1 დოლარზე =100; ხოლო მექსიკური პესო 1 დოლარზე =3,0; ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ კროს–კურსი იენი პესოზე: 100 იენი უტოლდება 3 პესოს. იენი პესოზე იქნება 100/3 = 33,3.

განიხილავენ ასევე რეალურ გაცვლით კურსს.

რეალური კურსი ეს ორ ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის ფარდობითი ფასია. სხვაგვარად, ესაა ის შეფარდება, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია ორ ქვეყანაში წარმოებული საქონელი გავცვალოთ. რეალურ გაცვლით კურსს ზოგჯერ ვაჭრობის პირობებსაც უწოდებენ.

იმისათვის, რათა რეალური და ნომინალური გაცვლითი კურსების კავშირი დავინახოთ,

განვიხილოთ ერთი ჰიპოთეზური მაგალითი. დავუშვათ, საქართველოში ერთი ლიტრი ღვინო ღირს 2 ლარი, ხოლო ამერიკაში – 3 დოლარი, ამასთან ერთი აშშ დოლარის გაცვლითი კურსი 1,8 ლარია. მაშინ გამოდის, რომ ამერიკაში ამერიკული ღვინის ფასი 3 x 1, 8 =5, 4 ლარია, ანუ ამერიკული ღვინო ამერიკაში 2,7-ჯერ ძვირია ვიდრე საქართველოში, ანუ ერთი ლიტრი ამერიკული ღვინო 2,7 ლიტრი ქართული ღვინის ფასი ღირს. აღნიშნული ვალუტის რეალური გაცვლითი კურსია.

რეალური კურსი = (1,8 ლარი/დოლარი) x (3დოლარი აშშ ღვინოში) /2 ლარი ქართულ ღვინოში = კურსი (2,7 x ქართ.ღვინო/აშშ ღვინო)

აქედან გამომდინარე, რეალური გაცვლითი კურსი (ε) ნომინალური გაცვლითი კურსისა (e) და ფასების დონეთა შეფარდების (P / P *) ნამრავლის ტოლია, ანუ

$$\varepsilon = e \times (p / p^*)$$

ε – რეალური სავალუტო კურსი
e – ნომინალური სავალუტო კურსი
p – სამამულო პროდუქციის ფასების დონე
p*–უცხოური პროდუქციის ფასების დონე.

ორ ვალუტას შორის რეალური სავალუტო კურსი ნომინალური გაცვლითი კურსისა და ამ ორ ქვეყანაში ფასების დონეების საფუძველზე გაიანგარიშება. თუ რეალური სავალუტო კურსი მაღალია, მაშინ უცხოური საქონელი p* შედარებით იაფია, ხოლო ადგილობრივი ძვირი და პირიქით.

ამგვარად, თუ რეალური სავალუტო კურსი მაღალია, უცხოური საქონელი უფრო იაფია, ვიდრე სამამულო და მომხმარებელიც უცხოურს უფრო შეიძენს, შედეგად ქვეყანაში წმინდა ექსპორტი უარყოფითი სიდიდე იქნება. ხოლო თუ რეალური სავალუტო კურსი დაბალია, ეს ნიშნავს, რომ სამამულო პროდუქცია უფრო იაფია და მომხმარებელი უფრო მეტად ადგილობრივ პროდუქციას შეიძენს, შედეგად წმინდა ექსპორტი დადებითი სიდიდე იქნება.

რეალურ გაცვლით კურსზე ზემოქმედებს როგორც ქვეყნის შიგნით განხორციელებული პოლიტიკა, ასევე ქვეყნის გარეთ (ცხადია "დიდ" ქვეყნებში) განხორციელებული პოლიტიკა.

8.3. საერთაშორისო ვაჭრობა, საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის ზეგავლენა.

თანამედროვე მსოფლიო სულ უფრო ფართოდ ერთვება გლობალიზაციის პროცესებში, რაც ხელს უწყობს ქვეყნების ეკონომიკურ ინტეგრაციას და თავისუფალ ვაჭრობას, საგარეო–სავაჭრო პოლიტიკა კი სულ უფრო ლიბერალური ხდება.


საგარეო-სავაჭრო პოლიტიკა არის პოლიტიკა, რომელიც ტარდება საიმპორტო და საექსპორტო საქონლისა და მომსახურების მოცულობაზე ზემოქმედებისათვის. როგორც წესი, ხშირად ტარდება პოლიტიკა, რომელიც მიმართულია იმპორტირებული საქონლისაგან ადგილობრივი წარმოების დასაცავად. ამ მიზნით, იმპორტზე გადასახადის (ტარიფის) ზრდა ან იმპორტის რაოდენობის შეზღუდვა (ქვოტა) გამოიყენება. ასეთ პოლიტიკას პროტექციონისტული პოლიტიკა ჰქვია. სავაჭრო პოლიტიკას ყველა ქვეყანა ახორციელებს, თუმცა ის ხშირად არასასურველად ითვლება. მაგალითად, განვიხილოთ სიტუაცია, როცა ადგილობრივი წარმოების დასაცავად მთავრობა აკრძალავს რომელიმე ტიპის საქონლის იმპორტს. ვთქვათ, აშშ–მ შემოიღო საიმპორტო ქვოტა იაპონიიდან იმპორტირებული ავტომობილების რაოდენობაზე. საავტომობილო ინდუსტრიის ლობისტები ამტკიცებენ, რომ ვაჭრობის ასეთი შეზღუდვა აშშ-ს სავაჭრო დეფიციტს შეამცირებს. თუმცა გრაფიკული ანალიზით დავრწმუნდებით, რომ წმინდა ექსპორტი უცვლელი რჩება.

ანალიზის პირველი საფეხურის თანახმად, უნდა გავარკვიოთ, რომელი მრუდი გადაინაცვლებს. იმპორტის შეზღუდვა თავიდან იმპორტს შეამცირებს და წმინდა ექსპორტი (ექსპორტისა და იმპორტის სხვაობა) გაიზრდება.

მეორე საფეხურზე ვარკვევთ საით გადაადგილდება წმინდა ექსპორტის მრუდი. რა თქმა უნდა, რეალური გაცვლითი კურსის ნებისმიერ მოცემულ შემთხვევაში იმპორტის მოცულობა შემცირდება, ესე იგი წმინდა ექსპორტი გაიზრდება. ამგვარად წმინდა ექსპორტის მრუდი მარჯვნივ და მაღლა გადაინაცვლებს NX(ε)1-დან NX(ε)2–მდე. მესამე საფეხური ძველი და ახალი წონასწორული მდგომარეობების შედარებაა. როგორც ნახაზზე ვხედავთ, ახალ წონასწორობაში სავალუტო კურსის ε1–დან ε2–მდე ზრდას წმინდა ექსპორტის საბოლოო ცვლილება არ მოჰყოლია.

წმინდა ექსპორტის უცვლელობა რეალური გაცვლითი კურსის ცვლილებით აიხსნება: როდესაც ვალუტის ბაზარზე დოლარის ღირებულება გაიზარდა, ამერიკული საქონელი იაპონურთან შედარებით გაძვირდა. ეს აბრკოლებს ექსპორტს და ხელს უწყობს იმპორტს. ორივე ამ ცვლილებამ კი იმპორტის კვოტის ზემოქმედება გაანეიტრალა. ამგვარად, იმპორტის კვოტა იმპორტსაც ამცირებს და ექსპორტსაც, მაგრამ წმინდა ექსპორტი უცვლელი რჩება.

ახალ წონასწორულ წერტილში გაცვლითი კურსი გაიზრდება, ხოლო წმინდა ექსპორტის მოცულობა იმავე დონეზე დარჩება. მეცნიერული ანალიზი ადასტურებს, რომ პროტექციონისტული პოლიტიკა არ ზემოქმედებს საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის სალდოზე, რადგან საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი იმპორტის ექსპორტზე გადამეტებას ალნიშნავს. ჩვენ ვიგულისხმეთ, რომ ზოგიერთი საქონლის იმპორტის აკრძალვა შეამცირებდა იმპორტს და გაზრდიდა წმინდა ექსპორტს. სინამდვილეში კი პროტექციონისტული პოლიტიკა მხოლოდ რეალურ გაცვლით კურსს ზრდის, რაც იწვევს ადგილობრივი წარმოების გაძვირებას და საბოლოო ჯამში იწვევს წმინდა ექსპორტის შემცირებას. იმის გამო, რომ პროტექციონისტული პოლიტიკა არ ზემოქმედებს არც ინვესტიციებზე და არც დანაზოგებზე, მას არ შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს როგორც კაპიტალის მოძრაობის ანგარიშზე, ასევე მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშზე.



ნახ. 8.1.

პროტექციონისტული პოლიტიკა, შესაძლოა საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის მომგებიანი იყოს. ისეთი საქონლის მწარმოებლებისათვის, რომელთა იმპორტიც აიკრძალა. ჩვენს მაგალითში, ავტომობილის კომპანიისათვის. თუმცა სხვა კომპანიები, მაგალითად, თვითმფრინავის მწარმოებელი კომპანიები ხედავენ, რომ გაძვირებული დოლარი აფერხებს მათი პროდუქციის ექსპორტს. ამ შემთხვევაში იაპონურ ავტომობილებზე დაწესებული იმპორტის კვოტა ავტომობილების წმინდა ექსპორტს ზრდის, ხოლო თვითმფრინავების წმინდა ექსპორტს ამცირებს. შედეგად, შეერთებული შტატების მთლიანი სავაჭრო ბალანსი სულაც არ გაუმჯობესდა, უცვლელი დარჩა.

სავაჭრო პოლიტიკის შედეგები უფრო მიკროეკონომიკურია, ვიდრე მაკროეკონომიკური. იგი მხოლოდ კონკრეტულ ფირმებსა ან დარგებს ეხება. თავისუფალი ვაჭრობა ეკონომიკას საშუალებას აძლევს, ის დარგი აირჩიოს, რომელიც მას უკეთ და შედარებით ნაკლები დანახარჯებით გამოსდის. ვაჭრობის შეზღუდვა კი საბოლოო ჯამში ამცირებს საერთო ეკონომიკურ კეთილდღეობას.

იგივე შედეგი მიიღწევა იმპორტზე ტარიფის დაწესებით. ტარიფი არის გადასახადი იმპორტზე. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მწარმოებლების ეკონომიკური მდგომარეობა უმჯობესდება, მთავრობის შემოსავლები კი იზრდება, მომხმარებლების დანაკარგები ამ სარგებლობაზე მეტია.

8.4. სავალუტო კურსის განსაზღვრის პირველი თეორია: მსყიდველობითი უნარის პარიტეტი

გავიხსენოთ, რომ რეალურ და ნომინალურ გაცვლით კურსებს შორის დამოკიდებულება აისახება ფორმულით $\varepsilon = e * (P / P^*)$, აქედან გამომდინარე,

$$e = \varepsilon \times (P^* / P); \qquad (1)$$

P^* –უცხოური ქვეყნის ფასების დონე;

P –სამამულო ქვეყნის ფასების დონე;

e –ნომინალური სავალუტო კურსი;

ε –რეალური სავალუტო კურსი.

ამგვარად, ნომინალური გაცვლითი კურსი რეალურ გაცვლით კურსზე და ორ ქვეყანაში ფასების დონის შეფარდებაზეა დამოკიდებული. თუ ქვეყანაში ფასების დონე გაიზრდება, ეს ნომინალურ გაცვლით კურსს შეამცირებს. თუ გაიზრდება ფასების დონე მეორე ქვეყანაში, მაშინ ნომინალური გაცვლითი კურსი გაიზრდება.

აქედან გამომდინარე, თუ რომელიმე ქვეყანაში ინფლაციის ტემპი მაღალია, ვიდრე საქართველოში, დროთა განმავლობაში ლარით იმ ქვეყნის სულ უფრო მეტი ვალუტის შეძენა გახდება შესაძლებელი. ხოლო თუ ინფლაციის ტემპები საქართველოში უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ქვეყანაში, ლარით ამ ქვეყნის ვალუტის სულ უფრო მცირე მოცულობის შეძენა გახდება შესაძლებელი.

ერთიანი ფასის კანონის შესაბამისად, ერთი და იგივე საქონელი არ შეიძლება სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ფასი ღირდეს. თუ ხორცი მცხეთაში უფრო იაფია, ვიდრე რუსთავში, მცხეთაში ხორცის ყიდვითა და რუსთავში გაყიდვით მოგების მიღებაა შესაძლებელი, რაც მცხეთაში ხორცზე მოთხოვნას და რუსთავში ხორცის მიწოდებას გაზრდის და ფასებს გაათანაბრებს.

ერთიანი ფასის კანონმა საერთაშორისო ვაჭრობაში **მსყიდველობითი უნარის პარიტეტის** სახელი მიიღო. პარიტეტი ნიშნავს თანასწორობას, ხოლო მსყიდველობითი უნარი ეხება ფულის ღირებულებას, გამოხატულს იმ საქონლისა და მომსახურების რაოდენობაში, რომლის ყიდვაც ფულის ამ ერთეულს შეუძლია. მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით, ფულის ერთეულს ყველა ქვეყანაში ერთნაირი ღირებულება უნდა ჰქონდეს. მის შესაბამისად, თუ საერთაშორისო ბაზრებზე გადამყიდველთა ინსტიტუტი არსებობს, ამან ვალუტის (მაგალითად აშშ დოლარის, ან ლარის) ყველა ქვეყანაში თანაბარი მსყიდველობითუნარიანობა უნდა გამოიწვიოს. თუ აშშ დოლარი ამერიკაში უფრო მეტ ხორბალს იყიდის, ვიდრე საქართველოში, მაშინ გადამყიდველები ამერიკაში იყიდიან ხორბალს და საქართველოში გაყიდიან, რაც საბოლოოდ ფასებს გაათანაბრებს.

მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით, ვალუტის რეალური კურსი ყველა ქვეყანაში ერთნაირი უნდა იყოს, $\varepsilon=1$. ამიტომ (1) ფორმულის გარდაქმნით მივიღებთ:

$$e = (P^* / P); \qquad (2)$$

სადაც, e –ნომინალური სავალუტო კურსი;

P^* –უცხოური ქვეყნის ფასების დონე;

P –სამამულო ქვეყნის ფასების დონე;

ნომინალური სავალუტო კურსი უცხოური ფასების დონის (უცხოური ვალუტის ერთეულებში) და სამამულო ფასების დონის (სამამულო ფასების ერთეულებში) შეფარდების ტოლია. ამ თეორიის ძირითადი შედეგი ისაა, რომ ნომინალური სავალუტო კურსები ფასების დონეების ცვლილებასთან ერთად იცვლება. ხოლო მოცემულ ქვეყანაში ფასების დონე, როგორც ვნახეთ ფულის მი-

წოდებაზეა დამოკიდებული. ამგვარად, როდესაც რომელიმე ქვეყნის ცენტრალური ბანკი ფულის მიწოდებას ზრდის, რითაც ფასების დონის ზრდას იწვევს, ამ ქვეყნის ვალუტის ღირებულება სხვა ვალუტებთან შედარებით მცირდება. ეს იმას ნიშნავს, რომ როდესაც ცენტრალური ბანკი ფულის დიდ რაოდენობას ბეჭდავს, ამ ფულით არა მხოლოდ ნაკლები სამამულო საქონლისა და მომსახურების შეძენა შეიძლება, არამედ მას უფრო ნაკლები უცხოური ვალუტის ყიდვა შეუძლია.

თუ სავალუტო კურსი ისე იცვლება, რომ ლარი მეტ უცხოურ ვალუტას ყიდულობს, ასეთ ცვლილებას ლარის ღირებულების ზრდა ეწოდება. ხოლო თუ სავალუტო კურსი ისე იცვლება, რომ ლარი ნაკლებ უცხოურ ვალუტას ყიდულობს, ასეთ ცვლილებას ლარის ღირებულების შემცირება ეწოდება. როდესაც ვალუტის ღირებულება იზრდება, ამბობენ, რომ ვალუტა გამყარდა, რადგან მას მეტი უცხოური ვალუტის ყიდვა შეუძლია. ხოლო როდესაც ვალუტის ღირებულება მცირდება, ვამბობთ, რომ ვალუტა დასუსტდა, რადგან მას ნაკლები უცხოური ვალუტის ყიდვა შეუძლია.

წმინდა ექსპორტი რეალური გაცვლითი კურსის ცვლილებისადმი ძალიან მგრძნობიარეა. რეალური გაცვლითი კურსის შემცირება გადამყიდველებს აიძულებს იყიდონ საქონელი ქვეყნის შიგნით და გაყიდონ იგი საზღვარგარეთ. ანალოგიურად, რეალური გაცვლითი კურსის ამაღლების შემთხვევაში გადამყიდველები იმპორტს ახორციელებენ. რეალური გაცვლითი კურსის უმნიშვნელო ცვლილება წმინდა ექსპორტის მნიშვნელოვან ცვლილებას იწვევს. წმინდა ექსპორტის ეს მგრძნობიარობა უზრუნველყოფს წონასწორობითი რეალური გაცვლითი კურსის იმ მდგომარეობასთან სიახლოვეს, რომელიც მსყიდველობითი უნარის პარიტეტს უზრუნველყოფს.

მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტიდან გამომდინარეობს, რომ რეალურ და ნომინალურ გაცვლით კურსებზე დანაზოგებისა და ინვესტიციების მოცულობების ცვლილება ზეგავლენას არ ახდენს და მეორე, რადგან რეალური გაცვლითი კურსი ფიქსირებულია, ნომინალური გაცვლითი კურსის ნებისმიერი ცვლილება ფასების დონის ცვლილებითაა გამოწვეული.

მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მთავარი, კონცეპტუალური ლოგიკური არსი იმაში მდგომარეობს, რომ რაც უფრო მეტადაა გადახრილი რეალური გაცვლითი კურსი მსყიდველობითუანარიანობის პარიტეტის კონცეფციით განსაზღვრულისაგან, გადამყიდველები მით უფრო აქტიურად მუშაობენ საერთაშორისო ბაზარზე და ნებსით თუ უნებლიედ რეალური გაცვლითი კურსი წონასწორობამდე მიჰყავთ.

თემა 9. ეკონომიკური რყევების თეორია

ეკონომიკური რყევების პრობლემა ეკონომისტებისა და პოლიტიკოსების მუდმივი ზრუნვის საგანია. მშპ–ს რეალური მოცულობის ზრდის ტემპები წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად განსხვავდება. ხშირია სიტუაცია, როდესაც საქმიანი აქტივობა ეცემა - შემოსავლები მცირდება, უმუშევრობა კი იზრდება. ეკონომისტები ასეთ რყევებს ეკონომიკურ ციკლებად მოიხსენიებენ. თუმცა ციკლი ეკონომიკის რეგულარულ და პროგნოზირებად რყევებს გულისხმობს, რასაც არაფერი აქვს საერთო რეალობასთან.

9.1. ეკონომიკური რყევების სამი ძირითადი ფაქტი

მაკროეკონომისტთა დიდი ნაწილი თვლის, რომ მოკლევადიან და გრძელვადიან

პერიოდებში ეკონომიკის განვითარების ხასიათი ძირითადად ფასების განსხვავებულ დინამიკასთანაა დაკავშირებული. გრძელვადიან პერიოდში ფასები მნიშვნელოვანი მოქნილობით ხასიათდება და ამდენად, რეაგირებენ მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილებაზე. მოკლევადიან პერიოდში კი ფასები ზოგიერთი სახის საქონელსა და მომსახურებაზე გარკვეულ დონეზეა "გაყინული". იმის გამო, რომ ფასების ცვლილების ხასიათი მოკლევადიან პერიოდში განსხვავებულია გრძელვადიანი პერიოდში ცვლილებისაგან, შესაბამისად განსხვავებულია ეკონომიკური პოლიტიკის შედეგებიც.

ამ განსხვავების გააზრებისათვის განვიხილოთ ერთი ჰიპოტეზური მაგალითი, დავუშვათ, ცენტრალურმა ბანკმა მოულოდნელად შეამცირა ფულის მიწოდება 5%-ით. კლასიკური მოდელის შესაბამისად, რომელიც სარწმუნოდ აღწერს გრძელვადიან პერიოდს, ფულის მიწოდების რაოდენობა რეაგირებს მხოლოდ ნომინალურ მაჩვენებლებზე, რეალური ცვლადები კი უცვლელი რჩება. ეკონომიკური მაჩვენებლების დაყოფას ნომინალურ და რეალურ ცვლადებად კლასიკური დიქოტომია ჰქვია. ამდენად, გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკაში ყველა ნომინალური ფასი (მ.შ. ხელფასი) 5 %-ით შემცირდება, მაშინ როდესაც რეალური მაჩვენებლები უცვლელი დარჩება.

მოკლევადიან პერიოდში ფასები ფულის მიწოდების ცვლილებაზე არ რეაგირებენ. წარმოუდგენელია დავიჯეროთ, რომ ფირმები მაშინათვე გადაწყვეტენ და გააიაფებენ თავიანთ პროდუქციას, შეამცირებენ ხელფასს, დაბეჭდავენ ახალ კატალოგებსა და მენიუს. პირიქით, ფასების დიდი ნაწილი მხოლოდ უმნიშვნელოდ შეიცვლება. სწორედ ფასების ამ მოუქნელობის გამო მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობის მიღწევის მიზნით უნდა ხდებოდეს წარმოების მოცულობის რყევა. კლასიკურ მოდელში (გრძელვადიანი პერიოდის მოდელი) ფასების მოქნილობაა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობის საფუძველი. ამ მოდელში წარმოებული პროდუქციის მოცულობა შრომისა და კაპიტალის დანახარჯებზეა დამოკიდებული. მოკლევადიან პერიოდში ფასების მოუქნელობის გამო მოთხოვნა განაპირობებს წარმოებული პროდუქციის მოცულობის ცვლილებას. მოთხოვნა კი, თავის მხრივ ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკითა და წარმოების ფაქტორების მიერ განისაზღვრება. ამდენად, ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკის სტაბილიზაციის საქმეში.

ეკონომიკურ რყევებს ახასიათებს სამი ძირითადი ფაქტი:

1. ეკონომიკური რყევები არარეგულარული და არაპროგნოზირებადია. თითქმის სრულიად შეუძლებელია მათი თუნდაც მიახლოებითი სიზუსტით წინასწარმეტყველება.

2. მაკროეკონომიკურ სიდიდეთა უმრავლესობა ერთდროულად მერყეობს. მაგალითად, როცა იზრდება ინვესტიციები, იზრდება მშპ და მცირდება უმუშევრობა. ხოლო როცა მცირდება ინვესტიციები, მცირდება მშპ, შესაბამისად მცირდება პირადი შემოსავალიც, კორპორაციების მოგებაც, სამომხმარებლო ხარჯებიც, საცალო ვაჭრობაც, უძრავი ქონებით ვაჭრობაც და ა.შ. შედეგად კი იზრდება უმუშევრობა.

3. როცა წარმოება მცირდება, უმუშევრობა იზრდება. ცხადია, როდესაც ფირმები ნაკლებ პროდუქციას აწარმოებენ ისინი ათავისუფლებენ პერსონალს, რაც იწვევს უმუშევრობის ზრდას. პროცესს, რომლის დროსაც იზრდება უმუშევრობა და მცირდება რეალური შემოსავლები, ეწოდება რეცესია. რეცესიის უფრო მწვავე ფორმას კი დეპრესია ეწოდება.

რეცესიის დროს უმუშევრობის დონე მნიშვნელოვნად იზრდება. როდესაც ინვესტიციები იზრდება, მას მოყვება წარმოების გაფართოება და უმუშევრობის შემცირება. აღსანიშნავია, რომ უმუშევრობის დონე 0–ს არასოდეს აღწევს. ის ბუნებრივი დონის ფარგლებში მერყეობს. ეკონომისტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ უმუშევრობის ბუნებრივი დონე 5–6%–ს არ უნდა აღემატებოდეს.

ეკონომიკური რყევების ანალიზისათვის იყენებენ ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მოდელს, რადგანაც სწორედ მათი გადაადგილება იწვევს ცვლილებებს წონასწორობაში და ეკონომიკურ რყევებს.


9.2. ერთობლივი მოთხოვნის მრუდი

ერთობლივი მოთხოვნა - ესაა დამოკიდებულება ფასების დონესა და ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობას შორის, რომელზეც არის მოთხოვნა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთობლივი მოთხოვნის მრუდი საქონლისა და მომსახურების იმ რაოდენობას გვიჩვენებს, რომლებიც ფასების კონკრეტული დონის პირობებში გაიყიდება ქვეყნის მასშტაბით.

გავიხსენოთ ფულის რაოდენობრივი თეორიის იგივეობა, როგორც ერთობლივი მოთხოვნის მოდელი. $MV \equiv PY$. აქედან, $Y = MV / P$.

ამ იგივეობიდან ჩანს, რომ რეალური ფულის მიწოდება (M) წარმოებული პროდუქციის (Y) პროპორციულია. ამავე დროს $Y = C + I + G + NX$;

ფულის რაოდენობრივი თეორიის იგივეობიდან გამომდინარე, ფასების დონესა (P) და წარმოებული პროდუქციის მოცულობას (Y) შორის დამოკიდებულება ფულის მიწოდების მუდმივობის პირობებში უარყოფითია $Y=MV/P$. აღნიშნული დამოკიდებულება მოცემულია გრაფიკზე, რაც ერთობლივი მოთხოვნის მრუდის სახელითაა ცნობილი და რომელიც კლებადია. იხ. ნახ. 9.1.



ნახ. 9.1. ერთობლივი მოთხოვნის მრუდი.

Y = C + I + G +NX ფორმულაში ოთხივე კომპონენტი საქონელსა და მომსახურებაზე ერთობლივ მოთხოვნას განსაზღვრავს. სახელმწიფო შესყიდვები მთავრობის პოლიტიკაზეა დამოკიდებული და არა ფასებზე. ხოლო დანარჩენი სამი კომპონენტი – მოხმარება, ინვესტიციები და წმინდა ექსპორტი, დამოკიდებულია ეკონომიკურ პირობებზე, ძირითადად ფასების დონეზე. ამიტომ ერთობლივი მოთხოვნის კლებადობას ეს სიდიდეები განაპირობებენ.

გამოყოფენ ერთობლივი მოთხოვნის მრუდის კლებადობის სამ ძირითად მიზეზს:

1. სიმდიდრის ეფექტი;
2. სარგებლის განაკვეთის ეფექტი;
3. სავალუტო კურსის ეფექტი.

განვიხილოთ როგორ მოქმედებს ფასების დონე თითოეულ მათგანზე.

1. **ფასების დონე და მოხმარება: სიმდიდრის ეფექტი.** როდესაც ფასები მცირდება, ფულის ერთეულის ღირებულება იზრდება, რადგან მისი მეშვეობით უფრო მეტი საქონლისა და მომსახურების შეძენა შეიძლება. ფასების დონის შემცირების გამო მომხმარებელი თავს უფრო შეძლებულად გრძნობს, რაც უფრო მეტის დახარჯვისაკენ უბიძგებს მომხმარებელს. პირიქით, ფასების დონის გადიდება ამცირებს ფულის რეალურ ღირებულებას და ადამიანები ნაკლებ საქონელსა და მომსახურებას შეიძენენ. ამგვარად, სიმდიდრის ეფექტი არის ერთობლივი მოთხოვნის მრუდის კლებადობის ერთი მიზეზი.

2. **ფასების დონე და ინვესტიცია: სარგებლის განაკვეთის ეფექტი.** როდესაც ფასები მცირდება, ადამიანებს მეტი თავისუფალი თანხა რჩებათ, რითაც მათ შეუძლიათ შეიძინონ მა-

გალითად, სარგებლიანი ობლიგაციები, ან ფული სარგებლიან ანგარიშზე მოათავსონ. ორივე შემთხვევაში ეს იწვევს თავისუფალი ფულადი სახსრების მატებას და სარგებლის განაკვეთის შემცირებას. დაბალი სარგებლის განაკვეთი კი თავის მხრივ სტიმულს აძლევს ინვესტიციების ზრდას, სესხის აღებას დაბალი პროცენტით ქარხნებისა და მოწყობილობების შესაძენად. ამგვარად, ფასების შემცირება ამცირებს სარგებლის განაკვეთს და ზრდის ერთობლივი მოთხოვნის მეორე კომპონენტს, ინვესტიციებს.

3. ფასების დონე და წმინდა ექსპორტი: სავალუტო კურსის ეფექტი.

იგი შემდეგნაირად მოქმედებს: ფასების შემცირება იწვევს თავისუფალი ფულადი მასის ზრდას მიმოქცევაში, რაც ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებას იწვევს. მაგალითად, ლარის მიწოდების ზრდა იწვევს ლარის ღირებულების შემცირებას დოლარის მიმართ, რადგან ლარი უფრო ნაკლებ უცხოურ ვალუტას ყიდულობს, ამერიკული საქონელი სამამულო საქონელთან შედარებით გაძვირდება, რაც შეამცირებს იმპორტს და გაზრდის ექსპორტს, შედეგად იზრდება წმინდა ექსპორტი. ასე, რომ ფასების შემცირება ამცირებს რეალურ სავალუტო კურსს და ზრდის წმინდა ექსპორტს.


აღნიშნული სამი მიზეზი ნათლად გვიხსნის ერთობლივი მოთხოვნის მრუდის კლებადობას. ჩვენი ანალიზი ეყრდნობა დაშვებას, რომ მოცემულ შემთხვევაში ფულის მიწოდება ცენტრალური ბანკის მიერ უცვლელია. ფულის მიწოდების ცვლილება კი ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას იწვევს. ასეთ გადაადგილებას გამოიწვევს თითოეული ჩამოთვლილი კომპონენტიც.

ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილება.

ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას იწვევს ცვლილებები შემდეგ ფაქტორებში:

- მოხმარება - C
- ინვესტიცია - I
- სამთავრობო შესყიდვები - G
- წმინდა ექსპორტი - NX

ერთობლივი მოთხოვნის მრუდი იგება ფულის მიწოდების მოცემული ფიქსირებული რაოდენობის გათვალისწინებით. ანუ გრაფიკზე P -სა და Y -ის შესაძლო ვარიანტები M -ის არსებული მოცულობის უცვლელობას გულისხმობს. თუ კი ფულის მოცულობა იზრდება, მაშინ P - სა და Y -ის მოცულობებიც იზრდება, ანუ ხდება ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილება მარჯვნივ. იხ. (ნახ. 9.2)



ნახ. 9.2. ერთობლივი მოთხოვნის გაზრდა.

ხოლო, როცა ფულის მოცულობა მცირდება, მრუდი გადაადგილდება მარცხნივ.

როდესაც ცენტრალური ბანკი ამცირებს მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობას, ფულის რაოდენობრივი თეორიის თანახმად მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის შემცირება წარმოებული პროდუქციის ნომინალური ღირებულების (PY) შემცირებას იწვევს. საპირისპირო მოვლენა მიიღება ცენტრალური ბანკის მიერ ფულის მიწოდების გაზრდის შემთხვევაში. ამ დროს ხდება PY -ის ზრდა, ანუ D1 მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ D2 მრუდისკენ. (ნახ. 9.2.)

ცხადია, ერთობლივი მოთხოვნის შეცვლის ერთადერთ მიზეზს არ წარმოადგენს ფულის რაოდენობის ცვლილება. შესაძლოა იგივე ეფექტი ფულის მოძრაობის სიჩქარის ცვლილებამაც გამოიწვიოს. ასევე მის გადაადგილებას გამოიწვევს მოხმარების, ინვესტიციების, სახელმწიფო შესყიდვების და წმინდა ექსპორტის ცვლილება. ოთხივე ამ კომპონენტის ცვლილება გამოიწვევს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას ან მარჯვნივ, ან მარცხნივ, იმის მიხედვით გაიზრდება თუ შემცირდება ამ კომპონენტთაგან რომელიმე.


9.3. ერთობლივი მიწოდების მრუდი გრძელვადიან პერიოდში

მხოლოდ ერთობლივი მოთხოვნა ფასების დონეს და წარმოებული პროდუქციის მოცულობას ვერ განსაზღვრავს. ერთობლივი მოთხოვნა მხოლოდ ამ ორ ცვლადს, ფასების დონესა და შეძენილი პროდუქციის მოცულობას შორის დამოკიდებულებას ასახავს. სრული სურათის ასახვისათვის P-სა და Y-ს შორის კიდევ ერთი დამოკიდებულება - ერთობლივი მიწოდების მრუდი უნდა შევისწავლოთ. ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მრუდები ფასების დონისა და პროდუქციის გამოშვების განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

ერთობლივი მიწოდება - ეს არის დამოკიდებულება გამყიდველების მიერ შეთავაზებულ საქონლისა და მომსახურების რაოდენობასა და ფასების დონეს შორის ქვეყნის მასშტაბით. ერთობლივი მიწოდების მრუდის ორ სახეს განასხვავებენ იმისდა მიხედვით, თუ დროის რომელ შუალედში განვიხილავთ ერთობლივ მიწოდებას: გრძელვადიან პერიოდში თუ მოკლევადიან პერიოდში.

გრძელვადიანი პერიოდი: ერთობლივი მიწოდების მრუდი ვერტიკალურია იმის გამო, რომ გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკის ფუნქციონირება კლასიკური მოდელით აღიწერება, ერთობლივი მიწოდების მრუდი მისი მეშვეობით აიგება. გრძელვადიან პერიოდში წარმოებული პროდუქციის მოცულობა არსებული ტექნოლოგიების ბაზაზე მხოლოდ დახარჯული შრომისა და კაპიტალის რაოდენობით განისაზღვრება. $Y = F(K, L)$

ამდენად, წარმოებული პროდუქციის მოცულობა კლასიკური მოდელის მიხედვით არ არის დამოკიდებული ფასების დონის ცვლილებაზე. როდესაც ჩვენ ვაანალიზებდით გრძელვადიან პერიოდს, არ დაგვჭირვებია ფასების გამოყენება. თუ ორი ეკონომიკა ერთნაირია, და მათ შორის განსხვავება მხოლოდ ფულის რაოდენობა, ვთქვათ 2–ჯერ მეტია პირველში, ვიდრე მეორეში, მაშინ რეალური წარმოების მოცულობა ორივეში ერთნაირი იქნება, თუმცა ფასების დონე 1–ლში 2–ჯერ მეტი იქნება, ვიდრე მეორეში. ამიტომ რაკი ფასების დონე რეალური მშპ–ს გრძელვადიანი პერიოდის დეტერმინანტებზე გავლენას არ ახდენს, გრძელვადიანი პერიოდის მიწოდების მრუდი ვერტიკალურია, როგორც ეს ნახ. 9.3–ზეა მოცემული. გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების ვერტიკალური მრუდი კლასიკური დიქოტომიისა და ფულის ნეიტრალიტეტის გრაფიკული გამოხატულებაა. წარმოების მოცულობა, როგორც რეალური ცვლადი არაა დამოკიდებული ფასების დონეზე.




ნახ. 9.3. ერთობლივი მიწოდება გრძელვადიან პერიოდში.

როგორც ვხედავთ, ერთობლივი მიწოდების მრუდი გრძელვადიან პერიოდში ვერტიკალურია. ერთობლივი მოთხოვნის მრუდის და ერთობლივი მიწოდების ვერტიკალური მრუდის გადაკვეთის წერტილი განსაზღვრავს წონასწორული ფასების დონეს. ამ შემთხვევაში ერთობლივი მოთხოვნის გაზრდა და ერთობლივი მიწოდების გაზრდა გამოიწვევს ფასების დონის და არა წარმოების მოცულობის ცვლილებას. იხ. ნახ. 9.4.

როგორც აღვნიშნეთ, ერთობლივი მიწოდების ვერტიკალური მრუდი გრძელვადიან პერიოდში აკმაყოფილებს კლასიკური დიქოტომიის მოთხოვნას, რადგან იგი გვიჩვენებს, რომ წარმოებული პროდუქციის მოცულობა არ არის დამოკიდებული ერთობლივი მოთხოვნისა და შესაბამისად, ფასების დონის ცვლილებაზე.

კლასიკური მაკროეკონომიკური თეორია გრძელვადიან პერიოდში წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობის პროგნოზირებასთან ერთად გვიხსნის, როგორია ერთობლივი მიწოდების მრუდის მდებარეობა. გრძელვადიანი პერიოდის წარმოების დონეს ზოგჯერ პოტენციური წარმოება ან სრული დასაქმების შესაბამისი წარმოება ეწოდება. ასევე მას **წარმოების ბუნებრივ დონეს** უწოდებენ. ამ პერიოდში დასაქმება ბუნებრივ ანუ ნორმალურ დონეზეა და სხვა რესურსებიც სრული დატვირთვით გამოიყენება.



ნახ. 9.4.

წარმოების ბუნებრივი დონე ეწოდება ისეთ დონეს, როდესაც მიღწეულია უმუშევრობის ბუნებრივი ანუ ნორმალური დონე. ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გავლენას ახდენს წარმოების ბუნებრივ დონეზე, გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდს გადაადგილებს. აღნიშნულ ცვლილებებს იწვევს შრომის ფაქტორის, კაპიტალის, ბუნებრივი რესურსების, ტექნოლოგიების ცვლილება. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

შრომის ფაქტორის ცვლილებები. დავუშვათ, ეკონომიკა იმიგრაციის ზრდას განიცდის. მომუშავეთა რიცხოვნობის ზრდის გამო მოიმატებს საქონლისა და მომსახურების მიწოდების რაოდენობაც. შედეგად კი გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი მარჯვნივ გადაადგილდება. პირიქით, როდესაც ქვეყნიდან სამუშაო ძალა გაედინება, ნაკლები საქონელი და მომსახურება იწარმოება და შესაბამისად ერთობლივი მიწოდების მრუდი მარცხნივ გადაადგილდება. აღნიშნული მრუდის მდებარეობა დამოკიდებულია ასევე უმუშევრობის ბუნებრივ დონეზე. მაგალითად, თუ ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზრდება მინიმალური ხელფასი, უმუშევრობის ბუნებრივი დონეც გაიზრდება და ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობა შემცირდება. შედეგად, ერობლივი მიწოდების მრუდი მარცხნივ გადაადგილდება და პირიქით. თუკი მთავრობის მიერ გატარებული რეფორმებით უმუშევრებს სამუშაოს პოვნის საშუალება მიეცათ, უმუშევრობის ბუნებრივი დონე შემცირდება, მწარმოებლურობა გაიზრდება და გრძელვადიანი პერიოდის მიწოდების მრუდი მარჯვნივ გადაადგილდება. (ნახ. 9.4.)

კაპიტალის ცვლილებებით გამოწვეული გადაადგილებები. ეკონომიკაში არსებული კაპიტალის მარაგის ზრდა საქონლისა და მომსახურების რაოდენობის ზრდას იწვევს. მისი შემცირება კი შესაბამისად წარმოების შემცირებას გულისხმობს. საბოლოოდ კი გრძელვადიანი პერიოდის მიწოდების მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ ან მარცხნივ, იმის მიხედვით, იზრდება თუ მცირდება წარმოება. იგივე ლოგიკით ჩვენ შეგვიძლია ადამიანური კაპიტალის გავლენა შევაფასოთ. მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებმაც კარგი დონის საუნივერსიტეტო განათლება მიიღეს გაცილებით ნაყოფიერად შრომობენ და მეტ საქონელსა და მომსახურებას აწარმოებენ უკეთესი ხარისხით. ამ შემთხვევაშიც გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი მარჯვნივ გადაადგილდება.

ბუნებრივი რესურსების ცვლილებით გამოწვეული გადაადგილებები. ბუნებრივ რესურსებში შედის მიწა, წიაღისეული, კლიმატური პირობები და სხვა. ახალი წიაღისეული საბადოს აღმოჩენა გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდს მარჯვნივ გადაადგილებს, ხოლო მათი ამოწურვა, მარცხნივ გადაადგილებს. ასევე გამოიწვევს ცვლილებებს უამინდობა, გვალვა ან წყალდიდობები, რაც მოსავლის მიღებას ართულებს. შედეგად ერთობლივი მიწოდების მრუდი მარცხნივ გადაადგილდება. იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ბუნებრივი რესურსების, მაგალითად ნავთობის და ბუნებრივი აირის იმპორტს ენევა, მათზე ფასების ცვლილება ახდენს გავლენას ერთობლივი მიწოდების მრუდის გადაადგილებაზე. მაგ. როცა საქართველოში ძვირდება ფასები ბენზინზე ან ბუნებრივ გაზზე, ეს იწვევს წარმოების დანახარჯების გადიდებას, წარმოების მოცულობის შემცირებას და შესაბამისად გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი მარცხნივ გადაადგილდება.


ტექნოლოგიური ცვლილებები. შრომის მწარმოებლურობის გადიდებაზე უდიდეს გავლენას ახდენს ტექნოლოგიების განვითარება. ამის ნათელ მაგალითს ნარმოადგენს იაპონია, რომელიც არ არის განებივრებული ბუნებრივი რესურსებით, მაგრამ უახლესი ტექნოლოგიების წყალობით ამ ქვეყანაში მწარმოებლურობის დონე მაღალია. დღეისათვის მთელს მსოფლი-

ოში ფართოდ ინერგება კომპიუტერული სისტემა და ინტერნეტი, რამაც სამუშაო ძალის, კაპიტალის და ბუნებრივი რესურსების იმავე რაოდენობის გამოყენებით უფრო მეტი პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა მოგვცა. რადგან კომპიუტერის გამოყენება სწრაფად გავრცელდა ეკონომიკის სხვადასხვა დარგში, ამ მოვლენამ გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი მარჯვნივ გადაადგილა.

ამგვარად, ნებისმიერი პოლიტიკა თუ მოვლენა, რომელიც რეალური მშპ–ს ზრდას ან შემცირებას იწვევს, შეიძლება საქონლისა და მომსახურების მიწოდების რაოდენობის ზრდის ან შემცირების და გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის გადაადგილების ფაქტორად ჩავთვალოთ.

9.4. ერთობლივი მიწოდების მრუდი მოკლევადიან პერიოდში.

მოკლევადიან პერიოდში ერთობლივი მიწოდების მრუდი განსხვავებული ხასიათისაა გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდთან შედარებით. როგორც ვნახეთ, გრძელვადიანი პერიოდისათვის იგი ვერტიკალურია, რადგან ფასების საერთო დონე გავლენას არ ახდენს წარმოების მოცულობაზე. მოკლევადიან პერიოდში კი ეს გავლენა მნიშვნელოვანია. ეს იმას ნიშნავს, რომ მაგალითად, ერთწლიანი პერიოდის განმავლობაში ფასების მატება იწვევს საქონლისა და მომსახურების მიწოდების ზრდას. ხოლო ფასების შემცირება, პირიქით ამცირებს ერთობლივ მიწოდებას. ამის შედეგად მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი ზრდადია, როგორც ეს ნაჩვენებია 9.5. ნახაზზე.



ნახ.9.5. ერთობლივი მიწოდება მოკლევადიან პერიოდში.

მაკროეკონომისტები მიწოდების მრუდის ზრდადობას სამი განსხვავებული თეორიით ხსნიან:

- ხისტი ხელფასების თეორია
- მცდარი შეხედულებების თეორია
- ხისტი ფასების თეორია.

მიუხედავად იმისა, რომ ამ თეორიების დეტალები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება, მათ ერთი საერთო აქვთ: მიწოდება გრძელვადიანი ან ბუნებრივი დონისაგან მაშინ გადაიხრება, როდესაც ეკონომიკაში ფასების რეალური დონე ფასების მოსალოდნელი დონისაგან განსხვავდება.

წარმოვადგენთ ერთობლივი მიწოდების სამ ძირითად თეორიას მათი შემუშავების ქრონოლოგიის შესაბამისად. ყველა მათგანში მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი განსხვავებულია ვერტიკალური წირისაგან საბაზრო მექანიზმის არასრულყოფილების გამო. შედეგად, ერთობლივი მიწოდების მრუდის გადაადგილება იწვევს გამოშვების სიდიდის დროებით გადახრას მისივე ბუნებრივი მნიშვნელობისაგან.

ერთობლივი მიწოდება სამივე მოდელში გამოისახება შემდეგნაირად:

$$Y = \acute{Y} + a\,(P - Pe); \qquad a > 0;$$

Y - მიწოდების რაოდენობა,

$\acute{Y}$ - წარმოების ბუნებრივი სიდიდე,

P - ფასების დონე,

Pe - ფასების მოსალოდნელი დონე.

ეს გამოსახულება ნიშნავს, რომ გამოშვების დონე მისი ბუნებრივი დონიდან გადახრილია მაშინ, როდესაც ფასების დონე განსხვავდება მოსალოდნელისაგან. a - პარამეტრი გვიჩვენებს, თუ რამდენად მგრძნობიარეა წარმოება ფასების დონის მოულოდნელი ცვლილებების მიმართ;

სამივე თეორია ზემოთაღნიშნული ტოლობით გამოსახულ დამოკიდებულებას სხვადასხვანაირად ხსნის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ მოდელებში გამოყოფილია კონკრეტული მიზეზები, რომლის ძალითაც ფასების მოულოდნელი ცვლილებები იწვევენ წარმოებული პროდუქციის მოცულობის რყევებს.

1. ხისტი ხელფასების თეორია. მოკლევადიან პერიოდში ერთობლივი მიწოდების მრუდის ვერტიკალური წირისაგან განსხვავების ახსნისას მრავალი ეკონომისტი მიუთითებს ისეთი მაჩვენებლის თავისებურებაზე, როგორიცაა ნომინალური ხელფასი. მრავალ დარგში, განსაკუთრებით კი იმ დარგებში, სადაც არ არსებობს პროფესიული კავშირები, ნომინალური ხელფასი განისაზღვრება კონტრაქტებით და, ამგვარად, ეკონომიკური პირობების შეცვლისას სწრაფად ვერ იცვლებიან. თვით იმ დარგებშიც კი, რომლებიც არ არიან მოცულნი ფორმალური კონტრაქტებით, არაცხადი (ფორმალური) შეთანხმებები ფირმებსა და მომუშავეებს შორის ზღუდავენ ხელფასის ცვლილებებს. ხელფასის სიდიდე შეიძლება დამოკიდებული იყოს აგრეთვე სოციალურ ნორმებზე და სამართლიანობის არსებულ წარმოდგენებზე, რომლებიც საკმაოდ ნელა ექვემდებარებიან ცვლილებებს. ამ მიზეზების გამო მრავალი ეკონომისტი ვარაუდობს, რომ მოკლევადიანი პერიოდისათვის ნომინალური ხელფასი უცვლელია, ანუ - „ხისტია". ერთობლივი მიწოდების მოდელი ხისტი ხელფასების პირობებში გვიჩვენებს, თუ როგორ ზემოქმედებს

ხელფასის სიხისტე ერთობლივ მიწოდებაზე. ამ მოდელის განსახილველად ჯერ ვნახოთ, თუ როგორ შეიცვლება გამოშვების სიდიდე ფასების დონის ზრდის შემთხვევაში.

- როცა ნომინალური ხელფასი უცვლელია, ფასების ზრდა რეალურ ხელფასს ამცირებს, რაც აიაფებს შრომას.
- დაბალი რეალური ხელფასი განაპირობებს იმას, რომ ფირმები იზიდავენ მეტ მომუშავეებს.

  წარმოებაში მოზიდული მეტი რაოდენობის შრომითი რესურსი იწვევს პროდუქციის გამოშვების ზრდასა და წარმოების მოცულობის გაფართოებას.

ფასების დონესა და გამოშვების სიდიდეს შორის დადებითი დამოკიდებულება ნიშნავს, რომ დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, როდესაც ნომინალური ხელფასი არ იცვლება, ერთობლივი მიწოდების მრუდი აღმავალია.

როცა, მუშები იწყებენ მოლაპარაკებას დამქირავებლებთან ნომინალური ხელფასის თაობაზე და აღწევენ შეთანხმებას მანამდე, ვიდრე ფასების მოსალოდნელი დონის შესახებ ინფორმაციას მიიღებდნენ. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები - მომუშავეები და ფირმები - გამოდიან რეალური ხელფასის გარკვეული დონიდან. ეს მიზნობრივი დონე შეიძლება იყოს რეალური ხელფასის ის სიდიდე, რომლის დროსაც შრომის მიწოდება მასზე არსებული მოთხოვნის ტოლია. თუმცა, უფრო მოსალოდნელია, რომ აღნიშნული მიზნობრივი დონე აგრეთვე დამოკიდებული იყოს სხვადასხვა ფაქტორებზეც, რომლებიც ინარჩუნებენ რეალურ ხელფასს წონასწორულ ნიშნულაზე მაღლა, კერძოდ, პროფესიული კავშირების ძალაუფლებაზე, ხელფასის დონის წარმოების ეფექტიანობაზე ზემოქმედების მოსაზრებაზე და ა.შ..

ე.ი. რაც უფრო დაბალია რეალური ხელფასი, მით უფრო მეტი შრომის დაქირავება ხდება. გამოშვების მოცულობა განისაზღვრება წარმოებითი ფუნქციის მეშვეობით: $Y = F(L)$

ანუ რაც მეტი მომუშავეა დაქირავებული, მით უფრო მეტია გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა. ამგვარად, ხისტი ხელფასის მოდელის შესაბამისად, ფასების მოულოდნელი ცვლილება იწვევს რეალური ხელფასის სიდიდის გადახრას მიზნობრივი მნიშვნელობისაგან.

რეალური ხელფასის სიდიდის ცვლილება, თავის მხრივ, გავლენას ახდენს შრომითი რესურსების გამოყენების მასშტაბებზე და გამოშვების სიდიდეზე. საბოლოოდ, ერთობლივი მიწოდების მრუდის განტოლებაში $Y = \bar{Y} + a(P - Pe)$

გამოშვების სიდიდე გადახრილია თავისი ბუნებრივი მნიშვნელობისაგან, თუ ფასები გადახრილია მოსალოდნელისაგან.

2. მცდარი შეხედულებების თეორია. ერთობლივი მიწოდების მეორე თეორია, მცდარი შეხედულებების თეორია, მოკლევადიან პერიოდში ფასებზე არასრულყოფილი ინფორმაციის გამო მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში ერთობლივი მიწოდების მრუდებს შორის განსხვავებას ითვალისწინებს. ამ მოდელში, წინა მოდელისაგან განსხვავებით აღარ მოქმედებს დაშვება, რომ ფირმები მომუშავეებზე უკეთ არიან ინფორმირებულები.

ეს მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ ყველა მწარმოებელი უშვებს მხოლოდ ერთ პროდუქტს, მაგრამ მოიხმარს უამრავს. რამდენადაც საქონლის რაოდენობა ძალზე დიდია, მიმწოდებლები ვერ ახერხებენ ყურადღება ერთდროულად მიადევნონ მათ ფასებს. ისინი უფრო მეტ ყურადღებას იმ საქონლის ფასებს უთმობენ, რომლებსაც აწარმოებენ, მაგრამ ნაკლებს - იმ საქონლის ფასებს, რომლებსაც მოიხმარენ. ისინი მათ ხელთ არსებული არასრულყოფილი ინფორმაციის გამო ხანდახან ერთმანეთში ურევენ ფასების საერთო დონისა და ფარდობითი ფა-

სების ცვლილებას, რასაც ფასების დონესა და გამოშვებას შორის მოკლევადიან დამოკიდებულებამდე მივყავართ.

მაგ. განვიხილოთ გადაწყვეტილება, რომელსაც ფერმერი იღებს მარცვლეულის წარმოებასთან დაკავშირებით. რამდენადაც ფერმერი ღებულობს შემოსავალს მარცვლეულის გაყიდვით და შემდგომ, ამ შემოსავალს ხარჯავს სხვა საქონლისა და მომსახურების შესაძენად, მარცვლეულის მოცულობა, რომლის წარმოებასაც ის აპირებს, დამოკიდებულია მარცვლეულის ფასზე. ეკონომიკაში არსებული სხვა საქონლისა და მომსახურების ფასებთან მიმართებაში, თუ მარცვლეულის შეფარდებითი ფასი მაღალია, მაშინ ფერმერს უჩნდება მეტი მუშაობისა და მეტი რაოდენობის მარცვლეულის წარმოების სტიმული. თუ მარცვლეულის შეფარდებითი ფასი დაბალია, მაშინ ფერმერი უპირატესობას მიანიჭებს იქონიოს მეტი თავისუფალი დრო, ნაკლები იმუშაოს და, შესაბამისად, აწარმოოს ნაკლები რაოდენობის მარცვლეული. მაგრამ, მარცვლეულის წარმოებაზე გადაწყვეტილების მიღებისას ფერმერმა ჯერ არ იცის ფარდობითი ფასი. იგი ყურადღებით აკვირდება ხორბლის ფასს და იცის მისი ნომინალური ფასი, მაგრამ არ იცის სხვა საქონლის ფასი. ამდენად, ფარდობითი ფასის განსაზღვრისას მას უწევს ისარგებლოს მარცვლეულზე არსებული ნომინალური ფასითა და მისი არასწორი მოლოდინით სხვა საქონლის ფასებთან დაკავშირებით.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მარცვლეულის ნომინალური ფასის ზრდის ფაქტიდან გამომდინარე ფერმერი ასკვნის, რომ მარცვლეულის შეფარდებითი ფასიც რამდენადმე გაიზარდა. შედეგად, ის იმუშავებს უფრო ინტენსიურად და პროდუქციას აწარმოებს მეტი რაოდენობით. ჩვენი ფერმერი სულაც არ არის უნიკალური. ფასების დონის მოულოდნელი ზრდის შემთხვევაში ყველა მწარმოებელი თავიანთ პროდუქციაზე ფასების ზრდის ფაქტის წინაშე დგება. ყველა მათგანი რაციონალურად, მაგრამ შეცდომით ვარაუდობს, რომ მათ მიერ წარმოებული საქონლის შეფარდებითი ფასებიც გაიზარდა. ისინი შრომობენ უფრო ინტენსიურად და აწარმოებენ მეტ პროდუქციას.

ამგვარად, მცდარი შეხედულებების თეორია ამტკიცებს, რომ როცა ფასები აჭარბებს მოსალოდნელ დონეს, მიმწოდებლები ვარაუდობენ, რომ მათ მიერ წარმოებულ საქონელზე შეფარდებითი ფასები გაიზარდა, რაც მათ ასტიმულირებს გაზარდონ გამოშვება. მოდელი გულისხმობს ერთობლივი მიწოდების უკვე ნაცნობ ტოლობას:

$$Y = \acute{Y} + a\,(P - Pe)$$

გამოშვების სიდიდე გადახრილია თავისი ბუნებრივი მნიშვნელობისგან, როცა ფასების დონე გადახრილია მოსალოდნელისაგან.

3. ხისტი ფასების თეორია. მესამე, ხისტი ფასების მოდელი ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ ფირმები მოთხოვნის ცვლილების პარალელურად მყისიერად არ ცვლიან ფასებს. ხშირად ფასები მწარმოებელსა და მყიდველს შორის გრძელვადიანი ხელშეკრულებებით განისაზღვრება. ზოგჯერ, ფირმები, მათი მუდმივი კლიენტების დაფრთხობის თავიდან ასაცილებლად ცდილობენ არ გააძვირონ პროდუქცია. განვიხილოთ საბაზრო ძალაუფლების (ანუ გარკვეულად მონოპოლიური მდგომარეობის) მქონე ფირმა, რომელსაც შეუძლია ბაზარს უკარნახოს ფასები. მისთვის წარმოებული საქონლის სასურველი ფასი p ორი მაკროეკონომიკური ცვლადით განისაზღვრება, რომელთაგან პირველი ფასების საერთო დონეა P (ფასების მაღალი დონე ფირმის მაღალ დანახარჯებს გულისხმობს, რაც მის მიერ ფასების ზრდას გამოიწვევს) და ერთობლივი შემოსავალი Y (უფრო მაღალი ერთობლივი შემოსავალი ზრდის მოთხოვნას ფირმის მიერ წარ-

მოებულ პროდუქციაზე და შესაბამისად, ფასს). ამდენად, ფირმის მიერ დადგენილი ფასი განისაზღვრება შემდეგნაირად: $p = P + a(Y - \acute{Y})$, სადაც, $a > 0$.


ამ განტოლების შესაბამისად, დადგენილი ფასი– (p) ფასების საერთო დონესა– (P), ერთობლივ გამოშვებასა და მის ბუნებრივ მოცულობას შორის დამოკიდებულებით განისაზღვრება.

როგორც სხვა მოდელები, ხისტი ფასების მოდელი ამტკიცებს, რომ ბუნებრივი დონისაგან წარმოების მოცულობის გადახრა დაკავშირებულია ფასების დონის გადახრასთან მოსალოდნელისაგან.

9.5. ეკონომიკური რყევების ორი მიზეზი

ეკონომიკურ რყევებს იწვევს ერთის მხრივ ერთობლივი მოთხოვნის და მეორეს მხრივ ერთობლივი მიწოდების მრუდების გადაადგილებები, მათი გადიდება ან შემცირება.


მოკლევადიან პერიოდში ერთობლივი მოთხოვნის ზრდა ახდენს ერთობლივი მოთხოვნის AD1 მრუდის გადაადგილებას მარჯვნივ AD2 მრუდისკენ, რაც მოსალოდნელზე მეტად ფასების ზრდას იწვევს და შესაბამისად წარმოება ბუნებრივზე უფრო მაღალ დონეს აღწევს. ფასების დონის ზრდა იწვევს წარმოების მოცულობის გადიდებას Y1 -დან Y2-მდე. ფასები იზრდება P1-დან P2-მდე. მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკის წონასწორობა A წერტილიდან B წერტილში გადაინაცვლებს. (ნახ.9.6)



ნახ.9.6. ერთობლივი მოთხოვნის ზრდა

გრძელვადიან პერიოდში კი ფასების მოსალოდნელ ზრდასთან ერთად ეკონომიკის წონასწორული მდგომარეობა B -დან C წერტილამდე გადაინაცვლებს. გრძელვადიანი პერიოდის წონასწორობა C წერტილში დამყარდება, რადგან გრძელვადიანი პერიოდის მიწოდების მრუდი ვერტიკალურია, რომელიც თავდაპირველი წონასწორობის A წერტილში გადის. წონასწორობა უბრუნდება გამოშვების ბუნებრივ დონეს Y1, მაგრამ უფრო მაღალი P3 ფასების დონის პირობებში. (ნახ. 9.6.)

საწინააღმდეგოდ მოქმედებს ერთობლივი მოთხოვნის შემცირება. იგი იწვევს ფასების შემცირებას P1-დან P2-მდე, ასევე წარმოების მოცულობის შემცირებას Y1-დან Y2-მდე. გრძელვადიან პერიოდში ფასები უფრო შემცირდება P3-მდე, ახალი წონასწორობა C- წერტილში დამყარდება, სადაც წარმოების მოცულობა ისევ Y1 უცვლელი რჩება. (იხ. ნახ. 9 .7).



ნახ. 9.7. ერთობლივი მოთხოვნა მცირდება.

ამგვარად, დასკვნის სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი:

1. მოკლევადიან პერიოდში ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებები გავლენას ახდენს როგორც საქონლისა და მომსახურების წარმოების მოცულობაზე, ასევე ფასების დონეზე.

2. გრძელვადიან პერიოდში ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებები გავლენას ახდენს მხოლოდ ფასების საერთო დონეზე, მაგრამ არა წარმოების მოცულობაზე.

გრძელვადიან პერიოდში ნომინალური ცვლილებაა, რადგან ფასების დონე იცვლება, მაგრამ არა რეალური ცვლილება, წარმოების მოცულობა უცვლელია.

სწორედ ამგვარი ცვლილებები იწვევს ეკონომიკურ რყევებს. ერთობლივი მოთხოვნის შემცირების ნათელი მაგალითია 1930–იანი წლების ეკონომიკური კატასტროფა, რომელიც „დი-


დი დეპრესიის" სახელით არის ცნობილი. რეალური მშპ 1929-1933 წლებში 27% –ით დაეცა, უმუშევრობა კი 25–%–მდე გაიზარდა. ამავე დროს ფასების დონემ 22%–ით დაიკლო. ასეთი კრიზისი მრავალ ქვეყანას მოედო. ეკონომისტები ამ კრიზისს სწორედ ერთობლივი მოთხოვნის მკვეთრ შემცირებას უკავშირებენ, რომელიც საბანკო სისტემის მოშლამ და ფულის მიწოდების შემცირებამ გამოიწვია. მკვეთრად შემცირდა სამომხმარებლო ხარჯები და ერთობლივი მოთხოვნა, რამაც დიდი დეპრესია გამოიწვია. მთავრობას შეუძლია ასეთი რყევების შერბილება, ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირებით, რასაც შემდეგ თავში გავეცნობით.

ეხლა კი გავეცნოთ ერთობლივი მიწოდების ცვლილებით გამოწვეულ ეკონომიკურ რყევებს. ამ შემთხვევაშიც განვასხვავებთ მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებს. როგორც აღვნიშნეთ, გრძელვადიან პერიოდში ერთობლივი მიწოდების მრუდი ვერტიკალურია. ხოლო მოკლევადიან პერიოდში კი აღმავალი, თუმცა უფრო მოკლევადიან პერიოდში ერთობლივი მიწოდების მრუდი ჰორიზონტალური ხაზია.

კლასიკური მოდელი - ვერტიკალური მრუდი მხოლოდ გრძელვადიანი პერიოდის ანალიზისათვის გამოიყენება. მოკლევადიან პერიოდში კი ფასები არ ხასიათდება მოქნილობით და ამიტომ, მოთხოვნის ცვლილებებს ვერ ეგუება. ფასების მოუქნელობის გამო მოკლევადიან პერიოდში ერთობლივი მიწოდების მრუდი არ არის ვერტიკალური, როგორც ვნახეთ იგი ზრდადია.

ამგვარად, მოკლევადიან პერიოდში ფასები არ არის მოქნილი და ამდენად, ერთობლივი მიწოდების მრუდი ზრდადია, ერთობლივი მოთხოვნის მრუდის ცვლილება წარმოების მოცულობის ცვლილებას იწვევს. გრძელვადიან პერიოდში კი ფასები მოქნილია, ერთობლივი მიწოდების მრუდი კი ვერტიკალური, ანუ ერთობლივი მოთხოვნის ცვლილება ზემოქმედებს არა წარმოების მოცულობაზე, არამედ მხოლოდ ფასების დონეზე. ამდენად, ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებები დროის სხვადასხვა მონაკვეთზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს.

დავუშვათ, ცენტრალურმა ბანკმა შეამცირა მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა. ამის შედეგად მოკლევადიან პერიოდში, ერთობლივი მიწოდების AS1 მრუდი გადაადგილდება AS2 მრუდისაკენ. ერთობლივი მოთხოვნის მრუდისა და მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის გადაკვეთის წერტილი *A* წერტილიდან *B* წერტილში გადაინაცვლებს (ნახ. 9.8). წარმოების მოცულობა და დასაქმების დონე ბუნებრივ დონეზე დაბლა დაიწევს, რაც რეცესიის არსებობას ადასტურებს. წარმოების მოცულობა მცირდება Y1-დან Y2-მდე. ხოლო ფასები იზრდება P1-დან P2-მდე. დროთა განმავლობაში ფასები და ხელფასები ისევ გაიზრდება, ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გასწვრივ ხდება გადანაცვლება და ეკონომიკაში ახალი გრძელვადიანი წონასწორობა *C* წერტილში ყალიბდება.



ნახ.9.8.

გრძელვადიანი წონასწორობის ამ ახალ C - წერტილში წარმოების მოცულობა და დასაქმება ისევ ბუნებრივ დონეზე აღმოჩნდება, თუმცა ფასების გაცილებით მაღალი დონით.

მიწოდების მრუდის ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს სტაგფლაცია — ინფლაციის და რეცესიის პერიოდი. ამ დროს წარმოება მცირდება, ფასების დონე კი იზრდება. პოლიტიკოსებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ერთობლივი მოთხოვნის მრუდზე, რათა წარმოება დაუბრუნდეს თავის ბუნებრივ დონეს, მაგრამ არ შეუძლიათ ორივე ამ ეფექტის გამოსწორება ერთდროულად, რადგან ფასები ისევ მაღალი რჩება.

ეკონომიკაში რყევები ერთობლივი მოთხოვნის ან ერთობლივი მიწოდების ცვლილებებიდან იწყება. ეკონომისტები შესაბამისი მრუდების გარე ზემოქმედებით გადაადგილებას ეკონომიკური რყევების, ან **ეკონომიკური შოკის** სახელით მოიხსენიებენ. შოკის ეკონომიკაზე ზემოქმედება წარმოების მოცულობისა და დასაქმების ბუნებრივი დონიდან გადახრაში გამოიხატება. მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია რყევების ნეიტრალიზაციისაკენ, იგი წარმოების მოცულობისა და დასაქმების ბუნებრივ დონეზე შენარჩუნებისაკენაა მიმართული და სტაბილიზაციის პოლიტიკა ეწოდება.

თემა 10. მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გავლენა ერთობლივ მოთხოვნაზე

10.1. მონეტარული პოლიტიკის მოქმედება ერთობლივ მოთხოვნაზე.


ყველაზე დიდი ეკონომიკური კრიზისი დიდი დეპრესიის სახელითაა ცნობილი, რომელიც აშშ-ს თავს დაატყდა. 1933 წლისათვის ამერიკის მოსახლეობის მეოთხედს უმუშევართა არმია შეადგენდა, ხოლო რეალური მშპ კი 30 პროცენტით ნაკლები იყო, ვიდრე 1929 წელს. ამ კრიზისმა მრავალ ეკონომისტს კლასიკური ეკონომიკური თეორიის გამოყენების შესაძლებლობის მართლზომიერების შესახებ კითხვები გაუჩინა. როგორც დიდმა დეპრესიამ აჩვენა, კლასიკური ეკონომიკური თეორია, რომელსაც აქამდე ვიხილავდით, ვერ ხსნიდა დეპრესიის მიზეზებს.

გავიხსენოთ, რომ კლასიკური ეკონომიკური თეორიის შესაბამისად ეროვნული შემოსავალი წარმოების ფაქტორებზე და არსებულ ტექნოლოგიებზეა დამოკიდებული, მაგრამ 1929-1933 წლებში არც წარმოების ფაქტორებს და არც ტექნოლოგიურ განვითარებას მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია.

ჯონ მეინარდ კეინზი თავის წიგნში "დასაქმების, სარგებლის და ფულის ზოგადი თეორია" წერდა: "მე მოგიყვანთ მტკიცებულებას იმის თაობაზე, რომ კლასიკური თეორიის პოსტულატები შეიძლება გამოყენებულ იქნას არა ნებისმიერ, არამედ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში... უფრო მეტიც, ამ განსაკუთრებული შემთხვევის დამახასიათებელი თვისებები არ ემთხვევა იმ ეკონომიკური საზოგადოების თვისებებს, რომელშიც ვცხოვრობთ, ამიტომ მისი სწავლება გვაბნევს და თეორიის პრაქტიკაში გამოყენების მცდელობისას მას საბედისწერო შედეგებამდე მივყავართ".

კეინზი თვლიდა, რომ შემოსავლის დაბალი და უმუშევრობის მაღალი დონის მიზეზი შესაძლოა ერთობლივი მოთხოვნის შემცირება ყოფილიყო. იგი აკრიტიკებდა კლასიკურ ეკონომიკურ თეორიას და სეის კანონს, რომლის თანახმადაც ერთობლივი მიწოდება განსაზღვრავდა ეროვნული შემოსავლის მოცულობას. სეის კანონის თანახმად მიწოდება წარმოქმნის მოთხოვნას. კეინზის ერთობლივი მოთხოვნის მოდელი IS-LM მოდელის სახელითაა ცნობილი. სწორედ ეს მოდელია კეინზის თეორიის ყველაზე გაბატონებული ინტერპრეტაცია. მასში ფასების დონე აღებულია ეგზოგენურ (თავდაპირველ) პარამეტრად და ნაჩვენებია, თუ რა ფაქტორები განსაზღვრავენ ეროვნული შემოსავლის მოცულობას. აღნიშნული მოდელი გვიჩვენებს, თუ რა იწვევს შემოსავლების ცვლილებას მოკლევადიან პერიოდში ფიქსირებული ფასების არსებობის შემთხვევაში.

შემოსავლის დონის ცვლილება იწვევს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას. (ნახ. 10.1).



ნახ.10.1. ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილება.

გრაფიკზე ვხედავთ, რომ შემოსავლის გადიდებით, ერთობლივი მოთხოვნის მრუდი მარჯვნივ გადაადგილდება. თვითონ ერთობლივი მოთხოვნის მრუდი კლებადია. ჩვენ ვიცნობთ ერთობლივი მოთხოვნის მრუდის კლებადობის სამ ძირითად მიზეზს:

1. პიგუს სიმდიდრის ეფექტი, რომელიც გულისხმობს, რომ ფასების შემცირება იწვევს ფულადი სახსრების რეალური ღირებულების ზრდას და შესაბამისად სიმდიდრის ზრდას, რაც სამომხმარებლო ხარჯების სტიმულირებას იწვევს.
2. კეინზის სარგებლის განაკვეთის ეფექტი, რომლის თანახმადაც ფასების შემცირებას მოყვება სარგებლის განაკვეთის შემცირებაც, რაც საინვესტიციო ხარჯების ზრდას უწყობს ხელს.
3. მანდელ-ფლემინგის სავალუტო კურსის ეფექტი. იგი გულისხმობს, რომ ფასების შემცირება, რომელიც სარგებლის განაკვეთის შემცირებასაც იწვევს, ამცირებს ადგილობრივი ვალუტის ღირებულებას უცხოურ ვალუტასთან შედარებით. ამის გამო სამამულო საქონელი იაფდება უცხოურ საქონელთან შედარებით, რაც წმინდა ექსპორტის ზრდას იწვევს.

აღნიშნული სამი ეფექტი არაა ურთიერთგამომრიცხავი და ისინი შეიძლება ერთდროულად მოქმედებდნენ, თუმცა მათ სხვადასხვა დონის მნიშვნელობა აქვთ. პიგუს სიმდიდრის ეფექტს შედარებით ნაკლები მნიშვნელობა აქვს. დიდი ქვეყნებისათვის ერთობლივი მოთხოვნის კლებადობის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზია კეინზის სარგებლის განაკვეთის ეფექტი. ხოლო მცირე ქვეყნებისათვის, სადაც იმპორტი და ექსპორტი მშპ-ს შედარებით დიდი ნაწილია, მანდელ–ფლემინგის სავალუტო კურსის ეფექტია ბევრად უფრო მნიშვნელოვანი.

იმისათვის, რომ გავერკვეთ, როგორ მოქმედებს მონეტარული (ფულადი) პოლიტიკა ერთობლივ მოთხოვნაზე, პირველ რიგში განვიხილოთ სარგებლის განაკვეთის მოქმედება ერთობლივ მოთხოვნაზე, რომელიც დეტალურად განიხილა ცნობილმა ბრიტანელმა ეკონომისტმა ჯონ მეინარდ კეინზმა თავის ცნობილ წიგნში „დასაქმების, სარგებლის და ფულის ზოგადი თეორია". მან განიხილა **ლიკვიდურობის უპირატესობის** თეორია, რომლის მიხედვითაც სარგებლის განაკვეთს შეუძლია გააწონასწოროს ფულის მიწოდება და ფულზე მოთხოვნა მოკლევადიან პერიოდში. ანალიზის გამარტივების მიზნით დავუშვათ, რომ ინფლაციის დონე მუდმივია და სარგებლის ნომინალური და რეალური განაკვეთები ერთმანეთს ემთხვევა. ეს დაშვება სრულიად მისაღებია მოკლევადიანი პერიოდის ეკონომიკის შესასწავლად.

განვიხილოთ IS-LM მოდელი, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება IS (Investment – Saving) - ინვესტიციები და დანაზოგი და LM (Liquidity – Money) ლიკვიდურობა და ფული. IS საქონლისა და მომსახურების ბაზარზე არსებულ სიტუაციას ასახავს, ხოლო


LM კი - ფულის მარაგებზე მოთხოვნასა და ფულის მიწოდებას. აღნიშნული მოდელი ამ ორი ბაზრის ურთიერთქმედების ერთობლივ მოთხოვნაზე გავლენას გვიჩვენებს, რომელიც პირველად ნობელის პრემიის ლაურეატმა, ჯონ ჰიკსმა ჩამოაყალიბა.

ფულის ბაზარზე შემოსავლის დონესა და საპროცენტო განაკვეთს შორის დამოკიდებულებას LM მრუდი ასახავს.

ლიკვიდურობის უპირატესობის თეორია სარგებლის განაკვეთის კეინსური თეორიის ყველაზე მარტივი ინტერპრეტაციაა, იგი LM მრუდის აგების საფუძველს იძლევა. ეს თეორია ხსნის თუ როგორ განაპირობებენ ფულადი საშუალებების რეალურ მარაგებზე მოთხოვნა და მათი მიწოდება სარგებლის განაკვეთს.

თუ M - ფულის მოწოდებაა, ხოლო P - ფასების დონე, მაშინ M / P არის ფულის მარაგები რეალურ გამოხატულებაში. ლიკვიდურობის უპირატესობის თეორიის თანახმად ფულის მიწოდება ფიქსირებულია, ანუ M ცენტრალური ბანკის მიერ განსაზღვრული ფულის მიწოდების დონეა, ხოლო P კი - ფასების დონე.

ორივე ეს ცვლადი ეგზოგენური (გარე) მაჩვენებელია. აქედან გამომდინარე, ფულის მიწოდების მრუდი ვერტიკალურია და მისი სიდიდე არაა დამოკიდებული სარგებლის განაკვეთზე.



ნახ. 10.2. ფულის მიწოდება ცენტრალური ბანკის მიერ.


ადამიანები ნაღდ ფულს ხელზე იმის გამო ინახავენ, რომ ფული ლიკვიდურია, ფული მარტივად გამოიყენება გარიგებების დასადებად. **ლიკვიდურობის უპირატესობის თეორიის თანახმად ფულზე მოთხოვნა სარგებლის განაკვეთზეა დამოკიდებული.** სარგებლის განაკვეთი ნაღდი ფულის ფლობის ალტერნატიული დანახარჯია, ანუ ეს ის თანხაა, რომელზე უარის თქმაც გვიწევს, თუ ფული ხელზე გვაქვს და არა ბანკში. როგორც პურზე არსებული ფასები გავლენას ახდენს პურზე მოთხოვნის სიდიდეზე, ნაღდი ფულის ფლობის ფასიც გავლენას ახდენს ფულის მარაგის მიმართ მოთხოვნის სიდიდეზე. ამიტომ, როცა სარგებლის განაკვეთი იზრდება, ადამიანებს სურთ ხელზე იქონიონ ნაკლები სიმდიდრე ფულის სახით. ფულის რეალურ მარაგებზე მოთხოვნა ჩავწეროთ შემდეგი სახით: $(M / P)^* = L(r)$

სადაც $L(r)$ არის მოთხოვნა ლიკვიდურ აქტივზე - ფულზე. ამ ფუნქციის თანახმად ფულზე მოთხოვნა სარგებლის განაკვეთის ფუნქციაა. ფულზე მოთხოვნის გრაფიკი დახრილია, რადგან მაღალი საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ნაღდ ფულზე მოთხოვნას. (ნახ. 10.2)

მოცემულ ნახაზზე ფულის მიწოდება და ფულზე მოთხოვნა გაერთიანებულია. ლიკვიდურობის უპირატესობის თეორიის შესაბამისად, სარგებლის განაკვეთის ცვლილებას ფულის ბაზარი წონასწორულ მდგომარეობაში მოჰყავს. თუ სარგებლის განაკვეთი მაღალია, ადამიანები ცდილობენ მათ ხელთ არსებული ფული გადააქციონ საბანკო დეპოზიტებად, რომლებსაც პროცენტი მოაქვთ. ფულის მიწოდების ამგვარ ზრდას საბანკო დანესებულებები საპროცენტო განაკვეთის დაბალი დონის შეთავაზებით უპასუხებენ. და პირიქით, თუ საპროცენტო განაკვეთი დაბალია, ადამიანები შეეცდებიან ხელზე დაიტოვონ მეტი ფული, რაც საპროცენტო განაკვეთს მაღლა ასწევს. წონასწორული პროცენტის პირობებში პორტფელი, რომელიც ფულად და არაფულად აქტივებს მოიცავს, ოპტიმალურია.

ლიკვიდურობის უპირატესობის თეორია გამომდინარეობს იქიდან, რომ ფულის მიწოდების შემცირება ზრდის საპროცენტო განაკვეთს, ხოლო ფულის მიწოდების ზრდა ამცირებს საპროცენტო განაკვეთს. მოცემული დებულება განვიხილოთ გრაფიკულად.

დავუშვათ, ცენტრალურმა ბანკმა გადაწყვიტა გაზარდოს ფულის მიწოდება MS1-დან MS2-მდე, ფულის მიწოდების ვერტიკალური მრუდი გადაინაცვლებს მარჯვნივ, ხოლო საპროცენტო განაკვეთი r 1-დან r 2-მდე შემცირდება. უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთი კი აიძულებს ადამიანებს გაზარდონ მათ ხელთ არსებული რეალური ფულადი მარაგები. (ნახ. 10.3.).



ნახ. 10.3. ფულის მიწოდების გაზრდა.

ამავდროულად, ხელზე არსებული ფულადი მარაგების გაზრდა გამოიწვევს ერთობლივი მოთხოვნის გადიდებას, რის შედეგადაც ერთობლივი მოთხოვნის AD1 მრუდი გადაინაცნონასწორული სარგებლის განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც აწონასწორებს ფულზე მოთხოვნასა და ფულის მიწოდებას. წონასწორული საპროცენტო განაკვეთისა და შემოსავლის დონეს შორის ურთიერთდამოკიდებულება გამოისახება LM მრუდით. გარდა სარგებლის განაკვეთისა, ფულის მოთხოვნაზე ზემოქმედებს შემოსავალიც (Y). მაღალი შემოსავალი ზრდის ფულზე მოთხოვნას.

ფულის რეალურ მარაგებზე მოთხოვნა პირდაპირპროპორციულია შემოსავლებისა და უკუპროპორციულია საპროცენტო განაკვეთისა.

ლიკვიდურობის უპირატესობის თეორიის გამოყენებით, შეგვიძლია ვნახოთ, თუ რა მოსდის პროცენტს, თუ შემოსავალი Y 1-დან Y 2-მდე იზრდება. შემოსავლის ეს ზრდა ფულზე მოთხოვნის მრუდს გადააადგილებს მარჯვნივ. იმისათვის, რათა წონასწორობაში დარჩეს ფულის ბაზარი, საპროცენტო განაკვეთი r1-დან r2-მდე გაიზრდება.

თუ ფულის მიწოდება შემცირდება, ფულის მიწოდების მრუდი მარცხნივ გადაადგილდება. შედეგად 10.3. ნახაზის საწინააღმდეგო სიტუაციას მივიღებთ.

ცენტრალური ბანკის ერთ–ერთი მიზანია ერთობლივი მოთხოვნის რეგულირება მონეტარული პოლიტიკის განხორციელების გზით, რადგან ერთობლივი მოთხოვნის მდგრადობა ნარმოებისა და ფასების დონის სტაბილურობას განაპირობებს. ამისათვის ცენტრალურმა ბანკმა კაპიტალის ბაზრების ბუმს შეიძლება ფულის მიწოდების შეზღუდვით და სარგებლის განაკვეთის გაზრდით უპასუხოს. შემზღუდველი სარგებლის განაკვეთი გადაფარავს აქციების მაღალი ფასების მასტიმულირებელ ეფექტს. საწინააღმდეგო მდგომარეობა იქმნება, როცა კაპიტალის ბაზარი კრახს განიცდის. მოხმარებასა და ინვესტირებაზე დანახარჯები მცირდება, რაც ერთობლივ მოთხოვნას ამცირებს და ეკონომიკას რეცესიისკენ უბიძგებს. ერთობლივი მოთხოვნის მდგრადობის მისაღწევად ცენტრალურ ბანკს ფულის მიწოდების გაზრდა და სარგებლის განაკვეთის შემცირება სჭირდება. ცენტრალური ბანკის სწრაფი მოქმედების გამო ეკონომიკა რეცესიას გადაურჩება.

ფულის რაოდენობრივი თეორიის იგივეობა ჩვენ ჩავწერეთ MV = PY და დავუშვით, რომ ფულის ბრუნვის სიჩქარე V მუდმივია. ამ დაშვების შესაბამისად, ფასების მოცემული დონის პირობებში მხოლოდ ფულის მიწოდება განსაზღვრავს Y-შემოსავლის მოცულობას. რადგან ფულის რაოდენობრივი თეორიის შესაბამისად შემოსავალის მოცულობა არაა დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთზე, MS მრუდი ვერტიკალური იქნება. რასაკვირველია, ფულზე მოთხოვნა დამოკიდებულია როგორც შემოსავალზე, ასევე საპროცენტო განაკვეთზე. ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი იმაზე, რომ მაღალი საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ადამიანთა სტიმულს ხელზე ნაღდი ფული შეინახონ. ეს კი თავის მხრივ აჩქარებს ფულის ბრუნვის სიჩქარეს, ანუ ეკონომიკაში თითოეული ფულის ნიშანი ხელიდან ხელში უფრო სწრაფად გადადის. MV(r) =PY.

ამგვარად, **მონეტარული პოლიტიკა** შეიძლება განხილული იქნას როგორც ფულის მასის განსაზღვრა ცენტრაული ბანკის მიერ, ასევე როგორც სარგებლის განაკვეთის განსაზღვრა.

ასე რომ, მონეტარული პოლიტიკა გავლენას ახდენს ფულის ბაზრის წონასწორობაზე, რომელიც თავის მხრივ ცვლის ერთობლივ მოთხოვნას. (ნახ. 10.3.)


10.2. ფისკალური პოლიტიკის მოქმედება ერთობლივ მოთხოვნაზე.

ეკონომიკური სიტუაციის შეცვლა მთავრობას შეუძლია ასევე ფისკალური პოლიტიკის მეშვეობით. **ფისკალური პოლიტიკა** საბიუჯეტო–საგადასახადო პოლიტიკაა, რომელიც დაკავშირებულია **სახელმწიფო შესყიდვებისა და გადასახადების** საერთო დონის დადგენასთან. წინა თავებში ჩვენ განვიხილეთ ფისკალური პოლიტიკის მოქმედება გრძელვადიან პეიოდში, რომელიც მოქმედებს დანაზოგებზე, ინვესტიციებზე და ეკონომიკურ ზრდაზე. ამჯერად განვი-

ხილავთ ფისკალური პოლიტიკის მოქმედებას მოკლევადიან პეიოდში, რომელიც ძირითადად საქონლისა და მომსახურების ერთობლივ მოთხოვნაზე მოქმედებს. განვიხილოთ თითოეული.

ა) სახელმწიფო შესყიდვების ცვლილება.

იმის გამო, რომ სახელმწიფო შესყიდვები ერთობლივი დანახარჯების ერთ-ერთი კომპონენტია, ცხადია, მათი ზრდა შემოსავლის მოცემულ პირობებში ზრდის ერთობლივ დანახარჯებს. თუ სახელმწიფო ხარჯები ΔG მოცულობით გაიზრდება, მაშინ დაგეგმილი დანახარჯების მრუდი ანალოგიური მოცულობით, ანუ ΔG სიდიდით გადაადგილდება მარჯვნივ. (იხ.ნახ. 10.4).



ნახ. 10.4. სახელმწიფო შესყიდვების ზრდა.

აღნიშნული გრაფიკი გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ხარჯის ზრდა ეკონომიკაში შემოსავლების უფრო მეტ ზრდას იწვევს. ანუ ΔY (შემოსავლების ზრდა) უფრო მეტია, ვიდრე თავდაპირველი იმპულსი - ΔG . შეფარდება ΔY /ΔG -ზე სახელმწიფო შესყიდვების **მულტიპლიკატორის** სახელითაა ცნობილი. **მულტიპლიკატორი გვიჩვენებს სახელმწიფო ხარჯების 1 დოლარით ზრდა რამდენად ზრდის ერთობლივ შემოსავალს.** იგი ყოველთვის ერთზე მეტია. აღნიშნულის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ მოხმარების ფუნქციის შესაბამისად, სახელმწიფო ხარჯი ზრდის შემოსავალს, უფრო მაღალი შემოსავალი ზრდის დანახარჯს, თავის მხრივ, დანახარჯი ზრდის შემოსავალს და ა.შ.

სახელმწიფო ხარჯის ΔG სიდიდით ზრდა მოხმარების **MPC × ΔG** სიდიდით ზრდას იწვევს, სადაც **MPC** მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილებაა. შესაბამისად, ამავე სიდიდით იზრდება შემოსავალი და დანახარჯი, "მეორე წრეზე" დანახარჯი მოხმარებაზე ისევ ზემოქმედებს, ამჯერად უკვე **MPC × (MPC × ΔG)** სიდიდით და ა.შ. უსასრულოდ. ეს იგივეობა უსასრულო გე-


ომეტრიული პროგრესიის სახელითაა ცნობილი და მარტივი ალგებრული გარდაქმნებით მივიღებთ, რომ

მულტიპლიკატორი = 1/ (1–MPC) .

მაგალითად, თუ მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება MPC 0,6-ის ტოლია, მაშინ მულტიპლიკატორი=1 / (1 – 0. 6) = 2, 5, ანუ სახელმწიფო დანახარჯების 1 დოლარით ზრდა წონასწორულ შემოსავალს 2,5 დოლარით ზრდის.

კიდევ ერთი მაგალითი, დავუშვათ MPC=3/4. სახელმწიფო შესყიდვების მულტიპლიკატორი იქნება 1/(1–3/4), რაც 4–ის ტოლია. ასეთ შემთხვევაში მთავრობის მიერ 10 მილიონის დახარჯვა საქონელსა და მომსახურებაზე 40 მილიონიან მოთხოვნას წარმოშობს. ამგვარად, რაც უფრო მეტია MPC, მით მეტია მულტიპლიკატორი. უნდა გვახსოვდეს, მულტიპლიკატორი იმის გამო ჩნდება, რომ მაღალი შემოსავლები სტიმულს აძლევს მოხმარების ზრდას. რაც მეტია MPC, მით მეტია მოხმარების სტიმული და მულტიპლიკატორი. შესაბამისად ერთობლივი მოთხოვნის მრუდი უფრო მეტად გადაინევს მარჯვნივ. იხ. ნახ. 10.4.

როგორც ვხედავთ, მულტიპლიკატორის ეფექტის მოქმედებით ერთობლივი მოთხოვნის მრუდი დამატებით გაიზრდება და გადაადგილდება. იგი გამონვეულია ექსპანსიონისტური ფისკალური პოლიტიკის შედეგად შემოსავლებისა და აქედან გამომდინარე, სამომხმარებლო დანახარჯების გაზრდით. თუმცა არსებობს მეორე ეფექტი, რომელიც საპირისპირო მიმართულებით მოქმედებს. სახელმწიფო შესყიდვების ზრდა არა მარტო საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდას იწვევს, არამედ სარგებლის განაკვეთის ზრდასაც. ეს კი ამცირებს საინვესტიციო ხარჯებს და ერთობლივ მოთხოვნას კლებისაკენ უბიძგებს. ფისკალური ექსპანსიით გამოწვეული სარგებლის განაკვეთის ზრდის შედეგად მოთხოვნის შემცირებას გამოდევნის ეფექტი ეწოდება. ესე იგი, შემოსავლის ზრდა, რომელიც ფისკალური ექსპანსიის შედეგია, ზრდის ფულზე მოთხოვნას. გაზრდილი მოთხოვნა ფულზე იწვევს სარგებლის განაკვეთის ზრდას, რაც თავის მხრივ ამცირებს ინვესტიციებზე მოთხოვნას და იწვევს გამოდევნის ეფექტს. (იხ. ნახ. 10.5.)



ნახაზი 10.5. გამოდევნის ეფექტი

ამგვარად, როდესაც მთავრობა სახელმწიფო შესყიდვებს 20 მილიონით ზრდის, ერთობლივი მოთხოვნა შეიძლება გაიზარდოს 20 მილიონზე მეტად ან ნაკლებად, იმის მიხედვით, მულტიპლიკატორის ეფექტია მეტი, თუ გამოდევნის ეფექტი.

ბ) გადასახადების ცვლილება.

გადასახადების ΔT სიდიდით შემცირება ანალოგიური სიდიდით ზრდის განკარგვად შემოსავალს (Y-T) და შესაბამისად, მოხმარებასაც - **MPC × Δ T** სიდიდით. ანალოგიურად, დაგეგმილი დანახარჯების გრაფიკი, ერთობლივი მოთხოვნის მრუდი მარჯვნივ გადაინაცვლებს ზუსტად **MPC × Δ T** სიდიდით. ისევე როგორც სახელმწიფო შესყიდვების ზრდის შემთხვევაში, გადასახადების შემცირებასაც ანალოგიური შედეგი მოჰყვება, **ΔY/ΔT** მულტიპლიკატორი, რომელიც **საგადასახადო მულტიპლიკატორია**. როგორც წინა შემთხვევაში დანახარჯების თავდაპირველი ცვლილება მულტიპლიცირდება 1/(1– MPC) სიდიდით, შესაბამისად, გადასახადის ცვლილების ეფექტი შემოსავალზე იქნება **ΔY / Δ T = 1 / (1– *MPC*)**.

ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს, თუ რამდენად იცვლება ერთობლივი შემოსავალი, გადასახადების ერთი ლარით ცვლილების შემთხვევაში.

თუ მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება 0,6-ის ტოლია, საგადასახადო მულტიპლიკატორი $\Delta Y / \Delta T = 1 / (1 - 0,6) = 2,5$, ანუ გადასახადების ერთი დოლარით შემცირება ერთობლივ შემოსავალს 2,5 დოლარით გაზრდის, და პირიქით.

ამას გარდა, იმაზე თუ რამდენად გაიზრდება ერთობლივი მოთხოვნა, ამ შემთხვევაშიც მულტიპლიკატორის ეფექტთან ერთად გამოდევნის ეფექტიც მოქმედებს. როდესაც მთავრობა გადასახადებს ამცირებს და სამომხმარებლო ხარჯების სტიმულირებას ახდენს, შემოსავლები და მოგება იზრდება, რაც სამომხმარებლო ხარჯებს კიდევ უფრო მეტ სტიმულს აძლევს. ეს გახლავთ მულტიპლიკატორის ეფექტი. მაგრამ ამავე დროს, შემოსავლის ზრდა ფულზე მოთხოვნას ზრდის, რაც თავის მხრივ სარგებლის განაკვეთის ზრდას იწვევს. გაზრდილი სარგებლის განაკვეთი აძვირებს ფულის სესხებას და შედეგად საინვესტიციო მოთხოვნა მცირდება. ეს გამოდევნის ეფექტია. იმის მიხედვით მულტიპლიკატორის ეფექტია უფრო ძლიერი, თუ გამოდევნის ეფექტი, ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება უფრო მეტად ან ნაკლებად, ვიდრე გადასახადების ცვლილებაა, რომელიც ამ გადაადგილებას იწვევს.

დიდი დეპრესია

ავაგეთ რა ერთობლივი მოთხოვნის მოდელი, შევეცადოთ ის გამოვიყენოთ იმ კითხვაზე პასუხის გასაცემად, რომელიც თავდაპირველად დასვა კეინზმა: რამ გამოიწვია დიდი დეპრესია?

დღესაც კი, ათეული წლების შემდეგ, ეკონომისტები აგრძელებენ კამათს ამ ყველაზე ღრმა ეკონომიკური კრიზისის მიზეზებთან დაკავშირებით. დიდმა დეპრესიამ დაგვიტოვა ვრცელი ემპირიული მასალა იმის სადემონსტრაციოდ, თუ როგორ შეიძლება ვისარგებლოთ IS-LM მოდელით ეკონომიკური რყევების გასაანალიზებლად.

იმის გამო, რომ შემოსავლის შემცირება დროში საპროცენტო განაკვეთის შემცირებას ემთხვევა, ზოგიერთი ეკონომისტის მოსაზრებით დეპრესია ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მარცხნივ გადაადგილებას უკავშირდება. ეს მოსაზრება ზოგჯერ დანახარჯების ჰიპოტეზის სახელითაა ცნობილი. ერთი მოსაზრებით ეს შესაძლოა 1929 წელს საფონდო ბირჟის კრახით ყოფილიყო გამოწვეული. ადამიანებმა, შემდგომში გაურკვეველობის თავიდან ასაცილებლად უფრო მეტის დაზოგვა დაიწყეს.

მეორე მოსაზრებით, დანახარჯების შემცირება ბინათმშენებლობაში ინვესტიციების მნიშვნელოვანმა შემცირებებმა გამოიწვია. კერძოდ, შემცირდა იმიგრანტთა რაოდენობა, შესაბამისად - მოსახლეობის ზრდა და როგორც შედეგი - მოთხოვნა ბინებზე, ანუ "ბინათმშენებლობის ბუმი" რომელიც მანამდე იყო ქვეყანაში, გაუმართლებელი აღმოჩნდა. შესაბამისად, ინვესტიციები ბინათმშენებლობაში შემცირდა.

დეპრესიის შედეგი იყო ბანკების გაკოტრება, რასაც შედეგად ასევე დანახარჯების შემცირება მოჰყვა. ინვესტორები ვეღარ ღებულობდნენ ინვესტირებისათვის საჭირო სახსრებს, რასაც ერთობლივი მოთხოვნის მრუდის კიდევ უფრო მარცხნივ გადაადგილება მოჰყვა.

ეკონომიკის სტიმულირების ნაცვლად სახელმწიფომ დაიწყო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებაზე ზრუნვა, რასაც ასევე მოთხოვნის შემცირება მოჰყვა. გადასახადების ზრდა შეეხო არა მარტო მდიდარ, არამედ საშუალო და ღარიბ ამერიკელებს, რაც ასევე ამცირებდა ერთობლივ მოთხოვნას.

ფულადი ჰიპოტეზა: LM მრუდთან დაკავშირებული შოკი. 1929-33 წლებში ფულის მინოდება 25%-ით შემცირდა. ამის გამო შეიქმნა ე.წ. ფულადი ჰიპოტეზა, რომელიც დეპრესიაში

მთავარ დამნაშავედ აშშ ფედერალურ სარეზერვო სისტემას ასახელებს, რადგანაც მან დაუშვა ფულის მიწოდების ასეთი მნიშვნელოვანი შემცირება. ამ მოსაზრებას იზიარებენ მილტონ ფრიდმენი და ანა შვარცი. მათი მტკიცებით, ეკონომიკური კრიზისების უმრავლესობის მიზეზი ფულის მიწოდების შემცირება გახდა და ამ კონტექსტში დიდი დეპრესია წარმოადგენს განსაკუთრებით ნათელ მაგალითს. ფულადი ჰიპოტეზის ამგვარად განხილვა ორ პრობლემას ავლენს:

პირველი პრობლემა დაკავშირებულია ეკონომიკური აგენტების ფულადი საშუალებების რეალური მარაგის ცვლილებებთან. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა იწვევს LM მრუდის მარცხნივ გადაადგილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ დროს მცირდება რეალური ფულადი მარაგები. თუმცა, 1929-1931 წლებში ფულადი მარაგები რეალურ გამოხატულებაში უმნიშვნელოდ გაიზარდა, რამდენადაც ფულის მიწოდების შემცირება თანდაყოლილი იყო ფასების დონის კიდევ უფრო მეტად შემცირებით. მიუხედავად იმისა, რომ ფულადი მასის შემცირებას შესაძლოა გამოეწვია უმუშევრობის ზრდა 1931-1933 წლებში, როცა რეალური ფულადი მარაგები ნამდვილად შემცირდა, მაგრამ, როგორც ჩანს, არ შეიძლება მას დავაბრალოთ 1929-1931 წლების თავდაპირველი კრიზისის გამოწვევა.

მეორე პრობლემა დაკავშირებულია საპროცენტო განაკვეთის დინამიკასთან. დეპრესიის მიზეზი LM მრუდის მარცხნივ გადაადგილება რომ ყოფილიყო, ჩვენ უნდა ვამჩნევდეთ უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთების არსებობას. მაგრამ 1929-1933 წლებში საპროცენტო განაკვეთები უწყვეტად მცირდებოდა.

ეს ორი არგუმენტი თითქოსდა საკმარისია იმისათვის, რათა უარვყოთ თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც დეპრესია პროვოცირებულია LM მრუდის გადაადგილებით. მაგრამ, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ფულადი მასის შემცირებას საერთოდ არ მოუხდენია გავლენა კრიზისის განვითარებაზე? ქვემოთ გავაანალიზებთ სხვა მოვლენას, რომელთან დაკავშირებითაც ფულად-საკრედიტო პოლიტიკას შეეძლო გამოეწვია დეპრესიის გაღრმავება - 30-ანი წლების დეფლაცია. 1929-33 წლებში ფასების დონე 25%-ით შემცირდა. ზოგიერთი ეკონომისტი სწორედ ასეთ დეფლაციას უკავშირებს დეპრესიის გაძლიერებას. მათი აზრით სწორედ დეფლაციამ გადაზარდა ჩვეულებრივი ეკონომიკური კრიზისი დიდ დეპრესიაში. თუ ეს ასეა, მაშინ მსგავსი მტკიცება ფულად ჰიპოთეზას ანიჭებს ახალ სიცოცხლისუნარიანობას. რამდენადაც ალბათ, ფულის მიწოდების შემცირება იყო ფასების დონის შემცირების მიზეზი, ის შესაძლოა ყოფილიყო დეპრესიის გაღრმავების მიზეზიც.

შესაძლებელია თუ არა დეპრესიის განმეორება? ეკონომისტები სწავლობენ დეპრესიას იმიტომ, რომ ჯერ ერთი, მას გააჩნია დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა და მეორე, რათა სახელმწიფო მოხელეებს მისცენ რეკომენდაციები მომავალში მსგავსი მოვლენის თავიდან ასაცილებლად. იმისათვის, რომ სრული საფუძვლიანობით გავცეთ პასუხი კითხვაზე, შეიძლება განმეორდეს თუ არა ასეთი მოვლენა, აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რატომ მოხდა ის საერთოდ. რადგანაც არ არსებობს ერთიანი შეხედულება დიდი დეპრესიის მიზეზების შესახებ, შეუძლებელია სრული დარწმუნებით ასეთივე მასშტაბის კიდევ ერთი დეპრესიის შესაძლებლობის გამორიცხვა, რასაც ადასტურებს თანამედროვე მოვლენები მსოფლიოში.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ ის შეცდომები, რომლებმაც მიგვიყვანეს დიდ დეპრესიასთან, განმეორდეს. ფრიად საეჭვოა, რომ ცენტრალური ბანკები დაუშვებენ ფულის მიწოდების ერთი მეოთხედით შემცირებას. მრავალი ეკონომისტი ვარაუდობს, რომ სწორედ 30-ანი წლების დასაწყისში არსებულმა დეფლაციამ განსაზღვრა დეპრესიის სიღრმე და ხანგრძლივობა. ალბათ,

ასეთი ხანგრძლივი დეფლაცია საერთოდ შესაძლებელი იქნებოდა ფულის კლებადი მიწოდების არსებობისას.

საბიუჯეტო-საგადასახაო პოლიტიკა კიდევ ერთი სფეროა, სადაც შეცდომების განმეორება ნაკლებად სავარაუდოა. 30-ანი წლების საბიუჯეტო პოლიტიკამ არათუ სტიმულირება მოახდინა ერთობლივი მოთხოვნისა, არამედ სინამდვილეში კიდევ უფრო შეამცირა იგი. დღეს კი იშვიათად, რომელიმე ეკონომისტი გამოვიდეს მოთხოვნით ბალანსირებული ბიუჯეტის მკაცრი მხარდაჭერით მასობრივი უმუშევრობის არსებობისას. გარდა ამისა, დღეს არსებობს მრავალი ინსტიტუტი, რომლებიც გვეხმარება აღკვეთილი იქნას 30-ანი წლების მოვლენები. დაზღვევის სისტემა ნაკლებ სავარაუდოს ხდის ბანკების საყოველთაო ბანკროტობას. საშემოსავლო გადასახადი ავტომატურად ამცირებს გადასახადებს, როდესაც შემოსავლები მცირდება, რაც მასტაბილიზებელ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე.

საბოლოოდ, ეკონომისტებმა დღეს გაცილებით მეტი იციან ეკონომიკის ფუნქციონირებაზე, ვიდრე 30-ან წლებში. ეკონომიკის თაობაზე ჩვენი ცოდნა, როგორი შეზღუდულიც არ უნდა იყოს ის, სახელმწიფო მოხელეებს უნდა დაეხმაროს მასობრივი უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო პოლიტიკის შემუშავებაში.

10.3. ეკონომიკის სტაბილიზაციის პოლიტიკა

ეკონომიკაში რყევები ერთობლივი მოთხოვნის ან ერთობლივი მიწოდების ცვლილებიდან იწყება. ეკონომისტები შესაბამისი მრუდების გარე ზემოქმედებით გადაადგილებას ეკონომიკური რყევების, ან შოკის სახელით მოიხსენიებენ. შოკის ეკონომიკაზე ზემოქმედება ეკონომიკაში წარმოების მოცულობისა და დასაქმების ბუნებრივი დონიდან გადახრაში გამოიხატება.

მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია ეკონომიკური რყევების ნეიტრალიზაციისაკენ, იგი წარმოების მოცულობისა და დასაქმების ბუნებრივ დონეზე შენარჩუნებისაკენაა მიმართული და სტაბილიზაციის პოლიტიკა ეწოდება.

ეკონომიკურ პოლიტიკაში რაიმე ცვლილების შეტანამდე პოლიტიკოსებმა უნდა განიხილონ ყველა მოსალოდნელი შედეგი. პოლიტიკოსებმა ყველა რგოლში უნდა გაითვალისწინონ როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი მიზნები. როდესაც პარლამენტი ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების მიზნით სამთავრობო ხარჯებს ამცირებს, მან უნდა განიხილოს ამ პოლიტიკის გრძელვადიანი ზემოქმედება დანაზოგებსა და ეკონომიკურ ზრდაზე, ასევე მოკლევადიანი ზემოქმედება ერთობლივ მოთხოვნასა და დასაქმებაზე. როდესაც ცენტრალური ბანკი ფულის მიწოდების ზრდას ანელებს, უნდა გაითვალისწინოს ამ პოლიტიკის გრძელვადიანი ზემოქმედება ინფლაციაზე და მოკლევადიანი ზემოქმედება წარმოებაზე. ასე, რომ მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის განხორიელების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი ზემოქმედება.

სწორად განსაზღვრულმა მონეტარულმა (ფულადმა) და ფისკალურმა (საბიუჯეტო–საგადასახადო) პოლიტიკამ ერთობლივი მოთხოვნის რყევები შეიძლება შეარბილოს. მთავრობას შეუძლია შეცვალოს თავისი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა ოპტიმიზმის თუ პესიმიზმის შემოტევების პასუხად. თავის ცნობილ წიგნში „დასაქმების, სარგებლის და ფულის ზოგადი თეორია", **ჯონ მეინარდ კეინზმა დაასაბუთა, რომ ერთობლივ მოთხოვნას გადამწყვეტი როლი აქვს მოკლევადიანი ეკონომიკური რყევების თავიდან აცილებისათვის.** როდესაც ეკო-

ნომიკაში პესიმიზმი ბატონობს, საოჯახო მეურნეობები ამცირებენ სამომხმარებლო ხარჯებს, ფირმები კი საინვესტიციო ხარჯებს. ამ დროს საჭიროა მასტიმულირებელი პოლიტიკის განხორციელება, რათა ერთობლივი მოთხოვნის შემცირება იქნეს დაძლეული. როდესაც ეკონომიკაში ოპტიმიზმი ბატონობს, საოჯახო მეურნეობები და ფირმები ხარჯებს ზრდიან და ერთობლივი მოთხოვნა მკვეთრად იზრდება. ამ დროს საჭიროა შემაკავებელი პოლიტიკის განხორციელება, რათა ერთობლივი მოთხოვნის მკვეთრი ზრდის შედეგად გამოწვეული ცვლილებები დაძლეულ იქნას. მაგალითად, როდესაც ეკონომიკა პესიმიზმის ფაზაშია, ცენტრალურ ბანკს შეუძლია გაზარდოს ფულის მიწოდება. ხოლო როდესაც კაპიტალის ბუმია, შეამციროს ფულის მიწოდება.

უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი ეკონომისტი გამოდის აქტიური სტაბილიზაციის პოლიტიკის წინააღმდეგ. ძირითადი არგუმენტი, რომელიც აქტიური მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის წინააღმდეგ მოჰყავთ, არის ის, რომ ეს პოლიტიკა ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი დაგვიანებით მოქმედებს. მაგალითად, გადასახადების ცვლილება სათანადო კომიტეტებმა უნდა განიხილონ, უნდა დამტკიცდეს და ხელი მოაწეროს პრეზიდენტმა, რაც რამდენიმე თვე გრძელდება და მისი მოქმედება არაეფექტიანი ხდება. ასევე დაგვიანებით მიიღწევა მონეტარული პოლიტიკის განხორციელება. ეს დაგვიანება რომ იქნეს აცილებული უმჯობესად მიიჩნევა ავტომატური სტაბილიზატორების გამოყენება.

ავტომატური სტაბილიზატორები არის ერთობლივი მოთხოვნის მასტიმულირებელი ცვლილებები, რომელიც ეკონომიკური რეცესიის დროს ფისკალური პოლიტიკის მეშვეობით ხორციელდება რაიმე საგანგებო პოლიტიკური გადაწყვეტილების გარეშე. **ყველაზე მნიშვნელოვანი ავტომატური სტაბილიზატორია საგადასახადო სისტემა და სამთავრობო ხარჯები.** როდესაც ეკონომიკა რეცესიას განიცდის, საშემოსავლო გადასახადიც შესაბამისად მცირდება, რაც ავტომატურად არეგულირებს ერთობლივ მოთხოვნას. ასევე ხდება რეგულირება სამთავრობო ხარჯების მეშვეობით. როდესაც ეკონომიკა რეცესიას განიცდის და მშრომელები სამუშაოს კარგავენ, ადამიანთა მეტმა რაოდენობამ უნდა მიიღოს სარგებლობა უმუშევრობის დაზღვევისაგან, სოციალური უზრუნველყოფისგან და სხვა სახის სოციალური პროგრამებისაგან. სახელმწიფო ხარჯების ავტომატური ზრდა იწვევს ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირებას სწორედ იმ დროს, როცა ერთობლივი მოთხოვნა არ არის ამისათვის საკმარისი. ამ პოლიტიკას ავტომატური სტაბილიზატორის ძალა აქვს.

ერთობლივი მოთხოვნის მკვეთრი ცვლილებები. განვიხილოთ შოკის (ერთობლივი მოთხოვნის მკვეთრი ცვლილების) ერთი მაგალითი, როგორიც იყო ბანკომატების გამოგონება. ბანკომატებმა ფულის ნიშნების მიღება გააადვილეს, რამაც ნაღდ ფულზე მოსახლეობის მოთხოვნა შეამცირა. თუ დავუშვებთ, რომ ბანკომატის გამოგონებამდე ადამიანი საშუალოდ კვირაში ერთხელ მიდიოდა ბანკში და იქიდან 100 დოლარი გამოჰქონდა, რასაც ერთი კვირის განმავლობაში ხარჯავდა, საშუალოდ, ხელზე არსებული ნაღდი ფული შეადგენდა 50 დოლარს. ბანკომატის დანერგვის შემთხვევაში კი ადამიანებს ვთქვათ, კვირაში ორჯერ უწევთ ბანკომატთან მისვლა და საშუალოდ 50 დოლარის გამოტანა, ხელთ არსებული თანხა კი 25 დოლარი იქნება.

ნაღდი ფულის მარაგებზე მოთხოვნა ორჯერ შემცირდება. ფულის მარაგებზე მოთხოვნის ეს ცვლილება ფულის მოძრაობის სიჩქარის ტოლია. ნაღდი ფულის მარაგების შემცირება წარმოების არსებული მოცულობის პირობებში V -ს ზრდას გამოიწვევს. ბანკომატების გამოგონებამ ნაღდი ფულის მარაგების შემცირება და ფულის ბრუნვის სიჩქარის ზრდა გამოიწვია. თუ

ფულის მასა უცვლელია და იზრდება ფულის მიმოქცევის სიჩქარე, ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ.

მოკლევადიან პერიოდში ერთობლივი მოთხოვნის ზრდა წარმოების მოცულობის ზრდას ანუ ეკონომიკურ აღმავლობას იწვევს. ფირმები ძველი ფასებით უფრო მეტ საქონელს ჰყიდიან, უფრო მეტ მუშახელს ქირაობენ და უფრო ინტენსიურად იყენებენ წარმოების საშუალებებს.

დროთა განმავლობაში მაღალი ერთობლივი მოთხოვნა ფასების ზრდას იწვევს, რასაც თავის მხრივ საქონელზე მოთხოვნის შემცირება მოჰყვება, წარმოების მოცულობა და დასაქმება კი უახლოვდება ბუნებრივ დონეს (თუმცა, გარდამავალ პერიოდში მათი მოცულობა აღემატება ბუნებრივ დონეს).

ეროვნულ ბანკს ფულის მიწოდების კონტროლის მეშვეობით შეუძლია ერთობლივი მოთხოვნის სტაბილიზაცია, რითაც შესაძლებელია თავიდან იქნას აცილებული ეკონომიკური რყევები.

ერთობლივი მიწოდების მკვეთრი ცვლილებები. ერთობლივი მოთხოვნის ცვლილება ეკონომიკური რყევების ერთადერთი მიზეზი არაა. ეკონომიკური რყევა შესაძლოა, თავის მხრივ, ერთობლივი მიწოდების ცვლილებამაც გამოიწვიოს. მიწოდებით გამოწვეული რყევა - ეკონომიკური პირობების მკვეთრი ცვლილებაა, რომელიც შეეხება წარმოების დანახარჯებს და შესაბამისად - ფასებს. ფასისმიერი შოკების მაგალითებია:

1. ოპეკის პოლიტიკა - ნავთობის იმპორტიორთა გაერთიანება ცდილობს შეინარჩუნოს მაღალი ფასი ნავთობზე, რასაც დომინოს პრინციპით უმრავლეს პროდუქციაზე ფასების ზრდა მოჰყვება.
2. ახალი კანონმდებლობა გარემოსდაცვით სფეროში, რომელიც ახალ გამკაცრებულ სტანდარტებს ამტკიცებს -
   ფირმები ეწევიან დამატებით დანახარჯს და ამიტომ
   პროდუქციას აძვირებენ ;
3. პროფკავშირების გააქტიურება - ხელფასების ზრდასა და შესაბამისად ფასების ზრდას იწვევს;
4. გვალვა, სასოფლო სამეურნეო მოსავლის განადგურება - იწვევს სურსათის მიწოდების მკვეთრ შემცირებას და როგორც შედეგი - ფასების ზრდას.

ეს მაგალითები უარყოფით ზეგავლენას ახდენენ ერთობლივ მიწოდებაზე, რის გამოც პროდუქცია ძვირდება, ერთობლივი მიწოდების მრუდი მარცხნივ გადაადგილდება. პირიქით, როდესაც ხდება ერთობლივი მიწოდების წახალისება, მაგალითად, ახალი ტექნოლოგიური აღმოჩენით, ნავთობის გაიაფებით, გადასახადების შემცირებით, მაშინ ერთობლივი მიწოდების მრუდი მარჯვნივ გადაადგილდება.

მიწოდების არასასურველი „შოკების" დროს მოკლევადიანი ერთობლივი მიწოდების მრუდი მარცხნივ გადაინაცვლებს. თუ ერთობლივი მოთხოვნა უცვლელია, ადგილი აქვს წონასწორობის გადაადგილებას ახალ წერტილში, სადაც იზრდება ფასების დონე, ხოლო წარმოების მოცულობა მცირდება ბუნებრივზე ქვემოთ, რასაც **სტაგფლაცია ეწოდება. ამ დროს სტაგნაციასა და ინფლაციას ერთდროულად აქვს ადგილი.**

ასეთ სიტუაციაში სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების პროცესში არჩევანის გაკეთება უწევს ორგვარ ქმედებას შორის. **პირველი ვარიანტის** მიხედვით, სახელმწიფო უნდა შეეცადოს ერთობლივი მოთხოვნის შენარჩუნებას. ამ შემთხვევაში წარმოების მო-

ცულობა და დასაქმება ბუნებრივ დონეს დაუბრუნდება, თუმცა ეს ყველაფერი ფასების გაზრდის ხარჯზე მოდება.

მეორე ვარიანტის შესაბამისად, წარმოების ბუნებრივი მოცულობის აღსადგენად სახელმწიფო ცდილობს ერთობლივი მოთხოვნა წაახალისოს. თუ ერთობლივი მოთხოვნის ზრდის სიდიდე ერთობლივი მიწოდების შოკის სიდიდის ტოლია, მაშინ ხდება *ახალ* წონასწორობის წერტილში გადანაცვლება. ამ შემთხვევაშიც ამბობენ, რომ ცენტრალურმა ბანკმა შეძლო შოკის შედეგების შერბილება. ასეთი გადაწყვეტილების ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მომავალში ფასების შედარებით მაღალი დონე შენარჩუნდება. შეუძლებელია ერთობლივი მოთხოვნის ისეთ დონეზე შენარჩუნება, სადაც ფასების სტაბილურობისა და სრული დასაქმების მიღწევა ერთდროულად იყოს შესაძლებელი.

თემა 11. მოკლევადიანი პერიოდის ალტერნატივა ინფლაციასა და უმუშევრობას შორის. ფილიპსის მრუდი.

11.1. ფილიპსის მრუდი მოკლევადიან პერიოდში.

ეკონომიკის სიჯანსაღის ხარისხს ყველაზე უკეთ ინფლაციის ტემპი და უმუშევრობის დონე ასახავს. ამიტომ მრავალი ეკონომისტის შესწავლის საგანია ეკონომიკის მდგომარეობის ამსახველი ეს ორი მაჩვენებელი. წინა თავებში ვნახეთ, რომ გრძელვადიან პერიოდში უმუშევრობის ბუნებრივი დონე დამოკიდებულია ისეთ მახასიათებლებზე, როგორიცაა მინიმალური ხელფასის კანონები, პროფკავშირთა ძალაუფლება, ეფექტიანი ხელფასები, სამუშაოს ძებნის ეფექტურობა. ხოლო ინფლაციის დონეს ძირითადად განსაზღვრავს მონეტარული პოლიტიკა ფულადი მასის რეგულირების მეშვეობით. როგორც ვხედავთ, გრძელვადიან პერიოდში ინფლაცია და უმუშევრობა ერთმანეთზე სრულიად არაა დამოკიდებული, თუმცა სხვაგვარადაა საქმე მოკლევადიან პეიოდში.

ბრიტანელმა მეცნიერმა ა. ვ. ფილიპსმა შეისწავლა მოკლევადიანი პერიოდის ალტერნატივა უმუშევრობასა და ინფლაციას შორის. 1958 წელს ჟურნალ „ეკონომიკაში" მან გამოაქვეყნა სტატია „დამოკიდებულება უმუშევრობასა და ფულადი სარგოს ცვლილებების დონეს შორის დიდ ბრიტანეთში." ამ ნაშრომში ფილიპსმა 1861-1957 წლების ბრიტანეთის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე დაასაბუთა, რომ ორი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცვლადი – ინფლაცია და უმუშევრობა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში. მსგავსი უარყოფითი კორელაცია უმუშევრობასა და ინფლაციას შორის დაასაბუთეს პოლ სამუელსონმა და რობერტ სოლოუმ ამერიკის მონაცემებზე დაყრდნობით. მათი აზრით, პოლიტიკოსები ინფლაციასა და უმუშევრობას შორის ალტერნატივის წინაშე დგანან მოკლევადიან პერიოდში, ფილიპსის მრუდი სწორედ ამ ალტერნატივას გვიჩვენებს. იგივე შეხედულებას გვიზიარებს გრიგოლ მენქიუ თავის წიგნში „ეკონომიკის პრინციპები", სადაც მე–10 პრინციპი გვატყობინებს, რომ მოკლევადიან პერიოდში საზოგადოება დგას ინფლაციასა და უმუშევრობას შორის ალტერნატივის წინაშე. ნობელის პრემიის ლაურეატმა ჯორჯ აკერლოფმა 2001 წელს წარმოთქმულ ლექციაზე აღნიშნა, რომ ერთადერთი მაკროეკონომიკური ურთიერთკავშირი ფილიპსის მრუდია, რომელიც არის დამოკიდებულება ინფლაციასა და უმუშევრობას შორის მოკლევადიან პერიოდში.

ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზანი უმუშევრობის დაბალი დონე და დაბალი ინფლაციაა. ინფლაციასა და უმუშევრობას შორის კავშირს კი ფილიპსის მრუდი აღწერს. ფილიპსის მრუდი ერთობლივი მიწოდების წარმოდგენის ალტერნატიული ვარიანტია. იგი ასახავს უარყოფით კორელაციას უმუშევრობასა და ინფლაციას შორის. ამტკიცებს, რომ ინფლაციის დონე - ფასების დონის ცვლილება წინა პერიოდებთან შედარებით - დამოკიდებულია სამ ფაქტორზე:

- მოსალოდნელ ინფლაციაზე;
- ციკლურ უმუშევრობაზე (უმუშევრობის გადახრა ბუნებრივი დონიდან);
- მიწოდების შოკურ ცვლილებებზე.

სამივე ფაქტორი გაერთიანებულია შემდეგ ტოლობაში:


უმუშევრობის დონე = უმუშევრობის – a (რეალ. ინფლ. –მოსალოდ.ინფლაცია)
ბუნებრივ დონეს

$$u = \bar{u} - a(\pi - \pi e);$$

სადაც π - რეალური ინფლაციაა, πe - მოსალოდნელი ინფლაცია, u – უმუშევრობის დონე; ū – უმუშევრობის ბუნებრივი დონე. ხოლო a -კოეფიციენტია, რომელიც ნულზე მეტია. იგი გვიჩვენებს, თუ როგორია მოკლევადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის დახრილობა. მის წინ მინუს ნიშანი იმაზე მეტყველებს, რომ მაღალი ინფლაციის პირობებში შეიმჩნევა უმუშევრობის დონის შემცირების ტენდენცია.

ეს ტოლობა უმუშვრობის დონეს უმუშევრობის ბუნებრივ დონესთან აკავშირებს, ხოლო რეალურ ინფლაციას ინფლაციურ მოლოდინთან. ინფლაციის ზრდა უმუშევრობის შემცირებასთანაა დაკავშირებული. თუ განტოლებას გრაფიკულად ავსახავთ, ვნახავთ, რომ მოკლევადიან პერიოდში ფილიპსის მრუდი კლებადია (ნახ. 11.1), ხოლო გრძელვადიან პერიოდში ვერტიკალური წრფეა, რადგან გრძელვადიან პერიოდში რეალური ინფლაცია უტოლდება მოსალოდნელ ინფლაციას.

შევნიშნოთ, რომ ფილიპსის მრუდში შენარჩუნებულია ერთობლივი მიწოდების მრუდის ძირითადი შტრიხები მოკლევადიანი პერიოდისათვის: კავშირი რეალურ და ნომინალურ ცვლადებს შორის, რომელიც ეწინააღმდეგება კლასიკურ დიქოტომიას. ანუ ფილიპსის მრუდი ასახავს კავშირს რელურ ეკონომიკურ აქტივობასა და ფასების დონის მოულოდნელ ცვლილებებს შორის. ფილიპსის მრუდი ერთობლივი მიწოდების წარმოდგენისა და ანალიზის მოხერხებული საშუალებაა.



ნახ. 11.1. ფილიპსის მრუდი მოკლევადიან პერიოდში.

პრაქტიკული გამოყენებისათვის ფილიპსის მრუდი სასარგებლო რომ გახდეს, მკაფიოდ ჩამოვაყალიბოთ მოსალოდნელი ინფლაციის განსაზღვრის მიზეზები. მარტივი და ხშირად შემხვედრი ვარაუდია ის, რომ ადამიანები თავიანთ გეგმებს ინფლაციასთან დაკავშირებით არსებულ ინფლაციაზე დაყრდნობით აგებენ. მაგალითად, ადამიანები ვარაუდობენ, რომ ფასები მიმდინარე წელს გასული წლის ინფლაციაზე, უმუშევრობასა და მიწოდების შოკურ ცვლილებებზეა დამოკიდებული. ეს ნიშნავს, რომ ინფლაცია ინერციული პროცესია. თუ უმუშევრობა დარჩება ბუნებრივ დონეზე და ადგილი არ ექნება მიწოდების მკვეთრ ცვლილებებსაც, მაშინ ფასები მუდმივი ტემპით გაიზრდება. ეს ინერცია წარმოიშობა იმიტომ, რომ გასული ინფლაცია გავლენას ახდენს მომავალი ინფლაციის მოლოდინზე, ხოლო ეს მოლოდინი კი გავლენას ახდენს მიმდინარე მომენტში დასადგენ ხელფასზე და ფასებზე. რობერტ სოლოუმ კარგად შენიშნა ინფლაციური ინერციის არსი, როდესაც გასული საუკუნის 70-ან წლებში მაღალი ინფლაციის დროს წერდა: "რატომაა, რომ ჩვენი ფული სულ უფრო ნაკლებად ფასეული ხდება? შესაძლებელია, ინფლაცია უბრალოდ აღმოუფხვრელია იმის გამო, რომ ჩვენ მას ველოდებით, ხოლო მას კი ველოდებით იმის გამო, რომ ის არსებობდა".

ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მოდელში ინფლაციური ინერციის ინტერპრეტაცია არის შემდეგი: თუ ფასები იზრდება სწრაფად, მაშინ ადამიანები მოელიან მის უფრო სწრაფ მომდევნო ზრდას. რამდენდაც ერთობლივი მიწოდების მრუდის მდგომარეობა მოკლევადიან პერიოდში დამოკიდებულია მოსალოდნელ ფასების დონეზე, მაშინ ერთობლივი მიწოდების მოკლევადიანი მრუდი დროთა განმავლობაში გადაადგილდება მაღლა. გადაადგილება გაგრძელდება მანამ, ვიდრე ზოგიერთი მოვლენა, მაგალითად, დაცემა ან მიწოდების შოკური ცვლილებები არ შეცვლის ინფლაციის მიმდინარე დონეს და შესაბამისად, მომავალი ინფლაციის მიმართ მოლოდინს.

ფასების ინფლაციური ზრდის დაჩქარებისა და შენელების ორი მიზეზი. მიუხედავად იმისა, რომ ინფლაცია თავისი ბუნებით ინერციულია, ის შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს. ფილიპსის მრუდი გვიჩვენებს, რომ ციკლური უმუშევრობა - უმუშევრობის გადახრა ბუნებრივი მნიშვნელობიდან - ახდენს შემაკავებელ ან მასტიმულირებელ ზემოქმედებას ინფლაციაზე. დაბალი უმუშევრობა უბიძგებს ინფლაციის დონეს მაღლა. მსგავსმა ზემოქმედებამ მიიღო **მოთხოვნის ინფლაციის** სახელწოდება, რადგანაც ერთობლივი მოთხოვნის მაღალი დონე წარმოადგენს ინფლაციის მოცემული ტიპის წარმოშობის მიზეზს. პირიქით, უმუშევრობის მაღალი დონე იწვევს ინფლაციის დონის შემცირებას, რადგან ამ დროს ადამიანთა მსყიდველუნარიანობა მცირდება, შემცირებული მოთხოვნა კი ამცირებს ფასებს.


არასასურველი გარეშე შოკი, როგორიცაა ნავთობზე მსოფლიო ფასების ზრდა 70-ან წლებში, კოეფიციენტ a-ს ანიჭებს დადებით მნიშვნელობას და იწვევს ინფლაციის ტემპის ზრდას. ამ პროცესმა მიიღო **დანახარჯების** ინფლაციის სახელწოდება, ვინაიდან მსგავსი შოკური ცვლილებები, როგორც წესი, იწვევს წარმოების ხარჯების ზრდას. მიწოდების მხრიდან სასურველი შოკი, მაგალითად, ნავთობის ჭარბი წარმოება, რამაც 80-ნლებში ნავთობზე ფასების შემცირება გამოიწვია, ინფლაციას ანელებს.

ამგვარად, მოკლევადიან პერიოდში ვაწყდებით ინფლაციასა და უმუშევრობას შორის არჩევანის პრობლემას, რასაც გამოსახავს ფილიპსის მრუდი. დროის ნებისმიერ მოცემულ პერიოდში ინფლაციის მოსალოდნელი ტემპი და მიწოდების შოკური ცვლილება სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი კონტროლის ზონის გარეთ იმყოფება. მიუხედავად ამისა, მთავრობას,

ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკების გამოყენებით შეუძლია ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირება უმუშევრობის შემცირებისა და ინფლაციის ზრდის მიზნით, ან პირიქით, შეაჩეროს ერთობლივი მოთხოვნის ზრდა, რაც გამოიწვევს უმუშევრობის ზრდას და ინფლაციის შემცირებას.

ნახაზზე 11.1 - წარმოდგენილია ინფლაციასა და უმუშევრობას შორის ალტერნატივა, რომელსაც ეწოდება ფილიპსის მრუდი. ამ გრაფიკიდან ჩანს, რომ შესაძლებელია ერთობლივი მოთხოვნით მანიპულირება უმუშევრობისა და ინფლაციის მაჩვენებელთა განსაზღვრული კომბინაციების ასარჩევად ამ მრუდზე.

შევნიშნოთ, რომ მოკლევადიანი პერიოდისათვის ფილიპსის მრუდის განლაგება დამოკიდებულია ინფლაციის მოსალოდნელ ტემპებზე. თუ ეს უკანასკნელი იზრდება, მრუდი გადაადგილდება მაღლა და ეკონომიკური პოლიტიკის არჩევა გაძნელდება: ასეთ შემთხვევაში ინფლაციის ტემპი უმუშევრობის ნებისმიერი დონისათვის იქნება უფრო მაღალი. ნახ.11.2– ზე ნაჩვენებია, თუ როგორაა ეს არჩევანი დამოკიდებული მოსალოდნელ ინფლაციაზე.




ნახ.11.2. ფილიპსის მრუდი მაღალი და დაბალი მოსალოდნელი ინფლაციით.

რამდენადაც ადამიანები დროთა განმავლობაში თავიანთ მოლოდინს ინფლაციასთან მიმართებაში ცვლიან, ინფლაციასა და უმუშევრობას შორის არჩევანი არსებობს მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში.

შეუძლებელია ინფლაციის შენარჩუნება ყოველთვის იმ დონეზე, რომელიც აღემატება მოსალოდნელს: ხორციელდება მოლოდინის ადაპტირება ინფლაციის არჩეულ მიზნობრივ დონესთან. გრძელვადიან პერიოდში კლასიკური დიქოტომია ნარჩუნდება, უმუშევრობა უბ-


რუნდება თავის ბუნებრივ დონეს და ქრება ინფლაციასა და უმუშევრობას შორის არჩევანის შესაძლებლობა. გრძელვადიან პერიოდში ფილიპსის მრუდი ვერტიკალურია. (იხ. ნახ. 11.3.)



ნახ. 11.3. ფილიპსის მრუდი გრძელვადიან პერიოდში.

1960 წელს ფრიდმანმა და ფელპსმა დაადგინეს, რომ უმუშევრობა და ინფლაცია არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული გრძელვადიან პერიოდში. შედეგად გრძელვადიანი ფილიპსის მრუდი ვერტიკალურია უმუშევრობის ბუნებრივ დონესთან მიმართებაში.

ამდენად, მონეტარული პოლიტიკა ეფექტურია მოკლევადიან და არა გრძელვადიან პერიოდში. გრძელვადიან პერიოდში ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირება გაზრდის მხოლოდ ფასებს, ხოლო წარმოების მოცულობა თავის ბუნებრივ დონეზე რჩება. (იხ. ნახ. 11. 4.)



ნახ. 11. 4.

მოკლე და გრძელვადიან პერიოდებში ინფლაციასა და უმუშევრობას შორის ალტერნატივის ასახსნელად შემოიღეს ტერმინი: **ინფლაციური მოლოდინი.**

ინფლაციის მოლოდინი გიჩვენებთ, თუ როგორია ადამიანების მოლოდინი ფასების დონის ზრდასთან დაკავშირებით მომავალში.

გრძელვადიან პერიოდში მოსალოდნელი და ფაქტიური ინფლაცია ერთმანეთს ემთხვევა.

ეროვნული ბანკის სურვილი, შექმნას მხოლოდ მოულოდნელი ინფლაცია, შესაძლებელია მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში. ხოლო გრძელვადაინ პერიოდში ეს შესაძლებლობა ქრება. რადგან მას შემდეგ, რაც ადამიანები გაათვითცნობიერენ ინფლაციას, ცდილობენ, ხელფასები და ფასები დაარეგულირონ მისი გათვალისწინებით. ამის შედეგად რეალური ინფლაცია მოსალოდნელი ინფლაციის ტოლია, ხოლო უმუშევრობა უბრუნდება თავის ბუნებრივ დონეს.


მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც უმუშევრობა ყოველთვის უბრუნდება თავის ბუნებრივ დონეს, მიუხედავად ინფლაციის დონისა, ეწოდება **ბუნებრივი დონის ჰიპოთეზა.**

სტატისტიკური დაკვირვებები ცხადყოფს ამ ჰიპოთეზის სისწორეს. მითი სტაბილური ფილიპსის მრუდის შესახებ დაიმსხვრა 70–იან წლებში. 70–იან და 80–იან წლებში აშშ–ს ეკონომიკაში ერთდროულად შეინიშნებოდა მაღალი ინფლაცია და მაღალი უმუშევრობა. ამიტომ ფრიდმა-

ნი და ფელპსი ასაბუთებდნენ, რომ გრძელვადიან პერიოდში არ არსებობს ალტერნატივა ინფლაციასა და უმუშევრობას შორის.

სტატისტიკურმა დაკვირვებებმა აჩვენა, რომ მოკლევადიანი ფილიპსის მრუდი შეიძლება შეცვალოს ინფლაციის მოლოდინში გამოწვეულმა ცვლილებებმა. მოკლევადიანი ფილიპსის მრუდი იცვლება მიწოდების შოკის გამო. საწინააღმდეგო ცვლილებებს ერთობლივ მიწოდებაში შეუძლია გააუარესოს არჩევანი უმუშევრობასა და ინფლაციას შორის.

მიწოდების უარყოფითი შოკი პოლიტიკოსებს აყენებს უფრო მძიმე არჩევანის წინაშე უმუშევრობასა და ინფლაციას შორის. ეს არის შემთხვევა, რომელიც იწვევს ფირმების ხარჯებში და აქედან გამომდინარე ფასებში ცვლილებებს. ეს გადაანაცვლებს ერთობლივი მიწოდების მრუდს მარცხნივ, მცირდება წარმოება, იზრდება უმუშევრობა და ფასები, ფილიპსის მრუდი კი გადაადგილდება მარჯვნივ. შედეგად გვიხდება არჩევანის გაკეთება უფრო მაღალ უმუშევრობასა და მაღალ ინფლაციას შორის. ამ სიტუაციას ნათლად ასახავს ნახ. 11.5.



ნახ. 11.5. ერთობლივი მიწოდების უარყოფითი შოკის შედეგები.


მიწოდების უარყოფითი შოკის მაგალითია ნავთობზე ფასების ზრდა.

1970–იან წლებში პოლიტიკოსები დადგნენ მძიმე პრობლემის წინაშე, როდესაც OPEC–მა გაზარდა ფასები ნავთობზე. უმუშევრობასთან ბრძოლა ერთობლივი მოთხოვნის ზრდით და ინფლაციის კიდევ უფრო გაზრდით განხორციელდა.

11.2. ინფლაციის შემცირების პოლიტიკის დანახარჯები

ინფლაციის შესამცირებლად ცენტრალურმა ბანკმა უნდა გაატაროს მკაცრი მონეტარული პოლიტიკა: როდესაც ცენტრალური ბანკი ამცირებს ფულის მიწოდებას, ეს ამცირებს ერთობლივ მოთხოვნასაც, შედეგად მცირდება ინფლაცია. მეორეს მხრივ, მცირდება საქონლისა და მოსახურების წარმოების რაოდენობაც, რაც იწვევს უმუშევრობის ზრდას.

ამგვარად, ინფლაცია რომ შემცირდეს, ეკონომიკამ უნდა გაუძლოს მაღალ უმუშევრობასა და წარმოების დაბალ დონეს. როდესაც ცენტრალური ბანკი ებრძვის ინფლაციას, მაღალი ერთობლივი მოთხოვნა გადაინაცვლებს დაბალი ერთობლივი მოთხოვნისკენ. ფილიპსის მრუდზე მოხდება გადაადგილება B –წერტილიდან A-წერტილისკენ. A -წერტილში ეკონომიკა იღებს დაბალ ინფლაციას, მაგრამ მაღალი უმუშევრობის ხარჯზე. (იხ. ნახ. 11.6.)



ნახ. 11.6.

ამგვარად, ინფლაციის შესამცირებლად ცენტრალურმა ბანკმა შემზღუდველი მონეტარული პოლიტიკა უნდა განახორციელოს. როდესაც ცენტრალური ბანკი ფულის მიწოდებას ამცირებს, ამით იგი ერთობლივ მოთხოვნას ამცირებს მოკლევადიან პერიოდში. ერთობლივი მოთხოვნის შემცირება თავის მხრივ ამცირებს ფირმების მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობას 8000-დან 7500-მდე, ეს კი დასაქმების დაცემას, ანუ უმუშევრობის ზრდას იწვევს 4%-დენ 7%-მდე, ხოლო ინფლაცია მცირდება 6%-დან 2%-მდე. (ნახ. 11.6.)

როგორც ვხედავთ, თუ ეკონომიკამ ინფლაცია უნდა შეამციროს, მაღალი უმუშევრობისა და პროდუქციის მცირე მოცულობის პერიოდი უნდა გაიაროს. მრავალი გამოკვლევა ჩატარდა ინფლაციისა და უმუშევრობის მონაცემების შესწავლის და ამის შედეგად ანტიინფლაციური პოლიტიკის დანახარჯების დადგენის მიზნით. ამ გამოკვლევათა შედეგები დახასიათებულია სიდიდით, რომელსაც „მსხვერპლის ნორმა" ეწოდება.

მაგ. თუ ცენტრალური ბანკი გაატარებს პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ინფლაციის, ვთქვათ, 6 %-დან 2 %-მდე შემცირებისკენ, უმუშევრობა გაიზრდება და საქონლისა და მომსახურების წარმოების მოცულობა შესაბამისად შემცირდება.

ფილიპსის მრუდი გვიჩვენებს, რომ მინოდების სასურველი შოკური ცვლილების არარსებობის შემთხვევაში ინფლაციის შემცირება ითხოვს გარკვეულ პერიოდს, რომელიც ხასიათდება მაღალი უმუშევრობითა და გამოშვების დაბალი დონით. მაგრამ, რამდენად და რა ვადის განმავლობაში უნდა აჭარბებდეს უმუშევრობა თავის ბუნებრივ დონეს? ვიდრე გადავწყვეტდეთ საჭიროა თუ არა ინფლაციის შემცირება, პოლიტიკოსებმა აუცილებლად უნდა განსაზღვრონ, ეროვნული შემოსავლის რა მოცულობა დაიკარგება ინფლაციის ტემპების შემცირების შემთხვევაში. ეს დანახარჯები უნდა შეუფარდდეს ინფლაციის უფრო დაბალი დონის მიღწევების უპირატესობებს.

მრავალ გამოკვლევაში გამოყენებული იქნა სტატისტიკური მონაცემები ფილიპსის მრუდის რაოდენობითი ანალიზისათვის. „მსხვერპლის ნორმა" გვიჩვენებს, რეალური წლიური მშპ–ს რამდენი პროცენტი უნდა შევწიროთ ინფლაციის ერთი პროცენტული პუნქტით შემცირებას. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ამ მაჩვენებლის სხვადასხვა შეფასებები, როგორც წესი, ითვლება, რომ თანაფარდობა არის დაახლოებით ხუთი ერთზე: ინფლაციის ერთი პროცენტული პუნქტით შემცირებისათვის აუცილებელია წლიური მშპ-ს 5 პროცენტის შეწირვა.

დანაკარგებს შორის თანაფარდობა შესაძლოა უმუშევრობის მუშვეობითაც გამოვხატოთ. **ოუკენის კანონის** თანახმად უმუშევრობის დონის ერთი პროცენტული პუნქტით ცვლილება მშპ–ს ორი პროცენტული პუნქტით ცვლილებას იწვევს. აქედან გამომდინარე, ინფლაციის ერთი პროცენტული პუნქტით შემცირება ითხოვს წლიურად ციკლური უმუშევრობის დაახლოებით 2,5 პროცენტს. ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ დანაკარგთა თანაფარდობის მაჩვენებელი იმის განსაზღვრის მიზნით, თუ რა სიდიდით და რა ვადით უნდა გაიზარდოს უმუშევრობა ინფლაციის შემცირებისას. რამდენადაც ინფლაციის 1 პროცენტული პუნქტით შემცირება ითხოვს წლიური მშპ–ს 5 პროცენტის შეწირვას, ინფლაციის შემცირება 4 პროცენტული პუნქტით ითხოვს წლიური მშპ–ს 20 პროცენტის შეწირვას. შესაბამისად, ინფლაციის ამდაგვარი შემცირება ითხოვს უმუშევრობის ზრდას 10 პროცენტული პუნქტით.

მსგავსი დეფლაციური პოლიტიკა სხვადასხვა ფორმით შეიძლება განხორციელდეს. ინფლაციის მკვეთრი მოთოკვა ორი წლის განმავლობაში რეალური მშპ–ს 10%-ით შემცირებას გამოიწვევს. ამგვარ პოლიტიკას „შოკური თერაპია" ჰქვია. თუ ინფლაცია შედარებით ნელა, რამდენიმე წლის განმავლობაში აილაგმება, რასაც ყოველწლიურად მშპ–ს შედარებით ნაკლები წილი შეეწირება, მაშინ გრადუალისტურ პოლიტიკასთან გვექნება საქმე.

რაციონალური მოლოდინი და უდანახარჯო ანტიინფლაციის შესაძლებლობა. რამდენადაც ინფლაციის მოსალოდნელი ტემპი გავლენას ახდენს ინფლაციასა და უმუშევრობას შორის არჩევანის გაკეთებაზე, კითხვას იმის შესახებ, თუ როგორ ახდენენ ადამიანები თავიანთი ინფლაციური მოლოდინის ფორმირებას, ენიჭება პირველხარისხოვანი მნიშვნელობა. აქამ-

დე ვვარაუდობდით, რომ მოსალოდნელი ინფლაცია დამოკიდებულია ფასების ახლახან არსებულ ზრდის ტემპებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ეს დაშვება სრულიად გონიერულია, ის ალბათ, მაინც ძლიერ გამარტივებულია, რათა გამოყენებულ იქნას ნებისმიერ გარემოებაში.

მიდგომა, რომელმაც მიიღო **რაციონალური მოლოდინის სახელი,** ეყრდნობა იმას, რომ ადამიანები მაქსიმალურად ოპტიმალურად იყენებენ მათ ხელთ არსებულ ინფორმაციას, მათ შორის ახლანდელ დროში მიმდინარე პოლიტიკის შესახებ ინფორმაციას მომავლის პროგნოზირებისათვის. რამდენადაც ეკონომიკური პოლიტიკა ზემოქმედებს ინფლაციის ტემპებზე, მოსალოდნელი ინფლაცია ასევე განხორციელებულ ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკაზე უნდა იყოს დამოკიდებული. **რაციონალური მოლოდინის თეორიის შესაბამისად, ფულადი თუ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკათა მიმართულების ცვლილება ცვლის მოლოდინს და ეკონომიკური პოლიტიკის შედეგების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ამ ზემოქმედებას.** მსგავსი მიდგომა ნიშნავს, რომ ინფლაცია წარმოადგენს ნაკლებად ინერციულს, ვიდრე ეს პირველი განხილვისას იყო წარმოადგენილი.

ამგვარად, რაციონალური მოლოდინის თეორიის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ ფილიპსის მრუდი მოკლევადიანი პერიოდისათვის არ ასახავს ყველა შესაძლო კომბინაციას. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ თუ პოლიტიკოსთა სწრაფვა ალაგმონ ინფლაცია ეჭვს არ გამოიწვევს, რაციონალური მოქალაქეები სწრაფად შეცვლიან თავიანთ ინფლაციურ მოლოდინს. ამ თეორიის შესაბამისად, დანაკარგთა თანაფარდობის ტრადიციული შეფასება უსარგებლოა ეკონომიკური პოლიტიკის ალტერნატიულ ვარიანტთა შედეგების შეფასებისას. **მოსახლეობის ნდობით აღჭურვილი პოლიტიკის გატარებისას „ინფლაციის შემცირების დანახარჯები" შესაძლოა მნიშვნელოვნად მცირე იყოს იმ სიდიდეზე, რომელიც ნაწინასწარმეტყველებია დანაკარგთა თანაფარდობის ანალიზის მეთოდიკით.**

შეიძლება წარმოვიდგინოთ უკიდურესი შემთხვევაც: ინფლაციის დონის შემცირება ეკონომიკური დაცემის გარეშე. უმტკივნეულო ანტიინფლაციური პოლიტიკა საჭიროებს ორი წინაპირობის არსებობას:

1. ინფლაციის შემცირების გეგმა უნდა გამოცხადდეს მნიშვნელოვანი მოლოდინის ფორმირებამდე.

2. ადამიანებს უნდა სჯეროდეთ გამოცხადებული გეგმისა, რომლებიც აწესებენ ფასებსა და ხელფასებს;

წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არ შეცვლიან თავიანთ ინფლაციურ მოლოდინს. თუ ორივე პირობა შესრულებულია, გეგმის გამოცხადება დაუყოვნებლივ გადააადგილებს ინფლაციასა და უმუშევრობას შორის არჩევანის მოკლევადიან ზღვარს დაბლა, რითაც საშუალებას მოგვცემს მივაღწიოთ ინფლაციის დაბალ დონეს უმუშევრობის დონის ამაღლების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ რაციონალური მოლოდინის პოზიციიდან გამომდინარე მიდგომა ბევრ შემთხვევაში წინააღმდეგობრივია, თითქმის ყველა ეკონომისტი თანხმდება იმაში, რომ ინფლაციური მოლოდინის ხასიათი გავლენას ახდენს უმუშევრობასა და ინფლაციას შორის არჩევანზე მოკლევადიან პერიოდში. ამგვარად, ნდობა, რომელიც ინფლაციის შემცირების პროგრამის მიმართ არსებობს, ხდება ერთ-ერთი ფაქტორი იმისა, რომელიც განსაზღვრავს რამდენად ძვირადღირებული იქნება ამ პროგრამის განხორციელება. სამწუხაროდ, ნაწილობრივ ძალიან რთულია ვიწინასწარმეტყველოთ, იქნება თუ არა საზოგადოება ნდობით განწყობილი ამა თუ


იმ პროგრამის მიმართ. მოლოდინის ცენტრალური როლი კიდევ უფრო ართულებს ეკონომიკური პოლიტიკის ალტერნატიული ვარიანტების გატარების შედეგების პროგნოზირებას.

თანამედროვე კეინზელები. ეკონომიკური რყევების ახსნაში ეკონომისტები დღემდე ვერ მივიდნენ თანხმობამდე. დღეისათვის ორი დომინირებადი მიმართულება არსებობს: ახალი კლასიკური და ნეოკეინსური თეორიები.

ახალი კლასიკოსები ხელმძღვანელობენ მოდელებით, რომლებშიც ფასები და ხელფასები სწრაფად იცვლებიან და უზრუნველყოფენ ბაზრებზე წონასწორობას. საბაზრო წონასწორობის მოდელები, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ (მომუშავეთა მცდარი შეხედულებებისა და არასრული ინფორმაციის) გასული საუკუნის 70-იან წლებში ძალიან პოპულარული იყო ახალი კლასიკური სკოლის წარმომადგენლებში. ამასთან, ამ მიმართულების მრავალი წარმომადგენელი ძირითად ყურადღებას უთმობს რეალური ეკონომიკური ციკლის თეორიას, სადაც გამოიყენება კლასიკური მოდელების ძირითადი პოსტულატები: ფასების მოქნილობა და ფულის ნეიტრალობა - ეკონომიკური რყევების ასახსნელად.

ნეოკეინსელები კი თვლიან, რომ წონასწორული ბაზრების მოდელები ვერ ხსნიან მიმდინარე ეკონომიკურ რყევებს და მხარს უჭერენ ხისტი ფასებისა და ხისტი ხელფასების მოდელს. "დასაქმების, სარგებლის და ფულის ზოგად თეორიაში" კეინზი მოუწოდებდა ეკონომისტებს უარი ეთქვათ კლასიკურ ვარაუდზე იმის შესახებ, რომ თითქოსდა ფასები და ხელფასები მუდმივად იცვლებოდეს და ბაზარს აწონასწორებდეს. მან ხაზი გაუსვა, რომ ერთობლივი მოთხოვნა უმთავრესი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს ეროვნული შემოსავლის დონეს. ეს დასკვნა ითხოვს, რომ ერთობლივი მიწოდების მრუდი მოკლევადიან პერიოდში არ იყოს ვერტიკალური, როგორც ეს გრძელვადიანი პერიოდის კლასიკურ მოდელშია. ნეოკეინსელობის წარმომადგენლები იზიარებენ ამ ფუძემდებლურ დასკვნას. თავიანთ გამოკვლევებში ნეოკეინსელები ცდილობენ ახსნან, თუ რატომაა კლასიკური მოდელი უუნარო ადექვატურად აღწეროს ეკონომიკა მოკლევადიან პერიოდში.

ვოლკერის ანტიინფლაციური პოლიტიკა. როდესაც პოლ ვოლკერი დაინიშნა ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელად 70–იანი წლების დასასრულს, ინფლაცია განიხილებოდა, როგორც კაცობრიობის ყველაზე საშიშ პრობლემად. ვოლკერმა შეძლო ინფლაციის მოთოკვა (10–დან 4%–მდე), მაგრამ მაღალი უმუშევრობის ხარჯზე (10% – 1983).



ნახ. 11.7.

ხოლო ალან გრინსპენსმა ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელის თანამდებობაზე მოღვაწეობა დაიწყო მიწოდების დადებითი შოკის პერიოდში.

1986 წელს, OPEC –ის წევრებმა გააუქმეს თავიანთი შეთანხმება ნავთობის ფასებთან დაკავშირებით. ნავთობზე ფასები შემცირდა, რამაც გამოიწვია უმუშევრობისა და ინფლაციის ერთდროულად შემცირება.

ამგვარად, მიწოდების უარყოფითი შოკი ერთდროულად ზრდის ინფლაციასაც და უმუშევრობასაც, ხოლო მიწოდების დადებითი შოკი ამცირებს ერთდროულად ამ ორ მაჩვენებელს.

თემა 12. საქართველოს მაკროეკონომიკური მიმოხილვა

12.1 მაკროეკონომიკური მაჩვენებლები საქართველოში

ეკონომიკის მდგომარეობა ყველა ჩენგანზე მოქმედებს, რომელშიც იგულისხმება თუ როგორია ქვეყანაში ეკონომიკის მთლიანი შემოსავალი(მშპ), ინფლაცია, უმუშევრობა, ექსპორტი და იმპორტი, სავაჭრო დეფიციტი, ბიუჯეტის დეფიციტი, სახელმწიფო ვალი და ა.შ. ეს ყოველივე აისახება ჩვენი ცხოვრების დონეზე.

სტუდენტებს ხშირად უჩნდებათ მრავალი კითხვა: რატომაა საშუალო შემოსავალი სხვა ქვეყნებში უფრო მაღალი, ვიდრე საქართველოში? რატომაა, რომ ინფლაცია დროის სხვადასხვა მონაკვეთში განსხვავებულია? რატომაა უმუშევრობის დონე უფრო მაღალი და ცხოვრების დონე უფრო დაბალი საქართველოში, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში? ამ და მრავალ სხვა კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა განვიხილოთ მაკროეკონომიკური მაჩვენებლები საქართველოში.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად ხშირად იყენებენ მსოფლიოში ცნობილი ჟურნალების: „ Fortune", „The Ekonomics", „Euromoney" მონაცემებს, რომლებიც აქვეყნებენ სხვადასხვა ქვეყნის რეიტინგებს. გამოყოფენ მაჩვენებლების ცხრა ჯგუფს. ესენია: ეკონომიკის ეფექტიანობა, პოლიტიკური რისკის დონე, დავალიანების მდგომარეობა, ქვეყნის ვალის მომსახურების უნარი, კრედიტუნარიანობა, საბანკო კრედიტის ხელმისაწვდომობა, მოკლევადიანი დაფინანსების ხელმისაწვდომობა, მოკლევადიანი სასესხო კაპიტალის ხელმისაწვდომობა, ფორს–მაჟორული გარემოებების წარმოქმნის ალბათობა.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სოციალურ–კულტურულ ფაქტორებს, როგორიცაა მოსახლეობის ცხოვრების დონე, რეალური ხელფასის სიდიდე, მიგრაცია, ადგილობრივი ბაზრის მოცულობა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, საქართველოში ბიზნესის კლიმატის გაუმჯობესება მთლიანობაში სტბილურ მაკროეკონომიკურ მდგომარეობასთან ერთად შედეგად იძლევა იმას, რომ ქვეყანა ინვესტორებისათვის უფრო მიმზიდველი ხდება. რეფორმების შედეგად შექმნილი ზრდის ინერცია ეხმარება ეკონომიკას, რათა მოიკრიბოს ძალები.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციაა, რომ მთავრობამ უნდა მიაღწიოს მშპ–ს ზრდის ტემპს 7–8% ხოლო ინფლაციამ არ უნდა გადააჭარბოს 6%–ს. სამწუხაროდ ამ რეკომენდაციის შესრულება რთული ხდება. ამისათვის საჭიროა კარგად მოფიქრებული მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გატარება.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მისიაა ქვეყნის ეკონომიკის მაღალი ზრდის ტემპების და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.

ქვეყნის მომავალი განვითარების ძირითადი დებულებები და მიმართულებები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის სამოქმედო პროგრამაში „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე", ხოლო პროგრამის შესრულებისათვის საჭირო შედეგებზე ორიენტირებული კონკრეტული ღონისძიებები გაწერილია საქარველოს მთავრობის საშუალოვადიან სტრატეგიულ დოკუმენტში –„ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2013-2025 წლებისათვის" და შესაბამისად სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამაში.

საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის მიზანია მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა, რომელიც დაფუძნებული იქნება სტაბილურ მაკროეკონომიკურ პოლიტიკაზე და კერძო მეწარმეობის განვითარებაზე. ქვეყნის ხელისუფლება ახორციელებეს თანმიმდევრულ სტრუქტურულ და ინსტიტუციურ რეფორმებს, რომელთა მიზანია მეწარმეებისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი ბიზნეს–გარემოს შექმნა. ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები მიმართულია:

- სამეწარმეო საქმიანობის ლიბერალიზაციის, კერძო მეწარმეობისათვის ხელშემწყობი გამჭვირვალე და სტაბილური საკანონმდებლო ბაზის შექმნისა და სტაბილური საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებისაკენ;
- აქტიური პრივატიზაციის პროცესის განხორციელებისა და ძლიერი კერძო სექტორის შქმნის ხელშეწყობისაკენ;
- ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობისა და ადმინისტრაციული ბარიერების მოხსნისკენ;
- ტურისტული, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობისკენ;
- საიმპორტო ტარიფების ლიბერალიზაციისა და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარების ხელშეწყობისკენ;
- საქართველოს რეგიონებისა და პოსტკონფლიქტური ტერიტორიების რეაბილიტაციისა და ეკონომიკური განვითარებისკენ.

აღნიშნული რეფორმების განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის სტაბილურ ზრდას, კერძო სექტორში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვას, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას და სიღარიბის დონის შემცირებას, რაც ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ–ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირების მნიშვნელოვან წინაპირობებს წარმოადგენს.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და თავის საქმიანობაში ეყრდნობა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულობის პრინციპებს. თუ გადავხედავთ საქართველოს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს, ბოლო წლებში სერიოზული წინსვლა შეინიშნება.

საქართველოს ეროვნული ანგარიშების მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროგაერთიანების სტატისტიკური კომისიის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდებული ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სტანდარტული მეთოდოლოგია.

განსხვავება ძირითადად შეეხება გლობალიზაციის პროცესის გავლენის გათვალისწინებას მულტინაციონალური კორპორაციების მაჩვენებლებზე. ასევე ცვლილებები შევიდა კაპიტალის ანგარიშის შედგენის მეთოდოლოგიაში. ძირითად კაპიტალში ინვესტიციებად განიხილება კვლევებსა და დამუშავებებზე გაწეული ხარჯები, რაც SNA-93-ის მიხედვით განიხილებოდა როგორც მიმდინარე ხარჯები. ასევე ცალკე იქნა გამოყოფილი ინტელექტუალური საკუთრების ცნება და დაიხვეწა მისი გაანგარიშების მეთოდოლოგია.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ მაჩვენებელს წარმოადგენს მთლიანი შიდა პროდუქტი, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის შიგნით წარმოებული

საბოლოო საქონლისა და მომსახურების საბაზრო ფასებში გამოხატული მთლიანი ღირებულებაა.

მშპ-ის გაანგარიშება მიმდინარე ფასებში ხორციელდება საერთაშორისოდ აღიარებული სამი სხვადასხვა მეთოდით:

1.ნარმოების მეთოდი: მთლიანი შიდა პროდუქტი, როგორც ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე დროის შესაბამის მონაკვეთში ეკონომიკის რეზიდენტი ერთეულების მიერ (ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სახეებში) შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულებების ჯამს დამატებული გადასახადები პროდუქციაზე და იმპორტზე (დღგ, აქციზი და საბაჟო გადასახადი) მინუს სუბსიდიები პროდუქტებზე.

2.დანახარჯების მეთოდი: მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება დანახარჯების მეთოდით ეფუძნება ეკონომიკის რეზიდენტი ერთეულების მიერ მიმდინარე პერიოდში გაწეული დანახარჯების გამოთვლას.

3.შემოსავლების მეთოდი: მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება შემოსავლების მეთოდით ემყარება იმ ინსტიტუციური ერთეულების შემოსავლების ჯამს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ საქონლისა და მომსახურების შექმნაში მოცემული პერიოდის განმავლობაში.

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშებისას გამოიყენება შემდეგი მონაცემთა წყაროები:

• ბიზნეს სტატისტიკის კვარტალური და წლიური გამოკვლევები. მონაცემთა ბაზები ყოველკვარტალურად მუშავდება ეროვნულ ანგარიშთა სისტემისათვის საჭირო ფორმატით, რის საფუძველზეც იანგარიშება პროდუქციის მთლიანი გამოშვებები 45 სახის საქმიანობის მიხედვით დაუკვირვებადი ეკონომიკის გათვალისწინებით;

• შინამეურნეობების კვარტალური კვლევის მონაცემები. ყოველკვარტალურად მუშავდება დასაქმებულთა და შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების მონაცემთა ბაზები ეროვნულ ანგარიშთა სისტემისათვის საჭირო ფორმატით.

• ფასების სტატისტიკის მონაცემები მწარმოებელთა და სამომხმარებლო ფასების შესახებ დეფლირების განხორციელების მიზნით;

სოფლის მეურნეობის სტატისტიკის სამმართველოს კვარტალური და წლიური გამოკვლევის მონაცემები სოფლის მეურნეობის სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულების გაანგარიშებლად;

• ეროვნული ბანკის მონაცემები: - კომერციული ბანკების ყოველთვიური მონაცემები შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ, რის საფუძველზეც იანგარიშება კომერციული ბანკების გამოშვება.

- ეროვნული ბანკის ყოველთვიური მონაცემები შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ, რის საფუძველზეც იანგარიშება ეროვნული ბანკის გამოშვება.

- აღნიშნულ წყაროებზე დაყრდნობით იანგარიშება ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასების მაჩვენებელიც.

- ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის მონაცემები;

სადაზღვევო კომპანიების ყოველკვარტალური მონაცემები, რის საფუძველზეც იანგარიშება სადაზღვევო კომპანიების გამოშვება. ეროვნული და კომერციული ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების გამოშვებების შეჯამებით მიიღება საფინანსო შუამავლობის სექტორის გამოშვება.

- ფინანსთა სამინისტროს ყოველთვიური მონაცემები (ნაერთი, სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების (გადასახადის სახეების მიხედვით) და

გადასახდელების (ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით)), რომელთა დამუშავებით მიიღება სახელმწიფო მმართველობის სექტორის მთლიანი გამოშვება; აგრეთვე გადასახადები პროდუქციაზე და იმპორტზე (დღგ, აქციზი და საბაჟო გადასახადი).

სტატისტიკური მონაცემები შეგვიძლია მოვიძიოთ ვებ-გვერდზე: www.geostat.ge

ასევე www.mof.gov.ge.

საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტებია:

-ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე – საქართველოს მთავრობის უცვლელი მიზანია. ეს მიზანი უნდა განხორციელდეს თვალსაჩინო ეკონომიკური ზრდისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისაკენ მიმართული ეფექტიანი ქმედებებით. გამოწვევად კვლავ რჩება გლობალური ეკონომიკური კრიზისის გავლენა და საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის ფაქტი.

-ერთიანი საქართველოსაკენ სწრაფვისათვის საქართველოს მთავრობა გამოიყენებს ყოველმხრივ მშვიდობიან ძალისხმევას, რათა დიპლომატიური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ბერკეტების გამოყენება ყოველდღიურად გვაახლოვებდეს ამ მიზანთან, მათ შორის, საერთაშორისო სადამკვირვებლო ან/და საპოლიციო კონტინგენტის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მანდატის ეფექტიანად განხორციელების, დეოკუპაციის და არაღიარების საერთაშორისო პოლიტიკის უზრუნველყოფის გზით.

-დასაქმება საქართველოს მთავრობის როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური პოლიტიკის მთავარი საზრუნავია. მაღალი ეკონომიკური ზრდის ტრაექტორიაზე საქართველოს ეკონომიკის დაბრუნება, ინფრასტრუქტურის განვითარება, მაღალხარისხიანი განათლება და ბიზნეს–გარემო დასაქმების პოლიტიკის მთავარი მდგენელებია.

- საქართველოს მთავრობამ წარმატებით გაართვა თავი გლობალური ეკონომიკური კრიზისის შედეგებთან ბრძოლის გადამწყვეტ ეტაპს. ამჟამად მთავრობის ამოცანაა ამ მიღწევების შენარჩუნება და განვითარება ჯერ კიდევ მიმდინარე კრიზისის ფონზე.

-მაკროეკონომიკური სტაბილურობა რჩება საქართველოს მთავრობის ფუნდამენტურ ამოცანად. საქართველოს მთავრობის ფისკალური პოლიტიკა მიმართული იქნება საბიუჯეტო დეფიციტის შემცირებისა და ერთნიშნა ინფლაციის უზრუნველყოფისაკენ. ეროვნულ ბანკთან ეფექტიანი თანამშრომლობა დარჩება მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად.

-შემცირებული საერთაშორისო საინვესტიციო კაპიტალის მოსაზიდად საქართველოს ეკონომიკისთვის გამოწვევად რჩება კიდევ უფრო მაღალი კონკურენტუნარიანობა, დამატებითი კონკურენტული უპირატესობების განვითარება.

-საქართველოს მთავრობის თავისუფალი ეკონომიკის კურსი უზრუნველყოფს სწრაფ ეკონომიკურ ზრდას, მოქალაქეებს, მეწარმეებსა და ინვესტორებს კი მისცემს შესაძლებლობას, სრულად გამოავლინონ პოტენციალი და უზრუნველყონ დასაქმება.

-სათანადო საკონსტიტუციო ცვლილებები და ეკონომიკური თავისუფლების, შესაძლებლობებისა და ღირსების აქტი უზრუნველყოფს ამ კურსის მდგრადობასა და შეუქცევადობას.

-ეკონომიკური კურსი უზრუნველყოფილი იქნება დაბალი და მარტივი გადასახადებით, ხარისხიანი საგადასახადო ადმინისტრირებით, გონივრული და ზომიერი რეგულირებით.

- ევროკავშირთან ურთიერთობებში პრიორიტეტულია „ასოცირების ხელშეკრულება", რაც ემსახურება "ოთხი თავისუფლების პრინციპის" უფრო ფართოდ გავრცელებას საქართვე-

ლოზე, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ადამიანების, საქონლის, კაპიტალისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება.

-თავისუფალი ვაჭრობის განვითარება, სხვა ქვეყნებთან ვაჭრობაში სატარიფო და არასატარიფო ბარიერების გამოუყენებლობა, დარჩება საქართველოს მთავრობის პოლიტიკად. ევროკავშირთან „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის" ხელშეკრულებაზე მუშაობა წარმოადგენს უმთავრეს პრიორიტეტს ამ მიმართულებით.

-სოციალური პოლიტიკა, რომელიც დაფუძნებულია ბენეფიციართა მიზნობრივ დახმარებაზე, დაიხვეწება, რათა გაიზარდოს როგორც მიზნობრიობის სიზუსტე, ისე დახმარების ეფექტურობა. სახელმწიფო, კვლავაც, უფრო მეტად დაეხმარება იმ ადამიანებს, რომლებიც ამას ყველაზე მეტად საჭიროებენ. უფრო მეტი დახმარება სოციალურად ყველაზე მეტად დაუცველ მოსახლეობას – დარჩება სოციალური პოლიტიკის მთავარ პრინციპად.

-მონეტარული სოციალური დახმარება და ჯანმრთელობის დაზღვევა, წარმოადგენს ორ საყრდენს, რომელსაც ეფუძნება სოციალური ინტეგრაცია, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა და საზოგადოების ჯანდაცვის უზრუნველყოფა.

-საქართველოს მთავრობა განახორციელებს ჯანდაცვის რეფორმის ახალ ეტაპს, რომელიც დაეფუძნება ახალ პრინციპებს: სადაზღვევო ინდუსტრიის როლის გაზრდით, ჯანმრთელობის დაზღვევისა და ჰოსპიტალური მომსახურების სინერგიით.

-საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შეღავათიანი სესხებისა და გრანტების ეფექტიანად გამოყენებამ და გამჭვირვალე ხარჯვამ საქართველოს ეკონომიკას საშუალოვადიან პერიოდში უნდა შეუქმნას პლატფორმა მათ ჩასანაცვლებლად კერძო საერთაშორისო შემოდინებებით.

-ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოს ეკონომიკისათვის წარმოადგენს ბაზისს, რომელზეც უნდა დაფუძნდეს საქართველოს უკეთესი შიდა და საერთაშორისო ინტეგრაცია, უკეთესი საცხოვრებელი და საინვესტიციო გარემო, ქვეყნის ეკონომიკური მიმზიდველობა. ენერგეტიკული, საგზაო და წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის პრიორიტეტულობა უცვლელი დარჩება.

-ინვესტირება საქართველოს რკინიგზაში ახალი მასშტაბებით განხორციელდა, მისი მოდერნიზაციის და თბილისი– ბათუმის ჩქაროსნული მაგისტრალის შექმნის მიზნით. აშენდება ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა, რაც შესაძლებელს გახდის ჩინეთი-საქართველო-ევროპის სარკინიგზო მიმოსვლას. განხორციელდება თბილისის შემოვლითი სარკინიგზო ხაზის მშენებლობა. მნიშვნელოვანი ეტაპი „ღია ცის პოლიტიკის" განხორციელებაში იქნება„ ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ" შეთანხმებაზე მუშაობის დასრულება ევროკავშირთან.

ლიბერალურმა ენერგეტიკულმა პოლიტიკამ, მთავარი აქცენტით განახლებად ჰიდრორესურსებზე, კიდევ უფრო მდგრადად უნდა უზრუნველყოს საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება, ინვესტიციების მძლავრი ნაკადი, საექსპორტო პოტენციალის ზრდა, მოწოდების წყაროების დივერსიფიკაცია და საქართველოს სტრატეგიული როლი აღმოსავლეთ–დასავლეთის ენერგეტიკულ კორიდორში. ყველა ძალისხმევა იქნება გამოყენებული „ნაბუკოსა" და „თეთრი ნაკადის" პროექტების პრაქტიკული რეალიზაციისათვის. თურქეთთან დამაკავშირებელი 500-კილოვოლტ. მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა გაცილებით მიმზიდველს გახდის საქართველოს ენერგეტიკულ სექტორს და ხელს შეუწყობს ენერგოგენერაციაში კერძო ინვესტიციების მოზიდვას. დასავლეთ საქართველოში განხორციელდება ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაცია (სენაკი-1 და სენაკი-2) და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი

გაზსადენის მნიშვნელოვანი სეგმენტების აღდგენა-მშენებლობა, ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენის რეაბილიტაცია-მშენებლობის სამუშაოების დასრულება. კერძო ინვესტიციებით დაფინანსდება 500 მეგავატზე მეტი ჰიდროენერგეტიკული სიმძლავრის მშენებლობა.

საქართველოს ახალგაზრდობის გლობალური კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების ინფრასტრუქტურის შემდგომ განვითარებას. მასწავლებელთა მოტივაციისა და კვალიფიკაციის გაზრდა, უსაფრთხო სკოლა, ტოლერანტული გარემო, ვაუჩერული დაფინანსება არჩევანის უფლებით, კარგი სასკოლო ინფრასტრუქტურა, სასწავლო ტექნოლოგიები და ატრიბუტიკა იქნება ასეთი განვითარების უზრუნველყოფის ინსტრუმენტები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში ბოლო პერიოდში პოზიტიური მოვლენები მიმდინარეობს, თუმცა ისევ რჩება პრობლემები სხვადასხვა სფეროში, რისთვისაც საჭიროა გონივრული და თანმიდევრული მუშაობა.

12.2. გლობალური კომპანიების გავლენა და საქართველოს პერსპექტივები

თანამედროვე პერიოდში, როდესაც ასე ღრმად გაიდგა ფესვები გლობალიზაციის პროცესებმა, საზღვრები უფრო გამჭვირვალე ხდება არა იმდენად პოლიტიკოსთა სურვილის გამო, რამდენადაც თანამედროვე გლობალური ბიზნესის გავლენით.

საქართველოში გლობალიზაციისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო საქონლისა და მომსახურების საშინაო ბაზრის გახსნა, უცხოური კაპიტალის შემოსვლისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, ინტეგრაციულ გაერთიანებებში გაწევრიანება და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა.

ამჟამად, საქართველო სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეულმა ფინანსურმა და ტექნიკურმა დახმარებამ, ასევე სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამების განხორციელებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გარდამავალი პერიოდის მწვავე სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში. განსაკუთრებით დიდი მოცულობის ფინანსური მხარდაჭერა განხორციელდა მსოფლიო ბანკის პროგრამების ფარგლებში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, საქართველოს ეკონომიკის განვითარებასა და ბიზნესის გარემოს გაუმჯობესების კუთხით შთამბეჭდავი წინსვლა შეიმჩნევა. 2015 წლის მონაცემებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი მშპ-ში 8%-ს აღწევს.

Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, რომელიც ქვეყნების მდგომარეობას აფასებს 0-100 ქულიანი სკალით, სადაც ქულა 100 შეესაბამება თავისუფლების ყველაზე მაღალ დონეს, საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ქულა არის 73.0. მისი საერთო ქულა გაიზარდა 0.4-ით გასულ წელთან შედარებით. პირველ რიგში იგი ასახავს გაუმჯობესებას თავისუფლების, კორუფციის, მონეტარული პოლიტიკის და სამთავრობო მართვის საკითხებში. Heritage Foundation –აქვეყნებს 2015 წლის საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების შემდეგ მაჩვენებლებს:[2]

[2] http://www.heritage.org/index/country/georgia

ბიზნესის თავისუფლება – 88,6;
მონეტარული თავისუფლება - 82,7;
ფისკალური თავისუფლება - 87,2;
საინვესტიციო თავისუფლება – 80.0;
შრომის ბაზრის თავისუფლება – 79,9;
მთავრობის ჩარევა ეკონომიკაში – 73,8
სავაჭრო თავისუფლება – 88.6
ფინანსური თავისუფლება– 60.0.

აქვე აღნიშნულია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შემცირდა. მაგრამ საქართველო კვლავ ერთგული რჩება ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისა და იმედოვნებს, რომ მალე გახდება ნატოს წევრი. 2014 წლის ივნისში კი ხელი მოეწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებებს ევროკავშირთან.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით ქვეყანათა რეიტინგში ქვეყნები დაყოფილია თავისუფალ, ძირითადად თავისუფალ, ზომიერად თავისუფალ, ძირითადად არათავისუფალ, რეპრესირებულ ქვეყნებად:[3]

თავისუფალი ქვეყნები, რომელთა ინდექსი მერყეობს 100-80 ფარგლებში - შედის 5 ქვეყანა: ჰონ–კონგი – 89,6; სინგაპური – 89,4; ახალი ზელანდია – 82,1; ავსტრალია – 81,4; შვეიცარია –80,5.

ძირითადად თავისუფალი ქვეყნები (80-70). აქ შედის 29 ქვეყანა. მათ შორისაა: კანადა – 79,1; ესტონეთი – 76,8; გერმანია – 76,3; იაპონია – 73,3; ლუქსემბურგი– 73,2. საქართველო აქ 22–ე ადგილზეა მაჩვენებლით – 73,0.

ზომიერად თავისუფალი ქვეყნები (70-60). აქ შედის 54 ქვეყანა. მათ შორისაა ლატვია, პოლონეთი, სლოვაკეთი, ბულგარეთი, ალბანეთი, ყაზახეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სლოვენია, სერბეთი და ა.შ.

ძირითადად არათავისუფალი ქვეყნები (60-50). აქ შედის 61 ქვეყანა. მათ შორისაა: უგანდა, ნამიბია, ლიბანი, ზამბია, გაბონი, ნიგერია, ინდოეთი, საბერძნეთი, ჩინეთი, რუსეთი და ა.შ.

რეპრესირებული ქვეყნები (50-40). ამ ჯგუფში შედის 25 ქვეყანა. მათ შორისაა: ბელარუსია, უზბეკეთი, უკრაინა, თურქმენეთი, ვენესუელა, კუბა, ჩრდილოეთ კორეა.

კატეგორიის გარეშეა (not ranked) 8 ქვეყანა: ავღანეთი, ერაყი, კოსოვო, ლიბია, სომალი, სუდანი, სირია, ლიხტენშტეინი.

ორგანიზაცია Global Policy[4]-ის მიხედვით გლობალიზაციის ინდექსის რეიტინგში მოცემულ ქვეყნებს შორის საქართველოს რეიტინგი ბოლო წლებში გაუმჯობესებულია, მისი ღიაობის ხარისხი საკმაოდ მაღალია. ასევე მსოფლიო ბანკის, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაზრისით საქართველოს ეკონომიკა ლიბერალიზაციის საკმაოდ მაღალი დონით გამოირჩევა. ძლიერ ლიბერალურია ქვეყნის საგარეო სავაჭრო რეჟიმი, ასევე ხელსაყრელი პირობებია შექმნილი (საკანონმდებლო წესით) უცხოური ინვესტიციების ქვეყანაში შემოსელისთვის.

შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის თავისუფალი მონაწილეობისკენ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია ვაჭრობის ლიბერალიზაცია. ვაჭრობის ლიბერალიზაციის პოლიტიკა დღეს არ არის გამოცალკევებული ეკონომიკური პოლიტიკის სხვა ამოცანებისგან, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ, მონეტარულ, გარემოს დაცვის და სხვა ღონისძიებებთან. ვაჭრობის ლიბერალიზაციის სტრატეგია წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ ის უზრუნველყოფს ქვეყნის, როგორც მსოფლიო ბაზარზე საქონლისა და მომსახურების მიმწოდებლის შესაძლებლობების გაფართოვებას, მისი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდასა და ბაზრებზე შეღწევის გაადვილებას. საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი

[3] http://www.heritage.org/index/ranking
[4] https://www.globalpolicy.org/globalization.html

საგარეო სავაჭრო კავშირების დივერსიფიკაციაზეა ორიენტირებული. ვაჭრობის სფეროში მისი განხორციელების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ქვეყნის წევრობა ვმო-ში, რომელიც წარმოადგენს მძლავრ ინსტიტუტს და ქმნის ურთიერთშეთანხმებისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპებზე დაფუძნებულ სავაჭრო სისტემას. მის ფარგლებში მსოფლიო ვაჭრობის 95% წარიმართება. ფაქტობრივად, ვმო-ს შეთანხმება ქმნის ჩარჩოს, რომლითაც განისაზღვრება ეროვნული სავაჭრო პოლიტიკის ხასიათი. საქართველო მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის აქტიურ მონაწილეს წარმოადგენს, რასაც, ცხადია, მეტი უპირატესობა აქვს, რადგან ამ შემთხვევაში ვაჭრობის ლიბერალიზაცია ეყრდნობა ურთიერთდათმობებს.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა იზრდება და 2014 წელს შეადგინა 11454 მლნ. აშშ. დოლარი, თუმცა საგარეო ვაჭრობის სალდო დეფიციტურია და შეადგინა -5733 მლნ. აშშ. დოლარი.[5]

გლობალურ ეკონომიკასთან ქვეყნის ინტეგრირების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ასევე პირდაპირი ინვესტიციების მარაგი და მათი თანაფარდობა მშპ-სთან. პუი საქართველოში ყოველწლიურად იზრდებოდა. 2014 წლისათვის მისმა მოცულობამ შეადგინა 1 758 მლნ აშშ. დოლარი ხოლო მისი თანაფარდობა მშპ-სთან არის 8%.[6]

ევროკავშირის ქვეყნებიდან ბოლო წლებში ქართული პროდუქცია ყველაზე მეტი რაოდენობით გატანილ იქნა ბულგარეთში, გერმანიაში, გაერთიანებულ სამეფოში და ა.შ. რაც შეეხება დანარჩენ ქვეყნებს, საქართველოს ექსპორტის მოცულობა შედარებით მაღალი იყო აშშ-ში, კანადაში, თურქეთში, არაბთა გაერთიანებულ ემირატებში.

საქართველოს შესაძლებლობები შეასრულოს სატრანზიტო ქვეყნის როლი საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღებას იზიდავს და მისი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური პოზიცია საერთაშორისო ინტერესის საგანს წარმოადგენს. საქართველოს გლობალიზაციის პროცესში მონაწილეობისთვის ქვეყნის სატრანზიტო როლი, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია. ტვირთების, ინვესტიციების და საინფორმაციო ნაკადების ზრდასთან ერთად, შესაბამისად, გაიზრდება საქართველოს მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციის ხარისხი. ისეთი მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, საერთაშორისო ფუნქციის მოპოვება სახელმწიფოს მშენებლობის რთულ პროცესში აუცილებელია, არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც. გრძელვადიან პერიოდში, სატრანსპორტო კორიდორის გაფართოებასთან ერთად, მეტი უცხოური ინვესტიცია იქნება მოზიდული. სატრანსპორტო კორიდორის სრულფასოვანი ფუნქციონირება საჭიროებს სხვა დარგების განვითარებას – ტელეკომუნიკაციები, ენერგეტიკა, სასტუმროები, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება და მომსახურების დარგები. სატრანზიტო ფუნქცია არ არის საკმარისი პირობა გლობალურ ეკონომიკაში სრულფასოვანი მონაწილეობისათვის. მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდოს ქვეყნის მონაწილეობა მსოფლიო ვაჭრობის დინამიკურ სექტორებში.

საინტერესოა UNCTAD-ის შეფასება, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია (United Nations Conference on Trade and Development, UNCTAD) - გაეროს გენერალური ასამბლეის ორგანო, მისი შეფასების თანახმად, მსოფლიოში დინამიკურ სექტორებს მიეკუთვნება ის სექტორები, რომლებიც 1995 წლის შემდგომ 5-ჯერ მაინც გაიზარდა. ეს სექტორები ხასიათდება მოთხოვნის მდგრადი ზრდითა და ტექნოლოგიური და კვალიფიკაციის განვითარებით. მათში შედის სასმელები, საზღვაო პროდუქტები, ენერგეტიკული პროდუქტები (მაგალითად, ბიოსაწვავი), სამრეწველო საქონლიდან - ელექტრონიკა, საავტომობილო ნაწილები, საფეიქრო და ტანსაცმლის წარმოება, მომსახურება (საინფორმაციო ტექნოლოგიების, სამშენებლო, სატ-

[5] http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo
[6] http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo

რანსპორტო, ტურიზმი, ტელეკომუნიკაციები, ფინანსური და პროფესიული, კომერციული). განსაკუთრებით აღსანიშნავია შემოქმედებითი დარგები, რომლებიც 2000 წლის შემდგომ საშუალოდ წლიურად 7%-ით იზრდება და მისი მსოფლიო ბაზრის მოცულობა 1,3 ტრლნ დოლარს აღწევს.

გლობალური კომპანიების გავლენისა და განვითარების პროცესში მათი როლის შესახებ მრავალი მეცნიერული კვლევაა მოცემული. მკვლევარები აღიარებენ, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები ტრანსნაციონალური კომპანიებისთვის (ტნკ)-სულ უფრო მიმზიდველნი ხდებიან. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მიერ ახალი საწარმოების მშენებლობაში მოზიდული ინვესტიციების მოცულობა ყოველწლიურად იზრდება. მაგალითად, ჩინეთი და ინდოეთი იღებენ ახალ პროექტებში განხორციელებული ინვესტიციების უდიდეს რაოდენობას, რაც განვითარებადი ქვეყნების მთლიანი მაჩვენებლის თითქმის ნახევარს შეადგენს. ამას ხელს უწყობს ინდოეთში მიმდინარე ეკონომიკური ლიბერალიზაციის პოლიტიკა, ასევე, ის ფაქტი, რომ ჩინეთი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი გახდა.

გამოკითხული ტნკ-ების მიხედვით გლობალური ბიზნესის წარმოებისათვის ყველაზე მიმზიდველ გარემოს წარმოადგენენ შემდეგი ქვეყნები: ჩინეთი (ტნკ-ების 87%), ინდოეთი (51%), აშშ (51%), რუსეთის ფედერაცია (33%), ბრაზილია (20%), მექსიკა (16%), გერმანია (13%), დიდი ბრიტანეთი (13%), ტაილანდი (11%), კანადა (10%)[7].

ერთ-ერთი ფაქტორი ქვეყნის მიმზიდველობისა უცხოური კაპიტალისათვის არის ბაზრის მასშტაბი. საქართველოს ბაზრის მოცულობა ძალიან მცირეა და მოთხოვნა ძირითადად კმაყოფილდება იმპორტის ხარჯზე. ამდენად, ბაზრის ზომაზე ორიენტირებული ინვესტორებისათვის საქართველოს მიმზიდველობის ხარისხი არც ისე მაღალია. მიუხედავად ამისა, იზრდება უცხოური კომპანიების დაინტერესება საქართველოთი, რადგან თავისი ადგილმდებარეობით ქვეყანა არის ერთგვარი ხიდი, რომელიც აკავშირებს მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს რეგიონებს. ესენია ევროპა (მოსახლეობა 550 მილიონი), შავი ზღვის აუზის ქვეყნები (მოსახლეობა 250 მილიონი), თურქეთი (მოსახლეობა 77 მილიონი), კავკასიის რეგიონი (16 მილიონი). უცხოურ კომპანიებს საქართველოში ინვესტირებით შეუძლიათ მოემსახურონ რეგიონის ბაზრებს და განიმტკიცონ პოზიციები.

საქართველოს ბაზარზე აქტიურად შემოვიდა მრავალი საერთაშორისო კომპანია. დიდი ბრიტანეთის კომპანიებმა შეიძინეს მანგანუმის საბადოები და ბათუმის პორტი. ჩეხურმა კომპანიებმა ინვესტიციები განახორციელეს ელექტროგამანაწილებელ ქსელსა და ჰიდროელექტორსადგურებში; ყაზახური ინვესტიციები განხორციელდა სატელეკომუნიკაციო პროექტებში; არაბული ინვესტიციებია უძრავი ქონების მსხვილ პროექტებში; უდიდეს საზღვარგარეთულ საბანკო კომპანიებს ფილიალები აქვთ საქათველოში და გეგმავენ ქსელის კიდევ უფრო გაფართოებას; ინდური ინვესტიციები ხორციელდება ენერგეტიკის სფეროში.

საქართველოში ოფიციალური წარმომადგენლობები აქვთ ისეთ გიგანტებს, როგორებიცაა Microsoft, ფრანგული სატელეკომუნიკაციო კომპანია Alcatel. კომპანია Microsoft საქართველოში პარტნიორული ქსელის განვითარებას, შემკვეთებთან მუშაობას, ასევე, თავისი გადაწყვეტილებებისა და ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფის პოპულარიზაციას ახორციელებს. კომპანიები Sun Microsystem და Sony საქართველოში პარტნიორული ქსელის გაფართოებას გეგმავენ. კომპანია Sun Microsystems საქმიანობა რუსეთსა და დსთ-ს რეგიონში 2006 წლის განმავლობაში 40%-ით გაიზარდა. იგი საქართველოში იმ კომპანიების მხარდაჭერას გეგმავს, რომლებიც მისი ბიზნესით იქნებიან დაინტერესებულნი. იუ–ჯი–თი საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში ლიდერი კომპანიაა. მისი სტრატეგიული პარტნიორები და მომწოდებლები არიან საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში მსოფლიოს ლიდერი კომპანიები,

[7] www.unctad.org/fdiprospects

ისეთები როგორიცაა Microsoft, SAP, HP, Cisco, IBM, Sun Microsystem, Oracle და სხვა. საქართველოში წარმომადგენლობა აქვს, ასევე, კომპანია Sumsung-ს.

საკმაოდ მაღალია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და უცხოური კომპანიების აქტივობა საქართველოს საბანკო სექტორში. 19 კომერციული ბანკიდან უცხოური კაპიტალი წარმოდგენილია 17 ბანკში. საქართველოს კომერციული ბანკების საწესდებო კაპიტალში ინვესტიციები და საკრედიტო ხაზები განხორციელებული აქვთ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას, გერმანიის ინვესტიციებისა და განვითარების კომპანიას, შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკს, სს "პროკრედიტ ჰოლდინგს", გერმანულ "კომერცბანკს", ავსტრიულ ბანკ "ავსტრია კრედიტანშტალს", ბრიტანულ "London International Bank"-ს, ფრანგული "Sosiete Generale" ბანკ რესპუბლიკის აქციათა 60%-ს ფლობს, აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკმა შვილობილის ბანკი "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი _ საქართველო" დააფუძნა, უკრაინულმა "Private Bank"-მა "ტაობანკის" აქციების 75% შეიძინა, ხოლო 25% შვეიცარიულ ფირმა Zurifin AG-ს ეკუთვნის[8]. ასევე წარმატებით ფუნქციონირებს რუსული კაპიტალი: ელექტრო ენერგიაში რუსულ „ინტერ რაოს" ეკუთვნის „თელასის" 75 %. ჰიდროელექტროსადგურები -„ხრამჰესი 1" და „ხრამჰესი 2". 2011 წელს „ხრამჰესის" გაყიდვიდან მიღებული თანხა 99 774 000 ლარი ქუთაისში პარლამენტის აშენებას მოხმარდა.

რუსული კომპანია „ლუკოილის" შვილობილი კომპანია „ლუკოილ ჯორჯია" ფლობს 62 ბენზინგასამართ სადგურს საქართველოში.

რუსული „პეტროკას ენერჯი ლიმიტედი" საქართველოში ფლობს ფოთის ნავთობ ტერმინალებს, ბენზინგასამართი სადგურების ქსელს. მათი მფლობელობა საქართველოს საჯარო რეესტრში არაა რეგისტრირებული, გარიგებები ოფშორულ ზონებში რეგისტრირებულ კომპანიების საშუალებით ხორციელდება.

„პეტროკას ენერჯი ლიმიტედის" მფლობელია რუსეთში მოღვაწე დავით იაკობიშვილი. მასვე ეკუთვნის „სან პეტროლიუმ ჯორჯია", რომელიც საქართველოში „გალფის" ბრენდის 140 ბენზინგასამართ სადგურს ფლობს.

რუსი ოლიგარქის მიხეილ ფრიდმანის ხელშია მინერალური წყლების კომპანია „ბორჯომი საქართველო" . ეს კომპანია ანარმოებს ბორჯომს, ლიკანს, ბაკურიანს. ბორჯომის მოპოვების ლიცენზიას სწორედ ის ფლობს. კომპანიას ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი ფლობდა. ფრიდმანის კუთვნილ „ალფა გრუპს" ბორჯომი 2013 წლის დასაწყისში გაუფორმდა. „ალფა გრუპის" წევრია მობილური ოპერატორი „ბილაინი".

ასე, რომ საქართველოს ბაზრით ცნობილი კომპანიების დაინტერესება სულ უფრო იზრდება. მიუხედავად ამისა, სრულყოფილი მონაცემები საქართველოში წარმოდგენილი ტნკ-ების ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების შესახებ არ არსებობს. UNCTAD-ის ყოველწლიურ მსოფლიო საინვესტიციო ანგარიშში წარმოდგენილია მონაცემები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი უცხოური ტნკ-ების ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების შესახებ.

მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის "Doing Business 2015" ანგარიშის თანახმად, საქართველოს უკავია მე-15 ადგილი 189 ქვეყანას შორის ბიზნესის წარმოებისთვის ხელსაყრელი პირობების მაჩვენებლის მიხედვით[9]. ამ მაჩვენებლით 1–ლ ათეულშია შემდეგი ქვეყნები: სინგაპური, ახალი ზელანდია, ჰონგ- კონგი, გერმანია, კორეა, ნორვეგია,

[8] http://www.newsgeorgia.ge/economy/
[9] World Bank Group. http://www.doingbusiness.org/rankings

აშშ, დიდი ბრიტანეთი, ფინეთი, ავსტრალია. ასევე, საქართველომ დაიკავა მეორე ადგილი 12 ყველაზე სწრაფად რეფორმირებად ქვეყანას შორის გაუმჯობესებული ბიზნეს-გარემოს თვალსაზრისით.

ცალკეული ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის რეიტინგის განსაზღვრისათვის ფართოდაა ცნობილი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შემუშავებული **გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი.** ეს ინდექსი განისაზღვრება ტექნოლოგიების განვითარების დონით, საზოგადოებრივი ინსტიტუტებითა და მაკროეკონომიკური კლიმატით. ცალკე განისაზღვრება ბიზნესის კონკურენტ–უნარიანობის ინდექსი, რომლის კომპონენტებია კომპანიების ოპერაციები და სტრატეგიები და ეროვნული ბიზნეს გარემოს ხარისხი.

ბაზრის ეფექტიანობა, შრომის ბაზრის ეფექტიანობა, საფინანსო ბაზრის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2013-2014 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის მოხსენების" („The Global Competitiveness Report") მიხედვით, საქართველოს რეიტინგი 5 ადგილით გაუმჯობესდა 77-ე ადგილიდან 72-ზე (4,15-იანი ქულით) გადმოინაცვლა. გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში საქართველო წინ უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა - ხორვატია (75-ე ადგილი), რუმინეთი (76-ე ადგილი), სომხეთი (79-ე ადგილი), უკრაინა (84-ე ადგილი), მოლდოვა (89-ე ადგილი), და ა.შ. აღნიშნულ რეიტინგში პირველი ადგილი შვეიცარიას, ხოლო უკანასკნელი ჩადის უკავია. აღნიშნული მოხსენება 148 ქვეყანას მოიცავს[10].

გლობალური კონკურენტუნარიანობის მოხსენება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ ყოველწლიურად მზადდება. აღნიშნული მოხსენება იკვლევს ფაქტორებს, რომელებიც ეროვნული ეკონომიკის მდგრად განვითარებას უზრუნველყოფენ. მიმდინარე წლის მოხსენებაში 100 ქვე-ინდექსია გამოკვლეული, რომლებიც 12 მაჩვენებელსა და საბოლოო ჯამში, 3 ფაქტორში ერთიანდება. გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში გამოკვლეულია შემდეგი მაჩვენებლები: ინსტიტუციები, ინფრასტრუქტურა, მაკროეკონომიკური გარემო, ჯანდაცვა და პირველადი განათლება, უმაღლესი განათლება და ტრენინგები, ანვითარება, ტექნოლოგიები, ბაზრის სიდიდე, ბიზნესი და ინოვაციები.

განვითარების შეფასების მიხედვით, საქართველოს კვლავ **ეფექტიანობით მამოძრავებელი (Efficiency Driven) ქვეყნის სტატუსი აქვს.**

ქვეყნების გლობალურ კონკურენტუნარიანობაში უმთავრეს როლს მათი ტექნოლოგიური და ინოვაციური განვითარების დონე ასრულებს. ქვეყნები, რომლებიც ვერ ახერხებენ ამ სფეროში წარმატების მიღწევას, ჩამორჩებიან კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით.

საბოლოოდ დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საქართველოს კონკურენტ–უნარიანობის დონე არც თუ ისე სახარბიელოა, როგორც ტექნოლოგიური განვითარების, ასევე, ეროვნული ბიზნეს-გარემოს ხარისხის მიხედვით. სამუშაო ძალის შედარებით დაბალი ღირებულების შეხამება მაღალტექნოლოგიურ და ცოდნასთან დაკავშირებულ უპირატესობებთან მნიშვნელოვანი დეტერმინანტია კონკურენტუნარიანობისა. გლობალური ბაზარი საჭიროებს გლობალური პროდუქტებით მომსახურებას. გლობალური ეკონომიკის პირობებში ის ქვეყნები აღწევენ წარმატებას, რომლებიც ახერხებენ ტექნოლოგიასა და კაპიტალს შორის სინერგიული ეფექტის მიღწევას. საქართველომ უნდა გაზარდოს მონაწილეობა გლობალურ საწარმოო და გასაღების ქსელებში. მაღალტექნოლოგიურ და სპეციალიზებულ დარგებში მიზანშეწონილი იქნებოდა გლობალურ კომპანიებთან ალიანსების შექმნა.

გლობალიზაციის და ინტეგრაციის შესაძლებლობების გამოყენებით, ქვეყნები უფრო მეტად ეკონომიკურ სარგებლიანობას ნახულობენ, ვიდრე აწყდებიან სირთულეებს. ბოლო გამოკვლევების მიხედვით ქვეყნებმა, რომლებმაც მოახერხეს გლობალიზაციის პროცესში წარმატე-

[10] http://economy.ge/ge/media/news/globaluri-konkurentunarianobis-indeqsi

ბულად ჩართვა, მიაღწიეს ეკონომიკურ ზრდას და ამ ქვეყნებში სიღარიბის მაჩვენებელი მცირდება. ამასთან, მაღალი ინფლაცია, უმუშევრობა, სიღარიბე, ეკონომიკური სტაგნაცია დამახასიათებელია ისეთი ქვეყნებისათვის, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაციისგან მოწყვეტით ვითარდებიან.

ამგვარად, გლობალიზაციის პირობებში, საზღვრები უფრო გამჭვირვალე ხდება არა იმდენად პოლიტიკოსთა სურვილის გამო, რამდენადაც თანამედროვე გლობალური ბიზნესის გავლენით. საქართველოს შესაძლებლობები შეასრულოს სატრანზიტო ქვეყნის როლი საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღებას იზიდავს და მისი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური პოზიცია საერთაშორისო ინტერესის საგანს წარმოადგენს. თუმცა სატრანზიტო ფუნქცია არ არის საკმარისი პირობა გლობალურ ეკონომიკაში სრულფასოვანი მონაწილეობისათვის. სატრანსპორტო კორიდორის სრულფასოვანი ფუნქციონირება განაპირობებს სხვა დარგების განვითარებას – ტელეკომუნიკაციები, ენერგეტიკა, სასტუმროები, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება და მომსახურების დარგები.

საქართველოს ბაზრის მოცულობა ძალიან მცირეა და ბაზრის ზომაზე ორიენტირებული ინვესტორებისათვის საქართველოს მიმზიდველობის ხარისხი არც ისე მაღალია. მიუხედავად ამისა, იზრდება უცხოური კომპანიების დაინტერესება საქართველოთი, რადგან თავისი ადგილმდებარეობით ქვეყანა არის ერთგვარი ხიდი, რომელიც აკავშირებს მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს რეგიონებს. უცხოურ კომპანიებს საქართველოში ინვესტირებით შეუძლიათ მოემსახურონ ევროპა-აზიის რეგიონის ბაზრებს და განიმტკიცონ პოზიციები.

გლობალიზაციის და ინტეგრაციის შესაძლებლობების გამოყენებით, ქვეყნები უფრო მეტად ეკონომიკურ სარგებლიანობას ნახულობენ, ვიდრე აწყდებიან სირთულეებს. ბოლო გამოკვლევების მიხედვით ქვეყნებმა, რომლებმაც მოახერხეს გლობალიზაციის პროცესში წარმატებულად ჩართვა, მიაღწიეს ეკონომიკურ ზრდას. ამ ქვეყნებში სიღარიბის მაჩვენებელი მცირდება. ხოლო მაღალი ინფლაცია, უმუშევრობა, სიღარიბე, ეკონომიკური სტაგნაცია დამახასიათებელია ისეთი ქვეყნებისათვის, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაციისგან მოწყვეტით ვითარდებიან.

ტესტები გამეორებისათვის
მიკროეკონომიკის პრინციპები

I ვარიანტი

I შუალედური გამოცდა

1. სამომხმარებლო დანაზოგი

ა) ეს არის სხვაობა გამყიდველისათვის საქონელში გადახდილ თანხასა და გამყიდველის დანახარჯებს შორის.

ბ) ეს არის სხვაობა იმ თანხას, რომლის გადახდისთვისაც მზადაა ადამიანი და იმ თანხას შორის, რომელსაც რეალურად იხდის.

გ) არც ერთი წინა პასუხი არაა სწორი.

2. როგორ მოქმედებს ფასი სამომხმარებლო დანაზოგზე?

ა) ფასის გადიდება ზრდის სამომხმარებლო დანაზოგს.

ბ) სამომხმარებლო დანაზოგი არაა დამოკიდებული ფასის ცვლილებაზე.

გ) ფასის შემცირება ზრდის სამომხმარებლო დანაზოგს.

3. რომელი ფაქტორები იწვევენ მიწოდების მრუდის გადაადგილებას?

ა) ინგრედიენტების ფასები, ტექნოლოგია, მყიდველთა რაოდენობა

ბ) ინგრედიენტთა ფასები, ტექნოლოგია, მოლოდინი, გამყიდველთა რაოდენობა

გ) შემოსავალი, ურთიერთდაკავშირებული საქონლის ფასები.

4.რას იწვევს მომხმარებლის გემოვნების ცვლილება?

ა) მოთხოვნის მრუდის გასწვრივ მოძრაობას

ბ) მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას

გ) გავლენას ახდენს მხოლოდ მიწოდებაზე

5.ლუდი და პიცა ურთიერთშემავსებელ პროდუქტებად ითვლება, ვინაიდან მათ ხშირად მიირთმევენ ერთად. როდესაც ლუდის ფასი იზრდება რა მოსდის პიცის საბაზრო მოთხოვნას?

ა) იზრდება

ბ) მცირდება

გ) არავითარ გავლენას არ ახდენს.

6.დავუშვათ, რომ ტექნოლოგიურმა განვითარებამ ტელევიზორების წარმოების ხარჯების შემცირება გამოიწვია. რა მოხდება ტელევიზორების ბაზარზე?

ა) შემცირდება გაყიდვების მოცულობა

ბ) შემცირდება წარმოების მოცულობა

გ) გაიზრდება გაყიდვების მოცულობა და შემცირდება ტელევიზორების ფასები.

7.რომელი განცხადება შეეხება მიწოდების მრუდის გასწვრივ მოძრაობას?

ა) პოლიტიკური არასტაბილურობა საფრთხეს უქმნის ბინების მშენებლობას.

ბ) ბინების ფასების ზრდასთან ერთად მშენებლები სულ უფრო მეტ სახლებს აშენებენ.

გ) არც ერთი მათგანი არ შეეხება.

8.თუ მოთხოვნა ელასტიკურია როგორ შეცვლის მთლიან შემოსავალს ფასის გაზრდა?

ა) მთლიანი შემოსავალი შემცირდება.

ბ) მთლიანი შემოსავალი გაიზრდება.
გ) მთლიანი შემოსავალი უცვლელი დარჩება.
9.რომელ საქონელზე იქნება მოთხოვნა უფრო ელასტიკური:
ა) სავალდებულო სახელმძღვანელოებზე.
ბ) რომანებზე.
გ) ორივეს ერთაირად ელასტიკური მოთხოვნა ექნება.
10. რას იწვევს ფასის ქვედა ზღვარი
ა) საქონლის დეფიციტს
ბ) საქონლის სიჭარბეს
გ) საბაზრო წონასწორობას
11. ამოცანა: ფორთოხლის მოთხოვნის და მიწოდების რაოდენობა წარმოდგენილია შემდეგი განტოლებებით: Qd=300– P; Qs = 2P.
სადაც Qd –არის ფორთოხალზე მოთხოვნის რაოდენობა, ხოლო Qs – ფორთოხლის მიწოდების რაოდენობა. P – ფასი.
ა) დახაზეთ მოთხოვნისა და მიწოდების მრუდები.
ბ) რა იქნება წონასწორული ფასი და რაოდენობა.
გ) გამოთვალეთ სამომხმარებლო დანაზოგი, მწარმოებლის დანაზოგი და მთლიანი დანაზოგი.
12. დაახასიათეთ მოთხოვნის კანონი და მოთხოვნის მრუდი. მოთხოვნაზე მოქმედი არაფასობრივი ფაქტორები.

II ვარიანტი

1.ფასის ზედა ზღვარი არის:
ა) კანონით დაწესებული ფასის მინიმუმი, რომლითაც საქონელი უნდა გაიყიდოს.
ბ) კანონით დაწესებული წონასწორული ფასი.
გ) კანონით დაწესებული ფასის მაქსიმუმი, რომლითაც საქონელი უნდა გაიყიდოს.
2.მთლიანი შემოსავალი არის:
ა) თანხა, რომელიც გადახდილია საქონლის მყიდველების და მიღებულია გამყიდველების მიერ.
ბ) თანხა, რომელიც გამოითვლება საქონლის ფასისა და გაყიდული საქონლის რაოდენობის ნამრავლით.
გ). სწორია ა) და ბ).
3.განმარტეთ მოთხოვნის ელასტიკურობა შემოსავლების მიხედვით:
ა) მოთხოვნის ან მიწოდების რომელიმე დეტერმინანტზე რეაგირების საზომი.
ბ) მოთხოვნის რაოდენობის პროცენტული ცვლილების შეფარდება ფასის პროცენტულ ცვლილებასთან
გ) მოთხოვნის რაოდენობის პროცენტული ცვლილების შეფარდება შემოსავლის პროცენტულ ცვლილებასთან
4.როგორ გამოითვლება მიწოდების ელასტიკურობა ფასის მიხედვით. ჩაწერეთ ფორმულა.
ა) მოთხოვნის რაოდენობის პროცენტული ცვლილების შეფარდება შემოსავლის პროცენტულ ცვლილებასთან
ბ)მოთხოვნის რაოდენობის პროცენტული ცვლილების შეფარდება ფასის პროცენტულ ცვლილებასთან

გ) სწორია ა) და ბ).

5.ყავა და ჩაი ურთიერთშემცვლელ პროდუქტებად ითვლება. როდესაც ყავის ფასი იზრდება, რა მოსდის ჩაის საბაზრო მოთხოვნას?

ა) მცირდება

ბ) იზრდება

გ) უცვლელი რჩება.

6.ადრეული ყინვები ლიმონის პლანტაციებს ანადგურებს. რა მოსდის სამომხმარებლო დანაზოგს ლიმონის ბაზარზე?

ა) იზრდება

ბ) მცირდება

გ) უცვლელი რჩება.

7.მოთხოვნა ლიტეურ პურზე იზრდება. რა მოსდის მწარმოებლის დანაზოგს ლიტეური პურის ბაზარზე?

ა) იზრდება

ბ) მცირდება

გ) უცვლელი რჩება.

8.დავუშვათ, მთავრობა აწესებს ყველის ბაზრის შემზღუდველ ფასის ზედა ზღვარს. ამ პოლიტიკის შედეგად ყველის ბაზარზე გაჩნდება

ა) სიჭარბე

ბ) დეფიციტი

გ) საბაზრო წონასწორობა

9.რას აკეთებს „უხილავი ხელი“ ?

ა) ხელს უწყობს მიმწოდებელთა ფასების ზრდას.

ბ) ზღუდავს მომხმარებელთა ინტერესებს.

გ) არეგულირებს ბაზარს.

10. ბაზრები რესურსებს ეფექტიანად ანაწილებენ, როცა

ა) არსებობს საბაზრო ძალაუფლება

ბ) არსებობს თავისუფალი კონკურენცია

გ) ფასები შეზღუდულია სამთავრობო პოლიტიკით.

11. ამოცანა: გამოკვლევებმა აჩვენა, რომ თბილისიდან ანტალიამდე თვითმფრინავის ბილეთებზე მოთხოვნას ბიზნესმგზავრებისთვის და დამსვენებლებისთვის ასეთი სახე აქვს:

ფასი	ბიზნესმგზავრები	დამსვენებლები
$150	2100 ბილეთი	1000 ბილეთი
200	2000	800
250	1900	600
350	1800	400

ა) როდესაც ბილეთის ფასი იზრდება $250 –დან $ 350–მდე. როგორია ფასის მიხედვით მოთხოვნის ელასტიკურობა დამსვენებლებისათვის? ბიზნესმგზავრებისათვის? (გამოიყენეთ შუაწერტილის მეთოდი).

ბ) ააგეთ მოთხოვნის მრუდები ბიზნესმგზავრებისათვის და დამსვენებლებისათვის.

გ) რატომაა ელასტიკურობები განსხვავებული?

III ვარიანტი

1.რა არის სრულყოფილად კონკურენტული ბაზარი?

ა) ბაზარი, რომელშიც რამოდენიმე გამყიდველია და მათ შორის ფასები შეთანხმებულია.

ბ) ბაზარი, რომელშიც მრავალი ფირმა ყიდის მსგავს, მაგრამ არა იდენტურ საქონელს.

გ)ბაზარი, რომელშიც მრავალი მყიდველი და გამყიდველია და თითოეული მათგანი უმნიშვნელო გავლენას ახდენს საბაზრო ფასზე.

2.მიწოდების ელასტიკურობა ფასის მიხედვით:

ა) სიდიდე, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა გავლენას ახდენს ფასის ცვლილება მიწოდების ცვლილებაზე.

ბ) გამოითვლება მიწოდების პროცენტული ცვლილების შეფარდებით ფასის პროცენტულ ცვლილებასთან.

გ) სწორია ა) და ბ)

3.წონასწორული ფასი არის

ა) მონოპოლიის მიერ დაწესებული ფასი

ბ) ფასი, რომელიც აწონასწორებს მიწოდებასა და მოთხოვნას.

გ) სწორია ა) და ბ).

4.მოთხოვნის კანონი

ა) საქონლის რაოდენობა, რომლის შეძენის სურვილი და შესაძლებლობაც აქვს მყიდველს.

ბ) ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს დამოკიდებულებას საქონლის ხარისხსა და ფასს შორის.

გ) დებულება, რომლის მიხედვით, სხვა თანაბარ პირობებში საქონელზე
მოთხოვნა მცირდება ამ საქონლის ფასის ზრდასთან ერთდ.

5.რას იწვევს წარმოების ტექნოლოგიის ცვლილება?

ა) მიწოდების მრუდის გასწვრივ მოძრაობას

ბ) მიწოდების მრუდის გადაადგილებას

გ) გავლენას ახდენს მხოლოდ მოთხოვნაზე.

6. ლუდი და პიცა ურთიერთშემავსებელ პროდუქტებად ითვლება, ვინაიდან მათ ხშირად მიირთმევენ ერთად. როდესაც ლუდის ფასი მცირდება რა მოსდის პიცის საბაზრო მოთხოვნას?

ა) იზრდება

ბ) მცირდება

გ) არავითარ გავლენას არ ახდენს.

7. რომელი განცხადება შეეხება მიწოდების მრუდის გადაადგილებას?

ა) პოლიტიკური არასტაბილურობა საფრთხეს უქმნის ბინების მშენებლობას.

ბ) ბინების ფასების ზრდასთან ერთად მშენებლები სულ უფრო მეტ სახლებს აშენებენ.

გ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

8. თუ მოთხოვნა ელასტიკურია როგორ შეცვლის მთლიან შემოსავალს ფასის შემცირება?

ა) მთლიანი შემოსავალი შემცირდება.

ბ) მთლიანი შემოსავალი გაიზრდება.

გ) მთლიანი შემოსავალი უცვლელი დარჩება.

9. ორი მძღოლი დავითი და გიორგი ბენზინგასამართ სადგურთან მიდის. ფასის გაგებამდე თითოეული მათგანი გამყიდველს მიმართავს. დავითი ამბობს: მე 10 ლიტრი ბენზინი მინდა. გიორგი ამბობს: მე 10 ლარის ბენზინი მინდა.

ვისთვის არის მოთხოვნა ელასტიკური?

ა) გიორგისთვის

ბ) დავითისთვის

გ) ორივესთვის ერთნაირია.

10. ფასის ზედა ზღვარი იწვევს

ა) საქონლის დეფიციტს

ბ)საქონლის სიჭარბეს

გ) საბაზრო წონასწორობას

11. ვთქვათ, კომპაქტ–დისკებზე სტუდენტის მოთხოვნის განრიგს ასეთი სახე აქვს:

ფასი	მოთხოვნის რაოდენობა
$ 8	50 დისკი
10	45
12	30
14	20
16	12

ა) შუაწერტილის მეთოდის გამოყენებით გამოთვალეთ თქვენი მოთხოვნის ელასტიკურობა ფასის მიხედვით, როცა კომპაქტ–დისკის ფასი იზრდება $ 14–დან $ 16–მდე.

ბ) ააგეთ მოთხოვნის მრუდი.

გ) როგორ შეიცვლება მოთხოვნის მრუდის მდებარეობა, თუკი შემოსავლების შემცირება გამოიწვევს მოთხოვნილი დისკების 10 ერთეულით შემცირებას თითოეული ფასისათვის? აჩვენეთ ნახაზზე.

12. დაახასიათეთ გადასახადების ზემოქმედება ბაზრის ფუნქციონირების შედეგებზე.

IV ვარიანტი

1. როდისაა კონკურენტული ფირმის პროდუქციის ფასი ზღვრული დანახარჯის ტოლი?

ა) მოკლევადიან პერიოდში

ბ) გრძელვადიან პერიოდში

გ) ორივე პერიოდში.

2. როდისაა კონკურენტული ფირმის პროდუქციის ფასი საშუალო მთლიანი დანახარჯის ტოლი?

ა) მოკლევადიან პერიოდში

ბ) გრძელვადიან პერიოდში

გ) ორივე პერიოდში.

3. კონკურენტული ფირმის მიწოდების მრუდები როგორც წესი, უფრო ელასტიკურია მოკლევადიან პერიოდში თუ გრძელვადიან პერიოდში?

ა) მოკლევადიან პერიოდში

ბ) გრძელვადიან პერიოდში

გ) ორივე პერიოდში ერთნაირია.

4. რომელი მრუდების გადაკვეთით არკვევს მონოპოლია პროდუქციის რაოდენობას, რომელიც მაქსიმალურ მოგებას შეესაბამება?

ა) ზღვრული დანახარჯებისა და საბაზრო ფასის მრუდებით.

ბ) ზღვრული დანახარჯებისა და მოთხოვნის მრუდებით

გ) ზღვრული დანახარჯებისა და ზღვრული შემოსავლის მრუდებით.

5. რა უფლებით აკონტროლებს მთავრობა ფირმების შერწყმას?

ა) ასეთ უფლებას მთავრობას აძლევს საგადასახადო კოდექსი

ბ) ასეთ უფლებას მთავრობას აძლევს ანტიტრესტული კანონმდებლობა

გ) ასეთ უფლებას მთავრობას აძლევს ფინანსთა სამინისტრო.

6. ბაზრის რომელ ტიპს მიეკუთვნება საქართველოში კოკა–კოლას ბაზარი?

ა) მონოპოლიას

ბ) ოლიგოპოლიას

გ) სრულყოფილ კონკურენციას.

7. რატომ ცდილობენ OPEC–ის ქვეყნები წარმოების შემცირების შესახებ შეთანხმების მიღებას?

ა) კონკურენტების დასამარცხებლად

ბ) ნავთობზე ფასის შესამცირებლად

გ) ნავთობზე ფასის ასამაღლებლად.

8. ცნობილია, რომ გამყიდველ–ოლიგოპოლისტები თავიანთი საქონლის ფასის გაზრდას ცდილობენ. რა მიზანი ამოძრავებთ მყიდველ ოლიგოპოლისტებს?

ა) შესასყიდი საქონლის ფასის შემცირება

ბ) შესასყიდი საქონლის ფასის გაზრდა

გ) მათთვის შესასყიდი საქონლის ფასს მნიშვნელობა არა აქვს.

9. რას გულისხმობს ნეშის წონასწორობა?

ა) მიწოდებისა და მოთხოვნის წონასწორობას.

ბ) ზღვრული დანახარჯებისა და ფასის თოლობას.

გ) ისეთ სიტუაციას, როცა აგენტები ერთმანეთთან ურთიერთქმედებენ საუკეთესო სტრატეგიებით.

10. რა განსხვავებაა ნეშის წონასწორობებს შორის ორი მწარმოებლის და სამი მწარმოებლის შემთხვევაში?

ა) ორი მწარმოებლის შემთხვევაში ფასი უფრო ნაკლებია, ვიდრე სამი მწარმოებლის შემთხვევაში.

ბ) სამი მწარმოებლის შემთხვევაში ფასი უფრო ნაკლებია, ვიდრე ორი მწარმოებლის შემთხვევაში.

გ) ორივე შემთხვევაში ფასები უცვლელია.

11. ამოცანა

ქალაქში სასტუმროს ნომრები $100–ად ქირავდება. ჩვეულებრივ დღეში 1000 ნომერი ქირავდება.

ა) შემოსავლის გაზრდის მიზნით მერმა გადაწყვიტა, რომ ყოველ გაქირავებულ ოთახზე სასტუმროებს $10–ით დაბეგრავს. შედეგად ნომრების ფასმა $108 –მდე აიწია. ხოლო გაქირავებული ნომრების რაოდენობამ 900–მდე იკლო. გამოითვალეთ შემოსავლების რაოდენობა და საერთო დანაკარგები, რომელიც ქალაქს გადასახადის შემოღების შედეგად გაუჩნდება. (მინიშნება: სამკუთხედის ფართობი = ½ × ფუძე × სიმაღლე).

ბ) მერმა ახლა $20 –მდე გააორმაგა გადასახადი. ნომრების ფასმა $116–მდე აიწია. ხოლო გაქირავებული ნომრების რაოდენობა 800–მდე შემცირდა. გამოთვალეთ გაზრდილი გადასახადის შედეგად მიღებული შემოსავალი და გამოწვეული საერთო დანაკარგები.

12. გადასახადების გავლენა სამომხმარებლო დანაზოგსა და მწარმოებლის დანაზოგზე. საერთო დანაკარგები.

II შუალედური გამოცდა

I ვარიანტი

1.როგორ იცვლება სამომხმარებლო და მწარმოებლის დანაზოგები, როცა საქონლის გაყიდვა იბეგრება?

ა) იზრდება

ბ) მცირდება

გ) უცვლელი რჩება

2.როგორ მოქმედებს მიწოდებისა და მოთხოვნის ელასტიკურობა გადასახადის საერთო დანაკარგზე?

ა) ელასტიკური მიწოდება და მოთხოვნა ამცირებს გადასახადით გამოწვეულ საერთო დანაკარგს.

ბ) მიწოდებისა და მოთხოვნის ელასტიკურობა გავლენას არ ახდენს საგადასახადო დანაკარგზე.

გ) ელასტიკური მიწოდება და მოთხოვნა ზრდის საგადასახადო დანაკარგებს.

3.რა მოსდის საერთო დანაკარგსა და საგადასახადო შემოსავალს, როდესაც გადასახადი იზრდება?

ა) საერთო დანაკარგი და საგადასახადო შემოსავალი მცირდება

ბ) საერთო დანაკარგი იზრდება ხოლო საგადასახადო შემოსავალი ჯერ იზრდება, ხოლო შემდეგ ისევ მცირდება

გ) საერთო დანაკარგი მცირდება, ხოლო საგადასახადო შემოსავალი იზრდება

რა დამოკიდებულებას ასახავს ლაფერის მრუდი?

ა) გადასახადის სიდიდესა და საგადასახადო შემოსავლებს შორის.

ბ) მიწოდებასა და ფასს შორის

გ) მიწოდებასა და მოთხოვნას შორის.

4.განვიხილოთ სასკოლო სახელმძღვანელოების ბაზარი. ეს ბაზარი ძალიან ელასტიკური მიწოდებით და ძალიან არაელასტიკური მოთხოვნით ხასიათდება. როგორ განაწილდება სახელმძღვანელოებზე დაწესებული გადასახადი მომხმარებლებსა და მწარმოებლებს შორის?

ა) გადასახადის სიმძიმე უფრო მეტად აწვება მწარმოებლებს.

ბ) გადასახადის სიმძიმე უფრო მეტად აწვება მომხმარებლებს.

გ) გადასახადის სიმძიმე თანაბრად აწვება მომხმარებლებს და მწარმოებლებს.

5.დავუშვათ, რომ მთავრობა აწესებს მაღალ გადასახადს მაზუთზე.
პირველ წელს უფრო დიდი იქნება ამ გადასახადის აკრეფით მიღებული შემოსავალი თუ მეხუთე წელს.

ა) მეხუთე წელს

ბ) ორივე შემთხვევაში უცვლელი იქნება.

გ) პირველ წელს.

6. რა არის კონკურენტული ბაზარი?

ა) ბაზარი, სადაც მრავალი ოლიგოპოლიური ფირმაა.

ბ) ბაზარი, სადაც თითოეული ფირმა გავლენას ვერ ახდენს ფასზე.

გ) ბაზარი, სადაც არსებობს მოცემული საქონლის მწარმოებელი ერთი ფირმა.

7. რა დამოკიდებულებაა ფირმის მთლიან შემოსავალს, მოგებასა და მთლიან დანახარჯს შორის?

ა) მოგება = მთლიან დანახარჯებს + მთლიანი შემოსავალი.

ბ) მთლიანი დანახარჯი = მოგებას + შემოსავლები

გ) მთლიანი შემოსავალი = მოგებას + მთლიანი დანახარჯები.

8.რა არის ზღვრული პროდუქტი?

ა) საბოლოოდ მიღებული მოგება

ბ) მთლიან შემოსავალს – მთლიანი დანახარჯები

გ) პროდუქტის ნამატი, რომელიც საწარმოო ფაქტორის დამატებითი ერთეულის გამოყენების შედეგია.

9.რა არის ზღვრული დანახარჯი?

ა) მუდმივი დანახარჯის განაყოფი პროდუქციის რაოდენობაზე.

ბ) მთლიანი დანახარჯის ნამატი, რომელიც დამატებითი ერთეულის წარმოების შედეგია.

გ) მთლიანი დანახარჯის განაყოფი პროდუქციის რაოდენობაზე.

10. ამოცანა

ნათიას წვენების ბარის დანახარჯების სქემას ასეთი სახე აქვს:

Q	VC	TC	FC	AVC	AFC	MC
0	$0	$30				
1	10	40				
2	25	55				
3	45	75				
4	70	100				
5	100	130				
6	135	165				

ა) გამოთვალეთ: FC , AVC, AFC, MC თითოეული რაოდენობისათვის.

ბ) ააგეთ AVC, AFC, MC მრუდები.

11. დაახასიათეთ მუდმივი და ცვალებადი დანახარჯი, საშუალო და ზღვრული დანახარჯი, დანახარჯები მოკლე და გრძელვადიან პერიოდებში.

II ვარიანტი

1.რა არის ფირმის მუდმივი დანახარჯი?

ა) დანახარჯები, რომლებიც წარმოებული პროდუქციის რაოდენობასთან ერთად იზრდება.

ბ) მთლიანი დანახარჯის ნამატი, რომელიც დამატებითი ერთეულის წარმოების შედეგია.

გ) დანახარჯები, რომლებიც არ იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებისას.

2.კომპანიისათვის მასშტაბის ეკონომიურობა ეწოდება

ა) გრძელვადიანი პერიოდის საშუალო მთლიანი დანახარჯის ზრდას პროდუქციის რაოდენობის ზრდისას.

ბ) გრძელვადიანი პერიოდის საშუალო მთლიანი დანახარჯის შემცირებას პროდუქციის რაოდენობის ზრდისას.

გ) გრძელვადიანი პერიოდის საშუალო მთლიანი დანახარჯის უცვლელობას პროდუქციის რაოდენობის ზრდისას.

3. რა დამოკიდებულებაა კომპანიის მთლიან შემოსავალს, მოგებასა და მთლიან დანახარჯს შორის?

ა) მოგება = მთლიან შემოსავალს + მთლიან დანახარჯი

ბ) მოგება = მთლიან შემოსავალი x მთლიან დანახარჯზე

გ) მოგება = მთლიან შემოსავალს – მთლიანი დანახარჯი

4. თუ ბიზნესმენი იყენებს საკუთარ ფართს, გაითვალისწინებს თუ არა ბუღალტერი ისეთ ალტერნატიულ დანახარჯს, როგორიცა საკუთარი ფართიდან მოსალოდნელი ქირა?

ა) დიახ

ბ) ბუღალტერს გააჩნია.

გ) არა.

5. რას ეწოდება ზღვრული პროდუქტის კლებადობა?

ა) საწარმოო ფაქტორის ზღვრული პროდუქტის შემცირება ამ ფაქტორის რაოდენობის ზრდასთნ.

ბ) ბუღალტრული მოგების შემცირებას

გ) ეკონომიკური მოგების შემცირებას

6. არის თუ არა განსხვავება ფირმის საშუალო მთლიანი დანახარჯის ATC მრუდებს შორის მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში?

ა) არა, რადგან გრძელვადიან პერიოდში ფირმა არ ცვლის მუდმივ დანახარჯებს.

ბ) არის, რადგან მოკლევადიანი პერიოდის მუდმივი დანახარჯები ცვალებადი დანახარჯებია გრძელვადიანი პერიოდისათვის.

გ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

7.ვთქვათ, მთავრობა იღებს 1 მლნ. ლარს ნემსის 0.01 ლარიანი გადასახადიდან და 1 მლნ ლარს ძაფის გადასახადიდან. თუ ნემსის გადასახადი გაორმაგდება, ხოლო ძაფის გადასახადი გაუქმდება, როგორ შეიცვლება საგადასახადო შემოსავალი?

ა) გაიზრდება

ბ) უცვლელი დარჩება

გ) შემცირდება.

8. როგორ ირჩევს კონკურენტული ფირმა წარმოების ისეთ დონეს, რომელზეც მოგება მაქსიმალურია.

ა) მაქსიმალური მოგების შესაბამისი წარმოების რაოდენობა მიიღება ფასის ჰორიზონტალური წრფისა და ზღვრული დანახარჯის მრუდის გადაკვეთით.

ბ) მაქსიმალური მოგების შესაბამისი წარმოების რაოდენობა მიიღება ზღვრული შემოსავლისა და ზღვრული დანახარჯის მრუდების გადაკვეთით.

გ) მაქსიმალური მოგების შესაბამისი წარმოების რაოდენობა მიიღება მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდების გადაკვეთით.

9.რა პირობებში დაიხურება ფირმა დროებით?

ა) ფირმა დროებით დაიხურება, როცა მიწოდება მეტია მოთხოვნაზე.

ბ) ფირმა დროებით დაიხურება, როცა მოთხოვნა მეტია მიწოდებაზე.

გ) ფირმა დროებით დაიხურება, როცა ფასი ნაკლებია საშუალო ცვალებად დანახარჯებზე.

10. რა პირობებში გავა ფირმა ბაზრიდან?

ა) ფირმა ბაზრიდან გავა, როცა ფასი ნაკლებია საშუალო ცვალებად დანახარჯებზე.

ბ) ფირმა ბაზრიდან გავა, როცა ფასი ნაკლებია საშუალო მთლიან დანახარჯებზე.

გ) ფირმა ბაზრიდან გავა, როცა ფასი ნაკლებია ზღვრულ დანახარჯებზე.

11. ამოცანა

ირაკლის ლიმონათის დახლის დადგმა სურს. დახლი $200–ღირს. ერთი ჭიქა ლიმონათის ინგრედიენტების ღირებულებაა $0,50.

ა) როგორია ამ საქმიანობაში ირაკლის მუდმივი დანახარჯი, როგორია ცვალებადი დანახარჯი ლიმონათის თითოეული ჭიქისათვის?

ბ) შეადგინეთ ცხრილი, სადაც მოცემული იქნება მთლიანი დანახარჯი და ზღვრული დანახარჯი წარმოების დონეებისათვის 0–დან 7 გალონამდე.

(დახმარებისათვის: გალონში 16 ჭიქაა). ააგეთ AFC, ATC, MC მრუდები.

Q	AFC	ATC	TC	VC	MC
0					
1 (16 ჭიქა)					
2 (32)					
3 (48)					
4 (64)					
5 (80)					
6 (96)					
7 (112)					

12. დაახასიათეთ წონასწორობა ოლიგოპოლიისათვის. როგორ მოქმედებენ ოლიგოპოლიის ზომები ბაზრის ფუნქციონირების შედეგებზე.

მაკროეკონომიკის პრინციპები (ტესტები)

I ვარიანტი

1. რა როლს ასრულებს ფინანსური სისტემა?
ა) ხელს უწყობს სამომხმარებლო ფასების სტაბილურობას.
ბ) ხელს უწყობს ზღვრული პროდუქტის შემცირებას.
გ) ახდენს დანაზოგებისა და ინვესტიციების კოორდინირებას.
2. რას წარმოადგენს ობლიგაცია?
ა) იგი ფირმის წილობრივი ფლობის უფლებაა.
ბ) იგი ადასტურებს მსესხებლის ვალდებულებას მისი მფლობელის წინაშე.
გ) იგი მშრომელთა ასოციაციაა, დასაქმების უზრუნველსაყოფად.
3. რას წარმოადგენს აქცია?
ა) იგი ფინანსური შუამავალია დაზოგვისა და მსესხებლის მსურველებს შორის.
ბ) იგი საოჯახო მეურნეობათა შემოსავალია.
გ) იგი ფირმის წილობრივი ფლობის უფლებაა.
4. კაპიტალის ქვეშ უნდა გვესმოდეს:
ა) საქონლისა და მომსახურების წარმოებაში გამოყენებული შენობები და მოწყობილობები.
ბ) საქონლისა და მომსახურების წარმოებაში გამოყენებული ნედლეული.
გ) მიწოდებასა და მოთხოვნას შორის არსებული კორელაცია.
5. რატომ არის მნიშვნელოვანი აქციებისა და ფასიანი ქაღალდების მფლობელებისათვის თავიანთი კაპიტალის დივერსიფიკაცია?
ა) ორმხრივი ფონდების შესაქმნელად.
ბ) ეროვნული ბანკის შემოსავლების მატებისათვის.
გ) რისკებისაგან თავის დასაცავად.
6. რა არის ეროვნული დანაზოგი?
ა) ეროვნული ნაკრძალების დაცვა.
ბ) ეკონომიკის მთლიანი შემოსავლის ნაწილი, რომელიც სამომხმარებლო ხარჯებისა და სახელმწიფო შესყიდვებიოს შემდეგ რჩება.
გ) საგადასახადო შემოსავლების მეტობა მთავრობის ხარჯებთან შედარებით.
7. რა არის კერძო დანაზოგი?
ა) კერძო კომპანიათა მოგების ჯამი.
ბ) საგადასახადო შემოსავალი, რომელიც სახელმწიფოს რჩება ხარჯების დაფარვის შემდეგ.
გ) შემოსავალი, რომელიც საოჯახო მეურნეობებს რჩება გადასახადებისა და სამომხმარებლო ხარჯების გადახდის შემდეგ.
8. რა არის ინვესტიცია?
ა) ინვესტიცია გულისხმობს არაცხადი დანახარჯების გაზრდას.
ბ) ინვესტიცია გულისხმობს ახალი კაპიტალის შეძენას.
გ) ინვესტიცია გულიხმობს ბუნებრივი რესურსების მოპოვებას.
9. საგადასახადო კოდექსის როგორი ცვლილება გამოიწვევს კერძო დანაზოგის ზრდას?
ა) გადასახადების განაკვეთის გადიდება.

ბ) გადასახადების უცვლელად დატოვება.

გ) გადასახადების განაკვეთის შემცირება.

10. რა გავლენას ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი სარგებლის განაკვეთზე?

ა) სარგებლის განაკვეთი იზრდება.

ბ) სარგებლის განაკვეთი მცირდება.

გ) სარგებლის განაკვეთი უცვლელი რჩება.

11. ამოცანა:

დავუშვათ ქვეყანაში იწარმოება მხოლოდ რძე და თაფლი:

წელი	რძის ფასი	რძის რაოდენობა (ლიტრი)	თაფლის ფასი	თაფლის რაოდენობა (ლიტრი)
2009	1,3	200	14	60
2010	1,3	150	14	100
2011	1,5	200	15	60

ა) გამოთვალეთ ნომინალური მშპ, რეალური მშპ, და მშპ დეფლატორი ყოველი წლისათვის.საბაზოდ გამოიყენეთ 2009 წელი.

ბ) რომელ წელს გაიზარდა ეკონომიკური კეთილდღეობა?

12. ჩამოაყალიბეთ როგორ გამოითვლება სამომხმარებლო ფასების ინდექსი.

II ვარიანტი

1. მწარმოებლურობის ძირითადი დეტერმინანტებია:

ა) მიწოდება, მოთხოვნა, ფასები და ინვესტიციები.

ბ) კლებადი უკუგება, მკვეთრი ზრდის ეფექტი, შრომის მიწოდება.

გ) ფიზიკური და ადამიანური კაპიტალი, ბუნებრივი რესურსები, ტექნოლოგია.

2. დავუშვათ, საზოგადოებამ მოხმარების შემცირება და ინვესტიციების გაზრდა გადაწყვიტა. როგორ იმოქმედებს ეს ეკონომიკურ ზრდაზე?

ა) უცვლელი დარჩება.

ბ) მეტად გაიზრდება.

გ) ეკონომიკური ზრდა შემცირდება.

3. დავუშვათ, გერმანული კომპანია ხსნის თავის ქარხანას საქართველოში. რა გავლენას მოახდენს ეს ინვესტიცია საქართველოს მშპ–ზე?

ა) შემცირდება

გ) გაიზრდება

დ) უცვლელი დარჩება

4. რა გავლენას მოახდენს ეს ინვესტიცია საქართველოს მეპ–ზე?

ა) შემცირდება

გ) გაიზრდება

დ) უცვლელი დარჩება

5. კვლევები ადასტურებს, რომ პოლიტიკურ სტაბილურობასა და ეკონომიკურ ზრდას შორის არსებობს

ა) დადებითი კორელაცია.

ბ) უარყოფითი კორელაცია.

გ) არანაირი კავშირი არ არსებობს.

6. რომელი მექანიზმის გამოყენებით შეუძლია პოლიტიკურ სტაბილურობას ეკონომიკის სწრაფი ზრდის უზრუნველყოფა?

ა) უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

ბ) გადასახადების მკვეთრი ზრდა.

გ) ფასების ჭერის დაწესება საქონელსა და მომსახურებაზე.

დ) სამივე წინა პასუხი სწორია.

7. რას გულისხმობს „ადამიანური კაპიტალი"?

ა) მიწისა და წიაღისეულის რესურსებს.

ბ) მოწყობილობებს და შენობებს, რომელიც გამოიყენება წარმოებაში.

გ) ცოდნასა და უნარს, რომელსაც ადამიანი იძენს განათლებითა და პრაქტიკული გამოცდილებით.

8. რას გულისხმობს „კლებადი უკუგება"?

ა) საწარმოში მუშათა ხელფასის შემცირებას.

ბ) ფასების შემცირებას.

გ) ფაქტორის სარგებლობის შემცირება ფაქტორის რაოდენობის ზრდასთან ერთად.

9. რას გულისხმობს „მკვეთრი ზრდის ეფექტი"?

ა) მაღალგანვითარებული ქვეყანა ზრდის უფრო მაღალ ტემპს აღწევს, ვიდრე დაბალგანვითარებული.

ბ) თვისება, რომელიც გულისხმობს, რომ დაბალგანვითარებული ქვეყანა ინვესტიციებით ზრდის უფრო მაღალ ტემპს აღწევს, ვიდრე მაღალგანვითარებული.

გ) არც ერთი წინა პასუხი არაა სწორი.

10. 1980–იან წლებში იაპონელმა ინვესტორებმა მნიშვნელოვანი პირდაპირი და პორტფელური ინვესტირება განახორციელეს აშშ–ში. რა თვალსაზრისით იყო აშშ–ს მთავრობის მიერ ამ იაპონური ინვესტიციების მიღება არმიღებაზე უკეთესი?

ა) გაიზარდა აშშ–ს კაპიტალი, შესაბამისად მწარმოებლურობა და მშპ.

ბ) გაიზარდა საქონლისა და მომსახურების ფასები.

გ) გაიზარდა აშშ–ს ბუნებრივი რესურსები.

11. ამოცანა:

მოცემულია აშშ–ს მშპ–ს მაჩვენებლები:

წელი	ნომინალური მშპ (მლრდ.დოლ.)	მშპ დეფლატორი საბაზო წელი 2000
2005	10 500	117
2004	9 800	112

ა) როგორ გაიზარდა ნომინალური მშპ 2004 წლიდან 2005 წლამდე (%–ულად)

ბ) როგორ შეიცვალა მშპ დეფლატორი 2004 წლიდან 2005 წლამდე.

გ) როგორი იყო 2004 წლის ფასებში გამოთვლილი 2005 წლის რეალური მშპ?

გ) როგორი იყო რეალური მშპ–ს ზრდის ტემპი 2004 წლიდან 2005 წლამდე.

12.დაახასიათეთ მშპ დეფლატორი და სამომხმარებლო ფასების ინდექსი.

III ვარიანტი

1. რა უფრო იმოქმედებს საქართველოს სამომხმარებლო ფასების ინდექსზე: ქათმის ფასის 10%–იანი ზრდა თუ ხიზილალის ფასის 10%–იანი ზრდა? რატომ?

ა) ქათმის ფასის ზრდა.

ბ) ხიზილალის ფასის ზრდა.

გ) ორივე ერთნაირ გავლენას მოახდენს.

2. თუ აშშ–ს საზღვაო ფლოტის წყალქვეშა ნავების ფასი იზრდება, რა უფრო მეტად იცვლება: აშშ–ს სამომხმარებლო ფასების ინდექსი თუ მშპ დეფლატორი?

ა) სამომხმარებლო ფასების ინდექსი.

ბ) მშპ დეფლატორი.

გ) ორივე ერთნაირად შეიცვლება.

3. რა კავშირშია სარგებლის ნომინალური განაკვეთი და სარგებლის რეალური განაკვეთი?

ა) სარგებლის ნომინალური განაკვეთი = ინფლაციის დონე + სარგებლის რეალური განაკვეთი.

ბ) სარგებლის რეალური განაკვეთი= სარგებლის ნომინალურ განაკვეთი + ინფლაციის დონე.

გ) ინფლაციის დონე = სარგებლის რეალურ განაკვეთს + სარგებლის ნომინალური განაკვეთი.

4. მშპ–ს რომელ კომპონენტზე იმოქმედებს, როცა თქვენ ახალ მაცივარს ყიდულობთ?

ა) I ;

ბ) C;

გ) NX.

5. მეპურე ფერმერისაგან ხორბალს $2–ად ყიდულობს. ამ ხორბლით მეპურე პურს აცხობს, რომელიც $3 ღირს. რა თანხა ემატება მშპ–ს?

ა) $5;

ბ) $1;

გ) $2;

დ) $3

6. ეკონომიკური კეთილდღეობის შეფასებისათვის ეკონომისტები უფრო ხშირად რეალურ და არა ნომინალურ მშპ–ს იყენებენ. რატომ?

ა) რეალური მშპ უფრო ზუსტად ასახავს ფასების ზრდას.

ბ) რეალური მშპ უფრო ზუსტად ასახავს წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობის ზრდას.

გ) რეალური მშპ უფრო ზუსტად ასახავს ფასების შემცირებას.

7. ქვემოთ მოყვანილ განმარტებათაგან რომელია მშპ?

ა) ყველა იმ საქონლისა და მომსახურების მთლიანი ღირებულება, რომელსაც შეიძენს ტიპიური მომხმარებელი.

ბ) ფასების ინდექსის პროცენტული ცვლილება წინა პერიოდთან შედარებით.

გ) ყველა იმ საბოლოო საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულება, რომელიც იწარმოება ქვეყნის შიგნით დროის მოცემულ პერიოდში.

8. როგორ გამოითვლება მშპ დეფლატორი?

ა) მშპ დეფლატორი = (ნომინალურ მშპ – რეალური მშპ)x100;

ბ) მშპ დეფლატორი = (ნომინალურ მშპ / რეალური მშპ) x100;

გ) მშპ დეფლატორი = (ნომინალურ მშპ x რეალური მშპ) /100.

9. როგორ გამოითვლება ინფლაციის დონე?

ა) ინფლაციის დონე = (სფი – მშპ) / 100;

ბ) ინფლაციის დონე = სფი / მშპ x 100;

გ) ინფლაციის დონე = სფი–ის %–ული ცვლილება წინა პერიოდთან შედარებით.

10. რას გულისხმობს ინდექსაცია?

ა) სარგებლის ნომინალური განაკვეთის განსაზღვრას.

ბ) თანხების ავტომატურ კორექტირებას ინფლაციის ტემპის მიხედვით.

გ) მშპ–ს ნომინალური მაჩვენებლის გამოთვლას.

11. ამოცანა:

შოკოლადის ფილა გაძვირდა 1,5 ლარიდან 2 ლარამდე. ამავე დროს სამომხმარებლო ფასების ინდექსი 110–დან 115–მდე გაიზარდა.

ა) განსაზღვრეთ შოკოლადის ფასის %–ული ცვლილება;

ბ) ინფლაციის დონე;

გ) საერთო ინფლაციის გათვალისწინებით როგორ გაიზარდა შოკოლადის ფასი?

12.დაახასიათეთ ფული დროის სხვადასხვა ინტერვალში.

IV ვარიანტი

1. ახსენით ოთხი შემთხვევა, როდესაც ხელფასების გაზრდით ფირმას საკუთარი მოგების გაზრდა შეუძლია.

2. რატომა სამუშაოს ძიებით გამოწვეული უმუშევრობა გარდაუვალი? როგორ შეუძლია მთავრობას ამ უმუშევრობის ხანგრძლივობის შემცირება?

3. რომელ სამ კატეგორიად ყოფს ყოფს მოსახლეობას შრომის სტატისტიკის ბიურო?

4. როგორ გამოითვლება უმუშევრობის დონე?

5. ხელფასის გაზრდა რა გავლენას ახდენს შრომის მიწოდების რაოდენობაზე?

ა) მცირდება.

ბ) იზრდება.

გ) უცვლელი რჩება.

6. ხელფასის გაზრდა რა გავლენას ახდენს შრომაზე მოთხოვნის რაოდენობაზე?

ა) მცირდება.

ბ) იზრდება.

გ) უცვლელი რჩება.

7. რას წარმოადგენს ფრიქციული უმუშევრობა?

ა) უმუშევრობა, რომელსაც ზოგიერთ ბაზარზე წარმოშობს სამუშაო ადგილების სიმცირე სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობასთან შედარებით.
ბ) უმუშევრობა, რომელიც წარმოიქმნება უნარისა და გემოვნების შესაბამისი სამუშაოს ძებნის გამო.
გ) უმუშევრობის გადახრა მისი ბუნებრივი დონიდან.
8. რას წარმოადგენს სტრუქტურული უმუშევრობა?
ა) უმუშევრობა, რომელსაც ზოგიერთ ბაზარზე წარმოშობს სამუშაო ადგილების სიმცირე სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობასთან შედარებით.
ბ) უმუშევრობა, რომელიც წარმოიქმნება უნარისა და გემოვნების შესაბამისი სამუშაოს ძებნის გამო.
გ) უმუშევრობის გადახრა მისი ბუნებრივი დონიდან.
9. რას წარმოადგენს ციკლური უმუშევრობა?
ა) უმუშევრობა, რომელსაც ზოგიერთ ბაზარზე წარმოშობს სამუშაო ადგილების სიმცირე სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობასთან შედარებით.
ბ) უმუშევრობა, რომელიც წარმოიქმნება უნარისა და გემოვნების შესაბამისი სამუშაოს ძებნის გამო.
გ) უმუშევრობის გადახრა მისი ბუნებრივი დონიდან.
10. რას წარმოადგენს უმუშევრობის ბუნებრივი დონე?
ა) უმუშევრობა, რომელსაც ზოგიერთ ბაზარზე წარმოშობს სამუშაო ადგილების სიმცირე სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობასთან შედარებით.
ბ) უმუშევრობის ნორმალური დონე, რომლის მიმართაც უმუშევრობის დონე იცვლება.
გ) უმუშევრობის გადახრა მისი ბუნებრივი დონიდან.
11. ამოცანა: სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით საქართველოში 2009 წლისათვის დასაქმებული იყო 1 მლნ 700 ათასი ადამიანი. ხოლო უმუშევარი 335 ათასი ადამიანი.
ა) გამოთვალეთ უმუშევრობის დონე ამ პერიოდისათვის.
ბ) რა მასშტაბებისაა სამუშაო ძალა?
გ) გამოთვალეთ სამუშაო ძალის ხვედრითი წილი მთელს მოსახლეობაში, თუ ცნობილია, რომ ამ პერიოდისათვის საქართველოში 4 მლნ. 430 ათასი ადამიანი ცხოვრობს.
12. დაახასიათეთ ეფექტიანი ხელფასების თეორია.

V ვარიანტი

1. რა არის ინვესტიცია?
ა) ინვესტიცია გულისხმობს არაცხადი დანახარჯების გაზრდას.
ბ) ინვესტიცია გულისხმობს ახალი კაპიტალის შეძენას.
გ) ინვესტიცია გულისხმობს ბუნებრივი რესურსების მოპოვებას.
2. საგადასახადო კოდექსის როგორი ცვლილება გამოიწვევს კერძო დანაზოგის ზრდას?
ა) გადასახადების განაკვეთის გადიდება.
ბ) გადასახადების უცვლელად დატოვება.
გ) გადასახადების განაკვეთის შემცირება.

3. რა გაელენას ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი სარგებლის განაკეთზე?

ა) სარგებლის განაკეთი იზრდება.

ბ) სარგებლის განაკეთი მცირდება.

გ) სარგებლის განაკეთი უცვლელი რჩება.

4. რას გულისხმობს „კლებადი უკუგება"?

ა) საწარმოში მუშათა ხელფასის შემცირებას.

ბ) ფასების შემცირებას.

გ) ფაქტორის სარგებლობის შემცირება ფაქტორის რაოდენობის ზრდასთან ერთად.

5. რას გულისხმობს „მკვეთრი ზრდის ეფექტი"?

ა) მაღალგანვითარებული ქვეყანა ზრდის უფრო მაღალ ტემპს აღწევს, ვიდრე დაბალგანვითარებული.

ბ) თვისება, რომელიც გულისხმობს, რომ დაბალგანვითარებული ქვეყანა ინვესტიციებით ზრდის უფრო მაღალ ტემპს აღწევს, ვიდრე მაღალგანვითარებული.

გ) არც ერთი წინა პასუხი არაა სწორი.

6. 1980–იან წლებში იაპონელმა ინვესტორებმა მნიშვნელოვანი პირდაპირი და პორტფელური ინვესტირება განახორციელეს აშშ–ში. რა თვალსაზრისით იყო აშშ–ს მთავრობის მიერ ამ იაპონური ინვესტიციების მიღება არმიღებაზე უკეთესი?

ა) გაიზარდა აშშ–ს კაპიტალი, შესაბამისად მწარმოებლურობა და მშპ.

ბ) გაიზარდა საქონლისა და მომსახურების ფასები.

გ) გაიზარდა აშშ–ს ბუნებრივი რესურსები.

7. რა უფრო იმოქმედებს საქართველოს სამომხმარებლო ფასების ინდექსზე:
ქათმის ფასის 10%–იანი ზრდა თუ ხიზილალის ფასის 10%–იანი ზრდა? რატომ?

ა) ქათმის ფასის ზრდა.

ბ) ხიზილალის ფასის ზრდა.

გ) ორივე ერთნაირ გავლენას მოახდენს.

8. თუ აშშ–ს საზღვაო ფლოტის წყალქვეშა ნავების ფასი იზრდება, რა უფრო მეტად იცვლება: აშშ–ს სამომხმარებლო ფასების ინდექსი თუ მშპ დეფლატორი?

ა) სამომხმარებლო ფასების ინდექსი.

ბ) მშპ დეფლატორი.

გ) ორივე ერთნაირად შეიცვლება.

9. რა კავშირშია სარგებლის ნომინალური განაკეთი და სარგებლის რეალური განაკეთი?

ა) სარგებლის ნომინალური განაკეთი = ინფლაციის დონე + სარგებლის რეალური განაკეთი.

ბ) სარგებლის რეალური განაკეთი= სარგებლის ნომინალურ განაკეთი + ინფლაციის დონე.

გ) ინფლაციის დონე = სარგებლის რეალურ განაკეთს + სარგებლის ნომინალური განაკეთი.

10. მშპ–ს რომელ კომპონენტზე იმოქმედებს, როცა თქვენ ახალ მაცივარს ყიდულობთ?

ა) I ;

ბ) C;

გ) NX.

11. ამოცანა: დავუშვათ მშპ 18 მილიარდი ლარია, გადასახადები – 4,5 მილიარდი, კერძო დანაზოგი – 0,2 მილიარდი. საზოგადოებრივი დანაზოგი – 0,1 მლრდ. ამ მონაცემებით გამოიანგარიშეთ:

ა) მოხმარება;
ბ) სახელმწიფო შესყიდვები;
გ) ეროვნული დანაზოგი;
დ) ინვესტიციები დახურული ეკონომიკისათვის.
12. დაახასიათეთ ფინანსური ბაზრები.

VI ვარიანტი

1. როგორ გამოითვლება მშპ დეფლატორი?
ა) მშპ დეფლატორი = (ნომინალურ მშპ – რეალური მშპ) x 100;
ბ) მშპ დეფლატორი = (ნომინალურ მშპ / რეალური მშპ) x100;
გ) მშპ დეფლატორი = (ნომინალურ მშპ x რეალური მშპ) /100.

2. როგორ გამოითვლება ინფლაციის დონე?
ა) ინფლაციის დონე = (სფი – მშპ) / 100;
ბ) ინფლაციის დონე = სფი / მშპ x 100;
გ) ინფლაციის დონე = სფი–ის %–ული ცვლილება წინა პერიოდთან შედარებით.
3. რას გულისხმობს ინდექსაცია?
ა) სარგებლის ნომინალური განაკვეთის განსაზღვრას.
ბ) თანხების ავტომატურ კორექტირებას ინფლაციის ტემპის მიხედვით.
გ) მშპ–ს ნომინალური მაჩვენებლის გამოთვლას.
4. რატომ არის მნიშვნელოვანი აქციებისა და ფასიანი ქაღალდების მფლობელებისათვის თავიანთი კაპიტალის დივერსიფიკაცია?
ა) ორმხრივი ფონდების შესაქმნელად.
ბ) ეროვნული ბანკის შემოსავლების მატებისათვის.
გ) რისკებისაგან თავის დასაცავად.
5. რა არის ეროვნული დანაზოგი?
ა) ეროვნული ნაკრძალების დაცვა.
ბ) ეკონომიკის მთლიანი შემოსავლის ნაწილი, რომელიც სამომხმარებლო ხარჯებისა და სახელმწიფო შესყიდვებიოს შემდეგ რჩება.
გ) საგადასახადო შემოსავლების მეტობა მთავრობის ხარჯებთან შედარებით.
6. რა არის კერძო დანაზოგი?
ა) კერძო კომპანიათა მოგების ჯამი.
ბ) საგადასახადო შემოსავალი, რომელიც სახელმწიფოს რჩება ხარჯების დაფარვის შემდეგ.
გ) შემოსავალი, რომელიც საოჯახო მეურნეობებს რჩება გადასახადებისა და სამომხმარებლო ხარჯების გადახდის შემდეგ.
7. განსაზღვრეთ ობლიგაცია.
8. განსაზღვრეთ აქცია.
9. განსაზღვრეთ ბიუჯეტის დეფიციტი.
10. განსაზღვრეთ კერძო დანაზოგი.

11. ამოცანა: ვთქვათ, 2010 წელს ეკონომიკა 200 პურს აწარმოებს, რომელთაგან თითოეული $ 2–ად იყიდება. 2011 ეკონომიკა 400 პურს აწარმოებს და თითოეულის ფასია $ 3.

ა) გამოთვალეთ ნომინალური მშპ თითოეული წლისათვის.

ბ) გამოთვალეთ რეალური მშპ თითოეული წლისათვის (საბაზო წლად 2010 წელია მიჩნეული).

გ) მშპ დეფლატორი

დ) გამოთვალეთ ნომინალური და რეალური მშპ–ს %–ული ცვლილება.

12. ეკონომიკური ზრდა და სახელმწიფო პოლიტიკა.

II შუალედური გამოცდა

I ვარიანტი

1. განმარტეთ ფული.

2. ჩამოთვალეთ ფულის ფუნქციები:

3. რას გულისხმობს მონეტარული პოლიტიკა?

4. რა არის რეზერვის ნორმა კომერციული ბანკისათვის?

5. განმარტეთ ფულადი მულტიპლიკატორი.

6. დაბალი ადგილობრივი ფასი მსოფლიო ფასთან შედარებით იმაზე მეტყველებს, რომ ამ ქვეყანას აქვს:

ა) ნაკლები დანახარჯები პროდუქციის წარმოების ერთეულზე;

ბ) შედარებითი უპირატესობა ამ საქონლის წარმოებაში;

გ) მეტი დანახარჯები პროდუქციის წარმოების ერთეულზე;

დ) სწორია ა) და ბ)

7. დავუშვათ, კონგრესი აწესებს ტარიფს იმპორტირებულ ავტომობილებზე. როგორ შეიცვლება ასეთ შემთხვევაში იმპორტის რაოდენობა და ფასები ავტომობილზე აშშ–ი?

ა) იმპორტი გაიზრდება , ხოლო ფასები შემცირდება;

ბ) იმპორტიც და ფასებიც შემცირდება.

გ) იმპორტი შემცირდება, ხოლო ფასები გაიზრდება.

8. ღვინის ფასი საქართველოში ნაკლებია მსოფლიო ფასზე. თავისუფალი ვაჭრობის შემთხვევაში საქართველო ღვინის იმპორტიორი ხდება თუ ექსპორტიორი?

ა) ექსპორტიორი

ბ) იმპორტიორი

გ) საქართველო არ მიიღებს მონაწილეობას საგარეო ვაჭრობაში.

9. დავუშვათ, ქვეყანაში დანაზოგები იზრდება. რა გავლენას მოახდენს ეს ინვესტიციებზე, სარგებლის განაკვეთზე და ვალუტის რეალურ კურსზე?

ა) მცირდება ინვესტიციები, სარგებლის რეალური განაკვეთი და ვალუტის რეალური კურსი.

ბ) იზრდება ინვესტიციები, სარგებლის რეალური განაკვეთი და ვალუტის რეალური კურსი.

გ) იზრდება ინვესტიციები, ხოლო სარგებლის რეალური განაკვეთი და ვალუტის რეალური კურსი მცირდება.

10. როდესაც ქვეყანა „კაპიტალის გაფრენას" განიცდის როგორ იცვლება სარგებლის განაკვეთი და სავალუტო კურსი?

ა) იზრდება სარგებლის რეალური განაკვეთი და ვალუტის რეალური კურსი.

ბ) მცირდება სარგებლის რეალური განაკვეთი და ვალუტის რეალური კურსი.

გ) იზრდება სარგებლის რეალური განაკვეთი, ხოლო ვალუტის რეალური კურსი მცირდება.

11. ამოცანა: დავუშვათ, საქართველოში აკრძალულია ტანსაცმლის იმპორტი. დახურულ ეკონომიკაში მაისურების წონასწორული ფასი 20 ლარს უდრის, ხოლო ხოლო წონასწორული რაოდენობა 3 000 მაისურს. ახალმა პრეზიდენტმა გახსნა ბაზრები საერთაშორისო ვაჭრობისათვის. შედეგად მაისურების ფასმა 16 ლარამდე დაიწია. ხოლო მაისურების გაყიდვების რიცხვმა 4 000 შეადგინა. მაისურების წარმოების რაოდენობა ქვეყანაში კი 1000 –ით შემცირდა.

ა) ასახეთ გრაფიკზე აღწერილი სიტუაცია.

გამოთვალეთ ვაჭრობის გახსნის შედეგად მიღებული:

ბ) მომხმარებლის დანაზოგები;

გ) მწარმოებლის დანაზოგები;

დ) მთლიანი დანაზოგები.

12.დაახასიათეთ როგორ ცვლის ეკონომიკის წონასწორობას სამთავრო ბიუჯეტის დეფიციტი ღია ეკონომიკაში. გამოიყენეთ გრაფიკული ანალიზი.

II ვარიანტი

1. ცენტრალური ბანკის განკარგულებაშია მონეტარული კონტროლის სამი ძირითადი ინსტრუმენტი. ჩამოთვალეთ ისინი.

2. რა კავშირშია ფულის რაოდენობა, ფასების დონე და ფულის ღირებულება?

3. ჩამოაყალიბეთ ფულის რაოდენობრივი თეორია.

4. განმარტეთ კლასიკური დიქოტომია.

5. რას გულისხმობს მონეტარული ნეიტრალიტეტი?

6. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელია ფული საქართველოს ეკონომიკაში?

ა) პიკასოს ნახატი;

ბ) პლასტიკური საკრედიტო ბარათი;

გ) პლასტიკური სადებეტო ბარათი;

გ) ფიროსმანის „შავი ლომი".

7. კომერციული ბანკის დეპოზიტების რაოდენობაა 250 მლნ., რეზერვის ნორმა კი 10%. რას უდრის სესხების რაოდენობა?

ა) 25 მლნ.

ბ) 225 მლნ.

გ) 275 მლნ.

8. თუ აღნიშნული ბანკის დეპოზიტორი თავისი ანგარიშიდან 10 მლნ.–ს მოხსნის, რამდენი იქნება რეზერვის ნორმის შენარჩუნების პირობებში რეზერვების რაოდენობა?

ა) 216 მლნ.

ბ) 24 მლნ.

გ) 274 მლნ.

9. თუ ცენტრალურ ბანკს ღია საბაზრო ოპერაციებით ფულის მიწოდების გაზრდა სურს, რა უნდა მოიმოქმედოს?

ა) გაყიდოს ობლიგაციები ან გაზარდოს დისკონტის განაკვეთი;

ბ) იყიდოს ობლიგაციები მოსახლეობიდან ან შეამციროს დისკონტის განაკვეთი;

გ) გაზარდოს რეზერვების ნორმა.

10. რა კავშირშია ბანკების ხელთ არსებული რეზერვები საბანკო სისტემაში შექმნილ ფულთან?

ა) ფულადი მულტიპლიკატორი უარყოფით კორელაციაშია რეზერვების ნორმასთან;

ბ) ფულადი მულტიპლიკატორი იზრდება რეზერვის ნორმის ზრდასთან ერთად.

გ) საბანკო სისტემაში შექმნილი ფული არაა დაკავშირებული ბანკის რეზერვებთან.

11. ამოცანა: ვთქვათ, საბანკო სისტემის მთლიანი რეზერვია 200 მლნ. სარეზერვო მოთხოვნაა საჩეკო დეპოზიტების 15% და ბანკებს არა აქვთ ჭარბი რეზერვები, საოჯახო მეურნეობებს კი – ნაღდი ფული.

ა) რას უდრის ფულადი მულტიპლიკატორი?

ბ) რას უდრის ფულის მიწოდება?

გ) თუ ცენტრალური ბანკი სარეზერვო მოთხოვნას 25 %–მდე გაზრდის როგორ შეიცვლება ფულის მიწოდება?

დ) როგორ შეიცვლება რეზერვები?

12.დაახასიათეთ როგორ ცვლის ეკონომიკის წონასწორობას იმპორტის კვოტა ღია ეკონომიკაში. გამოიყენეთ გრაფიკული ანალიზი.

III ვარიანტი

1. რას გულისხმობს ფულის ბრუნვის სიჩქარე და როგორ გამოითვლება იგი?

2. განმარტეთ ფულის რაოდენობრივი განტოლება.

3. რას გულისხმობს ინფლაციის გადასახადი?

4. რაში მდგომარეობს ფიშერის ეფექტი? ჩაწერეთ ფორმულა.

5. ახსენით როგორ მოქმედებს ფასების დონის ზრდა ფულის რეალურ ღირებულებაზე?

6. ქვეყნის მთავრობა ფულის მიწოდების ზრდის ტემპს წელიწადში 5%–იდან 50 %–მდე ზრდის. რა მოუვა ფასებს?

ა) შემცირდება;

ბ) გაიზრდება;

გ) უცვლელი დარჩება.

7. თუ ინფლაცია მოულოდნელია, ვინ იღებს სარგებლობას?

ა) დებიტორი;

ბ) კრედიტორი;

გ) ორივე–დებიტორიც და კრედიტორიც.

8. ფიშერის ეფექტიდან გამომდინარე, როგორ მოქმედებს ინფლაციის დონის ზრდა სარგებლის რეალურ განაკვეთზე?

ა) იზრდება;

ბ) მცირდება;

გ) უცვლელი რჩება.

9. ჰიპერინფლაცია უაღრესად იშვიათი მოვლენაა იმ ქვეყნებში, რომელთა ცენტრალური ბანკები ხელისუფლებისგან დამოუკიდებელნი არიან. რატომ?

ა) ცენტრალური ბანკი ბევრ ფულს ბეჭდავს სახელმწიფო ვალების დასაფარად;

ბ) ცენტრალური ბანკი ფულს არ ბეჭდავს სახელმწიფო ვალების დასაფარად;

გ) ეს უბრალო დამთხვევაა.

10. დავუშვათ, ინფლაციის ეფექტი ეკონომიკაზე მხოლოდ ორ ადამიანს ეხება: ბობის და რიტას. ბობის მოჰყავს ლობიო, რიტას–ბრინჯი. ლობიოს ფასი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 2 ლარიდან 4 ლარამდე, ხოლო ბრინჯის ფასი კი–1,5 ლ–დან 3–ლ–მდე. როგორი იყო ინფლაციის დონე?

ა) 100%

ბ) 50%

გ) 75%

11. გადასახადის განაკვეთი 20 % –ია. გამოთვალეთ სარგებლის რეალური განაკვეთი გადასახადამდე და გადასახადის შემდგომ შემდეგი შემთხვევებისათვის:

ა) ნომინალური განაკვეთი 12 %–ია, ხოლო ინფლაცია – 6%.

ბ) ნომინალური განაკვეთი 14 %–ია, ხოლო ინფლაცია – 7%.

გ) ნომინალური განაკვეთი 8%–ია, ხოლო ინფლაცია – 4%.

11. დაახასიათეთ პოლიტიკური არასტაბილურობა და კაპიტალის „გაფრენა“ ღია ეკონომიკაში.

IV ვარიანტი

1. განმარტეთ წმინდა ექსპორტი.

3. განმარტეთ სავაჭრო ბალანსი.

4. რას გულისხმობს სავაჭრო უპირატესობა?

5. განმარტეთ კაპიტალის წმინდა გადინება.

6. თუ ნომინალური სავალუტო კურსი მცირდება დოლარში 1,75 ლარიდან 1,65 ლარამდე, გამყარდა თუ დასუსტდა დოლარი ლართან მიმართებაში?

ა) გამყარდა;

ბ) დასუსტდა;

გ) არ შეცვლილა.

7. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ესპანეთში მაღალი ინფლაცია იყო, იაპონიაში კი– დაბალი. თქვენი პროგნოზით, როგორ შეიცვლებოდა იაპონური იენებით ნაყიდი ესპანური პესეტის რაოდენობა?

ა) უცვლელი დარჩება;

ბ) გაიზრდება;

გ) შემცირდება.

8. თუ იაპონური ავტომობილი 500 000 იენა ღირს, ასეთივე ტიპის ამერიკული ავტომობილი – 10 000 $, ხოლო ერთ დოლარს 100 იენის ყიდვა შეუძლია, როგორია რეალური სავალუტო კურსი?

ა) 1 / 2 იაპონური ავტომობილი ერთ ამერიკულ ავტომობილში;

ბ) 2 / 1 იაპონური ავტომობილი ერთ ამერიკულ ავტომობილში;

გ) 2 / 2 იაპონური ავტომობილი ერთ ამერიკულ ავტომობილში;

9. თუ ფედერალური სარეზერვო სისტემა აშშ დოლარების დიდი რაოდენობის ბეჭდვას იწყებს, როგორ შეიცვლება იაპონური იენების რაოდენობა, რომლის ყიდვაც ერთ დოლარს შეუძლია?

ა) გაიზრდება;

ბ) შემცირდება;

გ) უცვლელი დარჩება.

10. „ჰონდა" აფართოებს თავის ქარხანას მერისვილში, ოჰაიოს შტატში. პირდაპირი ინვესტიცია მონაწილეობს ამ შემთხვევაში თუ პორტფელური ინვესტიცია?

ა) პირდაპირი ინვესტიცია;

ბ) პორტფელური ინვესტიცია;

გ) არც ერთი წინა პასუხი არაა სწორი.

11. ამოცანა: მოცემულია შემდეგი მონაცემები:

ქვეყანა	ბიგმაკის ფასი	კურსის პროგნოზი	რეალური კურსი
ჩეხეთი	56,3 კრონი	––––– – კრონი/$	24,5 კრონი/ $
კანადა	3,27 კანადური დოლ.	––––––– კანად. დოლ. / $	1,24 კანად. დოლ. / $

ა) ორივე ქვეყნისათვის გამოთვალეთ ადგილობრივი ვალუტის საპროგნოზო კურსი დოლართან მიმართებაში. ცნობილია, რომ ბიგმაკის ამერიკული ფასია 3 $.

ბ) მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიის მიხედვით, როგორი იქნება კრონისა და კანადური დოლარის საპროგნოზო კურსი ერთმანეთთან მიმართებაში? რეალური კურსი?

12. დაახასიათეთ ცენტრალური ბანკის (ფედერალური სარეზერვო სისტემის) ინსტრუმენტები მონეტარული კონტროლისათვის.

V ვარიანტი

1. განმარტეთ ნომინალური სავალუტო კურსი.

2. რას ნიშნავს ვალუტის ღირებულების შემცირება?

3. განმარტეთ რეალური სავალუტო კურსი?

4. ჩამოაყალიბეთ მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორია.

5. გამოიყენეთ მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორია და გამოსახეთ ნომინალური სავალუტო კურსი.

6. ლონდონის „ჰაროდი" თავის აქციებზე „ჯენერალ ელექტრიკის" საპენსიო ფონდს მიჰყიდის. პირდაპირი ინვესტიცია მონაწილეობს ამ შემთხვევაში თუ პორტფელური ინვესტიცია?

ა) პირდაპირი ინვესტიცია;

ბ) პორტფელური ინვესტიცია;

გ) არც ერთი წინა პასუხი არაა სწორი.

7. როგორ შეიცვლება საქართველოს რეალური სავალუტო კურსი, თუ ნომინალური სავალუტო კურსი უცვლელია, ხოლო ფასები უცხოეთში უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე საქართველოში?

ა) იზრდება;

ბ) მცირდება;

გ) უცვლელი რჩება.

8. საქართველოს ნომინალური სავალუტო უცვლელია, მაგრამ ფასები საქართველოში უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე უცხოეთში. როგორ შეიცვლება საქართველოს რეალური სავალუტო კურსი?

ა) იზრდება;

ბ) მცირდება;

გ) უცვლელი რჩება.

9. კმაყოფილი იქნება თუ არა საქართველოს მრეწველები, თუ ლარის ღირებულება იზრდება?

ა) დიახ;

ბ) არა;

გ) არც ერთი წინა პასუხი არაა სწორი.

10. კმაყოფილი იქნება თუ უკმაყოფილო უცხოელი ტურისტები, რომლებიც საქართველოში ჩამოსვლას გეგმავენ, თუ ლარის ღირებულება იზრდება?

ა) დიახ;

ბ) არა;

გ) არც ერთი წინა პასუხი არაა სწორი.

11. ამოცანა: დავუშვათ, წლევანდელი ფულის მიწოდება 1,5 მილიარდს შეადგენს. ნომინალური მშპ 18 მილიარდს შეადგენს, რეალური მშპ კი – 12 მილიარდს.

ა) როგორი იქნება ფასების დონე?

ბ) როგორი იქნება ფულის ბრუნვის სიჩქარე?

გ) დავუშვათ, ფულის ბრუნვის სიჩქარე მუდმივია და წარმოების და მომსახურების დონე წელიწადში 5 %–ით იზრდება. თუ ეროვნული ბანკი შემდეგ წელს ფულის მიწოდების იმავე დონეს ინარჩუნებს, როგორი იქნება ნომინალური მშპ?

დ) როგორი იქნება ფასების დონე?

12.გამოიყენეთ ინფლაციის კლასიკური თეორია და დაახასიათეთ მონეტარული ჩარევის შედეგები. აჩვენეთ გრაფიკულად.

VI ვარიანტი

1. განმარტეთ იმპორტის კვოტა და ტარიფი.

2. რა არგუმენტები მოჰყავთ ადგილობრივ მრეწველებს ვაჭრობის შეზღუდვის მხარდასაჭერად?

3. როგორ პასუხობენ ეკონომისტები ამ არგუმენტებს?

4. როდის ხდება ქვეყანა საქონლის ექსპორტიორი?

5. როდის ხდება ქვეყანა საქონლის იმპორტიორი?

6. იაპონიას, ჩვეულებრივ, მნიშვნელოვანი სავაჭრო უპირატესობა აქვს. რასთანაა ეს დაკავშირებული?

ა) იაპონიაში უცხოურ საქონელზე არსებულ მცირე მოთხოვნასთან;

ბ) ინვესტიციებთან შედარებით მაღალ დანაზოგთან;

გ) იაპონიაში იმპორტის სტრუქტურულ ბარიერთან;

7. შეამცირებს თუ არა ბიუჯეტის დეფიციტის შეკვეცა სავაჭრო დეფიციტს?

ა) შეამცირებს;

ბ) არ შეამცირებს;

გ) პირიქით, გაზრდის.

8. ბიუჯეტის დეფიციტის შეკვეცა გაზრდის თუ არა დოლარის ღირებულებას?

ა) არა;

ბ) დიახ;

გ) პირიქით, შეამცირებს.

9. გასული ათწლეულის განმავლობაში იაპონური დანაზოგების გარკვეული ნაწილი ამერიკაში ინვესტიციების დასაფინანსებლად გამოიყენეს, რაც იმას ნიშნავს, რომ იაპონელები ამერიკულ კაპიტალს ყიდულობდნენ. თუ იაპონელები გადაწყვეტენ, რომ აშშ–ს აქტივების ყიდვა არ სურთ, რა მოუვა აშშ–ს სასესხო კაპიტალის ბაზარს?

ა) სარგებლის განაკვეთი გაიზრდება, ხოლო დანაზოგი შემცირდება;

ბ) სარგებლის განაკვეთი და დანაზოგებიც შემცირდება;

გ) სარგებლის განაკვეთი და დანაზოგებიც გაიზრდება.

10. ვთქვათ, ევროპაში იზრდება სარგებლის რეალური განაკვეთები. როგორ იმოქმედებს ეს საქართველოს კაპიტალის წმინდა გადინებაზე?

ა) შემცირდება;

ბ) გაიზრდება;

დ) უცვლელი დარჩება.

11. ამოცანა: დავუშვათ, წლევანდელი ფულის მიწოდება 250 მილიარდს შეადგენს. ნომინალური მშპ 5 ტრილიონს შეადგენს, რეალური მშპ კი – 2,5 ტრლიონს.

ა) როგორი იქნება ფასების დონე?

ბ) როგორი იქნება ფულის ბრუნვის სიჩქარე?

გ) დავუშვათ, ბრუნვის სიჩქარე მუდმივია და წარმოების და მომსახურების დონე წელიწადში 10 %–ით იზრდება. თუ ეროვნული ბანკი შემდეგ წელს ფულის მიწოდების იმავე დონეს ინარჩუნებს, როგორი იქნება ნომინალური მშპ?

დ) როგორი იქნება ფასების დონე?

ლიტერატურა

1. გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომცემლობა „დიოგენე", თბილისი, 2008;
2. ოლივიე ბლანშარი. მაკროეკონომიკა. მე-5 გამოც. თბ. 2010;
3. ვ. პაპავა. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბ. 2005;
4. მ. ნაცვალაძე, თ. ათანელიშვილი, ეკონომიკის პრინციპები, აქტიური სწავლება, ნაწილი 1–ლი, გამომცემლობა „უნივერსალი", თბ., 2010 წლის;
5. დ. ბეგი, ს. ფიშერი, რ. დორნბუში, ეკონომიკა, თბ., 1999;
6. კემპელ რ. მაკკონელი, სტენლი ლ. ბრიუ, ეკონომიკსი, ნაწ.I, II, III, თბილისი, 1993;
7. სამუელსონი პოლ, ეკონომიკსი, ნაწ. I, II, III, თბილისი, 2000;
8. Additional materials of this textbook, at http://mankiw.swlearning.com http://gregmankiw.blogspot.com ;
9. Karl E. Case, Ray C. Fair, Principles of Microeconomics, Prentice Hall, Seventh Edition;
10. Robin Bade, Michael Parkin, Foundations of Microeconomics, Prentice Hall, Third edition;
11. Krister Alhersten, Microeconomics. Free e-book from www.Bookboon.com;
12. Krister Alhersten, Microeconomics–Excersises. Free e-book from www.Bookboon.com.
13. Gadzhiev, K.S. (2015). ON Inversion of Globalization Vector and Functions. World Economy and Inernational Relations, M., №7.
14. World Investment Report 2015, UNCTAD, 2015.
15. Lavrinenko A.S. (2015). State support for the creative industries . The Creative Economy. T.9(8). P. 936.// Global databank on World trade in creative product// UNCTAD stat website.
16. Henry Kissinger on the Assemble of a New World Order. The Wall Street Journal, 29.08.2014. Available at: http:// www. Wsj.com/artikles/Henry Kissinger, on the assem bly of a new world order -1409328075.
17. http://www.heritage.org/index/country/georgia
18. https://www.globalpolicy.org/globalization.html
19. http://www.newsgeorgia.ge/economy/
20. http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com